ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ
ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲑᲐ
ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ
ᲒᲘᲛᲜᲐᲖᲘᲣᲛᲘᲡ

ᲗᲔᲛᲘᲡ ᲠᲣᲑᲘᲙᲣᲜᲓᲘᲡᲚᲘ

ᲛᲮᲐᲖᲣᲚᲔᲑᲘᲡ

ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲘ ᲩᲮᲝᲛᲐᲫᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ 1979

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ
ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ
ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲘᲡ
ᲒᲐᲛᲒᲔᲠᲝᲜᲚᲘᲡ

ᲗᲔᲛᲝᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ

ᲒᲝᲗᲘᲔ ᲩᲮᲝᲒᲔᲫᲔ

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ
I

«ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ»

Г 1
899.962.1-93
რ 174

7-6-3

გამოსაცემად მოამზადა
ხ ო ლ ო მ ო ნ უ უ ბ ა ნ ე ი ფ ვ ი ლ ვ ა

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა:
რევაზ ინანიშვილი, ნიკო კეცხოველი, დავით ლორთქიფანიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე (მთავარი რედაქტორი), მაყვალა მრევლიშვილი, არჩილ ჩაჩიბაია, ვალენტინა ძიძიგური

წინასიტყვაობის მაგიერ

თედო რაზიკაშვილი ფშავის იმ ოჯახის შვილია, რომელმაც ჩვენს ქვეყანას სამი ნიჭიერი მწერალი მისცა: დიდი ლუკა, მწერლობაში ვაჟა-ფშაველას ფსევდონიმით ცნობილი, ნიკო (ბაჩანა) და თედო რაზიკაშვილები.

თედოს მშობლები სოფელ ჩარგალში ცხოვრობდნენ. ეს სოფელი ამჟამად დუშეთის რაიონს ეკუთვნის, მდებარეობს მდინარე ფშავის არაგვის ხეობაში.

თედოს მამამ, პავლე რაზიკაშვილმა, წერა-კითხვა მეცხვარეობაში ისწავლა სიპ ქვაზე ვარჯიშობით. შემდეგში, როცა გუთანზე მუშაობდა, წიგნებს ჯიბით ატარებდა და დასვენების დროს კითხულობდა. ბოლოს გუთანზე მუშაობას თავი დაანება და კახეთში წავიდა. იქ ერთ-ერთ მონასტერში სულ მოკლე დროში. ისე მოემზადა, რომ მედავითნედ დანიშნეს ჩარგალში. შემდეგ მთავარდიაკვანი იყო შუაფხოსა და მაღაროსკარში. უკანასკნელად მღვდლად განაწესეს თავის სოფელში.

პავლეს დიდი ვავლენა ჰქონდა ფშავ-ხევსურეთში. იგი იყო დიდი და პატარა საქმის განმსჯელი. ბევრს კითხულობდა. სულ შესწავლილი ჰქონია ქართველი კლასიკოსები: დ. გურამიშვილი, ა. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი და სხვ. იყო მოლექსე და მოსწრებული სიტყვა-პასუხის პატრონი. „დიდი დღესასწაული იყო იმისთვის ქართული წიგნის გამოსვლა, — წერს თედო ავტობიოგრაფიაში, — ახირებული მოყვარული იყო სამშობლო ქვეყნისა და მისი მწიკნობრობისა. ვინც იმის მსჯელობას გაიგონებდა, იფიქრებდა, ყოველმხრივ ვანათლებულ და ღრმად განსწავლულ მეცნიერთანა მაქვს საქმე და არა უბრალო სოფლის მღვდელთანაო“. (ეს ავტობიოგრაფია იბეჭდება თედო რაზიკაშვილის მოთხრობების II ტომში).

თედოს დედა, ბარბალე (ვულქანი) დავით ფხიკელაშვილის ასული, გაბიდოურების თემიდან იყო, მხნე, უსაზღვროდ ვულკეთილი, მეოჯახე და მეტად ნიჭიერი მოლექსე. წერა-კითხვა არ იცოდა, მაგრამ პოეზიისადმი სიყვარული დიდი ჰქონდა. სულ იცოდა ფშაური ზეპირგადმოცემანი, ლექსები, ზღაპრები და ანდაზები.

თავისუფალ დროს ამ ხალხურ საუნჯეს შვილებს უამბობდა. იყო მეტისმეტად მოსიყვარულე და სათნო. შინაურ საქმეებს სულ ის აკეთებდა და საქმიანობაში გართულს ხშირად კერის პირზე შემოათენდებოდა ხოლმე. ისეთი ტკბილი და შთამაგონებელი ლაპარაკი იცოდა, რომ მსმენელს მისი ნაუბარი ღრმად რჩებოდა მეხსიერებაში. „ის რომ დეევებზედ ან ეშმაკებზედ, მოჯალაფეებზე დაიწყებდა ლაპარაკს, — გადმოგვცემს თედო, — მე სადღაც მოჯადოებულს არა არსთა სამეფოში გადამიტაცებდა ოცნება და ჩემი თავი თვით მნახველ-გამგონედ მესენებოდა... გაგონილსაც თავის გემოვნებაზედ გადააკეთებდა და თავისი დაბალი სასიამოვნო ხმით გვიზუზუნებდა. როცა გვიამბობდა რამე სამწუხარო ამბავს, თანა ტიროდა ხოლმე“.

პავლე და ბარბალე ძალიან მოსიყვარულე მშობლები იყვნენ. მამა სიამოვნებით ისმენდა თურმე შვილების ნაწერებს და მათი წაბაძვით თვითონაც დაუწყია წერა. თედოს წყალობით ჩვენამდე მოაღწია პავლეს ავტობიოგრაფიის დიდმა ნაწილმა, რომელიც, გარდა იმისა, რომ ვრცლად გვისურათებს პავლეს სიყმაწვილის პერიოდს, საყურადღებო ცნობებს გვაწვდის რაზიკაშვილების წინაპრებისა და ფშაველების ყოფა-ცხოვრებაზე.

ინტერესს არაა მოკლებული მისი დარიგებანიც, რომლითაც ის სასტიკად ილაშქრებდა ისეთი ადათ-წესების წინააღმდეგ, რომელიც ხალხის გაღატაკებას იწვევდა.

პავლეს და ბარბალეს ჰყავდათ ექვსი შვილი: გიორგი, მართა, ლუკა, ნიკო, თედო და ალექსანდრე.

თედო დაიბადა 1869 წელს სოფელ ჩარგალში. წერა-კითხვა თავისმა ძმამ ნიკომ ასწავლა. პირველდაწყებითი განათლება ჩარგლის სკოლაში მიიღო. მისი მასწავლებლები იყვნენ დავით როსტომაშვილი, ილია მათიკაშვილი და ბოლოს ანისიმოვი. ანისიმოვმა ქართული არ იცოდა, ბავშვებს რუსული არ ესმოდათ, ამიტომ მოწაფეებმა თანდათან უკლეს სკოლაში სიარულს, ხოლო 1880 წელს სკოლა სულ დაიკეტა.

ორი წლის განმავლობაში თედო სკოლის გარეთ დარჩა. დედ-მამას ეხმარებოდა საოჯახო საქმეებში: მკიდა, თიბავდა, საქონელში დადიოდა. რაზიკაშვილები ძალიან ღარიბულად ცხოვრობდნენ. „ისე გავიზარდე, — წერს თედო, — რომ წითელი კიტაიას ახალუხი მენატრებოდა და ვერ ვეღირსე. ჩუსტი ხომ თავის დღეში არ გვინახია“.

თავისუფალ დროს მამა თედოს წიგნების გადაწერას ავალებდა.

თედოს უფროსმა ძმამ ლუკამ 1882 წელს ბორის საოსტატო სემინარია დაამთავრა და ერწოში ტოლაანთისოფლის სკოლაში დანიშნეს მასწავლებლად. მან თან წაიყვანა თედო და ბორის სემინარიაში შესასვლელად ამზადებდა.

ერთ წელს მოუხდათ ვაკასა და თედოს ტოლაანთ სკოლაში ყოფნა. ეს დრო თედოსათვის ნაყოფიერი გამოდგა. მატერიალურად უზრუნველყოფილი იყო. ვაკას ჟურნალ-გაზეთებიც მოსდიოდა. „როგორც მწყურვალე წყალს, ისე ვეწაფებოდი წიგნებს და გაზეთებს, არ გამიშვია მას აქეთ გადუწერავი, სადაც რომ ლექსი დაბეჭდილა, ან პოემა ჩვენი პოეტებისაო“. — წერს თედო.

ამ დროს გორის სემინარიაში სწავლობდა თედოს ძმა ნიკო (ბაჩანა). 1883 წლის აგვისტოში თედო ბაჩანამ წაიყვანა გორში. თედომ იქ ჩაბარა გამოცდები სემინარიასთან არსებულ რუსული სკოლის უკანასკნელ განყოფილებაში. ცხოვრობდა ნაქირავებ ბინაში და დიდ ეკონომიურ გაჭირვებას ვანიცდიდა, რამაც თედოს ჯანმრთელობა შეურყია, დააწყებინა ციება და რვა თვე ავად იყო. სწავლას მოცდა... მაგრამ სემინარიაში მაინც შეძლო მისაღები გამოცდების ჩაბარება.

1885 წ. 27 მაისს ბაჩანამ სემინარიის დირექტორს სთხოვა თედოს სახელმწიფო ხარჯზე მიღება. თხოვნა შეიწყნარეს და 28 აგვისტოდან თედო სახელმწიფო ხარჯზე ჩარიცხეს. ამის შემდეგ მას უფრო მეტი საშუალება მიეცა ბეჯითად მეცადინეობისა და მართლაც ისე კარგად სწავლობდა, რომ კლასიდან კლასში უგამოცდოდ გადაყვანდათ და 1889 წელს სემინარია საუკეთესო მოწაფედ დაამთავრა.

სემინარიის კურსის დამთავრების შემდეგ თედო ერთი წლით უადგილოდ დარჩა. 1890 წელს კი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ ის ხელთუბნის (გორიდან 7 კმ დაშორებით) სკოლის მასწავლებლად დანიშნა.

ძმები რაზიკაშვილები 1891 წლამდე ერთად ცხოვრობდნენ, სამსახურიდან შვებულების დროს ან სკოლის არდადეგებში მამას მიაშურებდნენ სოფელ ჩარგალში და შეძლებისდაგვარად კიდევაც ეხმარებოდნენ ოჯახს.

1890 წლის 16 სექტემბერს თედოს გარდაეცვალა დედა, იმავე წლის 22 ოქტომბერს კი მამა.

დედ-მამის გარდაცვალების შემდეგ ძმები დაიქსაქსნენ: გიორგი თიანეთში დასახლდა და იქ ვექილობდა, ბაჩანა ხევსურეთში მასწავლებლობდა, ალექსანდრე თბილისში მსახურობდა, ჩარგალში მარტო ვაჟა დარჩა. მან მოინდომა სოფელ ჩარგალში მამის ადგილას თედოს მღვდლად დანიშვნა, მაგრამ თედო არ დათანხმდა და საბოლოოდ ხელთუბანში დამკვიდრდა საცხოვრებლად. იქ მასწავლებლობასთან ერთად საზოგადოებრივ საქმიანობასა და სოფლის მეურნეობასაც ეწეოდა. გაშენებული ჰქონდა კარგი ხეხილის ბაღი, ვენახი და პყავდა რამდენიმე სკა ფუტკარი.

ძმები ერთმანეთს უმეტეს შემთხვევაში თბილისში ხვდებოდნენ უმცროსი ძმის ალექსანდრეს ოჯახში. „პირდაპირ სადღესასწაულო ხასიათი ეძლეოდა მათს ერთად შეკრებას! — წერს ნ. ნაოაძე, — მხიარული ბაასი, სიცილი, ხუმრობა სუფრაზე და სუფრის გარეშე, დაუსრულებელი იყო. ხშირად თედო, სანდრო და მათი დისწული მიხა მისცემდნენ ხოლმე ერთმანეთს პირისპირს და აუტეხავდნენ ვაჟას ხუმრობით დაცინვას, რომ იგი გაეჯავრებინათ, მაგრამ ვაჟა იგერიებდა ყველას და არ ყოფილა ისეთი წამი, რომ მის სახეს წყენა შეტყობოდეს, თუმცა ზოგჯერ ხუმრობას ძლიერ ამლაშებდნენ“. ამ დროს, ივ. ბუქურაულის ცნობით, ვაჟა „იჯდა დინჯად თავის დარბაისლურ შეხედულებით. ბაი-ბუდ არ მიაჩნდა მას მათი დაცინვა, სიცილ-კისკისი, თითო-თითოს ახედ-დახედავდა და ჩაიღიმებდა, თითქოს ამბობდა: თქვენ ვინა ყრიხართო“.

ხელთუბნის სკოლაში თედომ დაყო 1905 წლის 11 ივნისამდე. ამ ხნიდან მთავრობამ სკოლა დაკეტა და თედოც დაითხოვეს.

გორის საოსტატო სემინარიაში ყოფნის დროს თედო რაზიკაშვილი დაუახლოვდა ხალხოსანთა წრის წევრებს. ამ მხრივ მასზე დიდი გავლენა იქონია გორის სემინარიაში მისმა ქართული ენის მასწავლებელმა ხალხოსანმა ნიკო ლომოურმა. ხალხოსნურ მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა მოსწავლე ახალგაზრდობაც. ახალგაზრდები დადიოდნენ ხალხოსნების კრებებზე, ისმენდნენ პროპაგანდისტების სიტყვებს და ეცნობოდნენ ქართველი ხალხის ეითარებას, ელეხთა ცხოვრებას, ამზადებდნენ და კითხულობდნენ რეფერატებს ხალხოსნური მოძრაობის საკითხებზე.

ხელთუბანში თედო ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში და ელეხობაში ნერგავდა თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო იდეებს. ეს შეუმჩნეველი არ დარჩა მეფის მოხელეებს და ამიტომ ჟანდარმერიას მეთვალყურეობის ქვეშ აყვანილი. რამდენჯერმე სცადეს მისი დაპატიმრება, მაგრამ თედო ყოველთვის თავს აღწევდა. ბოლოს, 1905 წ. 12 სექტემბერს, მაინც დააპატიმრეს და სამუდამო გადასახლება მიუსაჯეს ოლონეცის გუბერნიაში, მაგრამ გზაზედ ოქტომბრის მანიფესტმა მრუსწრო და დააბრუნეს. რეაქციის დროს კელავ შეეცადნენ მის დაპატიმრებას, მაგრამ თედო ფშავში გაიქიზნა ძმებთან. სამაგიეროდ „დამსჯელმა რაზმმა“ ხელთუბანში მის სახლს ჯერ ზარბაზნები დაუშინა და მერე დაწვა. უბინაოდ დარჩენილი თედოს ცოლ-შვილი ეჟამ ფშავში წაიყვანა და იქ ცხოვრობდნენ რამდენიმე ხანს.

შემდეგ თედო დაბრუნდა ხელთუბანში. გინაასლა თავისი სახლ-კარი და ხელი მოჰკიდა სოფლის მეურნეობას. მისი რჩევით სოფელში ბევრმა ეაბაშენა ხეხილის ბაღი და კულტურულად მოაწყო თავისი მეურნეობა.

თედო სიხარულით შეხვდა ოქტომბრის რევოლუციას, მაგრამ მას არ დასცალდა მისი აქტიური მშენებელი გამსდარიყო. 1922 წლის 19 იანვარს ავაზაკებმა გამოასალმეს წუთისოფელს. მისი ნეშტი დასაფლაეებულია თბილისში, ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა დიდების პანთეონში.

თედო რაზიკაშვილმა მწერლობა სემინარიაში ყოფნის დროს დაიწყო. მართალია, სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობას ის არ ეპირებდა, მაგრამ „ოჯახის ეავლენას დაემატა მეტად სიმპატიური ეავლენა სემინარიაში ქართული ენის მასწავლებლის ნ. ლომოურისა... ამაზე მეტი საკეთილო ეავლენა, არა შეონია, კაცმა კაცზედ იქონიოსო, — ამბობს თედო, — ჩემი ველური ბუნება ამისმა ღვთიურმა მოქცევამ დაალბო და გააპატიოსნა, სურეილი სამშობლო ლიტერატურისათვის სამსახურისა ამან ეამიორკეცაო“.

თედომ პირველი ლექსი „მწყემსის სიმღერა“ 1886 წელს დაწერა. ამავე წელს დაწერა მოთხრობა „ნიბლია“. თავისი ნაწერების ბეჭდვა დაიწყო 1890 წლიდან. ამის შემდეგ სისტემატურად თანამშრომლობდა ძირითადად საემაწვილო ეურნალებში. თავის თხზულებებში თედომ მშეენიერად ასახა მშრომელი ხალხის დუხჭირი ცხოვრება და თავისი პროგრესული სოციალ-პოლიტიკური იდუმალი აზრები ალეეორიულად ასახა ცხოველთა, ფრინველთა, მწერთა და მცენარეთა სამყაროში.

თედოს ნაწერებმა თავიდანვე მიიპყრო მკითხველთა ყურადღება და დიდი

პოპულარობაც მოიპოვა. ზოგი მათგანი ი. გოგებაშვილმა სასკოლო სახელმძღვანელოში შეიტანა და დიდ გავლენას ახდენდა მოზარდ თაობაზე. „ხშირად ცრემლებს ვღვრიდით „მურიის“ და „რქიანის“ აბბავზე, — წერს ე. რაზიკაშვილი, — სამშობლოს მოშორებული „ცირცელი“ ხომ ვულს გვიკლავდა! სამაგიეროდ რამდენს ვიცინოდით და ნიშნს ვუკვებდით მსუნაგ მელას, როცა წარმოვიდგენდით, როგორ გაებმოდა ჯაგებში ჩხიკვისა და მისი შვილების ვერაგულად დაჭერის დროს და პირის ჩაგემრიელების მაგივრად დაგლეჯილი ქურქითა და დაფხაჭნილი ღინვით, კუდამოძუებული რომ ბრუნდებოდა თავის შვილებთან სირორში (მოთხრობა „მელიას ხრიკები“ „ცნათობი“, 1961 წ. № 9. გვ. 176).

თედოს ნაწერებს არა მარტო მოზარდი თაობა ეწაფებოდა, მას ხალისით კითხულობდა უფროსი თაობაც და მოუთმენლად ელოდნენ საკმაწკილო ჟურნალების ყოველი ნომრის ვამოსვლას. რედაქტორებიც ხშირად მიმართავდნენ თედოს, სისტემატურად მიეწოდებინა მასალები. „დიდად პატივცემულო თედო! — სწერდა „ნაკადულის“ რედაქტორი მარიამ დემურია, — გულითა გთხოვთ თქვენ, რაც კი შეიძლება ბევრი მასალა გვიგზავნოთ, თქვენი თითქმის ყოველისფერი იბეჭდება... მარტისთვის თქვენი აღარაფერი კვაქვს. ძვნი ჭირიმე, როგორც ჩემი წერილი მოვივიდეს, მოთხრობებიც და ლექსებიც გამოგვიგზავნეთ. ძალიან გთხოვთ. თქვენი ჭირიმე, მე მინდა ყოველ ნომერში თქვენი მოთხრობები იყოს“. „ჯეჯილის“ გამოცემის ნებაროვით „ტასო დიდი გასარეულია და იმედია ამ საერთო სიხარულს თქვენც შეუერთდებით და საჩქაროთ მოაწოდებთ თქვენს რაიმე ნაწერს. ძალიან და ძალიან საინტერესო და სასურველია, რომ ყველა „ჯეჯილთან“ შეტკბობილ მწერლების ნაწერებით იყოს განასლებული „ჯეჯილის“ ნომერი დამშვენებული და ამიტომ გატყობინებთ და გთხოვთ მალე მოაწოდოთ მასალა. ტასოს უნდა მზად ჰქონდეს ნომერი, რომ მოვი თუ არა ნებართვა ოფიციალურად, მაშინვე გამოსცეს“, — სწერდა სონა ციციშვილი.

სხვა დროს იგივე სონა ციციშვილი თედოს ატყობინებდა: „ასე როგორ დაპკარგეთ ტასო, რომ ერთხელ აღარ გაიარეთ, „ჯეჯილს“ რას ემართლებით თუ სხვებს უწყრებით. დამავალა ტასომ, რომ გთხოვოთ „ჯეჯილისათვის“ მასალა. პირველი ნომრისთვის ორიგინალური არა აქეს რა და დიდი იმედი აქეს, რომ რასმეს მოაწოდებთ. გებვეწებით, რაც შეიძლება დაწიმურეთ და რამე გამომიგზავნეთო. პირველ იანვარს უნდა დაარიგოს და ამა თუ 15 დეკემბერს მაინც არ მისცა მასალა, რაღას მოასწრებს. ერთი სიტყვით, თქვენი დიდი იმედი მაქეს. უეჭველად გეაცნობეთ რამე“.

„შარშან (1910 წ.) რაღაცას გვიწყრებოდით შეონია, — სწერს ნ. ნაკაშიძე. — თორემ ერთ მოთხრობას ხომ მაინც გამოგვიგზავნიდით, წრეულს იმედია ვულს მოიბრუნებთ ჩვენსკენ. მომწერე რა უნდა მოვიმოქმედო იმისთანა, რომ მოვაბრუნებინოთ გული და თქვენებურად ნშვენიერი მოთხრობები დაგაწერინოთ. ჩვენ თუ გვიწყრებით, პავშვებს რისთვის აკლებთ მოთხრობებს, განა ამის უფლება გაქვსთ თქვენ, როგორც მწერალს? ვთხოვთ მიიღოთ მონაწილეობა „ნაკადულის“ ზვე-ბედში ისე. როგორც ღებულობდით და მოთხრობები მოგვაწოდოთ“.

„ჯეჯილის“ და „ნაკადულის“ გარდა, მასალებს სხვა რედაქციებიც სთხოვდ-

ნენ თედოს: „მინდა დაებეჭდო ჩემი ჟურნალი „ლეილა“ და მსურს რომ ამ მწერალთა თაიგულს თქვენი ყვავილიც ამშვენებდეს. მინდა დაებეჭდო თქვენი ერთი ლექსი „ახალ თაობას“. ეს ლექსი გადაცემული იყო დასაბეჭდათ 1908 წელს ჟურნალ „ნიავში“, დაიბეჭდა, მაგრამ ცენზორმა აკრძალა. ასე რომ ვასასყიდათ არ გამოსულა. თუ ნებას მომცემ გადაებეჭდავ. კარგი? მომწერეთ დასტური, პატივისცემით ი. ვერშაშვილი“.

„ჩემო თედო, 13 მარტიდან ვიწყებ ბეჭდვას, თუ რაამე დაიმზადეთ, არ იქნება ცუდი, რომ გადმომიგზავნოთ. რადგან წიგნი შესდგება წელიწადის ოთხის დროიდან, ამის მიხედვით, შეიძლება მზად ვქონდესთ შემოდგომა. თუ ზამთარიც მზად ვაქვსთ — კიდევ უკეთესი. თუ გაზაფხულიც მზადაა, ეგ ხომ მისწრება იქნება. ზაფხული ბოლოს დაიბეჭდება. მოკლედ რომ ვსთქვათ, შეიძლება მზად გაქვს: შემოდგომის ლექსი, ზამთრის ლექსი და გაზაფხულის. ერთი სიტყვით, ამ ანგარიშის მიხედვით, გთხოვ რაც ვაქვსთ, გადმოგზავნოთ. თქვენი გულით პატივისმცემელი არისტო ქუთათელაძე“.

ამგვარ წერილებს სწერდნენ თედოს ლადო აღნიაშვილი, ივ. როსტომაშვილი, ვ. გუნია, ია ეკალაძე და სხვ. (იხ. წერილები თ. რაზიკაშვილისადმი, კ. მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის შრომები, III, 1937.)

თედომ თავისი მოთხრობების უმეტესობა პირველად „ჯეჯილსა“ და „ნაკადულში“ გამოაქვეყნა.

მისი მოთხრობები იმდენად პოპულარული ვახდა საზოგადოებაში, რომ ივანე როსტომაშვილმა მათი ცალ-ცალკე წიგნებად გამოცემაც კი ვანიზრახა. საამისოდ მან ავტორისაგან სათანადო ნებართვა გამოითხოვა, მაგრამ „მურიას“ გარდა არაფერი დაბეჭდილა[1].

თედოს მოთხრობების კრებული მხოლოდ 1925 წელს დაიბეჭდა.[2] მოთხრობების უფრო სრული კრებული გამოსცა 1947 წელს „საბლიტგამმა“ ანა ღვინიაშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით.

წინამდებარე გამოცემაში შესულია თედო რაზიკაშვილის მხოლოდ საბავშვო თხზულებანი. ძირითად ტექსტად მიღებულია პირველი პუბლიკაცია, ტექსტის დადგენისას კი გათვალისწინებულია მათი ხელნაწერებიც. ნაბეჭდსა და ავტოგრაფებს შორის მეტ-ნაკლები რაოდენობით არის ვარიანტული სხვაობა.

ხელნაწერები დაცულია გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში, მათ შორის საყურადღებოა კრებული № 12381—12390, რომელშიაც მოთავსებულია თედოს 12 მოთხრობა („ფითრი“, „ახალი წელი“, „ვარიელა“, „მშრომელი“, „ფალავნები“, „რქიანი“, „ვანეს ბობოლა“, „მარიამა“ კა-

---

1 უფრო ადრე, 1891 წელს, ცალკე წიგნად დაიბეჭდა თედოს პოემა „ნაკადფიქრები“.

2 მოთხრობებს გარდა ამ კრებულში დაბეჭდილია პოემა „ია და კესანე“.

შეჩი", „შელიას ხრიკები", „შკლები", „ცირცელი" და „სვავი"). ამ ხელნაწერის შესწავლიდან ირკვევა, რომ ავტორს პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილი ტექსტი გაუსწორებია და შემდეგ სხვისთვის დაუვალებია მისი გადაწერა. სამწუხაროდ, გადაწერილი ტექსტი ავტორს არ წაუკითხავს, რის გამო გაპარულია უზუსტობანი და უნებლიე შეცდომები.

თედო რაზიკაშვილის საბავშვო ლიტერატურული მემკვიდრეობა ორ ტომად იბეჭდება[1].

თხზულებები განლაგებულია ქრონოლოგიურად. ტექსტის დადგენისას ვცდილობდით დაგვეცვა ავტორის უკანასკნელი ნება, მაგრამ ზოგ შემთხვევაში იძულებული გავხდით შეგვეტანა ფონეტიკური და სინტაქსური აუცილებელი შესწორებანი. ამას გარდა გასწორდა ბარბარიზმები და პარალელური ფორმების მცირე ნაწილი.

მეორე ტომს ერთვის ლექსიკონი, რომელიც წარმოადგენს თედო რაზიკაშვილის თხზულებებში მასობრივი მკითხველისათვის ძნელად გასაგები სიტყვების კონტექსტის მიხედვით ახსნას.

სოლომონ ყუბანეიშვილი

---

[1] თედო რაზიკაშვილი ცნობილია აგრეთვე როგორც ფოლკლორისტი. იგი დიდი სიყვარულით აგროვებდა ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს ფშავში, ხევსურეთში, თუშეთში, ქართლსა და კახეთში. მისი შეკრებილი ზღაპრები ორ წიგნად გამოსცა წიგნების გამავრცელებელ ქართველთა ამხანაგობის გამომცემლობამ 1909 წელს.

ნიბლია

დადგა გაზაფხული. ჰაერში სითბო დატრიალდა. ყველგან ამოყვეს თავები პატარა ნაზმა ყვავილებმა და მიესალმნენ ერთმანეთსა გრძელი ძილის შემდეგ. ირგვლივ ათასნაირი მწერები აირივნენ. ჩიტებმაც მოიძებნეს ადგილი ბუდეებისათვის, სადაც უნდა დაბინავებულიყვნენ და გამოეჩეკათ ბარტყები.

ყველაზე მეტს ერთი პატარა ნიბლია დახტოდა და გაფაციცებით ეძებდა რაღაცას. აგერ იპოვა ერთი ბუმბული და სიხარულით სადღაც გააქანა. დაბლა გაფოთლილ ჩირგვზე მოსჩანდა ნაშენ-უშენი ბუდე. იქვე დაფანთხალობდა ნიბლია.

* * *

გავიდა ერთი კვირა. ნიბლიამ დასდო ოთხი კვერცხი და ჩაჯდა ბუდეში. ნიბლია ერთს წამსაც არა შორდებოდა ბუდეს და მუდამ იმის შიშში იყო, ვაი თუ ან მტერმა წამიხდინოს ბუდე და ან გამიცივდეს კვერცხებიო. თუ რომელიმე კვერცხი გამოჩნდებოდა ფრთის ქვემოდან, ჩიტი მაშინვე შეაგორებდა მხრებსქვეშ და ჩაჰქუჩკავდა თბილად.

მამალი ნიბლია მუდამ თავის მეუღლის ზრუნვაში იყო: დღე დაფრინავდა მინდორში საჭმლის საზიდავად, ღამე კი ბუჩქის შტოზე იჯდა და ჰდარაჯობდა დედალ ნიბლიას.

საწყალი ნიბლია! ბევრს შიშს კი გამოივლიდა ხოლმე საბრალო, როდესაც ღამე გამოეღვიძებოდა და ბურანში მოესმოდა რამე ხმაურობა! ბუზის ბზუილიც კი შეაკრთუნებდა საბრალოს! ერთ დღეს, აკი მაინც, კინაღამ უბედურება ეწვია.

* * *

დილა იყო. ცხვარი მთის კალთებზე შეფენილიყო; მეცხვარე იჯდა და სევდიანად სალამურს აკაკანებდა. კურდღელი ხარბად ჰწიწკნიდა დანამულს ჯეჯილს. ტოროლა „ცას წავალს“ იძახოდა. მზეს პირი მოეკრა მთების წვერებისათვის და ჯერ ჭალამდე ვერ ჩამოეღწია.

დედა ნიბლია იჯდა ბუდეში და ფიქრობდა მინდორში წასულს მეუღლეზე. უცებ ფეხის შლარტუნი მოესმა და ის ჩირგვი, სადაც ნიბლიას ბუდე იყო, ძირიანად შეინძრა.

ნიბლიამ აიღო თავი მაღლა და დაინახა ალალი, რომელიც ირგვლივ ატრიალებდა ცეცხლივით თვალებს და წვეტიანს ნისკარტს აქეთ-იქით იბრუნებდა. იმ წყეულს ყვითელ ფეხზედ კიდევ ეცხო სისხლი თავის მსხვერპლისა. ნიბლია სულგანაბული შესცქეროდა ალალს და შიშობდა, რამე ხმაურობით იმის ყურადღება არ მიექცია.

უცებ ფეხის ხმა მოესმა. მხარზედ თოფგადაკიდებული მონადირე გამოჩნდა. ალალმა გაშალა ფრთები და გაუდგა ყანებით დაფენილს მინდვრებს. ნიბლიამ თავისუფლად ამოისუნთქა და სიამოვნებით ჩაყო ნისკარტი კვერცხებში.

რა კეთილი იყო ამ დროს მონადირე! ღმერთო! რომ არ მეშინოდეს, გავფრინდებოდი და დავჯდებოდი მხარზედ ჩემს მხსნელსა! ღმერთმა დაგილოცოს გზა, ღმერთმა, ჩემო მხსნელო! — იძახოდა ნიბლია.

* * *

ამოვიდა მზე. ნამი შეშრა ყანებზედ. პეპლები აფრთხიალდნენ ყვავილებზე. ფუტკარიც აბზუილდა. ცოტა ხანს შემდეგ მამალი ნიბლიაც მოვიდა. მოუტანა სადილი. დედა ნიბლია ფრთებგაშლი-

ლი მიეგება ძვირფას მეუღლეს და ცრემლმორეულმა დილანდელი ამბავი უკლებლივ უამბო.

დედა ნიბლიამ მალე ბარტყებიც გამოჩეკა. იმის სიხარულს რა შეედრებოდა! დახტოდა, დაფრინავდა. გალობდა და შეეხაროდა თავის უსუსურ ბარტყებს. მამალი ნიბლია ჩვეულებისამებრ მინდორში დაფრინავდა საჭმლისათვის. ეხლა შვილებისთვის უფრო მეტი ჯაფაც მოელოდა, მაგრამ არ ემძიმებოდა იმას შვილებისათვის შრომა.

ნათქვამია, „საწყალ კაცს ქვა აღმართში მისწევიაო“. ნიბლიასაც ეგრე მოუვიდა. ერთს დილას მამალი ჩიტი საჭმელზე წავიდა. რადგან ჯერ დილა იყო და ციოდა, ბუზებს ვერ გაებედათ თავის საფრებიდან გამოფრენა. კალიებიც კოშიჭების პირებში იყვნენ მიმალულები. მამალი ნიბლია იჯდა ნარზე და გალობდა.

მზე სიხარულით უცქეროდა ჭრელ ქვეყანას. ნამები ფოთოლ-ყვავილებზე ელავდნენ და ბრჭყვინავდნენ. ჩიტი მთლად მოეხიბლა მზეს. ალბათ გრძნობდა, რომ უკანასკნელად უცქეროდა ამ ქვეყნის მნათს, მაცოცხლებელს.

ალალი გაჰკვრიყო მიწას და გაჩქარებით მოცურავდა ჰაერში. ეტყობოდა, რომ იმის გულში კეთილს არა ჰქონდა ადგილი, უცებ შენიშნა ნარზე მჯდომარე ნიბლია. სიფრთხილეს თავი მისცა და ჯერ ნელა წამოვიდა, რომ ნიბლიას არ გაეგო და არ გაფრენილიყო, მერე უცებ მოკუმშა მხრები, დაიქნუელა და ელვასავით დააწყდა თავზე ნიბლიას კლანჭგაშლილი.

— მშვიდობით, ჩემო მშვენიერო მეუღლევ, მშვიდობით, ჩემო პაწაწინა ობლებო! ვეღარ მნახავთ და ვეღარც გნახავთ თავის დღეში! მშვიდობით მზევ! შენ გიგალობდი, შენ გიგალობებ შემდეგაც, ეგები კიდევ დიდხანს ანათო ჩემი შვილებისათვის!

ეს კიდევ სთქვა და გაკმინდა ხმა ალალის ბრჭყალებში საწყალმა ნიბლიამ. გახარებულმა ალალმა გასწია ტყისაკენ, რომ იქ შეეჭამა თავისი მსხვერპლი.

იმ ალაგას, სადაც ალალმა ისადილა, სისხლით გაბასრული ბალახები მოსჩანდა. სიო უბერავდა და ათამაშებდა ნიბლიას ჭრელს ფრთებს და ბუმბულებსა.

• • •

დედა ნიბლია მოუსვენრად ელოდა ამხანაგის დაბრუნებას. ეხლა უფრო რაღაცა სურვილმა მოუარა იმის ნახვისამ. გული უკვნესოდა, ცრემლებით ებანებოდა. გადიოდა საათები, ნიბლია კი არა სჩანდა. დედა ნიბლია უფრო და უფრო დაღონდა.

მოლოდინში დღეც გავიდა, ღამეც, მეორე დღეც შავად გათენდა ნიბლიასათვის. არ იქმნა, ნიბლია აღარ დაბრუნდა.

ვინ იცის, ვინ დაიტირებდა საწყალს? სამარე კი მოსისხლე მეჩიტიამ გაუთხარა თავის გაუმაძღარ შავს მუცელში.

დედა ნიბლია მწუხარე გულს შვილებთან ართობდა, მაგრამ მოსვენებას კი გული მოკლებული იყო. ეხლა თვითონ უნდა ეზრუნა თავისათვისაც და შვილებისათვისაც. ხანდახან დიდხანს მოუხდებოდა ხოლმე მინდორში დარჩენა, რადგან ავდრიან დღეში ადვილი არ იყო საჭმლის შოვნა.

ერთს დღეს ორმა მოუსვენარმა სოფლის ბიჭმა ტყისაკენ გასწიეს, სადაც ნიბლიას ბუდე იყო. თითქმის ყველა ჩირგვი და ჯაგი გადასინჯეს, გადააბრუნეს. იცქირებოდნენ ხის ფულუროებში, ევლებოდნენ ხეებს კენწეროებზე. ბოლოს ნიბლიას ბუდეს მოადგნენ. ბავშვები ირგვლივ შემოეხვივნენ ბუჩქსა და დაუწყეს ჩხრეკა.

აი, გამოჩნდა ბუდეც, ნიბლია ბუდეში არა სჩანდა. საჭმლის საშოვნელად იყო წასული მინდორში... ფეხის ხმაზე ბარტყებს გამოეღვიძათ და დაიწყეს წიწინი. ბავშვები მიხვდნენ, რომ უთუოდ აქ ბუდე იქნებაო. იმ წამსვე შეძვრნენ ჯაგში. ბუდიდან ოთხ ბარტყს გადმოეყოთ თავები და ყვითელს პირებს აღებდნენ, თითქო ბავშვებს გამარჯვებას ეუბნებიანო.

საჩქაროზედ ამოასხეს ბავშვებმა ბარტყები და სიხარულით გასწიეს სოფელში.

ბავშვებმა არ დახოცეს ბარტყები, — უნდა გავზარდოთ, გალობა ვასწავლოთო. გამოიყვანდნენ გარეთ, მოაბამდნენ ფეხებზე ბაწარს და გაუშვებდნენ ჰაერში. საცოდავებს ეგონებოდათ, თავისუფლები ვართო, და სიხარულით გაშლიდნენ მხრებს. მაგრამ ბაწარი ისევ მიწაზედ ჩამოაგდებდა ხოლმე მხარგაშლილებს. მერე ბავშვები დაუწყებდნენ წევას და ათრევდნენ მიწაზე.

ასე ასწავლიდნენ გალობას ბავშვები ჰატარა ტყვეებს, სანამ საწყლებს ბავშვების ხელში არ ამოუვიდათ სული. მერე გაიტანეს და ჭიების საჭმელად სანაგვეზე გადაყარეს.

სად იყო დედა ნიბლია?

საწყალი დედა გახარებული მოფრინავდა თავის შვილებთან... მერე სად იყვნენ ბარტყები, რომ წიწინით არ მიეგებნენ დედას? სად დაიმალნენ? იქნება აღარ უყვართ თავისი მშობელი დედა, თავი დაანებეს და გაფრინდნენ?!

ვინ იცის, სად არ დაფრინავდა საწყალი ნიბლია და სად არ დაეძებდა თავის შვილებს?!.

გავიდა დღე, გავიდა მეორე, მესამე; ბარტყები არსად იყვნენ...

ნიბლია კლდეებს შესჩივის,
ასმენს მთებს თავის ტირილსა,
და თან გაატანს კვნესასა
ბალახის ნძრევა-ბიბინსა!

[1886 წ[.

ᲘᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

I

გაზაფხული იყო. სიცოცხლის მომცემს მზეს ათასფერად აეყვავებინა დედამიწა. ათასფერი ყვავილი ეგებებოდა გაზაფხულს; იაც გაშლილიყო და თრთოლვით, კანკალით მოელოდა ყოველს დღეს. იას ძალიან ეშინოდა, არ ვიცი კი, რა აშინებდა: მოკლე სიცოცხლე თუ სხვა რამე. ქარი დაჰბერავდა თუ წვიმის ნამები წამოვიდოდნენ ღაპაღუპით, იას გული უსკდებოდა, ან ქარი მომწყვეტს და გადამაგდებს კლდეზეო, ან ნამები გადამტეხენ ღეროში და გამომასალმებენ წუთისოფელსაო. სიცივე და სიცხე ერთნაირად შიშით ააკრკოლებდნენ ხოლმე საბრალო იას.

ია მალ-მალე ამოეფარებოდა ბუერისა და ძირხვენის ფოთლებს, რომ თავი აერიდა მზის დამწველი სხივებისათვის და არ დასცვივნოდა ფოთლები. სიცივის დროს შეიხრიდა ფოთლებს, თითქოს გულხელი დაუკრეფია, რომ სიცივე არ შეჰხებიყო იმის ნაზს მკერდს და არ დაეზრო.

დილაობით ნამები შეგროვდებოდნენ იის ფოთლებზე, მზე ამოვიდოდა, ჩაუხტებოდა მზის სხივი ნამებს და ერთი ბეწო ტურფა ცისარტყელა გადაერტყმოდა იას წელზე. იმას მიემატებოდა იისფერი და უფრო დამშვენდებოდნენ მისი ფოთლები.

იის გარშემო ბევრი ყვავილი და ბალახი იყო ამოსული. ათასგვარი ჭია და მწერი დაძვრებოდა იმის ახლოს. ბუზი, კრაზანა, კელა, ბაურა, პეპელა — ათასობით მოდიოდნენ და ასხდებოდნენ იას. ყველა ამათ ისა სურდათ, რომ ამოეწუწნათ გულიდან, რაც კი სიცოცხლე და სურნელება ებადა იას. გულს უკლავდა იას მათი ასეთი შეუბრალებლობა, მაგრამ რა ექნა!

ია დიდხანს იყო მარტოდმარტო. თავის გულის წადილს ვერავის უზიარებდა. მხოლოდ ზოგჯერ ნიავი თუ წაიღებდა იმის კვნესას და მოჰფენდა ყვავილთ სამეფოში. ესმა მინდორთდედოფალს იის სევდა. მისი ნაღველი, მისი სიმარტოვე, შეებრალა და გამოუგზავნა მეგობრად პატარა ყვავილი — კესანე.

კესანე ტურფა რამ იყო. მინდორთდედოფლისაგან მიცემული ცისფერი აბრეშუმის კაბა ზედ აკვდებოდა. ყველას ჰშურდა იმისი სიტურფე, ყველას ენატრებოდა კესანეს სინაზე, იას გარდა: იას ხუთი სოსანი აბრეშუმის კაბა ეცვა და ყელზედ მარგალიტის ღარადე ჰქონდა შემოვლებული.

კესანე და ია ტკბილი მეგობრები იყვნენ. დაჰბერაკდა ნიავი და მიახლიდა მეგობრებს ერთმანეთს. ისინიც გადაიჭდევდნენ ყელზე ყელს და სტკბებოდნენ სიყვარულით; მოჰყვებოდნენ ტკბილად ჭუკჭუკს, მაგრამ კაცის ყური კი ძალიან ძვირად გაიგონებდა ამათ ლაპარაკს.

II

იამ შენიშნა, რომ იმის ახლოს ხშირად მოფრინდება ხოლმე ერთი ჩიტი და ბუზებს იჭერს. იამ ეს ამბავი კესანეს შეატყობინა.

— მეშინიანო,—უთხრა მეგობარს, — რომ იმ ორფეხა ცხოველმა არაფერი მავნოს, სულ ჩემს ახლოს დაფრინავსო.

— ნუ გეშინიან, ჩემო ტურფავ, შენთან რო ბუზებია, იმათ იჭერს! კიდეც უნდა გვიხაროდეს, რომ მაგ სისხლისმსმელებს გვაცლიან; იმათ ჩვენგან სხვა არაფერი არა სურთ!

— მე კი გული რაღაც უბედურებას მიქადის, — სთქვა იამ, — ეგ ან გამჭყლეტს და ან ერთ რასმე დამმართებს!

— რა მშიშარა ხარ! — უთხრა კესანემ იას, როდესაც ბუზისაგან

შეშინებული ია კანკალით მიეკრა კესანეს, — ძალიან ძვირად თუ გიღირს სიცოცხლე!?

იას ტყუილად არ ეშინოდა. იმის ახლო ათასნაირი ბუზი ირეოდა, ბუზებზე ჩიტები ნადირობდნენ და ჩიტებზე — ალალი. ია ირგვლივ მარტო ერთმანეთის ჭამა-გლეჯას ჰხედავდა. ვინც ვის მოერეოდა, ჰკლავდა და სჭამდა.

ია ამ დარდსა და ფიქრში იყო, დრო კი მირბოდა...

დილა იყო. მზეს ის იყო ამოეყო ყური. დედამიწა შეთბა; ნამი აშრა და ათასგვარი მწერი დატრიალდა ჰაერში. კრაზანას და ბუზებს ბზუილი გაჰქონდათ. იის ახლოს ერთი ჩიტი დამჯდარიყო და ბუზებს ელოდა. ჩიტს დიდხანს არ მოუნდა ლოდინი.

ბზუილი მოისმა. ბუზურას მხრების ქარმა ბალახებს რხევა დაუწყებინა. მოისმა „ბზუ-უ-უ" და ერთი დიდი ჭრელი ბუზურა მიუახლოვდა იას. გრძელი ისარი გამოეშვა და ატრიალებდა აქეთ-იქით. ბანჯგვლიანს ფეხებზედ სქლად ედვა ყვითელი მტვერი ყვავილებისა, თვითონაც მთლად მოსვრილი იყო ყვავილების მტვერში. ბუზურა იას დასტრიალებდა თავს. იას შიშით ფერი დაეკარგა, ათრთოლდა, მთელი ტანი აუკანკალდა. მოხარა თავი და ცდილობდა, როგორმე მიემალა გული, მაგრამ ბუზურას რა გამოეპარებოდა, ერთი კიდევ დაიბზუილა და დააჯდა იას გულზედ. ია გადიდრიკა და ჩაიკეცა.

— დაიმალე, კესანე, დაიმალე! — დაუძახა კვნესით იამ; — ამ სისხლისმსმელმა შენც არა გნახოს!.. მე ნუ მიტირებ!

იის ახლოს ისევ ის ჩიტი იჯდა; იას იმაზე დარჩა თვალი: წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო. ბუზურამ გრძელი ისარი მიავლ-მოავლო იას გულზედ, უნდოდა სადმე ჩაეკრა. ამის შიშით იას გული მისდიოდა.

ამ დროს ჩიტმა შენიშნა მსუქანი საჭმელი. გადმოფრინდა, ჩაჰკრა ნისკარტი ბუზურას და გააქანა გაუმაძღარს მუცელში, მაგრამ... იის ფოთლებიც თან ჩაატანა. იამ აიწია წელში, გასწორდა. მაგრამ ვაი იმ გასწორებას: ფეხზემდგომს მკვდარსა ჰგავდა! თვალებიდან სხვილმა მარგალიტსავით ცრემლებმა დაუწყეს ღაპაღუპით დენა. ია ქვითინებდა, თავი დაეხარა უნუგეშოდ და გლოვობდა თავის ბედს. ვინღა უშველიდა! კესანეც ისეთივე სუსტი იყო, როგორც თვით ია. ვერც კესანე გადურჩა უბედურებას, ჩამოგორებულმა ქვამ წელში გადატეხა კესანე.

ორთავეს ცრემლები სდიოდათ. ცრემლები ძირებს ულბობდნენ და იქიდან სხვა იები და კესანები აპირებდნენ ამოსვლას.

დობილებს ეს აძლევდა იმედს: „ჩვენი სიცოცხლე ჩვენს მოდგშას მიემატოსო“, — სთქვეს და ჩაჰკიდეს თავები.

ია უკვდებათ, — ყვავილნი
ეთხოვებიან, ტირიან;
შორს გაიგონებს ერთგული, —
ცრემლები ჩამოსცვივიან...
ელიან მინდორთდედოფალს,
მის მოსვლით გახარებასა,
გაზაფხულს ყვავილთ მოსვლასა,
მათ ძირის გაბრაელებასა,
ბაღში ვარდისა გაშლასა,
ბის კვლავ აყვავებასა,
ველების შეხამებასა,
მინდვრების აკრელებასა,
ტურფა კესანეს სიხარულს,
ცაზე ფრინველთა დენასა,
ბულბულის შემოჩვევასა,
დილა-საღამოს მღერასა.

[1890 წ.].

პაპანაქებაა. მზე სწვავს დედამიწას. ისეთი ალმური ტრიალებს, თითქო გახურებული თონე არისო. ჰაერში ბუღი დგას. მიწა სიცხისაგან დახეთქილია. ქვიშა და მიწა მტვრის ფქვილად არის ნაქცევი. ერთს ნიავის დაძვრაზედ მთელი კორიანტელი დგება. ბალახებს ხელის სისქედ აძევს მტვერი. მგზავრებს ჩრდილშიაც ვერ მოუსვენიათ. გზაზე ვეღარავის დაინახავთ, ყველა ჩრდილოში იმალება. ერთი ცვარიც კი არსად არის, რომ მიწას პირი გაულბოს და გახურებული მკერდი მოჰბანოს; არც ნიავის სული იძვრის, რომ გული გააგრილოს. ყველა მიურბის საშინელს გვალვასა...

ვის ეძებს მურია?

გზაზედ მხოლოდ ერთი მურია ძაღლი მოსჩანს; თავი ძირს დაუხრია, ცხვირი გზისთვის დაუდვია და, რაც ძალი და ღონე აქვს, ამ პაპანაქებაში მირბის, მიეშურება. ზოგჯერ შედგება, აიღებს თავს მაღლა, დასუნავს ჰაერს, გაიხედ-გამოიხედავს აქეთ-იქით და მერე ისევ გაიქცევა.

მირბის მურია, ეძებს ვიღაცას. დროდადრო დგება და მწუხარის

ხმით საზარლად ყმუის და ღმუის. იმისი ღმუილი ზარივით ედება მთა-ბარსა.

ღმუის მურია, მირბის, არ ისვენებს, ბუქში და მტვერში არა სჩანს. ირგვლივ შეკრული მტვრის გორგალის მეტს ვერაფერს დაინახავთ.

რად მირბის მურია? ვის ეძებს? ან იქნება შეაშინა ვინმემ და იმიტომ მირბის? იქნება იმისი მოკვლა სურდათ და სიკვდილს გაექცა?!

არა, მურია შიშს არ უფრთხის. აგერა, სოფლის ახლოს რომ გაირბინა, მთელი სოფლის ძაღლები თავს დაესხნენ, მაგრამ იმან ყურიც არ ათხოვა იმათ ყეფას, მხოლოდ გზა აუქცია. აგერა მეძროხე ბიჭებმა ქვები დაუშინეს, — მურია არც იმათ მიურბის, იმას თავის ჯავრი აქვს. კაცსა და საქონელს გზას უქცევს, ზედ არ ეხეთქება.

ვის ეძებს მურია, ვისა?

ვისა და პატრონსა, პატრონს ასხლტა როგორღაც ცხვრის ფარიდან, ცხვარი სხვაგან გაირეკეს და ის სხვა გზას დაადგა. ეხლა პატრონს ეძებს, მაგრამ სად არის პატრონი? მიწამ ჩაყლაპა, თუ ცამა, ვერ გაუგია.

მოიარა მთა-ბარი მურიამ, გადაიარა მინდვრები, მოირბინა სოფლები და ადგილები, სადაც კი ერთხელ მაინც მისულა იმისი პატრონი. ქვეყანა ფეხქვეშ დაიგო და ვერას გახდა. პატრონის ძებნაში აღარც საჭმელი ახსოვდა და აღარც სასმელი. ლუკმა რომ ვისმე გადაეგდო, ის ყურსაც არ უგდებდა, გაშმაგებული გასცდებოდა და უფრო გაიჩქარებდა.

ბევრს ცოფიანი ეგონა; სად თოფით გამოუდგნენ, სად კეტებით, მაგრამ მურია არცა ჰკბენდა არავის და არცა ჰყეფდა, ყველას ერიდებოდა და მირბოდა თავის გზაზედ.

მურია გაცოფდა?

რამდენსამე დღე-ღამეს ასე, უსმელ-უჭმელმა, უსვენებლივ ირბინა, შიმშილ-წყურვილმა თავისი ქმნა. მურიას ფერდიფერდზედ მიეკრა, მუხლი მოეჭრა, თვალებში სინათლე დაეკარგა, ბეწვი აებურ-

ძგნა. მოიღალა, მოიქანცა, დასუსტდა, მოსწყდა, გონებაც აერია. თვალებში ლანდმა დაუწყო ხლართვა. ერთი ორად ეჩვენებოდა, ქვა — ცხოვლად, ხე — კაცად.

გაცოფდა მურია, გაცოფდა! ღონემ ისევ უმატა. ძალა მუხლებში და კბილებში ისევ მიეცა და ეხლა უფრო გაშმაგებული მირბის მურია.

მირბის, აღარც უკან იხედება, აღარც ღმუის, ეხლა პატრონს აღარ დაეძებს. თვითონაც არ იცის, სად მირბის, ვისთვის, ან რისთვის. ეს ის მურია აღარ არის, რაც წინათ ვნახეთ: თვალებდაჭყეტილი ენაგადმოგდებული, კუდამოძუებული — საზარელი სანახავია!

რაც კი გზაზედ ხვდება, ყველაფერს ჰგლეჯს და ჰფლეთს: ქვას, ხეს, ძროხას, ადამიანს, ნადირს, — არაფერს არ ერიდება, არც უფრთხება. სადაც სინათლეს დაინახავს, ისიც იქითკენ მირბის, ან საიდანაც რაიმე ხმაურობას გაიგონებს, — მამლის ყივილს, ძაღლის ყეფას, წისქვილის რახი-რუხს, ისიც იქითკენ მიეშურება. ვაი იმისი ბრალი, ვისაც მიუახლოვდება. აღარავის ინდობს, ჰკბენს, სცოფავს, ჰლოშქრავს. იძახიან: ცოფიანია, ცოფიანიაო!

სოფელს თავზარი დაეცა. ყველა კარებსა ჰკეტავს; საქონელი ღრიალით გარბის, ძაღლები იმალებიან. მგზავრები ხესა და ქვებს ეფარებიან, თავს იმალავენ. ვაი იმასა, ვინც მურიას არ მოერიდება! ან იარაღი, ან სხვა რამე შეაშინებს მურიასა?

მირბის მურია, მირბის უგზო-უკვლოდ. სადაც გზა გადაუხვევს, ისიც იქითკენ გადარბის. სადაც მოელანდება რამე, ისიც იქითკენ მირბის. სადღა ახსოვს ეხლა პატრონი! ვინ იცის, რომ შეხვდეს, იქნება დაგლეჯოს კიდეც?!

მირბის მურია, აღარც ისვენებს, არც დგება, არც წვება. თავში ტვინი ერევა. ჭიანჭველებსავით რაღაებიც გაურბიან და გამოურბიან.

აგერა წყალს ეცა მურია. წყალმა წაიღო. ხან ჩაეფარება, ხან ისევ ამოჩნდება. ებრძვის ტალღებსა, — ბოლოს ნაპირზე გადის, არც იბერტყება, არც ისვენებს, მირბის ისევ კუდამოძუებული, ენაგადმოგდებული.

— ცოფიანი ძაღლი მოვიდა, ცოფიანიო, — ყვირის ხალხი.

მურიამ პატრონი იპოვა

მურია ბოლოს აკი პატრონსაც წააწყდა. მურიამ კიდევ იცნო თავისი პატრონი. სადღაა ცოფიანი მურია! თვალები გაუცოცხლდა, სიხარულით კუდი აიშვირა, დაუწყო ლაქუცი და ლოკვა პატრონს; ხან ფეხებში გაუგორდა, ხან ზედ აატოტდა და წკმუტუნით დაუწყო ლოკვა, თითქო ჰკოცნისო.

ძლივს არ იპოვა პატრონი!.. მურია სიხარულშია, ცოფმა თითქოს გაუარაო... მაგრამ, აი, ისევ აერია თვალები, როცა პატრონის ალერსს მორჩა. წინ რაღაც ჭრელი ბადეები გაებ-გამოება, გონება აემღვრა.

მურია ღრინავს, ჰყეფს, ტრიალებს; ჰხედავს თავის კუდსა, სულიერი რაღაცა ჰგონია და ეტანება დასაჭერად. კუდი უსხლტება პირიდან, — მურია მისდევს უკან. კუდი ირგვლივ მოდის, — ტრიალებს მურიაც, უყეფს თავის კუდს, მაგრამ ვერ იჭერს. გაბრაზებული ქვებსა და ხეებს ღერღავს... აგერა გაერია ძაღლებში და ჰგლეჯავს ყველას, სულ ჩალასაებრ ისვრის. შიშით ძაღლებს ხმა უწყდებათ, ზოგი სად მირბის და ზოგი სადა.

— ცოფიანია, ცოფიანია! — ყვირიან მეცხვარეები.

— მურია გაცოფებულა, მურია! — ღრიალებს პატრონი, — ვაიმე, ვაიმე, ჩემო მურიავ, ვაიმე!.. პატრონი თოფს იღებს ჩულიდან, აგდებს შიგ ტყვიას... დაიგრიალა თოფმა... მურიამ ერთი კი დაიწკმუტუნა, ნატყვიარზედ პირი იტაცა და ზედ გაცივდა.

ფარსულის მოგონება

მოაგონდა პატრონს თავისი კარგი მურია, თავისი ერთგული ძაღლი. მოაგონდა, როგორ იპოვა პატარა ლეკვი, როგორ გაზარდა, რამდენი სამსახური და ერთგულობა გაუწია მურიამ. როცა წვიმდა და ქუხდა, ან სთოვდა და ქარ-ბუქი ტრიალებდა, მურია თვალმოუხუჭავი იჯდა ხოლმე ფარეხის კარებზედ, ან იწვა თეძოზედ და თვალებზედ ლული არ მოსდიოდა. მგელსა და მტერს პირში ედგა. რამდენს შიმშილსა და სიცხე-სიცივეს იტანდა პატრონის სიყვარულით.

მოაგონდა პატრონს ყველა ეს, მოაგონდა, როგორი თავდადებუ-

ლი იყო ამისათვის მურია, რა ერთგულებას უწევდა! და თვითონ კი რითი გადაუხადა მურიასა?!.

გული ეტკინა და თვალებიდგან ცრემლებმა დაუწყეს ღაპაღუპით ჩამოდენა. გაუთხარა მიწა და ჩააწვინა შიგ თავისი ერთგული მურია...

პატრონმა მიწის აკვანში
მურია ჩააწვინაო,
იქ მოისვენა საწყალმა,
იქ იქნა იმის ბინაო.
მიწამ გაიხსნა საკინძი,
უბეში ჩაიძვრინაო;
ცამ უალერსა, და მზემა
წაღლიდამ გაუცინაო.

[1891 წ.]

გარიელა[1]

გაზაფხულია. ჭაბუკის წვერ-ულვაშივით ახლად აბუსუსებული ბალახი საამურად ბზინავს თბილსა და მხიარულს დღეში. გასაშლელად მომზადებული კვირტები ნელა-ნელა, შეუმჩნევლად იხსნიან მაგრა შეხვეულს და შეკრულს, ზამთრის სიცივისაგან შეშინებულს, საკინძებს გულზედა, საიდანაც გამოჩნდებიან ჯერ ქორფა მწვანე და რბილი ფოთლები და მერე ათასფერი მრავალსამოსლიანი ყვავილები; ყვავილების გულში, ვინ იცის როდის, ჩასხდებიან პატარა ნაყოფები. მრავალჯერ მრავალი ბუზი გაცოცხლებულა და გაუმართავთ ნაზამთრი ფრთები, არხეინად დაფრინავენ და ნელსა და ბოხს ხმაზედ დაბზუვიან, თითქოს ბუკს აყვირებენო.

* * *

აგერ თამარ დედოფლის ბაღში ვართ, თამარიც იქ ბრძანდება; აუზში მოთამაშე გარიელას შესცქერის. გარიელა სიამოვნებაში ხან ჩაეშვება აუზის ძირისაკენ, ჩაიყურჭუმელავებს წმინდა ნაკადში და ერთს წამს გაჰქრება, მაგრამ მეორე წამს, მეორე ნაპირში ამოჩნდება, თითქო გაუმარჯვნიაო და ამაყად თავაღებული წყალს უწყებს მხრებით ცემას და ტყაპუნს; ხან დაიხრება, და ფრთების ცემით გაქან-გამოქანებული ზვირთი კისერზედ და ზურგზედ გადასდის.

[1] ფრინველის სახელია.

ცვარი წყალი კი არ ადგება ზედა, ისევ ისეთი ლამაზი და კოხტაა. ნეტა რატომ არ უხუნდება ის მუქი მწვანე საცმელი, შიგადაშიგ რომ მომხიბვლელად თეთრ-წითლად მოუქარგიათ?! გარიელასაც ის უხარიან, რომ საქართველოს სადიდებელი და სალოცავი თამარი თავს დასცქერის, მეტი რაღა უნდა გარიელასა? არ არის კმაყოფილი? რამდენი ოქროსფერი თევზები ბუდობენ აუზში; ვინ დაუშლის გარიელას დაიჭიროს რამდენიც უნდა. მაგრამ აგერ გარიელა მაღლა ჰაერს შეაჩერდა უცებ, მხრები ჩამოუშვა და წყალზედ გაშეშდა. თავი გადიხარა, კისერი აიგრძელა და ცალი თვალი ცის უფსკრულს შიაჩერა.

— რას შესცქერი, გარიელა, ითამაშე! ქორი ხომ არ დაინახე და იმან შეგაშინა? — ეკითხება თამარი.

გარიელა ხმას არ იღებს.

— შავარდენმა ხომ არსად დაიკივლა და შენ გული შეგენძრა, ჩემო ლამაზო, რა არის შენს თავსა?

გარიელა გარინდებული და გაქვავებული ისევ მაღლა იცქირება.

— ავად ხომ არ ხარ და მიკვდები, გარიელა? — ეკითხება თამარი, მაგრამ გარიელა უძრავად ზის და გაუნძრეველად ისევ მაღლა იხედება.

თამარმა ხელი წაავლო გარიელას, თითქო იმისი გამოფხიზლება უნდაო, მაგრამ გარიელა ისევ ცისკენ შეიცქირება, სხვა სიცოცხლის ნიშანი იმას აღარ ეტყობა. თამარმაც შეიხედა მაღლა, მაგრამ იქ წეროების გუნდის მეტი ვერა დაინახა. გაბმულან შორს, შორს და მაღლა მიეშურებიან ჩრდილოეთისკენ, გარიელა იქნება იმათ უცქერის? მიდიან წეროები, მიფრინავენ აჩქარებითა. აგერ მიიმალნენ თვალთაგანაც. აგერ ბატებმაც გადაიარეს, საოთებმა, გედებმა. გარიელა ისევ უძრავადა ზის და შესცქერის ცის გუმბათსა. მზე ჩაწვერებულა და ორიოდე შუბის ტარიღა აქვს ჩასასვლელი.

აი ფრთების ხმა უფრო ახლო მოისმა. აგერ იმათ თავზე გარიელებმაც გადაიარეს, ისინიც ჩრდილოეთისკენ მიეჩქარებიან. გარიელა უცებ გაცოცხლდა, მხრებით ერთი გაუტყლაშუნა წყალსა და ჰაერში აფრინდა, გაშალა მხრები, ორჯერ თუ სამჯერ კამარა გააკეთა, უნდოდა გაჰყოლოდა თავის მოძმეებს, მაგრამ თითქოს მოაგონდა რაღაცაო. თოფნაკრავივით თამარის ფეხებთან ჩამოეშვა. რაღა

გარიელა იყო! აღარც სიცოცხლე, აღარც სხვა სიხარული იმას აღარ ემჩნეოდა. მხოლოდ თამარსღა შესცქეროდა, თითქოს იმის სიცოცხლე იმაზე ჰკიდიაო. თამარი მიხვდა, აიყვანა ხელში გარიელა, გადაუსვა მხრებზედ და გულზედ თავისი ბროლის თითები და ალერსით უთხრა:

—წადი, ჩემო ტურფავ, წადი, გაფრინდი შენს ძმებთანა. მე ხელს არ შეგიშლი, გაფრინდი, გარიელ, ღმერთმა გაგაბედნიეროს! ვინძლო არ დამივიწყო კი. მე შენ თავისუფლებას ვერ წაგართმევ; წყეული იყოს და შეჩვენებული, ვინც სხვას თავისუფლება მოუსპოს. იხარე შენც, როგორც ერთი ვინმე ხარობს თავისუფლებითა! — ეს უთხრა და ააფრინა ჰაერში.

გარიელამ მხრებგაშლილმა ერთი შეინავარდა, ერთი შეითამაშა და ისარივით გაეშვა თავისი მოძმეებისაკენ.

თამარი დიდხანს გასცქეროდა მიმფრინავის კვალსა, სანამ სულ არ მიეფარა, ეხლა ის ტყვე აღარ იყო!

* * *

გარიელას ამბავი გრძელი არ იყო. ერთმა მონადირემ მოართვა თამარს პატარა გარიელა. თამარმაც გაზარდა, აჭმევდა თავის ხელითა და ეფერებოდა, ჩაჰსვამდა აუზში და თვითონაც თავს ადგა ხოლმე იმის ჭუუმპალაობას. თამარს გულით უყვარდა გარიელა.

მალე გაფრინდა ზაფხული, თან გაიყოლა დარიანი და თბილი დღეები. დარჩა წვიმა და ტალახი. გაიცარცვა მთა და მინდორი, გახმა ჭალაში ბალახი. ხეებიდან ფოთოლმა დაიწყო ჩამოცვივნა და ჩრდილოეთიდან ფრინველებმა დენა სასამხრეთოდ. გაზაფხულითაც წერილებმა გადაიარეს წინა და შემოდგომითაც ისევ ისინი მოდიან. გაუბამთ სიმღერა და ნაცნობს ქვეყნებს ატყობინებენ:

„ჩრდილოეთიდან მოვდივართ,
უკან მოგვყვება ზამთარი;
მიურბით სამხრეთისაკენ,
იქ თბილი ბინა მზათ არი.
დაეტოვეთ ცივი ყინული,
ჭაობიანი ციმბირი,

იქ ლხინს და ნეტარებასა
აქ გვირჩევნია სიკვდილი!
წესი გვაქვს, მიეჩქარებით,
თბილს ვეტანებით მხარესა,
მაგრამ მალი-მალ თქვენსასა,
ამბავსა ეკითხავ მთვარესა;
მალე მოგიყვანთ ისევა
გაზაფხულს გასახარელსა!"

ბევრი ჩვენც მივნატრებთ წეროებს, რომ ისე თავისუფლად მიდიან და მოდიან. წეროებს ბატები და საოთები მოსდევენ უკანა; ყველანი ქვეითკენ მოდიან.

— ნეტა გარიელები სადღა არიან, ისინი კი არ მოფრინდებიან? — ფიქრობს თამარი. — იქნება ჩემი გარიელა მოკლა ვინმემ? იქნება გზაზედ დაიღალა და დარჩა სადმე? ან იქნება არწივმა მოიტაცა და შეუბრალებლად გაგლიჯა? ან იქნება დავავიწყდი, ცოცხალი იყოს და აღარ ვახსოვდე? ან, რად ვეხსომები, იქ არ ურჩევნიან, თავისუფლად, თავის ტოლებში?

ასე ფიქრობდა თამარი, მაგრამ გარიელამ არ დაივიწყა თავისი თამარი; ის გაშურებული მიფრინავდა თავის მხსნელთან. აგერ გარიელების გუნდი გაუსწორდა სასახლეს, ერთი გარიელა გამოერჩია ბრბოდან და დაეშვა დაბლა; აგერ თამარის ფეხებთან დაეცა და მხრებგაშლით მიუალერსა. დაიხარა თამარიც და დაუწყო კოცნა და ალერსი გარიელასა. როცა თამარი ხელს უსვამდა გარიელას თავზედ, გარიელამ სამი ჩხირი დაუწყო ბროლის თითებზედ. მერე თავისუფლად, თითქო ეხლა კი სიკეთე გადაუხადაო, შემოჰკრა მხარი-მხარსა, აფთხა, აიწია ჰაერში, ერთი კიდევ დაჰტრიალდა თავზედ ნიშნად გამოთხოვებისა გაოცებულს თამარს და წავიდა სამუდამოდ, გაჰშორდა ტყვეობის ქვეყანასა.

— მშვიდობით, გარიელ, მშვიდობით!—მიაძახა თვალცრემლიანმა თამარმა. — იყავ დღეგრძელი და ბედნიერი!

* * *

მობრუნდა თამარი სასახლეში. მართალია, ცრუმორწმუნე არ იყო თამარი, მაგრამ ამ ამბავმა დააფიქრა კი. რა იყო ან გარიელას ისე მოსვლა, ან ისე უცებ წასვლა, ან ის სამი ჩხირი საიდან მოიტანა,

ან რისათვის ან რადა. — რაღაც სასწაულმოქმედი კი უნდა იყოს ეს ჩხირები, — ფიქრობდა თამარი, — რომ გარიელამ ამითი გადამიხადა მადლობა. თამარმა დაუძახა მაშინვე თავის კარისკაცებს და გადასცა ის ჩხირები საცდელად, თუ რა იყო. კარისკაცებმა სცადეს ჩხირები, ბევრი აცოდვილეს, მაგრამ ვერაფერს მიხვდნენ. ბოლოს ერთი ჩხირი ღვინიან თასში ჩააგდეს. აი, დიდება ღვთის განგებასა, ღვინო სპილენძად იქცა, კიდევ დაასხეს, კიდევ იქცა სპილენძად, ეხლა მეორე ჩხირი ჩააგდეს ღვინოში, ის ვერცხლად იქცა. მესამე ჩხირმა ოქროდ აქცია. იმათ გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა.

— ვინ მოგართვათ, სად იშოვეთ, ვინ მოგცათო, — ეკითხებოდნენ თამარსა.

— ღმერთმაო, — უპასუხა თამარმა.

* * *

გამდიდრდა სახელმწიფოს ხაზინა. გამდიდრდა საქართველო. გაძლიერდა თამარი, გავარდა სახელი ქვეყნის კიდემდე. განათლდა საქართველო, სოფელი არ არის, თამარს ეკლესია არ აეშენებინოს; დაბა და ქალაქი არ არის, ციხე-კოშკები არ აღემართოს; მდინარე არ არის, ხიდი არ გაედვას; უვალი ადგილი არ არის, სავალი გზა არ გაეყვანოს; კაცი არ იყო, წყალობა არ ექნას. დაიმართა მრავალი სკოლები და აყვავდა საქართველო. ჭეშმარიტად მაშინ იყო საქართველოს ოქროს დრო! ტყუილადღა ცდილობდნენ მტრები საქართველოს ზიანსა. თამარმა გამრავლებული ჯარით სულ ცხვირიდან ძმარი აადინა თავის მტრებსა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი:

„თამარ დედოფალი ვიყავ,
თავი ზეცამდის ავიღე;
სტამბოლს ხმალი ვკარ, დარუბანდს,
შამს საბალახე ავიღე.
ზღვაში სამნები ჩავყარე,
ხმელეთი ჩემკენ მოვიღე;
უსიერი მთა გავკაფე,
დიდი შარა-გზა გავიღე;
ღადაღუდა ტყე ვიარე,
ქედზედ საყდარი ავიგე,
ვადიდე ჩემი ქვეყანა,
სახელიც დიდი დავიგდე!“

[1892 წ.]

კუდგრძელა წრუწუნას ნაამბობი

(ამბავი სათაგვეთისა)

მე გახლავარ კუდგრძელა წრუწუნა თხილიპარიაშვილი. მეტად დიდი კუდი მაქვს და იმიტომ დამარქვეს „კუდგრძელა“. ჩვენი ბინა სკოლის იატაკქვეშ არის. დაწვრილებით რომ მოგიყვეთ ჩემს ამბავს, გრძელი ზღაპარი გამოვა. ვიცი, თავს მოგაბეზრებთ და ისევ მოკლედ მოგახსენებთ.

პირველად აქ ჩემი მამა-პაპა დასახლებულა.

იმ დროს სათაგვეთში საშინელი შიმშილობა ყოფილა, „ცულისყურობას“ რომ იტყვიან.

სათაგვეთის ბეღელ-ორმოები სულ დაცარიელებულა, სასყიდი მარცვალი ვეღარავის უშოვია. შიმშილობას არეულობა მოჰყოლია. სათაგვეთის კეისარი ტახტიდან ჩამოუგდიათ; სულ ერთმანეთში არეულ-დარეულან. ვინაც ვის მოერეოდა, თურმე ართმევდა და სძარცვავდა. შიმშილს თან ჭირიც მოჰყოლია, თაგვები ძალიან დაზარალებულან. ცოცხლები თურმე მკვდრების დამარხვას ვერ ასწრებდნენ და ისე ოხრადა ჰყრიდნენ მინდორზე.

ბევრი ყვავი და ყორანი კი გაძღებოდა იმათ ლეშით; შხამად შეერგოთ.

ეეჰ, ვინ მოსთვლის მაშინდელ ცოდო-მადლს, „ხორველობა“ იმასთან რა გასახსენებელია!

ჩემი მამა-პაპა ცოცხალი გადარჩენილან. ამდგარან და აქ გადმოსახლებულან, როგორც იაკობი ეგვიპტეში გადასახლდა.

კვეხნაში ნუ ჩამომართმევთ და საღმთო წერილი წყალივით ვიცი. სკოლაში რო ბიჭები კითხულობენ, მე ძირიდან ყურს ვუგდებ და ვიხსომებ. მაშინ ვიტყვი, მოდი, ერთი ავალ და მე დავაყრი ჯორის წიხლებივითა-მეთქი, მაგრამ თან კიდეც მეშინიან იმ ორფეხა აყლაყუდებისა, თუ დამიჭირეს, კუდიდან ტყავს გამაძრობენ.

II

იატაკქვეშ ლამაზი სოროები გვაქვს გამართული. ჩავაგებთ შიგ თბილად, რაც მოგვხვდება, — ბუმბული, მატყლი, ქაღალდი, ძონძ-მანძი, სხვადასხვა ფარჩის ნაკერები, კამფეტის ფოჩები, ჩალა, დავათბუნებთ და მერე შიგ ჩავსხდებით. თბილად და რბილად წოლა ძალიან სასიამოვნოა. ზამთარში კაცებსავით ჩვენ ცეცხლი როდი ვიცით! მაინც ცეცხლს ვერ ვეწყობით, რადგან ჩალიანი სახლები გვაქვს. ერთიც ვნახოთ, მოეკიდა ჩვენს ბუნაგებს ცეცხლი, ხომ სულ შიგ უნდა გამოვიხრუკოთ. ჩვენთვის ღმერთს ცაზე უნთია ცეცხლი, არც შეშა ეჭირვება და არც ნახშირი.

ყველა ოჯახს თავისი საკუთარი სორო აქვს!.. სოფელი და ქალაქებიცა გვაქვს თითო თემს გამართული. ომი და ჩხუბი იშვიათად ვიცით. მშვიდობიანობა ძალიან გვიყვარს. მამასახლისი და მოსამართლეებიც გვყავს, იმათ უნდა გაგვასამართლონ, დამნაშავე დასაჯონ, მართალი გაამართლონ.

ვისაცა დიდი დანაშაული გამოაჩნდება, ვაი იმისი ბრალი. გადაუწყვეტენ მაშინვე მძიმე სასჯელსა: ხუთჯერ ხუთი გუდა საზდო უნდა მოიტანოს სათაგვეთისათვის იმ ადგილიდან, სადაც ყურდიდა კნავილა ცხოვრობს. ბევრის ძვლები ჩააკნატუნა იმანაც, ნუ დაელიოს ჩვენი ცოდვა!

ჩვენი ხელმწიფე კეისარია. იმისი ცოლი — პეწენიკ დედუფალია. ძალიან ლამაზი და მდიდარი ქალია. ათასი გუდა შაქარი მოჰყვა მზითევში. რაკი თვითონ მდიდარია, ჩვენც დიდ ხარჯს არ გვახდევინებს. სულზე თითო მარცვალი ხორბალი ხელმწიფის ხაზინაში უნდა შევიტანოთ და თითო გუდა შაქარი, ან ქონი, თითო სოფელმა პეწენიკს მიართვას. ტკბილი რამეები ძალიან უყვარს და ძალიან მსუნაგიცა ბრძანდება!..

სასმელად წყალსა და რძეს ვეწყობით. ღვინო მჟავეა, არაყი მწა-

რე, ჩაი ცხელი, პირს დაგვწვავს და იმიტომ არ გიახლებით. წვნიან საჭმელს არა ვჭამთ, რადგან ცეცხლი არ ვიცით, რაზე მოვხარშავთ რამესა?

რბილს საჭმელსაც არ ვეწყობით.

ჩვენ რომ ხმელი რამე არა ვხრათ, კბილები ისე დაგვეზრდება, რომ ტუჩებს გაგვიხვრეტავს და ღრჯოლებიანი გავხდებით, ხმელი რამე ჩვენთვის მზა არის. სიმინდისა, პურისა, ქერისა, ფეტვისა, ბრინჯის მარცვლები, თხილი, კაკალი, ნუში, შაქარი, ქონი და ამისთანა რამეები ძალიან გვიყვარს.

ცერცვ ლობიოს არა ვჭამთ, გრილია, მუცელს შემოგვბერავს და არც მარხვას ვინახავთ, ისევ კაცებმა მიირთვან...

თაფლიც ძალიან გვიყვარს. თუ მივაგენით, შეუჭმელს არ გავუშვებთ. ზოგჯერ კი შიგ ფეხი ჩაეწებება ზოგსა და მაშინ კი უნდა გამოეთხოვოს მზესა.

III

თქვეს, ჩვენს თავზე, ყმაწვილების სასწავლო ოთახში, მრავალი ნამცეცი ყრიაო. ის რომ ხელთ ვიგდოთ, საზრუნავი აღარაფერი გვექნებაო. როგორ უნდა აგვეკრიფა, ფიქრი დავიწყეთ. ასავალი არ იყო პატარა ჭუჭრუტანების მეტი, რომელშიაც თავი ვერ აძვრებოდა.

ბევრი აღებ-დაღების შემდეგ, გადავწყვიტეთ იატაკში ერთი ხვრელი ამოგვეღრღნა. თქმა და საქმის შედგომა ერთი იყო. ათიოდე კბილმაგარმა თაგვმა ჩემი მეთაურობით იატაკს ღრღნა დაუწყო. საქმე სტვირივით წავიდა. ასეთი ხვრელი გავაკეთეთ, გაქცეული ისე ჩავძვრებოდით, თითქო კარებიაო. ჩვენს სიხარულს რაღა შეედრებოდა; ავედით მაღლა. როგორ ავწერო, რამდენი რამე ვიპოვეთ იქა, სად მჭადის ქერქი ეგდო, სად პურისა, სად მარცვლები, სად კაკლის გული და ათასი სხვა. ისე გავძღეთ, ისე, რომ მუცლები რუმბებივით გაგვიხდა, უკან რომ დავბრუნდით, ხვრელში კინაღამ გავიჭედეთ.

სათაგვეთში დიდი სიხარული იყო. კეისარმაც ჩვენს მამასახლისს

საჩუქრად ერთი გუდა ქონში ამოვლებული ქერქი გამოუგზავნა. ვზიდეთ და ვზიდეთ ნამცეცებით სავსე გუდები.

რო ავდიოდით, ჯერ გავძღებოდით, მერე თამაშობას დავიწყებდით, გავრბოდით და გამოვრბოდით. ბოლოსღა ავკრეფდით შინ წასაღებ სურსათსა, მოვიკიდებდით სავსე გუდებს და მივათრევდით.

ჩვენში გუდა ქათმის ფეხის წანაყარია, კაცები რომ ხბოს ტყავსა ხმარობენ, ის ხომ არ გეგონათ?..

IV

ჩვენმა თავისუფლად სეირნობამ დიდხანს არ გასტანა. მამასახლისმა რაღაც მოსაზრებით გვიბრძანა, ჯერით გვეევლო, გროვა-გროვად, ერთბაშად ბევრი არ უნდა წავსულიყავით.

— რა ვიცი, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, — სთქვა მამასახლისმა,—იქ რომ რამე დაგემართოსთ, თქვენს სისხლს კეისარი მე მომთხოვსო.

მაგრამ იმისი დარიგება უმეტესობას არ ეჭაშნიკა. ყველას უნდოდა მაღლა ასვლა და თავის ნებაზე სუნსული.

ჩვენი მამასახლისი ბებერი იყო, ვიფიქრეთ, იქნება მოკვდეს და თავისთავად მოგვშორდესო. ველოდით, ველოდით, მაგრამ ის არცა კვდებოდა და ჩვენც ჩვენს ნებაზე ვეღარ დავდიოდით. უნდა გითხრათ კი, რომ რაც ის იყო მამასახლისად, უბედურება არაფერი არ შეგვმთხვევია. ვითმინეთ და ვეღარ მოვითმინეთ! ახალგაზრდებმა შევკარით პირი, ძველი მამასახლისი უნდა გადაგვეყენებია და ახალი ამოგვერჩია. ერთ ღამეს, როცა მამასახლისს თავის სოროში ეძინა, ოცამდე ბიჭი დავესხით იმის სახლს, მივანგრ-მოვანგრიეთ და ისიც სულ კუდით ვაფხოკიალეთ, დავკბინეთ, გავწიწკნეთ, გავწუწეთ ლოგინიც და დავბრუნდით გამარჯვებული.

რაკი ბებერი მამასახლისი თავიდან მოვიშორეთ, ჯერა ვსთქვით, უფროსი რად გვინდა, როგორც გვინდა, ისე მოვიქცეთ თავისუფლადაო, მაგრამ ძველს ჩვეულებას ვერ ვუღალატეთ, ისევ ჩვეულებამ დაგვძლია.

დავუწყეთ ახალ მამასახლისს ძებნა. ყველამ ჩემზე მოიშვირა ხე-

ლი. მე უარი ვუთხარ: ძალიან გრძელი კუდი მაქვს, დავლაობაში დამიშლის და კარგს უფროსობას ვერ გაგიწევთ-მეთქი.

მამასახლისად მერე ერთი ყომრალი ავირჩიეთ, კარგი გვარიშვილი, ყოჩაღი, დიდკბილა, მარდი, თვალწვრილი და ცხვირწვეტი. ჭკუა კი მაგდენი არა ჰქონდა. ან რა საჭირო იყო, ჩვენ გვეგონა მთას ბარად მოგვიტანსო.

ამას იქით ახალი დრო დაგვიდგა.

V

ახალმა მამასახლისმა ნება მოგვცა, როდესაც ჩვენი ნება იქნებოდა, ავსულიყავით და დროება გვეტარებია. ამის შემდეგ აღარც დღე გაგვაჩნდა და აღარც ღამე.

ეს თავისუფლება იაფად არ დაგვიჯდა. ერთხელ ეგეთი უბედურება დაგვატყდა, რომ ახლაც უწუხრად ვერ მომიგონებია. მოგახსენებთ. ერთხელ იმ დროს ავედით მაღლა ოთახში, რომ ბიჭები ისევ იქ იყვნენ. ხელში რაღაც ეჭირათ, თეთრადა შლიდნენ და ელაპარაკებოდა ის თეთრი იმათა. ის თურმე წიგნი იყო. ძალიან გამიკვირდა, უსულო როგორ ელაპარაკება-მეთქი. ძალიან მომინდა მეცა მქონოდა. ვიჯექ მთელი საათი და ყურს ვუგდებდი. ერთს წიგნში ჩვენი კეისარი იყო. მე მეგონა შიგა ზის-მეთქი, მაგრამ ბოლოს გავიგე, რომ დახატული იყო. ეს ამბავი სხვებს შევატყობინე, ყველამ ერთად გავარიგეთ, ის წიგნი გვეშოვა. როგორც იყო ის დღე დავაღამეთ. მე ყური ვუგდე ბიჭებს, ის წიგნი სადაც შედეს, დავიხსომე.

დაღამდა. ფეხის ხმა მიწყდა. ჩვენი სათაგვეთის ახალგაზდობა ფეხზედ დადგა. ერთს წამში მაღლა ფხაკა ავიტანეთ. ვეძებთ იმ წიგნს. ბოლოს ვიპოვე. აბა, სად დამეკარგებოდა. შევახტი მაშინვე ზედა, შემოსხდნენ სხვებიც. ვზივარ, ვზივარ, წიგნი ხმას არ იღებს. ხან ირგვლივ ვურბენ, ხან ზედ ვახტები, ხანა ვსუნავ, ხანა ვლოკავ, ვღრღნი, ის კიდევ ხმას არ იღებს. გული მომივიდა. მოგიკვდე, თუ კეისარს არ მიგართვა-მეთქი. ძალიან დაგვიმადლებდა და საშვილიშვილოდაც დარჩებოდა ჩვენი სახელი. ჩემი აზრი სხვებსაც შევატყობინე. მაშინვე მომეშველნენ. ზოგი იქით მოვეჭიდეთ, ზოგი აქეთ. ვეწევით რაც ძალი და ღონე გვაქვს. ამ ამბავში რო ვართ და ერ-

თიც ვნახოთ, ტყაპ! მოისმა ტყაპანი. აღარ მახსოვს, როგორ გადაეხ-ტი. გულგახეთქილი ერთი თვალის დახამხამებაში სოროს ვეცი, მაგ-რამ სხვებს კიდეც მიესწროთ. უკანები ფეხს მადგამდნენ ამ ოხერ გრძელ კუდზე და აღარ მიშვებდნენ. რის ვაი-ვაგლახით გონს მოველ. დავბრუნდი უკან, რაკი არავინ მომდევდა, ვნახო, რა არის-მეთქი, მივიპარე, მივიპარე, ის წიგნი გდია ძირს: მაღლიდან გადმოგვიგდია და პარტყა იმან მოიღო. ეს რომ დაინახეს, სხვებიც დაბრუნდნენ. შევუდექით წინანდელ საქმეს, ვეწევით წიგნსა, ვათრიეთ, ვათრიეთ და როგორც იყო ხვრელთან მივათრიეთ. მაგრამ დახე უბედურებას! ხვრელში არ ჩაეტია. რაღა უნდა გვექნა! ვიტრიალეთ, ვიტრიალეთ. ბერე მივადექით და დავუწყეთ ხრა, ცოტა-ცოტათი მაინც ჩავიტანო-თო. მთელი ღამე ვხარით და ვზიდეთ. გათენებისას დავანებეთ თავი და დავბრუნდით სახლში. დავიძინეთ. როცა გამოგვეღვიძა, შუადღე იქნებოდა, წამოვხტით საჩქაროდ, წიგნის ჩამოტანას უნდა შევდგო-მოდით. ჯერ ერთი ავგზავნეთ, თქვა, — წიგნი აღარსად არის, ბიჭები ისევ ისე სხედანო. გადავწყვიტეთ ჩვენი წიგნი გვეპოვნა. ერთ წამში იქ დავიბადეთ.

ზოგი სად დავრბოდით და ზოგი სად. ზოგი ბიჭებს შეეუძვერით ფეხებში. უბედურებამ თუ გაგვაგულადა. მე და მამასახლისი კარებ-თან ვიდექით, უცებ ერთი დაიგრიალეს ამოდენა ბიჭებმა, წამოხტნენ და... აღარ ვიცი, რა მოხდა. მე შიშით გულწასული ფეხით ჩამიტანეს დაბლა, ვინც გამოქცეულიყო, თავისთვის ეშველა.

ერთი საშინელი წრუწუნი და ბრახაბრუხი ისმოდა. მიველ, მინ-დოდა ხვრელიდან ამეხედა, რა ამბავი იყო მაღლა, მაგრამ სადღა იყო ასავალი: ქაღალდები და ნაფოტები ჩაეჭედათ შიგა. დაიღუპა, დაი-ღუპა ჩვენი სათაგვეთი. ბევრი ახალგაზრდა გამოეთხოვა წუთისო-ფელს, ბევრს მოეშალა მზე. ვისი დედა ტიროდა, ვისი მამა, ვისი და, ვისი ცოლი და შვილი. გლოვა ზარი იყო სათაგვეთში. იმისთანა ნუ-ღარაფერი ნახოს ჩემმა თვალებმა!

მეორე დღეს ჩვენი მკვდრები გარეთ უპატრონოდ ეყარნენ. რო-მელსაც პატრონი გამოუჩნდა და მიწას მიაბარა, ხომ კარგი, და რო-მელსაც არა, გახდა კაჭკაჭის საწიწკნი. ზოგს თავი ქონდა დაჩეჩქვი-ლი, ზოგს წელი მოწყვეტილი, ზოგისა ტყავი და ხორცი ერთმანეთში იყო არეული, ზოგს გადაღეღეპილი კუდიღა გაეშვირა. მე, მამასახ-

ლისი და კიდევ რამდენიმე გადავრჩით, სხვანი სულ იქ დაიხოცნენ. მთელი სათაგვეთი კი არ გაწყვეტილა. ჭკვიანები დარჩნენ. იმათ მაღლა არც კი აუხედნიათ; გიჟმაჟი ვაჟები გასწყდნენ. საუკუნოდ იყოს იმათი სახელი!

ახლა ვფიქრობ, იქნება ბებერი მამასახლისის ცოდვამაც გვიყო. ბევრს სხვასაც გიამბობთ თუ გესიამოვნებათ: თუ რა მოუვიდა ყომრალს და როგორ იყო ჩვენი ომი კატასთანა. ახლა კი თქვენც დაიღალეთ და მეც ცოლ-შვილს უნდა მივხედო.

[1898 წ.]

სათაგვეთის ამბები

(კუდგრძელა წრუწუნა თხილიპარიაშვილს
ნაამბობი)

„ამ თაგვებმა აგვიკლეს, აღარ არი ამათგან მოსვენება, ლამის დაგვჭამონ ამ ოხრებმა, თუ ერთი დიდი კატა არ ვიშოვნე, არ იქნება“, მკაფიოდ მოგვესმა ზევიდან. კატის ხსენებაზე ყველას ფერი გვეცვალა.

მე, კუდგრძელა წრუწუნა თხილიპარიაშვილი, მგონია, გაგეგონოთ ჩემი სახელი, დამწვარ მჭადის ქერქსა ვხრავდი; თურმე შიშით კბილებიდან მჭადი გამვარდა, პირი ღია დამრჩენოდა სანამ ერთმა თაგვმა, სახელად „გადაფრინდამ“, პირი არ დაავლო და არ გაქრა, ვეღარა გავიგერა. ხომ არ გამოვეკიდებოდი ამ ჩემის კუდით და შერჩა. ტყუილად კი არ ვეძახით „გადაფრინდას“. ეჰ, აღარც მინდოდა, გეთაყვა, წაიღოს, იმისთვის მადლია. კატის ხსენებამ მადა სულ დამიკარგა. ყველა შიშმა აიტანა. ეგონათ, ამ საათში აქ დაიბადება კატა, სულ სისხლიდან დაგვცლის და ქერქებს შემოგვაფლეთავსო. ღმერთმა უშველოს, ისევ ყომრალმა შეგვაგულიანა.

— მამა გიცხონდება, თუ მოიყვანე, სათაგვეთში არ ჩამოგვიხტეს და ციხე-ქალაქი არ დაგვინგრიოს, რას გვიზამს. დიამც ის გვიყოს, მაღლა აღარ აგვიშვას. სისხლიანს გვერდს, შვილო, ტალახიანი გვერდი სჯობია. სახუმრო კი არ იყო თაგვებისათვის, მართლა თუ

კატას გაიჩენდნენ. აქ რაღას დაგვედგომოდა, უნდა გადავხვეწილიყავით სადმე, ახლა აყრადაყრა, განა ადვილი საქმეა?!

პირველად რომ თაგვებს უბედურობა გვეწვია, მას შემდეგ ისევ, მობევრდა სათაგვეთში ახალგაზრდობა. მოგეხსენებათ, ჩვენი ჯიში ძალიანა მრავლდება. რაც გაჩნდება, რომ ყველა გაიზარდოს, ჩვენ გვარს ქვეყანა ვერ დაიტევს. მაგრამ ყველა ჩვენი მტერია, ყველა ჩვენს გაწყვეტას ფიქრობს, არ ვიცი, ვის რა დავუშავეთ! კაცი, კატა, ყვავი, ყორანი, კაჭკაჭი, ძერა, ბუ და ათასი სხვა. ესენი ვერც ერთი ვერ მოგვაგნებს ჩვენს სათაგვეთში, იქ რომ სხვა საშინელი მტერი— თრითინა არა გვყავდეს. დაუვლის ბუდეებს, დიდრონები იქ რას დავუდგებით, მოასწრობს ღლაპებს და ჟლეტს უწყალოდ. არ გავმრავლდებით, მა რა ეშმაკი და ქაჯია!

ჰო, ის უნდა გიამბოთ. საშობაოდ შეგირდები დაითხოვეს. დარჩა ცარიელი ოთახი. ახლა იქაური ავლადიდება ჩვენ ხელთ იყო. ყველანი იქ ავედით. ბებრებსაც ბუდიდან კუდით ვათრევდით, იქ ამოცოცდნენ. ყველას გვეგონა, იქ ღმერთი მანანასა ჰყრისო. გავრბოდით და გამოვრბოდით, ვჭამდით, ვხრავდით, ვქეიფობდით მთელი სამი-ოთხი დღე. რას მოვიფიქრებდით, თუ გათავდებოდა ნამცეცები!

როცა მოვასუფთავეთ ყველაფერი, არხეინად დავბრუნდით სახლში და ღამე ლამაზად დავიძინეთ. მეორე დღეს ისევ იმ გულით გავწიეთ, ისევ ბევრი დაგვხვდებაო. ის შენს მტერს, რაც იქ ჩვენ დაგვხდა! ცარიელი მაგიდების მეტი იქ აღარაფერი იყო. რაღა იქნებოდა! შერცხვენილები, გაწბილებულები, მშივრები, დარდიანები, რომ შავი დღისთვის არაფერი გვქონდა შენახული, ვბრუნდებოდით შინა.

ის დღე როგორც იყო მოვითმინეთ. შიმშილი არ გვეშვებოდა, მუცელი აღარ ითმენდა. თანდათან ძაან გაძლიერდა შიმშილი. ნამეტნავად ბებრებსა და ბავშვებს გაუჭირდათ. ბებრები ფეხებს ფშეკდნენ, დედებს რძე გაუშრათ და ურძეობისაგან ღლაპები საცოდავად წრიპინებდნენ. ყრილობა ვქენით, ვილაპარაკეთ, ვარჩიეთ, ვერაფერი ვერ მოვიგონეთ. შიმშილმა ჭკვიანებიც კი გამოგვაყრუა. ისღა გადავწყვიტეთ, — მინდორში კაცი გაგვეგზავნა შესატყობად, იყო რამე საშოვარი, თუ არა.

ამბის შესატყობად ფეხმარდი „გადაფრინდა“ გავგზავნეთ. რას იპოვნიდა, ისე იყო თურმე თოვლით დაფარული არე-მარე, რომ ერ-

თი ფოთლის ტოლა მშრალი ადგილიც ვერსად ენახა. ერთი პურის მარცვალი, ერთი ბალახის თესლი, ერთი მარცვალი საჭმლისა არსად არ იყო. მარტო ქარი ჰქროდა და თოვლს ზიდავდა.

ის წყეული ყვავიც დამჯდარა მხრებდაშვებულ კაკალზედ და ჩამოსტირის თავ-პირი. დაინახა თუ არა „გადაფრინდა", ყვავი მაშინვე ძირს დაეშვა. დაჯდა თოვლზედ და დააბაკუნებს იმ შავ ფეხებსა. „იმასაცა ჰშიან", — იფიქრა „გადაფრინდამ", — საწყალი როგორ ეძებს!

ყვავმაც იცის, რომ „გადაფრინდასა" ჰშიან, თორემ ამ დროს მაძღარი გარეთ რად გამოვა, „ჩემს შიმშილს კარგად მოუხდება, თუ ერთი ხელში ვიგდე". — ფიქრობს ყვავი. — რა ბედზე გამოველ დღეს დილით, — განაგრძობს ფიქრს ყვანჩალა, — ერთი თვეა, პირი არ გამიხსნილებია, თითქოს ბერი ვიყო. შავები რომ მაცვია, ბერად ხომ არ შევმდგარვარ, ჯერ კიდევ ბლომად დრო მაქვს, ცოდვები მოვინანიო. ლამის სული ამომძვრეს ხმელ უგემურს მარცვლებზედ. უნდა როგორმე მოვიტყუილო ახლოს, — ამბობს ყვავი, — და დაუწყო ყვავმა თოვლს განგებ კენკა, ვითომ საჭმელი იპოვნა. ნისკარტს აღარ აშორებს, ზედ დასტრიალებს.

— ჰო, ბიჭოს, — იფიქრა „გადაფრინდამ", — ამ ქათამმა ბლომად იპოვნა, მეც მერგება რამე, — და სიხარულით გასწია ყვავისაკენ. „გადაფრინდა" ერთს ბარის პირზე მიუახლოვდა ყვავსა.

ყვავი ჰხედავს, რომ „გადაფრინდა" იმისკენ მიდის, სიმსუნაგით თითო მუშტისტოლა ნერწყვსა ჰყლაპავს.

„იჰ, იჰ! კარგია, რა მიამება ამ ცივ გულზედ თბილი ჩიჩია!" — ფიქრობს ყვავი და აკი, ხმამაღლაც არ წამოსცდა ეს კმაყოფილება! და ერთი მადიანად დაიყვირა „ყვაა!", „ყვა" ესმა თუ არა „გადაფრინდას", ერთი ისე გადმოხტა უკან, რომ კინაღამ იქვე სული გასცვივდა. მირბის „გადაფრინდა", მირბის როგორც ცხენი, მიფრინავს როგორც ჩიტი, მიხტის როგორც ირემი.

ერთხანად ყვავი შეკრთა. იმედგაცრუებული, პირგაღებული დარჩა. „გადაფრინდას" კარგა მანძილი ჰქონდა გავლილი, ყვავი მაშინღა მოვიდა გონებას, პირი გააცმაცუნა, „ხორცი მიძევს" „თუ არაო". შოჰკრა თვალი გაქცეულ „გადაფრინდას", იქნება კიდევ დავეწიოვო, იფიქრა და გამოეკიდა მეოტსა, ქვეითად კი არა, ფრენით. მიხტის

„გადაფრინდა“ რაც ძალი და ღონე აქვს, მისდევს ყვავიც. კიდევ, კიდევ და სწვდება ყვავი გავაში „გადაფრინდას“.

„გადაფრინდაც“ ყვავის ნისკარტს თითქოს ზურგზედ გრძნობს, მაგრამ, აი იატაკქვეშ შესასვლელი ხვრელიც.

ცოტა კიდევ და „გადაფრინდამ“ შეყო თავი ხვრელში. მოუქნია ყვავმაც ნისკარტი, აუცდა საწყალს და ერთი ისეთი დასთხლიშა კედლის ქვას, რომ ნისკარტი ორად გაუსკდა. „გადაფრინდა“ კი ამ დროს მშვიდობიანად შევიდა სათაგვეში.

გაწბილებული ყვავი სისხლიანი ნისკარტით გაიპარა თავის ბინაზედ.

ყველა მოუთმენლად მოველოდით „გადაფრინდას“ დაბრუნებას. საწყალი ისეთი აფორთქლებული შემოვარდა, რომ ჩვენც კინაღამ გული გაგვიხეთქა, სანამ წყალი არ დალია და გული არ დაიმშვიდა, ვერაფერი გვიამბო. მერე, როცა გუნებაზე მოვიდა, გვიამბო თავისი თავგადასავალი და თან უსაქმელობაც. სათაგვეთში მცხოვრებნი ერთობ ყველანი დაღონდნენ, შიმშილმა ძალიან გაგვიჭირა საქმე. აქამდე დაფიქრებული ყომრალი, ახლა ფეხზე წამოდგა და დაიძახა ხმამაღლა:

— ხალხნო და ჯამაათნო! ისევ აქვე ვეძებოთ ჩვენი საზრდო, გარეთ ვერაფერს ვიშოვით.

— ძალიან კარგი და პატიოსანი, მაგრამ, აბა, გვითხარ, სად და როგორ? — შეეკითხა ხალხი.

— მასწავლებლის ოთახში ავჭრათ გზა, თუ ვიპოვით, იქ ვიპოვით საქმელს, თუ არა, მერე თავს სხვანაირად მოუაროთ, — სთქვა „გადაფრინდამ“.

სწორეთ კარგი აზრი იყო, დასწყევლა ღმერთმა, აქამდისვე როგორ ვერ მოვიფიქრე მე, კუდგრძელმა, სიმშილით რაზე ვიხოცებოდით. თქმა და ქნა ერთი იყო. მაშინვე შევუდექით საქმეს. ისე ვხრავდით ფიცრებს, თითქოს მჭადის ქერქი `არისო... ერთი ღამე... მზად იყო გზა. გაქცეული ოროლი თაგვი ერთად გავარდებოდა.

ავყავ ხვრელიდან თავი; ვათვალიერებ, აბა, ვინ არის სახლში, შეიძლება ასვლა-მეთქი, თუ არა. ვხედავ, ერთი მაღალი კაცი მარტოკა ზის, უჭირავს ხელში რაღაცა, გაუბამს ზედ ძაფები, აცურებს ზედ თითებს, ძაფებიდან ისეთი ხმა გამოდის, რომ ამოდენა კაცი გავიზარ-

დე, ჭაღარა გამომერია და ამისთანა არსად გამიგონია. ეს ძაფებიც, რა ვთქვა, ზოგი ბუზურასავით ბზუის, ზოგი წმინდა ხმაზე წივის, ზოგი სტვენს, ზოგი ვერცხლის შიბივით ზრიალებს. შეწყობილან ერთად, შეხამებულან, ისე მშვენივრად უბნობენ რაღასაც ჩემს უცნობს ენაზე, რომ სიმშილი სულ დამავიწყდა. თვალები დავაჭყიტე და ყურები ვცქვიტე. ვინ იცის, რამდენ ხანს ვიჯდებოდი, რომ იმ კაცს არ შეეწყვიტა ის ტკბილი ხმები.

გულნატკენი სათაგვეთში დავბრუნდი. ყველას ვუამბე იქ ნახული და გაგონილი. ყველამ მოინდომა იმისი ხმის გაგონება და თავი მოიყარეს ასავალ ხვრელთან. ვუცადეთ, ვუცადეთ, აღარ მოგვესმა ხმა. მერე ზოგი და ზოგი აძვრნენ გასაგებად, სად იყო მასწავლებელი.

წასულები კაი მძიმე ბარგით დაბრუნდნენ, ზოგი მჭადს მოათრევდა, ზოგი პურსა, ზოგი ნიგოზს, ზოგი მსხლის ნათალსა. მოლოდინში მადლი მოგვივიდა, დავძეხით. სანამ პატრონი მოვიდოდა, ორიოდე გზა კიდევ ჩამოიტანეს და ყველანი დავძეხით სათაგვეთში. ძალიან დავიტიკნეთ და ზედ სიამოვნება და გართობაც მოგვინდა. საღამოს მოველოდინეთ. მოვიდა ის კაციც, ჩამოიღო საკრავი, დაჯდა, ჯერ რაღაც ააჭრიალა, უჭერდა რაღაცასა, მერე გააზუზუნა და გამოაზუზუნა. ჩაჰკრა თითები სიმებსა, დაიწყეს სიმებმაც მღერა. ზოგი სწუხდა, ზოგი მხიარულობდა, ხან გაჩუმდებოდნენ, მისწყვეტდნენ ხმასა, თითქოს სულს ვეღარ იქცევდნენ, იბნიდებიანო, მერე ისევ აამაღლებდენ ხმასა და ერთმანეთში რაღაცა წყობილი ბაასი ჰქონდათ.

მე ქვეშ კუდამოგებული ვიჯექ და სიამოვნებით ულვაშებს ვიგრეხდი. მე ასე ვზივარ და ჩემ უკან ხმაურობა მომესმა. შევხედე, ყველა მოიწევს დასანახავად და გასაგონად „გადაფრინდა“ მოსულა ეშხზედ, გაუშვერია კუდი, დაუბზეკია წვერები, დაუტყვრეცია თვალები და ხტის, ხან ცალფეხზედ შედგება, ხან ქოჩორზე ბრუნავს, ბუქნაობს, თამაშობს, შუშპარობს, როკავს, — ერთს ამბავშია. აჰყვნენ ამას სხვებიც. გაიმართა თამაში და ლხინი. ახ, ერთი კაი ტაშის დამკვრელი! ხტიან თაგვები, ახტებიან ერთმანეთს ზედა, ფრინავენ, გარბიან და გამორბიან, ხმაურობენ და წრუწუნებენ. კეისარის ქორწილშიაც არა ყოფილა ამისთანა ლხინი და გახარება. ახ, ერთი ის საკრავი ნეტავი ჩემი ქნა-მეთქი, ვიფიქრე.

მოახლოვდა ახალი წელიც, ტბილეულობის დღე! უნდა წინათვე

სამზადისს შევდგომოდით, თადარიგი დაგვეჭირა. არაფერი კი არა გვქონდა, ქალაქს ვერავის გავგზავნიდით, დიდი გზაა, მოგეხსენებათ, და ისევ ჩვენი ძველი დალოცვილი ხელობისათვის—ქურდობისათვის უნდა მიგვემართა.

ღვთით, თუმცა არაფერი გვქონდა, მაგრამ ახალ წელიწადს კარგი კოკლოზინობა გველოდა. დილისათვის არაფერი არა გვქონდა, მასწავლებელი წინ იყო და სულ იმედი გადავიწყვიტეთ, ეგ არის ტკბილეულს ვერ ვეღირსებითო. „ურიას ერთი დღე ერგო და ისიც შაბათიო," — ისე იყო ჩვენი საქმეც. მოწყენით ვიყავით და ადრე დავიძინეთ.

ღამე ერთი კაი სიზმარი ვნახე. ვითომ სათაგვეთში გაშლილია ერთი ლამაზი სუფრა, რა გინდა სულო და გულო იქ არ ეწყოს. მხოლოდ ჩვენები არსადა ჩანან. მიჰპარვია „გადაფრინდა", იპარავს ტკბილეულობას და თავის სოროში ეზიდება სულ. ვეღარ მოვითმინე. „აი, შე ქურდო, შენა-მეთქი, განა ჩვენ არ გვინდა პირის გატკბილება, რომ სულ შენ მიგაქვს-მეთქი. ბედნიერი დღეა, რად დაგვეკვებოს სიღარიბე-მეთქი" და ჩემს ყვირილზე გამომეღვიძა. გაღმოვხტი ბუდიდან, იქნება მართლა ვინმემ რამე მოგვიტანა, მაგრამ ვის რა მივაბარეთ, ვინ რას მოგვიტანდა. მარტო ჩალიანი ბუდეები მოსჩანდა; თაგვები ხვრინავდნენ; ზოგს გაჰღვიძებიყო, წამოეყო თავი და იჭყიტებოდა.

თენდებოდა, სინათლე ძაფებივით შემომძვრალიყო სათაგვეთში. რაღა დამაძინებდა. კვლავ ამ დროს ჩამომივლია სათაგვეთში, შაქრით და თაფლით ყველასთვის მიმილოცნია. სხვებიც ადგნენ და დავიწყეთ ხმაურობა. შაქარი და ტკბილეული არაფერი მქონდა მისალოცად. სახლში ერთი თეთრი ბამბის ქულა მეგულებოდა, ვთქვი, ღარიბი ხალხი ამითი ულოცავს ერთმანეთს და ჩვენც მივულოცოთ-მეთქი, რა სირცხვილია?! ჩამოვუარე და ყველას იმით მივულოცე: ასე თეთრად დაბერდით, ასე თეთრი წვერითაო. რას დავემდურებოდით ერთმანეთსა, რაც გვქონდა, იმით შევექცეოდით.

— არა, შვილო, ასე არ იქნება ახალწლის გატარება, სადაც იყოს, ან ძალით, ან ნებით უნდა ვიშოვნოთ რამე.

მეძახიან მელქოსაო,
ბარემ კიდეც მერგოსაო,

მაღლა ავალ, მოვისუნსლავ,
ეგებ რამე მერგოსაო.
ვისაც გინდათ, თქვენც წაპყეეით,
სადაც წავა „გადაფრინდა“,
ჩემმა მზემა იმდენს გაკმეეთ,
სულ იძახდეთ „აღარ მინდა“.

წამოგვეძრახა „გადაფრინდა“ შაირობითა.

— ხა, ხა, ხა, — გაიხარხარა მთელმა სათაგვეთმა. ყვავზე მაინც გამოგეთქვა ერთი კარგი შაირი, დუმა რომ კინაღამ ჩამოგაცალა, — მოსძახდნენ სიცილით ჯეელები.

— თქვენ კარგად იყავით, არც იმისთვის მომინდება შაირის ყიდვა, — უპასუხა სიცილით „გადაფრინდამ“ — ერთი კუჭი მოვიმადლიერო ცოტა, რომ კარგს გუნებაზე დაგვაყენოს. ლექსები მერე მომკითხეთ.

იმდენი ვიცი ლექსები,
ტირიფონაზე გრძელია,
რომ წამოგკიდოთ ზურგზედა,
მგონი მოგწყვიტოთ წელია;
გიამბოთ, ერთ წელს ვერ მოვთვლი,
ვეღარ შეიძლებს ყელია.

ამ ლაპარაკში და ბაასში მზესაც მაღლა წამოევლო. „გადაფრინდა“ წამოხტა და გასწია ხვრელისაკენ. ჩვენ ზოგნი ბუდეებს ვალაგებდით, ზოგნიც პირს იბანდნენ და იწმინდებოდნენ.

— თაგვებო, თაგვებო, თაგვებო! — მოგვესმა ერთი ყვირილი და ღრიალი, ცოტა ხანს უკან ხვრელიდან. — ყველანი შეკრთნენ. შევხედოთ?! ზოგი სად შევძვერით, ზოგი სად მივიმალ-მოვიმალეთ, კუდებიღა გაგვიშვერია. სადღა ვინ არის? ერთს სულიერს ვერა ჰნახავ. გვგონია, „გადაფრინდა“ დაიჭირა რამემ, სჭამს, და აი, ეს არის ჩვენც დაგვაჯდება და შეგვჭამს.

კიდევ მოგვესმა ხელმეორედ ყვირილი. „გადაფრინდა“ ყვიროდა. პასუხს არავინ აძლევს. ვსთქვი; რაც მომივა, მომივა-მეთქი, ავდგები, ვნახავ, რა ამბავია. ამოვძვერ ბუდიდან. ამ დროს „გადაფრინდაც“ ჩამოხტა ხვრელიდან.

— ხა, ხა, ხა, — გაიფხრიწა სიცილით „გადაფრინდა“, — თქვენ ჩემი ცოდვით სავსენო, თქვენა, რა კატის ჯარი დაგეცათ თავსა, ან

«თრითინას ლაშქარი, რას იმალებით, ადექით ჩქარა, საშოვარი ბევრია. ოთახის პატრონი წასულა სადღაც, იქაურობა სავსეა საკოკლოზინავებელით. სიკეთე მოგეცეს, მაშინ ყველა წამოძვრა სოროდან, დიდი — პატარა სულ ფეხზე დადგა.

გაგვიძღვა „გადაფრინდა“ და დოსტოღრივ ოთახში ავედით. ზოგი სად დარბის, ზოგი სად, ვეძებთ, ვეკუვენავთ, გავრბივართ, გამოვრბივართ, ვიხედებით ქვაბ-ქოთნებში. აგე, მაგიდაზე შევიხედეთ, — ცხონდა მამაშენი! რა გინდა, რომ იქ არ არის დალაგებული ლამბაქებზე: თაფლი, გოზინაყი, კამფეტები, ხმელი ხილი, მურაბები, იქვე კოვზი, არაყი და ჭიქა.

— იფ, იფ, იფ! ესეც ახალი წელი! ჩვენზე კარგი ვინ მიულოცავს მასწავლებელსა. იმისი მეზობლები ჩვენა ვართ, მოდით! — შევხტით მაგიდაზედ, დავეცენით ამ ხილს. ზოგი თხილსა ჰხრავს, ზოგი კამფეტს, ზოგს თაფლში ჩაუყვია ცხვირი, ზოგი ნიგვზის ჩურჩხელას ებრძვის, როგორც დავითი გოლიათსა, ზოგი გოზინაყს გიახლებათ, გაჰკვრია კბილებზე და ძლივსა ღეჭს. მოვნაყრდით, მოვძეხით, მერე რიგზე დავსხედით.

— მოიტა ბიჭო, — დაიძახა „გადაფრინდამ“, — დავლიოთ ე არაყი, — თუკი კაცები სმენ, ჩვენ რაღა დაგვემართა, რომ ვერ დავლიოთ.

დავასხით და ჩამოვაყოლეთ. ძაან მწარე იყო, სულ ყელი ჩამწვა და მახველა. მაინც ყველამ დალია ცოტ-ცოტა და სადღეგრძელოებიცა თქვეს. შევქეიფიანდით, ვხტით, ვწრუწუნებთ. საკრავიც იქ აყუდებულა! აბა, ამასა ჰქვია დროების გატარება! ძალიან გავიხარეთ.

— აბა, „გადაფრინდა“, ერთი შეგვაქციე გეთაყვა, ერთი დაუკარ გენაცვა, — ვეხვეწებოდით ყველანი. „გადაფრინდაც“ დიდ მცოდნესავით მოუჯდა საკრავსა, ჩაქოქდა, ხან ფეხს უსვამს, ხან კბილსა, წივიან სიმებიც. ვიცინით, გვიხარია. თან ერთ დიდქალიან კამფეტს დავავლე ხელი და ამოვიდე გვერდზე. ჩემს მაგიდასაც კარგად მოუხდება-მეთქი.

— ერთი დაჰმღერე, დაჰმღერე შენებურად, შაირი თქვი, შაირი! — ეხვეწებიან იქით-აქეთ „გადაფრინდას“ — ერთი ყვავი გალექსე, ი ვერანი. — „გადაფრინდამაც“ შეგვაქცია:

სანადიროდ გამოსულა
დაყმენდილი ყვანჩალია.
კაკლის ტოტზე ჩაქოქილა,
მსუნაგი და ავთვალია.
ნატრობს, ნეტა მაპოვნია
ერთი პურის ნათალია.
თუნდა მკვდარი კატა ნახოს,
თუნდა ძაღლი დამხრჩვალია,
ყველას ისე გიახლებათ,
ვითომ კარგი სათალია;
ქურდია და ქურდბაცაცა,
მელა-ტურას ბადალია,
მეც კინაღამ მიმიტყუა —
ის მეგონა ქათამია.

არ გაეთავებინა, რომ უცებ კარები გაიღო და მაღალი კაცი წამოგვადგა თავსა!

აბა, ვისაც შეგიძლიანთ, ან მუხლი გაქვთ და ან თვალი! ისე წამოვხტით, რომ არცკი გაგვიგია ტყაპატყუპით, როგორ გადმოვიტანეთ ერთმანეთი ძირსა და თან არაყიანი ბოთლიც... ლაწ! მოისმა. ბოთლის ნამტვრევები იქით-აქეთ მოიფანტა და არაყის წინწკლები კედელს შეესხა. ხვრელში ერთმანეთი სულ ფეხით ჩავიტანეთ. როცა მოვსულიერდით, გვესმოდა, როგორ ჰკრეფდა მასწავლებელი ბოთლის ნამტვრევებს გარეთ გადასაყრელად.

[1893 წ.]

✓ პაპარა ხანუმა

ყოველთვის ჩვენი სკოლის კარებზედა ჰყავდა ხოლმე თავისი ბატის ჭუჭულები. თუმცა აქ ბალახი არაფერი არ იყო და თონის თავივით გატუსული ადგილი ეგდო ხოლმე, მაგრამ მაინც არ გვეშვებოდა. არ ვიცი, ჩვენი მეზობლობა რად უყვარდა.

პატარა ქალები რომ სკოლიდან გამოვიდოდნენ სწავლის შემდეგ დასასვენებლად, ის მაშინვე გაირეკავდა თავის ჭუჭულებს და საჩქაროდ მიაფარებდა სადმე. უთუოდ ან თავისთვის ეშინოდა ან თავის ჭუჭულებისათვის, არ დამიხოცონო. როცა ვინმე დაუწყებდა ლაპარაკს, კოპებს შეიკრავდა და ხმას არ გასცემდა, სანამ საქმეს არ გაუჭირებდნენ. ამიტომ დაარქვეს ხანუმა.

ეშმაკ გოგო-ბიჭებს სადღაც გაეგონათ ავი ოსი ხანუმას სახელი და ამ კოპებიან ქალსაც ეს სახელი შეუშვნიეს, თორემ, როგორც ნამდვილად გავიგე, ლიზა ერქვა. (თვითონ ჩუმად გოგოებისთვის ეთქვა, რომა, ქალო, ლიზიკოს მეძახიან და კი არა სთქვათო, თორემ ეგ ჩასაქოლები კი აღარ მომასვენებენო, გაიშვირა სკოლის შაგირდებისაკენ ხელი).

როცა პატარა ხანუმა ბატის ჭუჭულებს წაასხამდა, გოგოები დაუწყებდნენ ძახილს.

— ხანუმ! ხანუმ! სად მირბიხარ, მოდი ვიკენჭაოთო.

მაგრამ ხანუმა წყევლის მეტს არაფერს მიართმევდა:

— თვალიმც გამოგძვრებათ, სადა მცალიან საკენჭაოდ, წიგნსა სწავლობთ, წიგნი ისწავლეთ, მე რაღას ჩამომკიდებიხართ! თუ ვინმე ხელს წაავლებდა ჭუჭულას, ხანუმას წყევლას ვინღა აუვიდოდა: — ამოგიღოს ბოლოკივით მიძინების მადლმა, შე ყოვლად წმიდასთან ჩასამარხო შენა, რა დაგიშავა ჩემმა ჭუჭულამა, რო იჭერ, არ მომიკლა თორემ...

— თორემ ყურებზე ხახვი არ დამაჭრა! — მიაძახებდა ონავარი ბიჭი. ხანუმა ისეთის თვალით შემოხედავდა თავის ჭუჭულის დამჭერს, რომ იტყოდი, ეხლავე კრაზანასავით მიახტება საკბენადაო.

* * *

როცა გაკვეთილი დადგებოდა, ხანუმა მაშინვე ფანჯარაში ამოფოფხდებოდა და ყურს უგდებდა, ბიჭები რასაც სწავლობდნენ. თუ მასწავლებელი მიიხედავდა ფანჯრისკენ, ის მაშინვე მიიმალებოდა. მასწავლებლისა ძალიან რცხვენოდა; სადაც უნდა ენახა, მაშინვე გაიქცეოდა და დაიმალებოდა სადმე.

რომ ჰკითხავდნენ: ხანუმ! სკოლაში არ მიებარები? არ გინდა შენც მოგცენ წიგნები და დაფები, როგორც ჩვენს ვასოსა?

— რათ მინდა, ჭუჭულებს ვინღა მოუყენოვო! — უპასუხებდა, მაგრამ თან ჩუმჩუმად რაღასაც ღიღინებდა ხოლმე.

ერთხელ, გულიდან თუ გადუვიდა, შიგ ფანჯარაში წამოგვამღერა თავზედ:

ნეტავი რად

მაქცია,
ბულბულად გადამაქცია,
ბულბულის ენა მასწავლა,
ამ ბაღებს შემომაჩვია!..

თურმე ის კუდიანი, როცა შეგირდები სწავლობდნენ, ყურს უგდებდა და სწავლობდა ზეპირად, რასაც გაიგონებდა.

ბევრი სხვა ლექსები და არაკები იცოდა ხანუმამ. შინ რომ ჩამოვიდოდა, დედას უამბობდა ხოლმე.

ერთხელ, როგორც იყო, გააბედინეს მასწავლებლისათვის ხმის გაცემა.

— რამდენი ჭუჭული გყავს, ლიზა? — ჰკითხა მასწავლებელმა.

ხანუმამ ძლივს გააგონა:

— თერთმეტი მყავს.

— რა ვიცი, რამდენია თერთმეტი, აბა მიჩვენე,—უთხრა მასწავლებელმა.

— აბა, მაშ არ იცი, რამდენია თერთმეტი?! მე თერთმეტი ჭუჭულა მყავს და ვერ გაიგე, რამდენი ყოფილა თერთმეტი?

— რა ვიცი, კი არ დამითვლია და! — უთხრა მასწავლებელმა.

— აი ამდენია, — და დაიწყო თითებზედ თვლა: — ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, — თან თითო თითსა ხრიდა და ზედ თითს ადებდა. დათვალა ათი. ორივე ხელებზე ათივე თითი ჩამუჭა მუშტში. კიდევ დათვალა და ეს ათიო, უჩვენა მასწავლებელს. ცოტა ხანს ჩაფიქრდა, გაშალა თითები...

— ათანამ, ათანამ—მოხარა ნეკი და — ესეც თერთმეტიო. აი, ამდენი მყავსო — აუხსნა მასწავლებელსა.

— ერთი ჭუჭულა რომ ყვავმა მოგტაცოს, რამდენი დაგრჩება ლიზა? — ეკითხება მასწავლებელი.

— ქა, რად უნდა მომტაცოს, განა იმიტომ ვუდგევარ, რომ ყვავებს მოვატაცვინო!

— არა ისე. ვთქვათ, ვითომ ერთი მოგტაცა ყვავმა...

— არა, არა! დედა მცემს, რად უნდა მომტაცოს! — იჟინებდა ხანუმა.

— არა, ლიზა! განა მართლა მოიტაცებს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მოგტაცოს ერთი, რამდენი დაგრჩება?

— ქა, რად უნდა მომტაცოს იმ ბუდე ჩამოსანგრევმა, რისთვინაო. ვენაცვალე ჩემ ფეხყვითელ ბამბისქულა ჭუჭულებსა! მე რაღა შავი ქვა უნდა გავაკეთო, რო ეგენი ყვავს მოვატაცვინო!

არა, არ იქნა და არა, ვერ დავითანხმეთ ხანუმა, რომ ყვავს ჭუჭულა მოეტაცნა.

ძალიან უყვარდა ხანუმას თავისი ჭუჭულები. მოაფარებდა ხოლმე ღობეს, მოისხამდა ირგვლივ, აიყვანდა სათითაოდ ხელში და გიჟივით ჰკოცნიდა.

— გენაცვალეთ მაგ ოქროსავით ნისკარტებში და ფეხებში, ჩემო დედოფლებო, ჩემო ლამაზებო, მშვენიერებო, ტურფებო, ნამცეცებო, ლუკმებო. გენაცვალოსთ პატრონი მაგ მძიეივით თვალებში!

ვაიმე, ახლა რომ ერთი პირდაღებული ყვავი წამოვიდეს, დააელოს ნისკარტი ჩემს ბამბისქულასა და წააწიალოს ბუდეში! მაშინ რაღა ვქნა, როგორღა გიშველოთ, ჩემო სიხარულებო!? — მოაელებდა ხოლმე ხელს ჭუჭულებს და მიიხუტებდა გულში, ხან კალთას გადაიფარებდა და ისე ჰყავდა დამალული, ვითომ ყვავს უმალავსო.

* * *

გავიდა მაისი, გავიდა თიბათვეც; პატარა ჭუჭულები დიდრონი ბატები გახდნენ. პაწაწა გერმის მაგიერად მსხვილი ფრთები გამოუვიდათ. თანდათან ბალახიც გახმა. მკათათვის გასულს დაანებეს თავი თავის პატრონს ხანუმას და გასწიეს წყაროსაკენ. მთელი დღეები წყალში ისხდნენ და ჭყუმპალაობდნენ. ხანუმა იჯდა ხოლმე წყაროს პირსა და უძახდა თავის ჭუკიებსა. ისინი ყურს აღარ უგდებენ ხანუმას, გაფაციცებით ეძებენ წყალში საჭმელსა. ხან ჩაერჭობოდნენ თავით წყალში და წითელი ფეხებიღა ამოეყოთ, ხან სულ ჩაიმალებოდნენ, მხრებს სცემდნენ წყალსა და ცვრებს ზურგზედ იდენდნენ.

— არ დაიხრჩოთ, ჩემო კარგებო! — მოსძახოდა ხანუმა. ისინიც ყიყინით გასცემდნენ პასუხს და განაგრძობდნენ ნადირობასა. „რატომ არა სველდებიან ეს ჩემი ბატებიო“, იფიქრებდა ხანუმა და თან თვითონაც ჩაჰყოფდა შიშველს ფეხს ცივს წყაროში, მაგრამ მაშინვე ამოიტაცებდა, რაკი ცივად მოჰხვდებოდა წყაროს წყალი.

ამის შემდეგ ბატები სულ თავის ნებაზე დადიოდნენ. რაღა ყვავი და ძერა წაიღებდა!

იჯდა ხანუმაც სახლში დაღონებული მარტოდ მარტო.

— დედა! როდის გაიხსნება სკოლა, როდის მოვა მასწავლებელი? ჩვენი ვასო როდის წავა სკოლაში? — ჰკითხავდა წამდაუწუმ დედასა. როცა გაიგონებდა, რომ სამი კვირა კიდევ არისო, ან ორი, მაშინვე თითებზე დაიწყებდა თვლასა.

რა მიზეზი იყო, რომ სწავლის დაწყების დროს ეკითხებოდა?

მარიამობისთვე გავიდა, წავიდა არდადაგები. გაილეწა კალოებიც, ყანების ხსენება ხომ რაღა იქმნებოდა. მინდორზედ სიმინდიღა იდგა ხელუხლებელი და ვენახში ყურძენი.

ენკენისთვის პირველში გაისმა სკოლის ზარის წკრიალიც და ერთ

წამს შემოუარა სოფელს. ზოგს ბანიდან ჩასძახა, ზოგს კარებიდან, ყველგან ხმა მიაწვდინა. მოსწავლე გოგო-ბიჭებმა მოძებნეს თავის აბგები. ზოგი წიგნს ეძებდა, ზოგი დაფას, ზოგი ღრიფილს. პატარა ხანუმას კი საძებნელი არაფერი ჰქონდა. ის მოუთმენლად მოელოდა მინდვრიდან ვასოს მოსვლას, რომ სკოლაში გაჰყოლოდა.

მეორე დღეს მასწავლებელთან იდგა მორცხვი ჩვენი ნაცნობი ხანუმა და სიხარულით შესცქეროდა კედლებზე გაკრულს ათასნაირ ხატებსა და სურათებსა, თითქო პირველადა ჰხედავსო. დაფამ და წიგნმა ხომ სულ გადარიეს. სკოლის წიგნში ეწერა: „ლიზა ბეჯითაშვილი მიებარა ორს ენკენისთვეს 1892 წელს“.

[1898 წ.]

რქიანი

— ოჰ, ოჰ, როგორა ცივა, ძვლები მეყინება, ლამის კანკალმა ამიტანოს! მოწექ აქეთ, გენაცვალე, ე გვერდი მომადე, რომ ცოტათი მაინც გავთბე; თოვლს ხომ ჰხედავ, ზევიდან როგორ დაგვდის. ცოტა ხანში ისე დაგვთოვლავს, რომ აღარც კი ვჩანდეთ. კიდე, კიდე გენაცვალე! ხომ არ გეშინია, სადმე გადავქანდე, ეს წიფელი ისე მაგრა დგას, რომ მე კი არა, მთის ზვავიც რომ მიაწვეს, ვერ დასძრავს.

დედალ შველს სციოდა და თავის რქიანს ამხანაგს იპატიჟებდა ისე ახლო.

— რა დროს სიცივეა, ქალო, — გაეხმაურა რქიანი, — ლამის შიშით გული გადმომვარდეს. თოვლი ჩემს ზურგზედ წყალდება სითბოსაგან, ჩემი გული შიშისგანა დნება. რა ბნელი ღამეა, ხომ ჰხედავ, რა ცივი და საზარელია. აბა, აქ რა ცუდ ალაგას დავბინავდით. გული სულ რაღაცას შემომკვნესის, ქარის ხვიელი მტრის ფეხის ხმად მეჩვენება. ხის ტოტები რომ ცვივა, მე მგელი მგონია. სხვა კი რა მოგვაგნებს ახლა, კაცი ამ დროს და ამისთანა ამინდში ვერ ამოაღწევს. მგელი მაშინებს, მგელი!

მგლის ხსენებაზე დედალი შველი სულ გაშრა, საცოდავად დაიწყო კანკალი და თრთოლვა. ახლალა მოაგონდა თავისი მდგომარეობა, ამოდენა თოვლი, ამისთანა სიცივე, გვერდობი, ფერდობი, უხეირო გზები, მშიერი მგელი, იმისი სისხლიანი თვალები, ბასრი კბი-

ლები და მასთან მარდი რბენა. საწყალს სიცივე სულ დაავიწყდა. უფრო და უფრო მოუმატა კანკალი. შიშისაგან თვალები დაეჭყიტა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მიადო წიფელს ყური და დაიწყო სმენა.

დაიკივლა ბუმ შორს, ზედ მოუქცეველ ღრუვში, ყრუ ტყემ რაღაც საზარელი და შემაშფოთებელი ბანი მისცა. შეხტა შველი, გაეყინა სისხლი. დაუგდო კიდევ ყური. დაიკივლა კიდევ ბუმ და დაიარა იმისმა კივილმა მდუმარე მთები და გულჩათხრობილი ტყეები. შეკრთა კიდევ შველი.

— მადლობა ღმერთსა, — წაიდუდუნა შველმა, — ბუ ყოფილა. ტყუილად შევშინდი. აგერ მოსტყდა ხმელი ტოტი ხისა, ლაწალუწით ძირს ბარტყანი მოიღო. დათოვლილმა ხეებმა ჩუმად გაუხმიანეს. შეათრთოლა შველი, შიშით ყელში წაეჭირა. უნდოდა ეთქვა რამე რქიანისათვის, მაგრამ შიშით არაფერი ხმა აღარ ამოუვიდა ყელიდან. დაუგდო ისევ ყური, ნელი ქარი თოვლს ზემოთ პირზე შრიალებდა, ახლად დადებულს და დაუზერქნავ თოვლს თევზის ქერქეჭელასავით ურევდა ერთმანეთში, ტყის უფოთლო წვერებში გველივით სისინებდა.

— ოჰ, ღამევ, რა ძნელი ხარ ჩემთვის, ნეტავი იცოდე, შენი გაუსვლელობა რას მიშვრება, რომ გათენდებოდი. დღევ, შენ მაინც მოდი ძალით, თუ ღამე არ მიდის ნებითა, — ევედრებოდა კანკალით შველი, მაგრამ უჟამოდ არც ღამე მიდიოდა და არც სინათლე აჩენდა მთის იქიდან რქის წვერებსა. ისიც თავის დროს თუ ელოდა.

ღამე გრძელდებოდა, თმენა ძნელდებოდა შვლებისთვის.

— ახ, ნეტავი მალე გათენდეს, ძალიან მეშინია, არ ვიცი, რადა? ამაღამ ამიგორდა შიშის გორგალი. აკი უმისოდაც ტყეში ვათენ-ვაღამებთ. შენ მაშინებ, რქიანო, შენა, მითხარ მაინც, მალე გათენდება თუ არა.

— ეს არის, ახლა არ დაღამდა, ჯერ ხომ საღამოს ნიავიც არ ჩამდგარა. — უპასუხა რქიანმა და თვითონაც როგორღაც შემკრთალმა, თითქოს ყური რაღასაც მოჰკრაო, ჰაერს ყური მიუშვირა. ქარმა ახალი თოვლი და ხეებიდან ჩამონადენი ბარდანი[1] შეაყარა ყურებში.

— ბღუუ, ბღუუ, — ბღუოდა და დაზუზუნებდა ქარი.

---

[1] ბარდანს ხეებზედ დამდგარს თოვლს ეძახიან, წვერივით რო დაეკიდება ტოტებზე.

— უუ! უუუ! უუუ! — მოჰყვა ქარს საზარელი ღმუილი. რქიანი გაქვავდა, სული შეუგუბდა და სუნთქვა გაუჭირდა.

— აუუ, უუ! — გაისმა წინა ხმის პასუხად ჰაერში ახლა სხვა მხრიდან და პირდაპირმა მთამ უკანასკნელს გაგრძელებასღა მოსცა ხმა. — უუ! ღმერთო, გვიშველე! ღმერთო, ნუ დაგვკარგავ! — წაიბუტბუტეს ორივემ გულში.

— გაიგონე? — უთხრა ხმის კანკალით რქიანმა დედა შველსა.

დედა შველს თქმა რაღად უნდოდა. იმან მხოლოდ ერთი ღრმად ამოიქშინა, მიეკრა რქიანსა და შეშლილივით დაებლიტა თვალები.

— რაღა ვქნათ, რქიანო, რაღა გვეშველება. ხომ გაიგებენ, რომ აქა ვართ, გაგებულიც ექნებათ. იმიტომ ყმუის ისე, ტოლს ეძახის, რომ უფრო ადვილად დაგვიჭირონ. რაღა ვქნათ, გენაცვალე, რქიანო! მითხარი რამე, თორემ აქვე სული გამცვივა. რაღა ვქნათ, რაღა ვქნათ! ნეტავი დაგვხოცა მაინც ერთადა, რომ იმათი საგლეჯი არ გავხდეთ; ვინ იცის, შენ სად შეგჭამენ და მე უშენოდ სად გამომხვრენ. არ დამანებებ თავსა, რქიანო, არ გამექცევი, განა? არ შემაჭმევ იმ სისხლისმსმელებსა განა! — გაუგებრად ემუდარებოდა შველი.

— სუ, აბა დაუგდე ყური, ეხლა მეორე მხრიდან რა მოდის, გესმის, შეყრილან ერთად, თავს ვუშველოთ.

* * *

ერთ წამს ორივენი ფეხზე იდგნენ. რაღა დააძინებდათ. მიჰყუდეს ერთმანეთს ზურგები და გადაფრენ-გადაფრენაზე იყვნენ. ტყის ბნელს გულში უცებ რაღაცამ დაიჭექა და ერთის ხრიალით ძირს გაიტყაპუნა. შეშინებული ფრინველი ამ ხმაზე წივილ-ყივილით აფთხა და გაჩქარებული შეეფარა ხეების ფარდულ ტოტებში. დედალი შველიც შეხტა და დაბლა ფერდობზე უნდა დაშვებულიყო, რომ რქიანს არ დაეჭირა.

— დაიცადე, გენაცვალე, დაიმშვიდე გული, სად უნდა გადახტე მანდა, ხო კლდეზე დაილევი სადმე. ხე მოსტყდა და იმან როგორ შეგაშინა. ისინი ჯერ შორს არიან. სანამ აქამდე მოვლენ, კიდევა თავს ვუშველოთ.

— წავიდეთ, წავიდეთ, რქიანო, აქედან. ქვევით ჩავიდეთ, გორის

პირს ჩავყვეთ. ქვევით კარგი ველიანები არის, გასაქცევიც ადვილია და თავსაფარიც.

ორივენი ფეხაკრეფით, ფრთხილად, უხმოდ დაიძრნენ ადგილიდან, შედგეს გორაზე ფეხი და შეჩერდნენ. მისცა ცხვირი ჰაერს რქიანმა და დაუწყო ჰაერს ხარბად სუტვა. ერთგული ცხვირი მტრის სიახლოვეს უტყუვრად და გულადად ეტყოდა.

— ფიქრი არ არის, მოდი შენც, — მოუბრუნდა ამხანაგს.

რქიანი და იმისი ტოლი ერთს წამში ხმლის ზურგივით სერზე დაეშვნენ ჯანჯალით დაბლა, ველებისკენ. პატარა ხანს შემდეგ ველების გვერდში თხილებსა და თხილებს შუა ფარდაგის ტოლა ცარიელ ადგილზე იდგნენ რქიანი და იმისი ტოლი. სულს იღებდნენ (ჰაერსა სუნავდნენ) აღმა-დაღმა, მაგრამ ქარი აღმოსავლეთისა ჰქროდა, ჩრდილო მხრისას რას გაიგებდნენ.

* * *

ამ დროს გორაზე, სადაც რქიანსა და მის ტოლს ჰქონდათ წინათ ბინა, ორმა დაყმენდილმა მგელმა ამოყო ცხვირი. ერთს წამს შედგნენ, რაღაც სუნი ეცათ და ერთმანეთის მემჯობიას ჯორის წიხლებივით ტყუპად გადაეშვნენ შვლების ნაწოლისკენ. შვლების გამო საღერღელი აშლოდათ, ორივემ დაღებული პირები და დაკრეჭილი კბილები გადიყოლეს, იქვე ენებათ პირის ჩაგემრიელება. მაგრამ მოსტყუვდნენ და ორივემ ცხვირი წაჰყო თოვლში.

მარცხი თითქოს არაფრად ჩააგდესო, ერთი მიბრუნდა წასასვლელად, მეორე კი გასწორდა, დაუწყო წინა-უკანა ფეხებით თოვლს თხრა და უკან ყრა, თან თავისი საზარელი აუუუ გააბა, თან მწვეტი ცხვირი მაღლა აიშვირა და დაუწყო წუწნა ცივს ჰაერს, თითქოს თავის ცხვირსა ჰკითხავს, სად წავიდნენ შვლებიო. მერე თოვლში ჩაჰყო ცხვირი, რაკი ჰაერიდან ვერაფერი გაიგო, და გაჰყვა ცხვირით შვლების ნაკვალევს. მერე რაკი დარწმუნდა, რომ მართლა ნავალი არისო, თავი მაღლა აიღო, ერთი კიდევ ჩასუნა, და გადახტა და გადახტა კვალდაკვალ შვლებისკენ.

რქიანი ჰაერსა ჰსუნავდა, რომ ერთი უცებ შეხტა და სამი თავდაყირა თავდაღმართზე გადაიარა, მაგრამ, მარდმა ფეხებმა არც აქ

ულალატეს,—ერთ წამს, ერთს თვალის დახამხამებაში ისევ ფეხებზე დადგა, თვალი მოჰკრა, რომ იმისი ამხანაგი ველზე გადახტა.

— მუხიანზე, მუხიანზე! დაღმა ცერად! — მიაძახა რქიანმა და თან თვითონაც ცდილობდა მარჯვე საფრენისკენ გადამხტარიყო, მაგრამ ერთი მგელი სწორედ იქ ამოჩნდა, საითკენაც აპირობდა. მეტი ღონე აღარ იყო, უნდა ჩრდილოს ფრიალო ფერდობზე დაშვებულიყო, სადაც ადგილზე მეტი თოვლი იდვა. გადახტა რქიანი, მიჰყვა მგელიც. იმ დაღმართზე და ღრმა თოვლში რქიანი სულ ცხრა ადლზე ფრინავდა. დაბალ ბუჩქებს და კუნძებს თავზე გადაევლებოდა. მგელი ერთი ნახტომით მოისხლიტა. მშიერმა მგელმა ვერ გაჰკრა კბილი, მაგრამ რაკი ჰხედავდა თვალით, რას მოეშვებოდა! ფერდობი თითქმის ჩამოათავეს. რქიანს ერთი ნახტომიღა აკლდა და ხევში გადახტებოდა, რომელზედაც დიდი საშეშე გზა მიდიოდა ზევით სულ მთის კუდამდე და ქვეეით სოფლის შარამდე. რაკი ხევში ჩავიდოდა, ან აღამა წავიდოდა, ან დაღმა. ამ ორს ფიქრობდა რქიანი. რომ უცებ ბეგს წაადგა ხევისკენ გადაკიდებულს. გაზაფხულზე მოვარდნილს წყალს ძირი გამოეთხარა ფერდობისათვის და რაც ოცი ადლის სიმაღლეზე კრიახ კლდეს მიწა ჰკვროდა და ხეები და მცენარეები მდგარიყო, სულ ჩამოზვავებულიყო, წყალს წაეღო და ახლა ტიტველი ფეხმოუკიდებელი ბექი იდგა. რაღა დროს ფიქრი იყო, იშვირა რქიანმა ფეხები და გადაეშვა ძირსა. რქიანი მთლად თოვლმა დაფარა, თითქმის თავზედაც კი გადაეყარა. „ეგ არისო, — იფიქრა, — ახლა კი დავრჩი ლუკმად მგელისაო. ვაჰ, თუ ფეხებმა მიღალატესო“, მაგრამ იმისთვის არც ახლა და არც წინათ ფეხებს არასოდეს არ ეღალატნათ. ამ ფიქრს თვითონაც თან ამოჰყვა რქიანი და გადახტა გზაზე. ამ დროს რქიანის ზემოთ თოვლიდან მგელიც ამოძვრა და შველი სოფლისკენ დაეშვა.

* * *

ჰყეფენ სოფელში ძაღლები; ერთი ამბავი, ბრძოლა და გნიასი აქვთ. კივიან კაცები. შეშინებული ძაღლები კარებს მისწოლიან ზურგით, თან აწვებიან, უნდათ შეამტვრიონ, შევიდნენ სახლში, თან იყეფებიან, ეგები პატრონმა გაიღვიძოს და გამოგვეშველოს მაინცაო. მაგრამ პატრონი ყურს არ იბერტყავს, იცის, რომ საიმისო არა უჭირთ რა.

დალოცვილი ძაღლი ჭრელია კი მგლებს ორს ვერსზე გაჰყოლია. იმას მგლები ვერაფერს უზამენ, ბევრჯელ შემოერტყნენ ალყად გარსა, მაგრამ გადაახტა თავზე და გამოექცა. ერთ მგელს ხო არ გაუშვებს ცოცხალს, მაშინვე დაახრჩობს. იმის პატრონს მწარიას ბევრჯელ გაუყიდნია ჭრელიას დახრჩობილი მგლის ტყავი კახეთს ძროხაზე.

ახლაც მწარია ამდგარა, აუნთია ცეცხლი, გაუღია კარები, რომ ძაღლი სინათლეს ჰხედავდეს პატრონის სახლში და გულადად იყოს.

— ძალიან შორს გაჰყვა ჩემი ჭრელია, — სთქვა მწარიამ, — მგლებმა კი არ დაიჭირონ. — მაგრამ პასუხი კი არავის მიუცია, რადგან მარტო იმას ეღვიძა. შებრუნდა სახლში, დაჯდა კერასთან და დაუწყო ჭრელიას ლოდინი.

* * *

ამ დროს რქიანი, ორი მგელი და ძაღლები საყანურებზე ამოვიდნენ. დაღალულა რქიანიც, მაგრამ არც მდევრებია დასვენებულნი. მუდამ წამს ელის რქიანი გაგლეჯასა და გულმწუხარე იგონებს თავის ტოლსა. „ვინ იცის, ის გაგლიჯეს კიდეც, იმისი ძვალიც აღარსად არის, მე კი ცოცხალი ვარ და სიკვდილს გავურბივარ, რაღად მინდა უმისოდ სიცოცხლე. იმასა სჭამენ, ვინ იცის და მე კი ვერა ვშველიდე. ეჰ, შემჭამონ, შემჭამონ ბარემ, რაღათა მტანჯავენ“.

ამ დროს შენიშნა მწარიას სახლის კარებიდან ნათელი. გრძლად სვეტად გამოწოლილიყო ბნელს ღამეში თეთრი სინათლე თეთრს თოვლზე, თითქოს გაჭირვებულს ხელს უწვდისო. „სინათლისაკენ, სინათლისაკენ!.. ის მიხსნის, იქ არის ხსნა. — გაუელვა რქიანს აზრმა. — იქითკენ, იქითკენ!“.

ფეხები თითქო არ ემორჩილებოდნენ საიქაოდ, მაგრამ თვითონ დეზად იქითკენ გასწია. იქ კაცი ცხოვრობს, ის მგლებს არ შემაჭმევს, დამიხსნის ამ მოსისხლეებისაგან. რაც უნდა იყოს, ის კაცია, ადამიანი, მგელი ხომ არ არის, მიშველის.

— ვენაცვალე შენს მოსვლას, აბა ბედიც ამასა ჰქვიან, — შესძახა გახარებულმა მწარიამ და გადუსვა კისერზე ხანჯლიანი ხელი. დაღალულა, არ მოკვდეს და გაუყარა ყელში ხანჯალი.

რქიანს ოფლიან ყბებზე ჩამოუგორდა ცხელი ცრემლები და უსულოდ წაიქცა კერაზე.

[1894 წ.]

მელიას ხრიკები

კვრინჩხიან გორაკზე, ხევის პირას, ამოეთხარა მელიას სორო. სოროს კარები შიგ ბექში იყო და ზედ კვრინჩხისა და ეკლის ბუჩქები ჰქონდა წამოფარებული. ეშმაკი მელია მოუფიქრებლად არაფერს გააკეთებდა. თავიდანვე ჰქონდა ყველაფერი მოფიქრებული და მოსაზრებული. მართლაც და იმის სოროსთან ძნელად თუ ვინმე მიაღწევდა, გასაქცევი გზაც სულ ეკლებში ჰქონდა. ყველაზე მეტად ძაღლებისა ეშინოდა. მელიამ ისიც იცოდა, რომ ამისთანა ეკლებში ძაღლი თან ვერ შეჰყვებოდა.

მზე ჩასვლაზე იქნება. ფრინველები იბინავებენ. მენახირეები ნახირს სოფლისკენ ძოვნით მოაყოლებენ. მინდორი თანდათან მშვიდდება.

მელიას გამოეღვიძა თავის სოროში, თვალები მოიფშვნიტა, წამოჯდა, კუდი ქვეშ ამოიდო.

— გიშველა ღმერთმა, ჩემო კუდო, — ეუბნება კუდს მელია, — რა მასიამოვნებელი მყევხარ. როგორ რბილად ვზივარ შენზე, მგონი ბალიშიც არ იყოს შენსავით რბილი, ბუმბულის დორიც ვერ მოვა შენთან. ცოტახანს კიდევ მასიამოვნე, მერე კი ვინადირთ და ეს ჩვენი სახლი სულ ბუმბულით დავაგოთ. არ მოითელო კი, და არ დამღუპო და დამანელო. აბა ავდგე, ერთი გნახო ისევ ისეთი ლამაზი

და ფაფუკი ხარ, როგორც აქამდე, თუ გაიქუცე; ეს ოხერი ზაფხულის მოსვლა შეგათხელებს ხოლმე.

მელია წამოდგა, კუდი უკან გაიშვირა და სიამოვნებით ზედ გაიხედა.

— ფოლს არა ჰგავს! რა კარგი რამ არის! ვის ექნება ამისთანა კუდი?! კვერნასა?! — ხა, ხა, ხა, ხა!, — გადიკასკასა მელიამ, — საცოდავი კვერნა. მე რომ იმისი ვიყო, იმ კუდს კი არ ვატარებ. რა ექნა რო ლამაზია, იმის მტერი ის არის. იმ კუდისათვის არ უმწარებენ დღესა?! სიკვდილი რომ თან არ ატაროს, მოიჭრას და გადააგდოს რა! შენ არა ხარ ჩემი მტერი, განა კუდო? შენ მარტო მემსახურები და ჩემს სიამოვნებაზე დგეხარ. შენს მეტი მოკეთე არავინა მყავს.

— მართალია, მართალიო, — ექნეოდა კუდი.

ამ დროს მელიას სოროში შემოპარული მზის სხივი მოჰხვდა.

— ჰერიჰაა, კარგა დამძინებია, მზე კიდეც ჩადის, საღამო ახლოა, საცაა გორას მოეფარება. აბა, ერთი გავიხედო.

მელია წამოდგა, სველი ენით ბეწვი გადისწორა, გადილოკა, ჰაერი დასუნა და ნელა-ნელა კარებისკენ გასწია, ფრთხილად თავი გარეთ გამოყო, მიიხედ-მოიხედა, ხევში ჩაიჭყიტა, გაღმა გაიხედა და რაკი მტერი არსად იყო, გამოძვრა.

— მშიან, მშიან, — ამოჩხაოდა მუცელი...

— არ იქნა, ვერ გაგაძღე, შე ღორო, — უთხრა მელიამ.

— მშიან, მშიან, — თრთოდა მუცელი.

— ქვა მაინც ჩავყლაპო, ვერც მაშინ გაძღები, იმასაც მაგრე ჩქარა მოინელებ. შე გაუმაძღარო?!

— ძალიან გავსუქებულვარ, — თქვა მელიამ, — აბა, ერთი გადავხტე.

მელიამ ისკუპა, რუს მეორე ნაპირზე გადახტა.

— ყოჩაღ, კარგა შორს გადმოვხტი! კუდო, რუში კი არ ჩამაგდო, რა უკან მეწევი?

მელიას ფეხის ქვეშ რაღაც გაჩუჩუნდა. მელია გვერდზე გადახტა, მობრუნდა, რამ შემაშინაო.

მელიის ნაფეხურში მსუქანი კუტი კალია წამოდგა, ფეხები ააყუდა და მძიმედ გადასკუპდა.

— აბა, ერთი კიდევ გადახტი! — მიაძახა მადაალძრულმა მელიამ, — რა უშავს ჩავახრამუნო ეს ხტუნია, შეწვა არ დასჭირდება.

— კალიავ, შენ რო შემაშინე, მეც უნდა შეგაშინო, აბა, ერთი დადექ!

მაგრამ კალია რას დაუდგებოდა. შეშინებულ-შეძრწუნებული მწერი მიხტოდა და სულ ყირა-ყირა გადადიოდა.

— ხა, ხა, ხა! ცხენი არ დაგივარდეს, ცხენი. — ხარხარებს მელია და თან მისდევს კალიასა.

გულგახეთქილი ხტუნია სულ გადირია. მელიას კბილებში გრძნობს თავსა.

— გეყოფა ხუმრობა, დადექ! —და ჩაარტყა მელიამ თავში ტოტი.

მერე აზიზად წინა კბილები მოჭიდა, კალია საცოდავად გაიზმორა.

— მოიცა, შენ ისევ ცოცხალი ხარ? — მელიამ ისევ ძირს დასვა.

იგრძნო თუ არა თავისუფლად თავი, კალია გადახტა, მელიამ ჩაარტყა კიდევ თავში. ასე ახტუნა კალია, სანამ საცოდავი გვერდზე არ შემოწვა, ფეხები გაჭიმა და ორ ულვაშსღა ანძრევდა.

— გეყოფა თამაშობა, — თქვა მელიამ, ჩაიდო პირში და კამფეტივით ჩაახრამუნა.

— ეგ შენ, შავო მუცელო, არ გეყოფა?

— არ მეყოფა, არ მეყოფა, — შემოჩხაოდა მშიერი მუცელი.

ამრიგად შეჰყვა მელია რუს პირას. კალიები და ჭიები ბლომად ჩაალაგა თავის ტიტველ გუდაში, ახლა პირის ჩაგემრიელება მოუნდა.

— ბორა ხომ არა ვარ, სულ კალიები ვჭამო, ქა, პატარა პირიც რითიმე ჩავიგემრიელო!

მიდის მელია, ჩირგვებში და ბუჩქებში იხედება. თაგვის სოროებსა ჰსუნავს. უცებ ცხვირში სასიამოვნო სუნი ეცა. პირში ნერწყვი მოადგა.

ჯაგებში ნარის ჩიტი იჯდა და იქექებოდა.

— რა კარგი იქნება მაგისი საწიწკარა! მე ვიცი, ძვალის ჩაკვნეტა გამიჭირდება. ვეცადო!

ეპარება მელია. ნელა-ნელა მიცოცავს. მიწაზე წვება, კუდს მიათრევს, ბალახებს ეფარება, თან ჩიტს თვალს ვერ აშორებს.

ჩიტი მობრუნდა, ორჯერ-სამჯერ ბოლო დააქნია, როგორც კაცები თითს დაუქნევენ ხოლმე ცელქს ბავშვსა, — ქურდო, ქურდო! სად მიდიხარ! მოვიდა მელია, გაიგეთ, თვალები გააჭყიტეთ.

მელიამ სული გატვრინა, გაინაბა. არ შეჰხედა ჩიტსა, თითქო არ ესმისო.

შეშინებული ჩიტი უფრო მაღლა შეხტა. თან რაღასაც წრიპინებდა და ჯავრობდა. ჩიტმა რაკი ნახა, რომ მელია იქ ვეღარ შესწვდებოდა, არხეინად წამოყუნტდა.

რამდენჯერმე შეჰხედა კიდევ მელიამ ჩიტსა, კბილები დააკაწკაწა და სირცხვილიანი გაიპარა.

— ეჰ, ისევ კალიები, თორემ ჩიტი საშენოდ რას გახდება! თუ მაგისი ბუდე ვიგდე ხელში, მე თვითონ ვიცი, — ფიქრობდა მელია.

ალეგის ღამე

— საღამო მშვიდობისა, ნათლიდედ, რას დაფიქრებულხარ, ქვეყნის ვალს ხომ შენ არ გთხოვენ, — ეუბნება მაჩვი.

— გმადლობთ, ჩემო დაო; არაფერსა, ისე რაღა.

— მაინც ღმერთმანი, სად მიდიხარ?

— შენთან მოვდიოდი, პატარა პიტნის შეჭამადი მასესხე.

— აი, შე ეშმაკო მელიავ, რას დამცინი. მე რომ ბალახ-ბულახის ძირებსა ვჭამ, აკი ქურდსაც არავინ მეძახის! მოდი, შენც ჩემ რჯულზე დადექ. ბალახი მუდამ არის. ჭამას შეგაჩვევ, მშიერი ერთხელაც არ დარჩები. არც არავინ დაგაყვედრებს.

— არც უიმისობაა, შენმა გახარებამ, ქალო, ქვეყანა წახდა, ხალხი გაეშმაკდა, აღარავინ რად გვაგდებს, წეღანაც ერთმა სკინტლიანმა ჩიტმა მასხარად ამიგდო. სისხლი ყელში მომადგა, მაგრამ რას იზამ. ამალამ კიდევ მივივლ-მოვივლი, მივიცუნცულ-მოვიცუნცულებ, ეგება ერთხელ კიდევ გავიწითლო კბილი, მერე კი აღებას დავიყენებ, შენსავით სულის საქმეზე დავდგები.

მზე ჩავიდა. სინათლე ქვეყნიდან სულ ერთიანად აიკრიფა. მხოლოდ ცოტაოდენი ცასღა შეჰრჩა. ხმელეთი ბნელი დარჩა. ფრინველები ხეებზე შესხდნენ, ნახირი და ღორ-ხბო სოფელში დაბრუნდა, ღამის ხარი მეხრეებმა ჭალაში დაყარეს. მარტო მხიარული ბაყაყების გაუწყვეტელი „როტოტო“ ისმის და ჩვენი მელიაც ამ გალობის

ზმაზე ქეიფობს. ერთადერთი მფლობელი მინდვრისა ეს არის ამჟამად. კუდი კოხტად გვერდზე გადიგდო, ყურები მოიმახვილა და გადუარა ყანებს საქცევებზე, ბევრი თაგვი ჩაახრამუნა ძვალტყავიანად, მწყრის ბუდიდან კვერცხები ამოსანსლა.

— ვერც ახლა გაძღა მელიას მუცელი?

— როგორ არა, გაძღა და ძალიან ბარაქიანადაც გაძღა.

მელიამ მუცელში თითქმის სიმძიმე იგრძნო.

— ახლა ამ გამაძღარ მუცელზე რო მწევრები წამომაწყდნენ, ჩქარა კი მომანელებინებენ, — ფიქრობდა მელია, — მგონი კუდიღა დარჩეს უმელიოდ... ეჰ, რა ოხერი გოგრა მაქვს, ვინა ჰკითხავს, მწევრები მომაგონეო, გუნებას რაზე ვიხდენ, ის ვიფიქრო, წელან ლიაში როგორი მსუქანი იხვები დაცურავდნენ, ოქროსფრად რო გაჰქონდათ ბრჭყვიალი. კინაღამ თვალებით დავბრმავდი, ცხვირწინ რო იმოდენა მწყერი ამიფრინდა. ფუი! რა ფისი ამეკრა თვალებზე, რომ ვერ დავინახე. მერე ამ ჯეჯილობაში რა მსუქანი იქნება, სანამ კრუხად დამჯდარა. სწორედ სულელი ვარ, მწყერზედ კარგს რასა ვეძებ!

ს ტ უ მ რ ა დ

— რა ჰქენ, დობილო, ვერ გასძელ, რომ აღარ გშიან? — ჰკითხავს მაჩვი.

— ქა, შენ აქავე ხარ? რაც მე წაველ, მგონი მას აქეთ სულ აქ დგეხარ და ძელი.

— მოდი, მელიავ, დავსხდეთ, ვილაპარაკოთ. მეც მარტოკა ვარ, მოწყენილი, სად გავერთობი! ჩემი ამბავი ხომ იცი, შენსავით მარდი ფეხები არა მაქვს, სოროს ვერ გავცდები. პატარას თუ გავივლ-გამოვიელი, მაშინაც შიშითა და კანკალითა. ეს ოხრები, ძალიან მოკლე ფეხები მაქვს, კაცი ფეხდაფეხ დამიჭერს, ძაღლს კი, აბა, სად გავეხვეწები. კიდევ კარგი, ჩემი ხორცი არ იჭმება, თორემ ჩვენი გვარეულობა სულ ამოვარდებოდა. არც ტყავი მაქვს ძვირფასი. ჩემი ტყავი მარტო თოფის ჩულებისთვის არის გამოსადეგი, ღირს კი იმისათვის მომკლან?! გამიგონე, მელიავ, აქ დარჩი, ბალახ-ბულახი ბევრია, მაჩიტას და თეროს ძირს არ მოგაკლებ, არ მოაკლდეს დღე ჩემს დაზრდილებს. მეზობელიც კარგი მყავს; აქვე ჩემს ახლო ერთ ჩხიკვს აქვს ბუდე; ტყიდან ჩამოსულა და აქ ეკლებში ჩაბუდებულა. როცა შენ

არა გხედავ. ჩემი სიხარული და გამმართობელი ის არის. რაც უნდა ღაღონებული ვიყო, გულიდან სევდას გადამყრის. ლამაზიც ძალიან არის. სულ ნაირნაირ ხმაზე ლაპარაკობს: ხან კრუხივითა ჩხავის, ძერასავით წივის, კატასავით კნავის, ან ძაღლივით ჰყეფს და მამალივით ყივის. თქვენ რო გაგაცნოთ, უეჭველად დამეგობრდებით; ისიც ეშმაკი, შენცა, ორი ეშმაკი ქვეყანას ამოაგდებთ. მე კი აქ ველარ დავდგები მაშინ. ეს არის, რომ ჩემი ხორცი არ გამოგადგებათ და ტყავი. კვერცხს მე არ ვდებ, თორემ არც მაგრე ადვილად დაგიმეგობრდებოდი. ხვალ საღამოზე ამოიარე, ჩხიკვიც შინ იქნება, ეგებ იმანაც თავისი თავგადასავალი გვიამბოს, ტყიდან აქ რამ ჩამოაგდო, თუ მაგის თავს არაფერი საქმე იყო.

— უნდა წავიდე, თორემ საცაა გათენდება. ღამე მშვიდობისა, ქალო!

— დილა სიხარულისა, გეთაყვა. აბა, როგორც გითხარ, არ დაივიწყო, ხვალ საღამოთი ამოიარე, ვილაპარაკოთ.

— კარგი, კარგი, ამოვივლი.

ნაცნობი

— რამდენი რამე გადამხედია... ერთი წისქვილი არ მობრუნებულა ჩემ თავზე, თორემ სხვა ყველაფერი გადავიარე, — უამბობდა ჩხიკვი მაჩვსა და მელიასა. მელია კუნკუხოზე იჯდა, მწვეტი ცხვირი ცოტა აღმაცერად ჰქონდა აშვერილი, ხან ერთს გვერდზედ დაჰხრიდა ყურს და ცერად შეჰხედავდა ჩხიკვსა, ხან მეორე ყურს ჩამოჰხრიდა და ახლა აქედან შეაცქერდებოდა. — შვინდის ტყეში ერთი მუხა იდგა. იმ მუხას შემოდგომაზე ფოთოლი არ ცვივოდა, ზედვე ხმებოდა და ზამთარშიაც ისე დაბურული იყო ხოლმე, როგორც ზაფხულში. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ზაფხულში მწვანე ფოთლებით დაიბურებოდა, ზამთარში კი ხმელი ფოთლებით იფარავდა სიცივისაგან თავსა. ზამთარში ეს მუხა კაი სახლსა ჯობდა. შევძვრებოდი შიგა, ზევიდან თოვლს არ უშვებდა და გვერდებიდან ქარსა. ვიჯექ მყუდროდ და ვთბებოდი, როცა გამაძღარი ვიყავ და საშოვარზე არ ვიყავ წასული. სოფელიც ძალიან ახლო იყო. ზამთარში იქიდან გამოვდიოდი იოლად, ნეხვსა ვქექდი, ბზეში მიყოლილ მარცვლებს ვეძებდი, ნამცეცებსა ვკრეფდი; ღმერთმა უშველოს, მშიერი არა ვკვდებოდი. თუ

საფქვავს გაფენდა ვინმე, მაშინ ხომ ჩემი აღდგომა იყო, ჩავიპარებოდი, დავჯდებოდი ფარდაგზე და რაც შემეძლო ვყლაპავდი და ვყლაპავდი წითელ პურის მარცვლებსა, თეთრს ქერსა და ყვითელს სიმინდსა. სიმინდი კი მერჩივნა ყველას, ნამეტნავად როცა ნედლია, რა შეედრება.

— რა ჭრელია ეს ჩხიკვი, — უცქერის მელია და ფიქრობს, — ცისარტყელასავით მხრები რომ აქვს, ჩემს სოროს როგორ მოუხდება! ხორცი კი მშლე ექნება. საჭმელად არ ევარგება, ფრთები კიდე, ჰო! — ფიქრობს კუდგრძელა და თან ჩხიკვისკენ მიექანება. რამოდენიც მელია იმისკენ მიიწევს, ჩხიკვიც უკან დგამს ფეხებსა.

— რა ეშმაკი რამ არის ეს ჩხიკვი, აბა თუ ერთს ადგილზე გაჩერდეს, იქნება ახლოს მინდა მაგის ქულაჯის გასინჯვა. რა უკან-უკან იწევს. ეშმაკი რო ყოფილა, იმიტომაც აქ წამოუბრძანებიათ.

— რა მსუნაგი რამ არის ეს მელია, მისგან კარგი არა გამოვა რა, მაგრამ ბებერს მგელს რას მოატყუებს! — ფიქრობდა ჩხიკვი.

— მერე, ჩხიკვო, მერე, მამა გიცხონდა, გვიამბე, გვიამბე, ქათმები ბევრია იქითკენ, თუ არა?

— ბევრი, ბევრი, კვერცხები სულ ხეებქვეშ აგროვია, კრუხადაც იქვე სხედან.

მელიას პირში ენა კინაღამ გაუდნა ნერწყვისაგან.

— კურდღლის ბაჭიებიც არის, ჩხიკვო? ძალიან ეშმაკებია თუ არა?

— კურდღლის ბაჭიებს ფეხს ვერ აუქცევს კაცი, ბევრს ბრუციანს ბაჭიას ჩავარტყი ჩემი ბოკვი ნისკარტი გამოყეყეჩებულ კოფხროლიაში (თავში).

— მაშ იქითკენ რომ წამოვიდე, მგონი მშიერი არ მოვკვდე, — ეკითხება აღტაცებული მელია.

— მშიერი? იქაური მელიები სიმსუქნით კუდებს ძლივსღა ათრევენ. თუ არ მსუქანი მამალი, არც კი იკადრებენ.

— ნამდვილად წავიდეთ, ნამდვილად, მინდა ერთი ვნახო, როგორი ქვეყანაა...

— მეც გულით მინდა წასვლა, დამენატრა ყველაფერი; ვნახოთ, ღმერთი რა წყალობას მოიღებს... ჰო, იმას გიამბობდით, მუხაზე ბუდე მქონდა. ჩემს ირგვლივ შვინდებზე შაშვებსა ჰქონდათ ბუდეები.

როცა კრუხად ვიჯექ, შორს წასასვლელად არ მეცალა, ავდგებოდი, ჩავეპარებოდი შაშვის ბუდეს და რასაც შიგ კვერცხს მოვასწრებდი, ვჭამდი. მერე გამოვიპარებოდი და ჩავჯდებოდი ჩემს ბუდეში. მოვა პატრონი, ჰხედავს: აღარსად არის კვერცხები, იქით ეცემა, აქეთ ეძებს, რა დაგიკარგნია, რას ეძებ? კბილებს ხომ ვერავის გაუსინჯავდა. ჩამომივლის გვერდზე, მეძახის:

— ბოლოჭრელო, ჩემი კვერცხები ამოუსანსლია ვიღაცას, ხომ არავინ გინახია?

— უი, ჩემს თვალებს, რა უბედურება მოგსვლია, ვინ იქნებოდა ის თვალდამდგარი, ვინ იცის, ან კვერნა იქნებოდა, ან ციყვი, აბა, შენ იმათ რას გამორჩები, ვინ იცის, სად გაძვრნენ. ვეღარას უშველი, ისევ ისა ჯობია ხელმეორედ დაიბუდო, კვერცხები დადვა, იქნება ღმერთმა გიშველოს, ბუდის მოშლა კი აბა რა ხელს მოგცემს, დაგიგვიანდება, ბარტყებს ვეღარ დაზრდი, — ვეუბნები მე. —

მეორე დღეს ახლა სხვა ბუდეს დავხედავ, იქიდანაც ამოვალაგებ, ვნახავ, საღამოთი ერთი ჭყრიალი და ჭახჭახი დგას, კითხულობენ კვერცხებსა. კარგა ხანსა ვჭამე იმ შაშვების კვერცხები: მოვსუქდი, კრუხობა ვის ეტყობოდა, მაგრამ ბოლოს კი ამომაშხამეს ჩემი ოინები.

შაშვები ძალიან შეწუხდნენ, ვერც ბარტყები დაზარდეს, ვერც ქურდი იპოვეს; შეყრილან ერთად და გადაუწყვეტიათ ბუდეებს უყარაულონ, რომ ქურდი თხლეზე დაიჭირონ. ზოგი ღრუში ჩამჯდარა, ზოგი ფოთლებში შემძვრალა და იქიდან ელიან ქურდსა. მე რა ვიცი, ბოლოც კი არავის უჩანდა. შუადღის გულზე ამოველ ბუდიდან, გავიბერტყე, გავისწორე ფრთები, ერთიც დავიჩხიკვინე და გავსწიე შვინდიანში. ვესტუმრე ერთ ბუდეს, ცარიელია, არც კვერცხებია, არც პატრონი. ეჰ, აქ აღარ დაუდვია იმ უგნურს, ვინ იცის, სად გაიკეთა მეორე ბუდე. ვესტუმრე მეორეს — ჩავიხედე, ერთი კვერცხი გდია; ეჰ, ეს არაფერია, ვიფიქრე, გავცდე, სხვაგან ვნახო! არა, მითხრა მუცელმა, ეგ ერთი აქ შეჭამე და მერე სხვაგან წადი.

ჩავხტი ბუდეში და ვსტაცე ნისკარტი კვერცხსა. დახე ჩემს სისულელეს, აქეთ-იქითაც არ ვიხედები.

უნდა ამოვსულიყავი ბუდიდან, რომ ჩემს თავზე საშინელი გაბმული ჭახჭახი მომესმა და ერთი ყვითელნისკარტიანი შაშვი დამეტა-

კა. მკრა კლანჭები და ჩამინისკარტა. ცოტა არ იყოს შევკრთი. ვეღარც გაფრენა მოვახერხე, ვერც კვერცხი დავაგდე. არ მინდოდა ხელცარიელს წასვლა და შაშვიც მკენკავდა. ბოლოს როგორც იყო გონს მოველ, ამოვხტი და მოვცხრილე ხმაამოუღებლივ. მომდევს უკან შაშვი, ჭყივის, ჭახჭახებს, მსკერტავს და მკენკავს. ხან შვინდებში შევძვერ, ხან ჩირგვებში შევიმალე, მაგრამ არ მეხსნება, მომდევს უკან, ვუვლით ირგვლივ ტყეებსა. არ ჩამომეხსნა და არა. რო ვეღარაფერი გავაწყე, ისევ ბუდისკენ მოვკურცხლე. გავექანე და ფხაჭა მოვიღე. კვერცხი ბუდეში ჩავაგდე, ნისკარტი გავაღე და მხრებგაშლით შევუტიე ურცხვ შაშვსა. სიკეთე მოგეცესთ, მაშინ კი იკადრა უკან დადგომა; იტრიალა, იტრიალა, ხან იქით დაჯდა, ხან აქეთ; რაკი ვეღარ წამართვა კვერცხი, გასწია ჭახჭახით ტყისკენ.

ვიჯექ ბუდეში და ყურს ვუგდებდი. რაღა დავმალო, კვერცხი აღარც კი მახსოვდა. ამ ერთმა შაშვმა როგორ შემაშინა-მეთქი, ვჯავრობდი. ვუგდებ ყურს და ერთი გასტვენ-გამოსტვენა, ჩხიკინ-ფრიპინი მოისმის; ხის ფოთლებში ხრიალ-ფრთხიალი დგას. რას ვიფიქრებ, რა იქნება, რამდენი იმისთანა შემიჭამია, გაუგიათ კიდეც, მაგრამ შაშვს ჩემთვის ყურებზე ხახვიც ვერ დაუჭრია. ეხლა რაღა ნისკარტს მომტეხენ-მეთქი. რაღაც ამბავი კი უნდა იყოს-მეთქი, ვამბობ. ისეთი ხმაურობა იდგა, გეგონებოდა, ტყეს სულ ნისკარტები გამოსხმია და ჩემზე მოდისო. შევხედო, თავზე ერთმა შაშვმა გადამიარა და იქვე ახლოს დაჯდა. ამას მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე, მესამეს — მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე, მეცხრე და ვინ მოსთვლის. აივსო მიდამო შაშვებითა; შავად დაიბარდნა მუხები და შინდები. ტევა აღარ არის. შავმტევნებივით ახუნძლიან.

— ერიჰა�ა, — როგორღაც საწყინარმა ხმარმა მითხრა,—თუ თავს არ ვუშველე, ცუდად არის ჩემი საქმე; გული შემეხუთა, გაღებული ნისკარტი ჩამომვარდა, კლანჭები დამიდუნდა, კისერზე ბუმბული ამეშალა. შაშვებმა ცოტა ხანს ილაპარაკეს რაღაც, მერმე ერთბაშად აიშალნენ და დამესხნენ თავსა; დამიწყეს გლეჯა, წეწა და ფლეთა. ვუძლე, ვუძლე და ვეღარ გავუძლე, ამოვძვერ ბუდიდან და დავეშვი დაბლა, გავეკარ მიწის პირსა. გავძვერ და გამოვძვერ ხეებში. მომდევს ამოდენა შაშვის გუნდი, მგლეჯენ, მცემენ, ჩემი ბუმბული აქა-იქ ხეებსა და ბალახებში მოიფინა. მდიეს, სანამ არ დაბნელდა,

სანამ თვითონაც არ დაიღალნენ, მერე ჩამომეხსნენ. იქ რაღა დამაყენებდა, ავდექ და აქ გადმოვსახლდი. სადღაა აქ ის ცხოვრება, გავღარიბდი, გავღატაკდი, გავხდი, სულ ძვლები მიჩანს. სადღაა წინანდელი პირის პატივი. კვერცხებს ვინ იტყვის, ხილიც კი დამენატრა. სად ალუბალსა ვჭამდი, სად ბალსა და ყოლსა. ახლა ბალახის თესლით უნდა ვირჩინო თავი და კალია-ჭიებითა. მერე ბუდეც ასე დაბლა მაქვს. ყველასი მეშინიან. შენ კი დაგიძმობილდი და იმედი მაქვს მელიები შენის შიშით ვერას გამიბედავენ.

მ ა რ ხ უ ლ ი

ჩხიკვმა ბევრი სხვა რამე ილაპარაკა, მაგრამ ჩვენ აქ ყველას ვერ დავწერთ, ბევრი მოვა, „ჯეჯილში“ არც კი დაეტევა, ამხანად ესეც კმარა იმის გასაცნობად. ხოლო ამ ლაპარაკში კარგა ღამე გავიდა, მელიას მოჰშივდა. ჩხიკვსაც კვერცხები გაუცივდებოდა.

— ღამე მშვიდობისა, მეზობლებო, თუ ბუდეს არ მივხედე, კვერცხები გამიცივდება, უნდა წავიდე. თქვენც მოგშიოდათ, მგონი უნდა ინადიროთ, — წამოდგა წასასვლელად ჩხიკვი.

— რას მიეშურები, შე კაი კაცო, მოგბეზრდით, თუ რა არის? პატარას კიდევ ილაპარაკებდი, მაგისთანა ენაწყლიანი ყოფილხარ. ვინძლო არ დაგვივიწყო და მარტო ამ ამბავს არ დაგვაჯერო,—მიაძახა მელიამ.

— ძილი ნებისა, ბოლოჭრელო! გიშველოს ღმერთმა, რომ მაგრე შეგვაქციე, — უმადლებდა მაჩვი.

— რას გაცქერიხარ, მელიავ, ჩხიკვის კვალსა, წავიდეთ, ვივახშმოთ, მსუქანი თეროები[1] ვიცი, გემრიელად შევექცეთ.

მელია ჩხიკვს უთვალთვალებდა, თვალი არ მოაშორა, სანამ არ დაინახა, სადაც ჩხიკვი შეძვრა.

— ჰო, ძალიან პატიოსანი, — თქვა მელამ, — დახე მაგ ეშმაკს, როგორ ეკლებში გაუკეთებია ბუდე. მაგ კუნელს კი ადვილად დავიასომებ.

მაჩვმა და მელიამ ვახშმის მისართმევად გასწიეს.

ჩაუარეს ხნულის პირებს. მაჩვი მადიანად შეექცეოდა მრავალ-

---

1 თერო ერთნაირი მცენარეა, კარტოფილივით ძირი აქვს ტაბილგემოსი.

ძარღვასა და ყინტორას[1]. ფეხებითა თხრიდა, კბილებით ამოკვნეტდა ზოლმე. მელიაც თან დასდევდა.

— მიირთვი რამე, ქალო, მადას ნუ დამიკარგავ; შეექეც, აჰა, ეს თერო მიირთვი, — თავაზობს მაჩვი.

გამოართვა მელიამ, აზიზად მოსჭიდა პირი, მოუჭირა კბილები, ორად თუ სამად გაკვნიტა და ისევ გადმოყარა.

— ფუი, ფუი, გაურეცხავი რო არა ვჭამო, რა ძალა მადგია!

— შენ სულ მშიერი დარჩები, ჩემო დობილო; ახლა გასარეცხად სად უნდა ირბინო?

კარგა ხანს ისმოდა მაჩვის კბილების ხრამა-ხრუმი, მელია სხვა ფიქრებში იყო.

— ვერ გაძეხი? წამო, დავიძინოთ, მაჩვო, ცოტა როგორღაც გუნება შემეკრა.

მაჩვი კარგად გამოძღა და მელიას რაღას აწყენინებდა.

— წამოდი და დავიძინოთ, მაგრამ შენ რომ მშიერი დარჩი!

— რა უშავს, ერთი ღამის სიმშილი მუცელს არ გამიხვრეტს.

შამლის ყივილი მოტანებული იქნებოდა, როცა მელია და მაჩვი ბინაზედ მივიდნენ. მაჩვი სოროში შეძვრა.

— მელიავ, თუ გინდა, შენც სოროში შემოძვერ, არხეინად დავიძინოთ.

— არა, ნათლიდედ, ცოტა სიცხე მომცა, თუ ნიავზე არ წამოვწექ ვერ გავძლებ. შენ არხეინად დაიძინე, მეც მოვახერხებ როგორც იქნება.

მელია სოროს პირზე მწვანეზე წამოგორდა, თან ყური მაჩვისკენა ჰქონდა; დროდადრო სოროს ადებდა ყურსა; დაეძინა თუ ისევა ბორგავსო... მელიამ ორჯელ ჰკითხა კიდეც: გძინავს, თუ გღვიძავსო. „მღვიძავსო“, —უპასუხებდა მაჩვი.

— რატომ არ გეძინება, ქალო, ხომ არ გცხელა მა სოროში.

— ჰო, ცოტა ვერ მოვისვენე, რწყილებმა შემაწუხეს.

ცოტა ხნის შემდეგ მელიას ხვრინი შემოესმა სოროდან.

ზის მელია, მუცელი სიმშილით წიწკნის.

— ის ჩხიკვი ახლა ბუდეში იჯდება, — ამბობს მელია, — მაგრამ

---

1 ყინტორა თეროსა ჰგავს, მხოლოდ უფრო ტკბილია.

რა უშავს, თვითონ იმასაც ბუდეში დავიჭერ, ჩემს ბუდეს როგორ მოუხდება იმისი მხრები. ნეტა ამ მაჩვს სძინავს? რომ გაიგოს გამომიდგება; არ გამიშვებს. ისე უნდა მოვახერხო, რომ არც ჩხიკვმა გაიგოს და არც მაჩვმა.

ჩხიკვმა რომ გაიგოს, მშიერიც დავრჩები და შევრცხვები კიდეც-რომ შევჭამო კი მუცელში ვერაფერს იფიქრებს. ახლა კი იტყვიან, აი, როგორი დაუნდობელი და გაუტანელი ყოფილა, ერთი დღეც ვერ დაგვინდოვო. დავანებო თავი და ისევ კალიებს ჩავუარო?! მუცელი კი ამოიყოროს და რას დავდევ.—აქ მელიას ხორცის გემო გაახსენდა, რამდენი დღეა ფრინველის ხორცი არ უჭამია, დაენატრა.

— მაჭამე, მაჭამე, — წიწკნიდა მუცელი.

ადგა ნელ-ნელა მელია, თითის ფრჩხილებზე წაფოფხდა, სანამ კუნელთან მივიდოდა, ოცჯერ დაწვა და ადგა. ბოლოს როგორც იყო მიაღწია, შედგა. სული მოიბრუნა, ჰაერი ხარბად შეისუნთქა, დაისვენა, რომ დაღლილობას არ გაეცა და ხმამაღლა არ დაეწყო სუნთქვა. შეძვრა კუნელში და შეიხედა მაღლა.

— ოჰ, ღმერთო, ბუდე რა ახლოა, ზედ თავზე არის, ჩხიკვიც შიგა ზის. აბა, მელიავ, ეხლა შენ იცი, როგორც ყოჩაღად მოიქცევი. ერთი გაბედე და ჩხიკვი შენია თავის ბუდიანად. ეგ ქურდი შაშვის კვერცხებს რო ჭამდა, ახლა მე შევჭამო მაგისი კვერცხები!

ააპარა მელიამ ჯერ ერთი ფეხი, უნდოდა ბუდე ერთის ხელით (თათით) ჩამოეღო, მაგრამ ბუდე მაღლა აღმოჩნდა.

— არა, თუ უკანა ფეხებზე არ შევდეგ და ორივე ხელი არ ავყავ, ერთი ხელით ვერაფერს გავარიგებ. — ამ დროს მელიას კუნკუხოში ერთი საჩეჩლის კბილივით ეკალი შეერჭო. მელიას ძალიან ემწვავა: როგორც იყო მოითმინა, ხმა არ ამოიღო. სიმწარით კი ხელები ძირს ჩამოუშვა.

— არა, თუ უცებ პირი არა ვტაცე, შეიძლება ხელიდან გამისხლტეს. — მელიამ აპყო ცხვირი მაღლა; აქ რამდენიმე ეკალი შიგ რბილ ცხვირში შეერჭო. მელიამ სიმწვავით კინაღამ დაიყვირა.

მელიას ცხვირზე სისხლი ჩამოსდის, გულს მაინც არ იტეხს. „ვისაც თევზი უნდაო, ფეხიც სველი უნდაო". გაუჭირებლად რა მომივა! მერე ჩხიკვის ხორცი მამირჩენს, ფიქრი არ არის.

ბევრს ეცადა მელია, ძვრა ჯაგში, ეკლებისაგან სულ გაიკაწრა, გული მოუვიდა, როგორ თუ ამდენი იკაწრება და წყეული ჩხიკვი კი აქამდე ხელში ვერ იგდო.

— ერთი უცებ უნდა შევხტე და რაც იყოს, იყოს!

შეხტა მელია რაც ძალი და ღონე ჰქონდა. ამ დროს ჩხიკვმაც დაიფრთხიალა და გაფრინდა. მელა კი ბურთივით ეკლებზე შედგა, თვალში ეკალი ეძგერა და სიმწვავისაგან ისეთი დაიყვირა, რომ სოროში მაჩვს გამოეღვიძა. გამოვარდა მაჩვი და მაშინვე ჩხიკვის ბუდისკენ გასწია. ხედავს მელია მატყლივით ეკლებში დარჩენილა.

— ფუი, შეგირცხვა ნამუსი, უსირცხოვ, არა გრცხვენიან, აბა რა საქნელია, — მიაძახა გულმოსულმა მაჩვმა; — ახია შენზე, რომ არ ჩამოგიყვანო და ძაღლებმა გამოგწიწკნონ.

— მიშველე, მიშველე, — ყვიროდა მელა.

მაჩვმა უშველა. როგორც იყო გასისხლიანებული მელა ჩამოიყვანა.

— კიდევ იქურდებ? ხო ნახე, რო ღმერთი ქურდს არ შეარჩენს.

— რას მიბრძანებ, ნათლიდედ, შენს გახარებას, შენმა მზემა და ჩემი შვილების დღეგრძელობამ, მე თაგვს გამოვეკიდე, იმას შევყევ, თორემ აბა შენგან არ მიკვირს, იქ რა მიმიყვანდა მერე ნაცნობისა და მეგობრის ბუდესთან.

— მაშ, მაღლა რაღა გინდოდა, ეკლებში რო გაჩხერილხარ?

— ეკლები შემერჭო, სიმწვავით შევხტი, ჩემი თავი მინდორზე მეგონა, რაკი ბნელოდა, ვერაფერი გავიგე და აქ კი გავები!..

სვინდისის მხილება

— ეს ვერაფერი ნადირობა მომივიდა, როგორ შევრცხვი და თავი მომეჭრა, ფუ! — მოდიოდა მელია გზაზე თავჩაღუნული, მოსაუბრობდა და თან იფურთხებოდა. — ამისთანა დარბაისელი, მიღებული კაცი შევრცხვი, გავწბილდი. რაღად ვარგა მელია, რაღა ხმის გასაცემია. ლამის ბეწვები გაცვივდეს სირცხვილითა. აბა ამ ტიტველა მუცელმა რა მიყო, ამიტომ არის ნათქვამი: „მძიმედ იყავ, წონაში მეტი მოხვიდეო“. მე კი ასე გავიმსუბუქე თავი. რა გინდა შენ, ჩემო თავო, ეშმაკს შეუჭამია, ვინ მოატყუებს შეჩვენებულ ჯაფარსა. ახლა ხომ მაჩვსაც ველარ დავენახვები, რა თვალით უნდა შევხვ-

დე. — ძალიან ფიქრში იყო მელია. სირცხვილით ოფლი წურწურით ჩამოდიოდა.

— ეჰ, რაც იყოს, იყოს. „გატეხით გამაგრებითა ხმალმა ბედენად არ გაჭრა, გატეხილისა ვაჟისა ყორანმა ლეში არ ჭამაო“, ფიქრი არ არის, — იმაგრებს გულს მელია. — ჭირსა არ უნდა გატეხა, თუ კაცი გონიერია. წავა და ყველგან დარჩება, ქვეყანა ღონიერია. რაო, არ დამიტევს ტყე და მინდორი თუ? მე თუ ასე დარდს მივეც თავი, ნეტავი ჩემს ცოლ-შვილს, რაღა უჭირს! ძალიან შეეეპუები ვიღაც მაჩესა და ბოლოჭრელს ქურდ-ბაცაცა, სხვისა კვერცხების ჭამია ჩხიკვსა! მეხი კი დავათხლიშე იმ ქურდს თავზე! იმისგან მე დავიცინები! შვილები არ დამეხოცება, იმის ხორცი არც კი იჭმება. რომ ჭამდნენ მაგის ხორცს, მონადირეები რას გაუშვებდნენ, აქამდე მაგრე არხეინად კი ვერ ივლიდა. ვინ შეჰჭამს მაგისა, კაჭკაჭისა და ყვავის ხორცს?! უკაცრაული ქართულია, კატაც კი არა კადრულობს, რო სადმე ნახოს. ახლა თავის მოწონება ნახე და! რა ოხრებია, შიშველა ფეხით მიწაზე არ გაივლის, გლახა ამპარტავანია! — მელია იმართლებდა თავს, ცდილობდა გასამართლებელი სარჩული დაედო თავის საქციელისთვის, მაგრამ ძალიან ცხოვლად ახსოვდა ეკლებში გაბმა და წუხანდელი მარცხი.

— ვინ იცის, იქნება დაიჯერეს კიდეც იმათ, რომ მე უცაბედი მომივიდა და იმიტომ გავები ეკლებში. ჩხიკვისთვის ხომ კბილი არ წამივლია, რომ პირში ბურთი ჩაჰჩაროს, შენ უეჭველად ჩემი შეჭმა გინდოდაო? მაჩეს მე თვითონ დავაჯერებ ჩემს სიმართლეში.

ჩხიკვი ბუდეში

ჩხიკვი კი სულ სხვანაირად ფიქრობდა. იმან კარგად იცოდა მელიას რაცა ნებავდა, შიშით ახლაც გული უკანკალებდა, მაგრამ ჯავრის ამოყრა უნდოდა თუ არა? „თუ მაგ მელიას ჩემი დაწიოკება შეეარჩინე, რაღა კაცი ვიქნები, ყველა ზედ შემდგება მერე უფრო; პირდაპირ შებმა კი არ იქნება, ხელდახელ რომ შეებრძოლო, ვერ მოვერევი, ვაი, თუ გამბდღვნას და მერე უფრო დავზარალდე. ტყუილად არ უთქვამთ: „ჭკუამ მოჭამა ქვეყანა, ვერ ხმალმა ამოღებულ-ძაო“. ისევ ეშმაკობით მოვექცე, ისა სჯობია, არ შევატყობინებ, თუ ვიცი რამე, სიტყვას გადავუკრავ, ვითომ ეჭვი სრულებით არა მაქვს

მელაზე, დაიჯერებს ის უბედურიც. მერე თვითონ მოვახერხებ რაც უნდა“.

ჩხიკვი ასე ფიქრობდა და ბუდეს არა შორდებოდა, მელიის მოსვლისა აღარ ეშინოდა, სხვისა კი აღარავისი ფიქრი არა ჰქონდა. ან კი ბუდეს თავს როგორ დაანებებდა. — „უნდა დავაჩქარო ბარტყების გამოჩეკა, სანამ საზრდო უხვია, დავზრდი, დავაფრენ და მერე სადაც მინდა წავალ, ახლა სისულელე იქნება ჩემგან ბუდის თავის დანებება“.

ზის ჩხიკვი არხეინად, იქექება და აქეთ-იქით იხედება, ხან ქვეშ იყოფს ნისკარტს და ურევს კვერცხებს. თუ ცაში არაფერი ჩანს, დედამიწაზედ არავინ დადის, ფეხის ხმა და ფრთის შრიალი არ ისმის, ჩხიკვიც მოსვენებით, ამაყად ზის, არწივივით ყელმოღერებული. თუ ცაში ქორი ტრიალებს, ძერა ქარს ყლაპავს, ან შევარდენი კივის და ან არწივის ყეფა დააწყდა, მაშინ კი... ნულარა ნახავთ ჩხიკვსა. ღმერთმანი საჭირო არ არი. აბა, რად გინდათ, რომ ახლა დაინახოთ. ჯერ სულ შიშით ქრება, ბუდეს ფარატინივით ეკვრის, თავს მხარზე იჭუჭკავს და ცალი თვალით ცასა ხვრეტს. რად გინდათ, რომ უფრო შეარცხვინოთ!

თუ სადმე ახლო-მახლო მიწაზე ფეხის ხმა მოესმა, მაშინაც სულ სხვანაირად იცვლის ნირს. წამოდგება ბუდეში, გადმოყოფს თავს და დაშტერებული უცქერის, ვინ მოდისო. თუ ან ძროხაა, ან კამეჩი, ან ცხვარი, ან მაჩვი, იმისთანა ვინმე, ვისაც ხეზე ასვლა არ შეუძლია, ფრენა არ იცის და თოფისა და ქვის სროლის არა გაეგება რა, ჯაფარა გულდამშვიდებით უცქერის, თვალს ადევნებს იმათ მოქმედებას, ხან კიდეც იცინის, თუ სასაცილო რამე დაინახა; ზოგჯერ შეებაასება კიდეც, გამოელაპარაკება დარბაისლური კილოთი. თუ თაგვია და ფოთლების შრიალით ჩხიკვს მყუდროება დაურღვია, მაშინ ნახეთ, გადმოუხტება და თუ დაეწია, მგონი, ვეღარავინ ვეღარ გააგდებინოს, სკერტავს და ურახუნებს საბრალო გოგრაში. მაგრამ თუ თვალი მოკრა, რომ თოფიანი ბიჭი სადმე გადმოხტა და თოფი გადმოატრიალა, ისეთი ჩხივილით მოკურცხლავს, გულგახეთქილი, ბურძგლაშლილი, რომ ვისაც ის წინათ გინახიათ, ახლა სიცილით მუცელი გაგისკდებათ. სად მირბი გმირო? სად მირბი, სად დაგრჩა შენი გმირობა?!

ჩხიკვმა ბოლომდის არ უღალატა თავის ბუდეს. გულიც გაიმაგრა,

თვითონაც იჯდა მაგრა, გამოჩეკა სამი-ოთხი გინგლიანი ბარტყი, დაზარდა და დააფრინა. რაკი ბარტყები თავიდან მოიშორა, თავისუფლად ამოისუნთქა. ახლა რაღა უჭირს, სადაც დაუღამდება, იქ გააათენებს, სადაც ერდო მაღალია, ეს იმისი მაყარია. ახლა ბუდეც აღარ ადარდებს, ჩხირებს ხომ ვერავინ შეჭამს და შიგ კი არაფერია.

— ის ოხერი მელია რატომ აღარ გაჩნდა, მაჩვო, რად შემომწყარა, ნეტა რცხვენია, თუ ეშინია? ამას ჰგონია, რაკი აქ აღარ მოდის, იმით დამავიწყდება იმისი საქმე. კაი ძმობილი არ მიშოვე! კაი მეგობრობას კი გამიწევდა, რომ კბილებში ჩავარდნილვიყავ.

ნადირობა

შემოდგომაა. წვრილი ცივი წვიმა, თითქოს საცერში ცრიან, ისე ქინქლავს. მინდვრის მცხოვრებლებს ძვლები უკანკალებს. გაუვალი ტალახი საქმეს აჭირვებს. ზაფხულის სტუმრები სულ მიმალულ-მომალულან, აღარავინა ჩანს. დაცალიერდა მინდორი, დაცალიერდა მელიას მუცელიც. სამი დღეა არაფერი უჭამია; შიმშილით ფერდი ფერდზე მიეხრაკა.

ნეტა იმდენი მწერები სად ჯანაბას წავიდნენ. რა ცოდვა გაუდიდათ, ნეტავი ერთი კალია მაინც იჯდეს სადმე, რომ თვალით მაინც დაინახოს.

თავზე რომ ფრინველები გადევლებოდნენ, მელია სულ ქრებოდა სიმსუნაგით. — „ახ, შე ოხერო მამალო, მაგრე შორს რო ყივი, პატარა ახლოს მაინც იყო“.

ქარი სოფლის მხრიდან მოჰქროდა და გარკვევით ისმოდა მამლის გაგრძელებული „ყიყლიყოოო“, თითქოს მელიას მადას დასცინისო.

შეხედე ამ მინდორს! მარტო მელია დაბრძანდება. რაღა ამას ერგება ხოლმე მარტოკა მინდორში თრევა, ერთი ხმის გამცემი არავინ არის. რა გუნებაზე უნდა იყოს, ცალკე მუცელი შემოტირის, ცალკე ქოშები რჩება ვერანა ტალახში. ხან ერთი ჩარჩება ტალახში, ხან მეორე. ამოიღებს ფეხს, გაიქნევს, გაიბერტყს. მოაშორებს ტალახს, ახლა მეორე ესვრება.

— უჰ, რა ცუდი ამინდია! დალახვრა ცხრა წმინდა გიორგიმ! მშიერი მაინც არ ვიყო, ტალახს ვინ იჩივლებს, არც ქურქი მაქვს მშრალი, ლამის საყელო გამიფუჭდეს. ტყავი სიცივით სულ ძვლებზე

მიმეკრა. მაძღარს რო გულიც მხიარული მაქვს და სისხლიც ადუღებული! გუნებაზედაც მაშინ ვარ, როცა ცხვირზე იხვ-წეროებისა, ან ქათამ-ინდაურების ბუმბულები მაკრავს და კბილებში თბილი ხორცის ნაგლეჯები მჩრია. ახლა რა უნდა ვქნა მშიერმა? კაჭკაჭმა რო გაბედოს და შემებას, ისიც კი შემჭამს. აბა, რა ვქნა? თავზე მტირალი ცრემლნამიანი ცა, ძირს შიშველ-ტიტველი ტალახიანი მინდორი, ზედ მშიერ-მწყურვალი მონადირე!.. ახ, ახლა!..

რა ახ? განა ერთს რასმე ნატრობს მელია? ყველა საჭმელზე მუშტის ტოლა ნერწყვი მოსდის.

წარმოიდგინეთ კალიებიც კი ინატრა, კალიები, აპა! ვაი ჩვენს გაჭირვებას, მაშ, არ ინატრებს? ინატრა და ორი და ხამი? სულაც არა, — კარგა ბარაქიანად ინატრა, — მთელი ერთი წამოსაკიდი გოდორი.

არც არჩევანში შესულა: კუტი, მხრიანი, შავი ხტუნია, ყველა იქ მოაქცია, ყველას მადიანად გიახლებოდათ, რომ სადმე იყოს.

მოდის მელია, ჩირგვებში იხედება, ქვების ქვეშა ყოფს ცხვირს, თაგვის სოროებს თხრის.

— ყველანი არ დაკარგულან! თითქოს ხორველობა იყოს, ან მტერს აეოხროს! — მინდორი კი ღმერთმა დაიფაროს, მაგრამ მელიის მუცელში კი შიმშილის უშველებელი ლაშქარი დათარეშობდა.

მელიამ ლიებს გადაუარა, სადაც წინათ იხვები ენახა, ახლაც იქვე ეგულებოდა. მიიპარება მელია, მიიპარება მუცელზე, ლიის პირამდე მიცოცდა, ფრთხილად შედგა და გადიხედა. გადასაფრენადაც ემზადებოდა. ფუჭ! არსად იხვები. ერთი ბაყაყიც არსად იფშიკებოდა.

— ფუი, ფუ! — იფურთხება მელია.

ამ დროს თვალი მოჰკრა, ჯაგებში რაღაც გაძვრა.

— რა უნდა იყოს? ნეტავი ვინ იქნება?! თუ ყურგრძელი და ყურბრტყელი კურდღელია, საამური მგზავრი მეყოლება. — მელია დააშტერდა იმ ადგილს, იქნება მართლა საკბილო იყვეს რამეო, მაგრამ იქ ველარავინ შენიშნა.

გამობრუნდა მელია გაწუწული.

ახლა ჩალიან რუებს შეყვა. აქაც გაღმითა ნაპირზე თითქოს გაფრინდა რაღაცაო, ისე მოეჩვენა.

— თუ იხვი იყო?

— არა, აფრენაში მხრებს გაატკაცუნებდა.

— წერო თუ იყო?

— არც მაგრე პატარა გამოჩნდებოდა.

— თუ ბატი იყო?

— არა, ყიყინით გაფრინდებოდა.

არა, სხვას გავდა რაღაცას. ჭრელად მოეჩვენა, თითქოს ენახა წინათ სადღაც, აგონდებოდა მელიას და ვეღარ მოეგონა. ბოლო კი ჭრელი უჩანდა.

— ეჰ, რაც უნდა იყოს, ჯანი გავარდეს, საჩემოდ არავინ გახდება, ჩემო ძამია, სადაც უნდა წავიდეს, ყველა თავის გზას მისდევს.

შეყვა მელია ნელ-ნელა ჭაობიან რუსა...

ოჰ, შენ გენაცვალე, ბედო!

ღმერთო, შენ მიეც მოთმინება მელიასა, რომ სიხარულით არ შეხტეს.

რამდენი კაჩაგრძელი წეროა რუს პირზე, ღმერთო მაღალო!

ზოგს ბოლოები ჩამოუშვია, თითქოს ურემი დაბოლოვებულაო, კისერი ჩაუკეცია და კინწი მოწყვეტია, იმათ უეჭველად ძინავთ. რუსის დაშნებივით რო ნისკარტები ჩინჩახვზე დაუკიდიათ, ზოგი, ყვითელ შალვარიანი გენერალივით, არხეინად დაბრძანდება ჭაობებში, აქა-იქ ტალახიდან აძრობს რაღაცას და გემრიელად მიირთმევს.

— მეც რატომ ვერა ვპოულობ, რასა ჭამენ ეგ ვერნები, — ფიქრობს მელია, — ზოგსაც თავები აუღიათ მაღლა, კისრები აუძაგრიათ და ყარაულივით იქით-აქეთ იცქირებიან.

— ეგენი დარაჯებია ნამდვილად, — იფიქრა მელიამ, — არა, ახლაა საქმე და ბიჭობა! თუ ახლაც ვერ ვინადირე, მშიერი მოვკვდები.

შიშითა და სიხარულით მელიას სული შეეხუთა, გულმა და მუხლებმა კანკალი დაუწყეს. გული ისე უცემდა, რომ მელიას კიდეც შეეშინდა, იმათაც არ გაიგონ გულის ბაგა-ბუგიო.

შედგა, გაწვა მიწაზე, პატარა სული მოიქცია, გული დაიმშვიდა, მერე ნელ-ნელა იწყო ადგომა.

დარაჯმა წეროებმა თითქოს შენიშნეს ეს რაღაც საშიში მოძრაობაო. შეძრწუნებული ხმაურობა გააბეს. ერთმა კიდეც წამოიყვირა „ყრუნტ!“

ამ ხმაზე ვისაც ეძინა, იმათაც თვალები ჭყიტეს.

მელია არ შეშინდა, თავისი კუდი მაღლა აიშვირა და წვერი მოუხარა, როგორც წეროს თავი და გაემართა წეროებისკენ.

წეროები დაკვირვებით შეცქეროდნენ ამ ახლად მომავალ წეროსა, მაგრამ მალე მოწყინდათ იმისი ცქერა, ძალიან საკვირველი არაფერი იყო, მხოლოდ ფერი ჰქონდა სხვანაირი, როგორღაც ხმას არ იღებდა. იქნება მებაყაყიაც იყოსო, იფიქრეს და ძილს მისცეს თავი, მხოლოდ ერთმა იკითხა, რად გაგვაღვიძეთო.

— რა იყო, რაზე დაგვაფეთიანეთ. რა მოხდა, რომ გაგვაღვიძეთ და აღარ მოისვენეთ?! — შეეკითხა მრისხანე კილოთი ერთი მაღალი და კოხტა წერო ყარაულს.

— არაფერი, თქვენო უდიდებულესობავ, — უპასუხა დარბაისლურად დარაჯმა, — აგერ იმ შორს დარჩენილმა წერომ დამაფიქრა.

— მაგისთანა უბრალო საქმისთვის კვლავ ჩემი გაღვიძება აღარ ინებო, — უბრძანა ქუსლმაღალმა წერომ.

კილოზე ეტყობოდა, რომ წეროების მეფე იყო.

მელია ცდილობდა, რაც შეეძლო წეროს დამსგავსებოდა ქცევაში ღა მიმოხრაში.

ვითომ წერო ვარო და ვკენკავო, მელია ხან ასწევდა კუდსა და ხან დასწევდა. კუდის წვერს წყალში ყოფდა, რომ ეპვი არ აეღოთ. ზოგჯერ ერთს ადგილას კარგა ხანს ჩერდებოდა და უქნევდა კუდს ნისკარტივით ჭაობსა, ვითომდა ბევრი საჭმელი ვიპოვნე და ვჭამო. იქნება ღმერთი გაუწყრეს და ერთ-ერთი დარაჯიც გაბრიყვდეს და მომეშველოსო. მართლაც ეს გარემოება ყარაულებს შეუნიშნავი არ დარჩათ.

— ახ, ერთი ახლოს იყვეს, მივეშველო, — ფიქრობს ერთი წერო, — იქ იმან ბლომად იშოვა რაღაცა და ლამის გაძღეს. მე ყარაულობაში მუცელი შიმშილით უნდა შემეხრუკოს, ძალიან არ დაინახვენ!

მეორე წეროც წამოყელყელავდა, სულმა წაძლია, ორიოდე ფეხიც გადმოდგა მელიასაკენ, მაგრამ პირველმა წერომ შეუტია და შეაყენა.

— შენც რომ არ წაეჩარო, ჩვენ კი ვეღარ მოვერევით? ხომ ხედავ, რომ მეც იქ მივდივარ, რა არის შენი სიმსუნაგე, მუცელი შენს

ქვევით არის, შენს ზევით ხომ არ არის. ყარაული ხარ, შენს ადგილზე უნდა იდგე, თვალი ფხიზლად გეჭიროს, არაფერი მოგვეპაროს.

მიდის წერო თანაბარი ნაბიჯით მელიასაკენ. ჯოხივით ფეხებს მოუხრელად ხან ერთს აიღებს და ჩააყუდებს ჭაობში, ხან მეორეს. უახლოვდება მელიასა. მელია სიამოვნებისაგან კინაღამ შაქარივით გადნა. წეროს სულის ქცევა თითქოს ესმის, იმის თბილი ამონასუნთქი ცხვირში შედის. შაქრისა რო ყოფილიყო მელია, უეჭველად გადნებოდა, მაგრამ რაკი ხორციელი იყო, უტკივარი და უვნები, იმიტომ გადარჩა ეშმაკის მანქანებსა.

— ერთი წერო თუნდა ორ დღეს მეყოფა, არ შეინახება თუ? ღმერთმანი, წახდება თუ ამ შემოდგომის სიცივეში? ნეტავი ერთი ათიოდე წერო მომცა, მუეუეად ჩავდო და მერე წახდეს! — ფიქრობდა მელია.

ეჰ, წუთისოფელო, ცრუო და ორპირო, აბა, ნატვრა ვის ახდენია, მელიას ახდენოდა.

ამ დროს... ჩხს, ჩხს, ჩხს! — მოესმა გარკვევით მელიას.

— ფუი, დასწყევლოს ღმერთმა, ეს ჩხიკვი საიდან გაჩნდა! შენი ფეხიც გამხმარა და აქ ამ დროს არ გაჩენილიყავ! — მოწყდა წელი მელიასა, — მოგტყდა ფეხი, მოგტყდა მხარი, — კვნესოდა მელია.

ჩხხხ, გააბა ჩხიკვმა წეროების თავზე და შიგ მელიის ცხვირწინ მაღლობ გორაკზე შემოჯდა.

წეროებს ყველას გაეღვიძათ და წამოიყაყვნენ.

მელია მუხლებში ჩაიკეცა.

— გამარჯვება, მელიავ! როგორ მშვიდობითა ბრძანდებით, ძმობილო, რამდენი ხანია, აღარ მინახივხარ და აღარც შენი ამბავი რამე ვიცი. რად დაგვივიწყე, შე კაი კაცო? განა მაგრე უნდა მეგობარსა? შენ ხომ იცოდი ჩვენი ბინა? იცოდი, რომ ჩვენ ადგილობრივა ვართ, მოხვიდოდი, დაგვხედავდი ერთხელ მაინც. ჩვენ კი ვერ დაგვემდურები, ღვთის მადლით, უნახაობას. შენი ბინა არ ვიცოდი და აბა საიდან გნახავდით. ახლაც უცებ შეგხვდი, შემთხვევით დაგინახე, თორემ, თავი არ მომიკვდება, ეს ერთი თვეა გეძებ. რაც ბარტყები დავაფრინე, სულ შენს გზაზედა ვდგევარ. კაი ენაწყლიანი რამა ხარ

შე კუდიანო და ვწუხდი შენი გულისთვის. მთელი ქვეყანა შემოვიარე, ვერსად შეგხვდი, გავჯერდი, გავჯერდი. მერე არ ვიცი, რამ მომაფიქრა, აქეთ წამოველ. არა, რას მოვიფიქრებდი, თუ შენ ამ ჭაობებში გნახავდი, მაგეთი აზიზი ბრძანდები. რას მოვიფიქრებდი... აქ რას აკეთებ მართლა, კაცმა რომ გკითხოს. აჰა, იქნება წურბელებს ეძებ შე ეშმაკო, დალაქობას ხომ არ აპირობ? ბლომად წურბელები კი იქნება, ვიცი, მერე კუდსა ყოფ და სულ კუდი შეგეხორსლება.

დარბაისლურად ეკითხებოდა მშრალზე მჯდომი ჩხიკვი ჭყანტში მდგომ მელიასა.

— ახ, შენი ფეხი რო გახმეს და მოუსავლეთს წახვიდე, — ამოიკვნესა მელიამ.

„მელიაო!“ გაიგონეს თუ არა წეროებმა, ერთი კი დაიყრანტალეს და ისეთი გულგახეთქილებმა მოცხრილეს, რომ უკან აღარ მოუხედნიათ. იმათ კარგად იცოდნენ, მელია როგორი დალაქიცა ბრძანდებოდა და სისხლის გამოშვება როგორც იცის.

მელიას ენა ჩაუვარდა, ხმა ვეღარ ამოიღო, საწყალს კინაღამ დამბლა დაეცა.

— რა იყო, ძმობილო, გეწყინა ჩემი მოსვლა, თუ რა იყო, რო ხმა ვერ ამოგაღებინე, — უსაყვედურა ცბიერი ღიმილით ჩხიკვმა. თანაც კარგად იცოდა, რამაც მოწყვიტა წელი მელიასა და როგორ ძმობილობასაც გაუწევდა ახლავე, თუ კბილში საიდანმე ჩაუვარდებოდა. — რას გეწყინა, ძმაო, შენს ბარგად ხომ არ გავხდები, ერთი მუცელი მაქვს, ზედა მაქვს, საჭმელი არ მინდა შენი და სასმელი. თუ მოვსულვარ, შენს სანახავად მოველ. სხვა აქ რა მესაქმებოდა.

ეს ჩხიკვი როგორ კადნიერად და ურცხვად დამცინისო, — იფიქრა მელიამ. დააცქერდა მელია ჩხიკვსა, გაუყარა თვალი თვალში, მაგრამ ჩხიკვს ისეთი დაფიქრებული და დადინჯებული სახე ჰქონდა, რომ მელიამ ზედ ვერაფერი ვერ ამოიკითხა.

— დავიჯერო, — იფიქრა მელიამ, — რომ მაგას ბუდის ამბავი და თავის გაბიაბრუება დაავიწდა? ვინ იცის, ჯავრის ამოყრა უნდა და მაგრე ლაქარდიანი ენით იმიტომ მექცევა. მეტი რაღა ჯავრის ამოყრა უნდა, პირიდან გამომგლიჯა ერთი წერო. ათიათას ჩხიკვსა და

იმის კვერცხებს არ მერჩია ერთი წეროს ბარკალი!? მეტადღა შეიძ-ლება კაცის დაბრიყვება!?

— ქონს ნუ მისვამ ბოლოშრელო, ძაღლები მომიტაცებენ,—უპა-სუხა მელიამ გაჯავრებული კილოთი. თან ჩხიკვზე დარჩა თვალი, მაგრამ ჩხიკვს ამ სიტყვაზე ისეთი დაღონებული სახე მიეღო შეუ-რაცხყოფილისა, რომ მელიას კინაღამ შეებრალა. — უთუოდ ეგ კე-თილი გულით მეუბნება და მე კი სიავეში ვართმეევო, — გაიფიქრა მელიამ.

ნასვლა ჩხიკვის ქვეყანაში

ამას შემდეგ რაც მოხდა, ეგ ცალკეა მოთხრობილი მელიას მატია-ნეში. რადგან მე მატიანეებს არა ვწერ, იმიტომ გამოვტოვე ყველა წვრილმანი გარემოება და შემთხვევა; ახლა მხოლოდ იმას გიამბობთ, რაც საყურადღებო მოხდა. საყურადღებო კი ის იყო, რომ ჩხიკვმა დააჯერა მელია, გულში არაფერი ხინჯი არა მაქვს და არც ავსა ვფიქრობ შენზეო. რასაკვირველია, ჩხიკვი უამბობდა მელიას თავის ქვეყნის ტკბილ-ტკბილ ამბებს. იქამდე აეგზნო მელიას ჩხიკვის ქვე-ყანაში წასვლის სურვილი, რომ თვითონვე აღარ აცდიდა ჩხიკვსა, სულ ჩასჩიჩინებდა, წავიდეთ, წავიდეთო. ამას კი ვიტყვი, რომ წასვ-ლა მეორე ზაფხულამდე დაუგვიანდათ.

ბოლოს წავიდნენ.

მგზავრობა ფრიად სასიამოვნო იყო. რაც თავის დღეში არ ენა-ხა მელიასა, ახლა ნახა, რაც თავის სიცოცხლეში არ ეჭამა, ახლა ჭამა. ძალიან გასუქდა მელია, ქონი თვალებზე გადმოეფარა, სიმსუქნისა-გან ისე ოფლიანდებოდა, რომ შიშიც შეეპარა გულში, ვაითუ ნა-ოფლარზე ქარმა დამბეროს, გავცივდე და ავად გავხდეო.

მაგრამ იმის წილი ღმერთი მთელი და უტკივარი იყო.

ისე მივიდნენ ჩხიკვის ქვეყანაში, რომ ფრჩხილიც არ წამოსტ-კივნიათ.

აღთქმული ქვეყანა ძაან ქვეყანა გამოდგა, ერთი რძე კი არ მო-დიოდა რუებად და სხვა კი არაფერი აკლდათ. ვინ მოთვლის, რასა სვამდნენ და ჭამდნენ. არჩევანში შედიოდნენ, ესა ვჭამოთ, ამას ნუ ვჭამთო, ჯერ ეს ჩავახრამუნოთ, მერე ამითი ჩავიგემრიელოთ ყე-ლიო.

ყელს იგემრიელებდნენ, მაგრამ ჩხიკვის გულში ღალატმა დაიბუ-
და. რა დაიბუდა, მელიის მძულვარება ახრჩობდა, არა ჰქონდა მოს-
ვენება, თავი კი ისე ეჭირა, თითქოს დიდი მეგობარი ვარ შენი და
დიდი ერთგულიო. არ ვიცი, ღმერთმანი, მელიას სჯეროდა ჩხიკვის
ერთგულობა, თუ იმასაც გულში რამე ხინჯი ჰქონდა, თორემ მელიას
აბა რა მტრობა უნდა ჰქონოდა ჩხიკვისა?

ჩხიკვის სიკვდილი მელიას არაფერ სარგებლობას არ მოუტანდა.
აი, თვითონ თუ წასძლევდა სული და მოშიებულ პირს წაატანდა.
თორემ სხვა მტრობაზე კი შორს იყო.

სხვას კი არ მოაკვლევინებდა და თვითონ მშიერს, რომ მუცლის-
თვის პატარა მიეწოდა რამე, რა უშავდა?

ჩხიკვის საქმე კი სულ სხვა იყო. იმან იცოდა, რომ მელიას ჩხიკ-
ვის შეჭმა უნდოდა ოდესღაც და კიდევაც წაეტანა ნესაჭმელად, მაგ-
რამ ბედისწერამ დაიხსნა ჩხიკვი ამ განსაცდელისაგან და მელიის
მუცლის ხილვისაგან. იცოდა, რომ მოშივებული მელია მუდამაც შე-
ჭამდა ჩხიკვსა, იცოდა ეს და ბევრჯელ გაივლებდა ხოლმე გულში.
როცა მელიას მძინარეს ნახავდა, მოდი, მოვსპო ამ წუნკალის ხსენე-
ბაო, მაგრამ თვითონ მარტოკას შებმა ვერ გაებედნა, ხმალი არ
ჰქონდა და ხანჯალი, თოფი და დამბაჩა. აბა, რით უნდა მოეკლა.
გეთაყვა, ყელში ხომ ვერ წაუჭერდა. ხელდახელ მელია დასძლევდა
და დაიღუპებოდა ჩხიკვი. ბევრი რამ იფიქრა, იფიქრა და სულ ერთი
ანდაზა აგონდებოდა: „ხერხი სჯობია ღონესო, თუ კაცი მოიგო-
ნებსო!“

სოფლად

— იცი, მელიავ, რა გითხრა? მე ქათმის ხორცი მომინდა, კარგა
ხანია წიწილის ხორცი აღარ მიჭამია. იცი, სოფლად რომ ჩავითა-
რეშოთ ხოლმე, იქ ძალიან ბევრს მსუქან-მსუქან ყვერულებს და
დედლებს ვიშოვით. შიში არაფრისაა, ერთი გავბედოთ, ის გვინდა.
სხვა არაფერი... სოფლად ქათამ-ინდაური სულ ოხრად არის, საქათ-
მის კარები ღიაა, კრუხ-წიწილები კარებზე სხედან, პატრონი არავინ
არის. ძაღლები ცხვარ-ძროხასთან ჰყავთ, მგლისათვის. ჩვენ მსხვილ-

ფეხი რად გვინდა, წვრილფეხობაც გვეყოფა, თუკი კარგად მოვიქცევით.

ჩხიკვის სიტყვამ მელიას მადა აღუძრა, მაშინვე ზეზე წამოდგა, წასასვლელად მოემზადა.

— მაშ რაღას ელი, კაცო, თუკი მაგისთანა ლუკმა იცი სადმე, ამ ეკლებში რაღას მახევინებ ქურქსა, შე მამაგანათლებულო! აბა, მზადა ვარ, წავიდეთ!

— მოიცა, მელიავ, მოიცა პატარა ხანი, მზემ გადაიწიოს.

მზემაც გადიწია. მელია და ჩხიკვი დაეშვნენ სოფლისკენ.

სოფლის ახლო რო მივიდნენ, მელია შედგა, ყური დაუგდო, ძაღლების ყეფა ხომ არ ისმისო.

ჩხიკვს კი ძაღლისა არ ეშინოდა, ხეებიდან ძირს ადვილად არ დაადგამდა ფეხსა. ჯერ ჩხიკვი დაზვერავდა, მერე მელიას შეატყობინებდა.

პირველადვე ერთს ბაღში გადავიდნენ. დაუგდო მელიამ ყური. ახლო, სულ ახლო, დედლის კაკანი ისმის. მელიას გული უფანცქალებს. ერთი თვალით მაინც დაინახოს ეს მოკაკანე კვერცხისმდებელი. გადმოძვრა სიმინდებში. წაძვრა ცერცვებში. სკუპ! დაავლო პირი დედალს, რომელმაც ერთი კი დაიჭყივლა და გაკმინდა ხმა. გადმოხტა მელია და მოძუძგა ტყისაკენ.

— კარგისაა, მელიავ? — ეუბნება ჩხიკვი.

მელიას ბევრი აღარ უსმენია, გაცდა თუ არა სოფელს, მოუარა ჩირგვებს, დაუჯდა დედალს და მიირთმევს.

— მომეშველე, ჩხიკვო, შენც. — ჩხიკვს უნდოდა მოეთმინა, მაგრამ სულმა წაძლია, დაჯდა ისიც მელიასთან. მელია კბილით გლეჯს დედალს, გაუღეჭავს ყლაპავს, ძვლებს აკნატუნებს. ჩხიკვიც ცემს ნისკარტს, მაგრამ ბუმბულის მეტი არაფერი რჩება ნისკარტში.

— მე ხომ დავიწვიე და რა მენაღვლება, — ფიქრობს მელია, — რაც შენ ამ დედლის ხორცი შეჭამო, მე მაკლდეს, — თან გულიანად ყლაპავს.

— მოიცა შვილოსა, მეც მომივა დრო, — ფიქრობს ჩხიკვი.

ამნაირად მეორე დღეს, მესამეს, მეოთხეს, არც ერთხელ არ მოკლებიათ ქათმის ხორცი. დერეფნიდან კრუხიც წაიყვანეს, ჩხიკვმა წიწილა მოიტაცა საკუთრად... ამათი გაბედულობა იქამდინ მივიდა, რომ თვითონ საქათმეშიაც დაიწყეს შესვლა.

პატრონმა მოიკითხა ქათმები. ჯერ მეზობლებს დააბრალა, — ესენი დაიჭერდნენო. მერე ქორსა, მერე ძაღლებს,—ისინი გაიყვანდნენ საქათმიდანაო. მელია კი ავიწყდებოდა. არ იცოდა თუ მელია პარავდა, სანამ თვალი არ მოჰკრა იმის კუდსა.

— ახლა კი მე ვიცი შენი, — გააფურთხა პატრონმა, — გამობრუნდა და გამოსწია სახლში. ამას შემდეგ კარებს კეტვა დაუწყო, მაგრამ მელიამ და ჩხიკვმა ძირი გამოუთხარეს საქათმესა და ახლა იქიდან იწყეს პარვა.

— ახლა კი საკმაო ზარალი მივეცით ამ გლეხს და კარგა აღრენილიც იქნება მელიაზე, — თქვა ჩხიკვმა, — დროა საქმეს შევუდგე.

ღ ა ლ ა ტ ი

დამჯდარა დაღონებული ჩხიკვი გლეხის კარებწინ სარზე, ჩამოუშვია მხრები და ბოლო. თავ-პირი ჩამოტირის, თანაც ოხრავს.

— რას დაღონებულხარ ჯაფარ-გმირო? — ეკითხება გლეხი, — აქ რათა ზიხარ, არ გეშინიან ბავშვებმა ქვა მოგარტყან?

— იჰ, გენაცვა, ნეტავი მომარტყან, მომკლან და მომცსვენონ. რაც მე საცოდაობა დამადგა, რაღად მინდა სიცოცხლე, ჩემი სიკვდილი მადლიც არის.

— რა ამბავია, რა დაგმართნია, შე საცოდავო, — ეკითხება გულმტკივნეულად გლეხი.

— რაღა რა, ჩემო ძმაო, იმ წყეულმა მელიამ ამიკლო, დამღუპა, დამანელა, აი, აქ შენი საქათმე რო გააცია. უპოვნია ჩემი ბუდე, გამიტყუა მე სხვაგან, მისულა, სულ ამოუსლექია. მიველ, პირს კატა მეცა. ბარტყებს ვინლა ჩივის, მეც კინაღამ შემჭამა, უკან დამდევს ძაღლივით შესაჭმელად. თუ შენ მიშველი რასმე, თორემ ჩემი საქმე ცუდად არის. მიშველე რამე, აგრემც ღმერთი გიცოცხლებს ცოლშვილსა. იმან დაგღუპა შენც, იმ კარამოსაქოლავმა, შენი ქათმების ბუმბულისა სამი ბალიში შეუკერია, ქალებს უნდა გაატანოს მზითევში.

— მეც ჯავრი მჭირს, ჩხიკვო, იმისი და თუ როგორმე ხელში ჩავიგდებ, მერე მე ვიცი რასაც ვუზამ.

— მე ხელში მოგცემ მელიასა და შენ იცი რასაც უზამ.

— აბა, როგორ?

— საქათმის კარი ღია გაუშვი, კედელში რო გამოხვრეტილია, ის ქვებით გამოჭედე, შენც შიგ დაიმალე. მე მოვიყვან მელიას. მოუხურე კარები, დაიჭირე და მოკალ. თუ ვინიცობაა, სულზე გაიგო შენი იქ ყოფნა, მე შემოვუძღვები წინა და ისე კი არა ქნა, მეც არ დამიჭირო.

— უჰ, ცხონდა მამაშენი, ჩხიკვო, რა ჭკუიანი ყოფილხარ. თუკი მაგისთანა სიკეთეს მიზამ, დაგიჭერ კი არა, პირიქით, მრავალს დაგიმადლებ.

ბოლო

ბნელა, სოფელს ძინავს. ცნობილი გლეხის ბაღში ჩურჩული და ნელი ფოთლების ფაჩი-ფუჩი ისმის.

— სადა ხარ ბოლოჭრელო, შენ რა ეკლები შეგერჭო ფეხში, არხეინად დაფრინავ. მიჭირს მე საქმე, რომ ამდენ ეკლებში ვიკაწრები. აბა, ერთი დაზვერე, ძინავს საქათმის პატრონსა?

— მოდი, მელია, ჩქარა მოდი, ყველასა ძინავს, ფიქრი ნურაფრისა გაქვს, დაბლა კი ილაპარაკე, სიფრთხილეს თავი არა ტკივა.

— ვინ იცის, დაკეტეს საქათმის კარი, საწყინარი მხარი მეუბნება.

მელია და ჩხიკვი თაგვებივით მიცოცდნენ საქათმესთან.

მელია იხედება შორიდანვე, თვალს ავლებს გარეშემოსა, ყურს უგდებს, ხმაურობა ხომ არაფერი ისმის. უცებ ცხვირში რაღაც ემწვავა. მელია კინაღამ გადმოხტა.

რა მოხდა, რა იყო?

რა იყო და ისა, რომ მელიამ სუნი დაიყარა კაცისა.

— ბოლოჭრელო, უკან დაბრუნდი, უკან. სად მიდიხარ, ხათაბალაში არ გამხვიო, მანდ ვიღაც არის დამალული, — ეჩურჩულება მელია.

— რას ამბობ, მელიავ, შენ ხომ ჩემზე კარგა ვერა ხედავ, მე უფრო მაღლიდან არ დავცქერი? მოდი ახლო, მოდი, ნუ გეშინია, ჩქარა მოვიტაცოთ და მოვკურცხლოთ.

მელიას ცოტა არ იყოს შიოდა, ცხვირს აღარ დაუჯერა, გასწია კარებისაკენ. რას მიზამენ, ფიქრობს მელია, თუ კარებში მომასწრეს,

კედლის ქვეშ რომ ხვრელი გამოვთხარე, იქიდან გავძვრები. ბრალი ჩხიკვისა, რომ შეიძლება სამუდამოდ გამოეთხოვოს ქვეყანას.

შეფრთხიალდა ჩხიკვი საქათმეში, შეყვა მელიაც. აჩქარებულს მელიას არც კი მოუხედნია იქით-აქეთ, ისე უცებ ქანდარისკენ გაქანდა.

ჭყუ! ჭყუ! — მოისმა ქათმის ჭყივილი.

ჯახ! — მიეჯახა კარები. მელიას ეგონა ქანდარა ჩამოვარდაო, მაგრამ საქათმეში ძალიან ჩამობნელდა.

ლაწ,—მოისმა ჯოხის ხმა და მელიას ეგონა თავზე მეხი დამეცაო. ეცადა ხვრელისკენ გადახტომას, მაგრამ წელი აღარ მიყვა. როგორც იყო კიდე მიეთრა, მაგრამ ამოქოლილი დახვდა. ლაწ! — კიდევ დაიკვნესა მელიამ. დაიკვნესა მთელმა საქათმემ, დაფრთხა ქათმები, ჩამოცვივდნენ ქანდარებიდან.

კარგახანს ისმოდა უკუნეთ საქათმეში ჯოხის ლაწალუწი, კუნჭულებში რაღაცის ფრთხიალი, კვნესა და გმინვა.

ბოლოს ფრთხიალიც შეწყდა, ძირს უსულოდ ჩამოვარდა რაღაც.

— კიდევ შეხვალთ საქათმეში?! გამაციეთ თქვენა, მაგრამ არც ნაკლებ მე დაგიხვდით, — აყვედრებდა ხელჯოხიანი გლეხი.

[1894 წ.].

ვანეს ბობოლა

I

დიდმარხვის შავი ორშაბათია. სოფლის პატარა ბიჭებს ყეენი მოურთავთ, სოფელ-სოფელ დადიან პურის და ღვინის მოსაგროვებლად. დიდი დავიდარაბაა, თამაშობა და მღერა აქვთ. მეზობლის შაქარამ ჩვენებიანთ ვანესაც შესძახა:

— ვანე, წამო ყეენი დავატაროთ. მერე ყველანი არიფანაზე დავსხდეთ.

— დაიცადე ცოტა, ამ საათში მოვალ! — მოესმა სახლიდან.

შაქარა კარებს აეტუზა და ყეენის ფიქრში გაერთო.

— არ მოდიხარ, ვანე? შენ გელი, — შესძახა კიდევ შაქარამ.

— მოდი შაქრო, ცოტა საქმე მაქვს, ჯერ ამას მოვრჩეთ და მერე წავიდეთ, — გამოჰძახა ვანემ.

შაქრომ შეაღო მიწის ხრუწუნში[1] კარები, პატარა ვიწრო კედლებ შუა გაიარა და განათებულ სახლში გავიდა. ვანეს სახლს ბელტის კედლები ჰქონდა და ბოხოხ ქუდივით წოპი ბანი ედგა. სინათლე რიგიანად ჩამოდიოდა.

მარცხნივ ტახტი იდგა, ზედ ჭილობი იყო გადაფენილი. ქვევით,

[1] ხრუწუნი — მიწაში ჩადგმულ სახლსა ჰქვიან.

კედელთან, კარების ახლო, გაშალებული პურის კიდობანი იდგა. ტახტს ზემოთ თავზე გახუნებული საბანი, უსაურო ბალიში და საპირედახეული ლეიბი იდვა.

ვანე ტახტზე იჯდა, წინ მჩვრები ეწყო და ხელში ნემსი და ძაფი ეჭირა.

შაქარა შევიდა, არც გამარჯვება უთქვამს, არც ხმა ამოუღია, მივიდა და ჩუმად მიეყუდა ვანეს ახლო ტახტსა. შაქრო ისევ ყეენზე ფიქრობდა.

— დაჯექ, კაცო, ერთი ჯერ ეს ბობოლა შევკეროთ და მერე წავიდეთ.

— ძალიან კარგი იქნება, — მოუწონა შაქრომაც.

ორივენი დასხდნენ. ნემსით ძალზე დაიწყეს მუშაობა. ძონძი ძონძს მიაკერეს, მჩვარი მჩვარს დააკონკეს.

ცოტა ხანს უკან პარკი მზად იყო. შაქრუა კერაზე ნაცარსა ჰხვეტდა და ჰყრიდა პარკში. პარკუჭანა გატენეს, სულ გოჭივით გაჭიკნეს.

— აბა, ვანე, ფთები მოიტანე, შეურჭოთ და ჩამოვკიდოთ.

ვანემ ზემოთ ყურეში მიირბინა. იქ რაღაც ყუთს დაუწყო ბრძოლა. ამოაბუდა, ამოყარა, ამოარჩია შვიდი ფრთა და მოიტანა. შემოურიგეს პარკუჭანას ირგვლივ ბორბალივით; მოაბეს ბაწარი და მოახვიეს გრძელ ჯოხზე.

ცოტახანს უკან ბობოლა ფრთებ გაშლილი ბორასავით ბანზე ამაყად ტრიალებდა და ბრუნავდა ხან წაღმა და ხან უკუღმა. ვანე და შაქრო სიხარულით ფეხზე აღარ იდგნენ.

— აბა, ახლა კი წავიდეთ, დროა, დაგვიგვიანდება, სხვა ყეენები, დაივლიან, ჩვენ აღარავინ რას მოგვცემს, — უთხრა შაქრომ, — ერთი საღვინე გექნება რამე, ისიც წამოიღე.

შუადღე მოახლოვებული იქნებოდა, ათი-თორმეტი პატარა ბიჭი დახეულ დაირით და პატარა ექვსშაურიანი დანჯღრეული მუზიკით კარიკარ დადიოდნენ. დაირას აბრახუნებდნენ და მუზიკას საცოდავად აჭყვიტინებდნენ. ვერც ყეენი დაიკვეხებდა თავის მორთულობას. პირზე შაქრის თეთრი სქელი ქაღალდი ჰქონდა აფარებული, ქაღალდში ცხვირისა და თვალების ადგილი იყო გამოხეული. ტანზე დახეული ჩოხა ეცვა და თავზედაც ძველი ჩაჩი ჰქონდა ჩამოცმული.

II

— ვისთან უნდა დავსხდეთ, ბიჭებო? — იკითხა ვიღაცამ.

— ჩვენსა დავსხდეთ, ჩვენსა, — იძახდა ერთი.

— შენ გენაცვალე, ჩვენსა დავსხდეთ, — ეხვეწებოდა მეორე.

— არა, ძმაო, თქვენსა ვერ დავსხდებით, თქვენსა ბევრი კაცებია; შენი ძია ძალიან რუშხიანი კაცია. ის კიდეც გამოგვრეკს.

— ჩვენსა დავსხდეთ, შაქრო, დედაჩემი ყველაფერს გაგვიკეთებს, ეხვეწებოდა მესამე.

— არა, ვერც თქვენსა დავსხდებით, თქვენ ავი ძაღლები გყავთ.

— მაშ ვისთანღა დავსხდეთ?

— აი, ვანეს სახლში დავსხდეთ, არც ძაღლი ჰყავს, მამაც სხვაგან არის, ჩვენს ნებაზე ვიქნებით.

ძალიან კარგი იქნება; ვანესთან სჯობია, ვანესთან დავსხდეთ, — დაეთანხმნენ ყველანი.

III

საღამო ხანზე ვანეს სახლში რომ შეგვეხედნა, კაი ამბავს დავინახავდით. ბიჭები ფაცაფუცში იყვნენ. ზოგი ბრინჯს არჩევდა, ზოგი წყალს აცხელებდა, შეშას უკეთებდნენ, ჯამებს რეცხდნენ, ღვინის ჭიქებსა სწმენდნენ. ერთი საღვინე ღვინო ლიცლიცი ედგათ. დუქნიდან სამი შაურის ბრინჯი და ზეთი წამოიღეს; ერთი კაპეიკი დაუკლდათ და ისიც გიგას ძიამ დაადო. ფლავის შიშხინს ნერწყვების ყლაპვით შესცქეროდნენ. ზეთის სუნი ცხვირში მადას უღვიძებდა.

— ი, ი, ი, ი, რა კარგია! — ამოურია ფლავს ვანემ, რომელსაც პირში ნერწყვი მოსდიოდა. ოჰ რა კაი გემო ექნება! ე დალოცვილი, იანვრის თოვლივით თეთრი არ გადასდის! შეხე, შეხე, ბრინჯის მარცვლები აღდგომის ბატკნებივით არ დაბერილან! დაილოცა შენი გამჩენი!

მეორესაც მოუნდა ფლავის დანახვა, მესამესაც, მეოთხესაც; შეშოეხვივნენ ქვაბსა და მადიანად ჩასცქეროდნენ გემრიელს ფლავსა.

— მოხარშულია, ღმერთმანი, ძირი დაეწვება, გადმოვდგათ, — ურჩია ერთმა. ყველანი დათანხმდნენ.

კერძები ოროლმა დაიდგა. ერთი მეღვინედ დადგა. თამადაც ამოირჩიეს.

საღეგრძელოს საღეგრძელო მოჰყვა. ჭიქებს თითქოს ჰლოკავენო, ისე ცლიდნენ.

IV

გათენებამ მოატანა. ხრუწუნში ბარაქიანად ბნელა. ვანეს დედას ძილი რაღაცამ გაუფრთხო. ყური დაუგდო. ვანე ლოგინში ტრიალებს, ოხრავს, იწევს, რაღაცას ჯიჯღინებს. „დაიცა, დაიცა, შენ დაიჭირე, მე დავკრავ, ძალიან აფარებ ხელსა, წვერი გამოუჩინე, თითებს, ხომ ვერ დავკრავ“, — ლაპარაკობს ვანე. „მოიცა, კაცო, კვერცხი არ გამიტეხო! მოიტა კაცო, მომეციიი“... და თან კვნესის ვანე, ოხრავს.

— რა არის შვილო, გენაცვალოს დედა. რათა სტირი, სიზმარში ხომ არაფერი ნახე? — ეკითხება დედა.

— აა, ეეე, უ, უ, — აგრძელებს ვანე, თან ისევ სძინავს.

რასა ხედავს ვანე, რამ შეაძრწუნა, ასე რათა ტირის და შფოთავს.

V

ვანე შესცქერის ბობოლასა, შვიდი ფრთა ურჭვია, თვლის ვანეცა. ბიჭო, შვიდი კი არა, ექვსი იყო. ამას ხუთიღა აქვს. ეე, ღმერთო, რა თანდათან აკლდება, რა ჩქარა მიიპარება ეს მარხვა!

ორი კვირა უცებ გავიდა. თვლის კიდეე დღეებსა.

რა იცის, როდის რა დღეა, ბობოლა იმიტომ დაჰკიდა, რომ იმან უნდა გააგებინოს.

ბიჭოს, ოთხის მეტი აღარა აქვს ფრთა ბობოლასა, მაშ ოთხშაბათს შუა მარხვა იქნება, მერე ნახავ, როგორ ჩქარა წავა ეს მარხვა. მგონი ცხენივით მიაჭენებდეს...

შუამარხვაც გავიდა. მირბის დღეები, გადის კვირეები, ბობოლას ორი ფრთაღა დარჩა. ვანე ცოტა მოწყენით არის, ეს ვერანა, ლამის დიდმარხვა გაიპაროს და მამას კი ჯერ იმისთვის საახალუხე არ უყიდ-

ნია. ბზობას შაქარასაც ახალი ახალუხი ექნება, გიგასაც, მიტრასაც, სისოსაც. ამას კი არა აქვს ჯერა. მაინც ხომ ისინიც არ ჩაიცმენ აღდგომამდის, მანამდის იქნება მეც მამიტანონ...

ბზობაც მოვიდა. ვანემ ერთი მუჭა აყვავებული ბზა მოიტანა სახლში საყდრიდან; თვლის ყვავილებს დედა.

— ეე, რა კარგი ჭირნახული მოგვივა, რა პურიანი ბზა არის.

— კარგი ბზა მოვიტანე დედა, დიაკვანმა სთქვა: რა კარგი ბედისა ყოფილა ეს ბიჭიო, ბედი მექნება ჭირნახულისა, განა? — ეკითხებოდა დედას ვანე.

— დედასაც მაგიტომ უყვარხარ, გენაცვალოს დედა, რომ მაგეთი კარგი მყევხარ, — ეუბნება დედა, — მოდი რა მაქვს შენთვის შენახული, — და გადმოიღო დედამ თაროდან ჯამით კარგი მსუქანი ზურგიელის ნაჭერი.

იჰი, ჰი, რა კარგია! რა გემრიელია!

სჭამს ვანე, აყოლებს თან მჭადსა, ილოკავს თითებს, ჰყლაპავს გემრიელს ლუკმებს, მაგრამ არ აძღებს როგორღაც.

აი, შეჭამა კიდეც სრულებით, თითებიც გაილოკა, მაგრამ ისევა შიან. ცოტა დიდი მაინც გამოეგზავნათ ბატონიანთ, ან დედას შეენახა ცოტა მეტი. მაგრამ დედას ხომ სრულებით არც კი უჭამია, პირიც არ გაუხსნილებია ამ ბზობა დღესა, სულ ვანემ შეჭამა, დედას არაფერი შეუნახა. რცხვენია ვანესა, რომ ასე იმსუნაგა და ერთი ჩიჩქიც არ მისცა დედას, რცხვენია, მაგრამ ახლა რაღა იქნება. კვლავ კი აღარ შეჭამს, დედას შეუნახავს.

ბზობაც გავიდა. ბობოლას ერთი ფრთაღა აქვს გაშვერილი. ვანეს საახალუხეც უყიდეს. აშურებს დედას ვანე, ჩქარა შეუკეროს ახალუხი, წყალზე თვითონ დარბის, ნახირში ძროხა თვითონ გაჰყავს. დედას ესაქმება, ყველაფერს მარდად უგონებს.

დიდი ხუთშაბათისათვის ვანეს ახალუხი მზად არის. დუგმები აკლდა, ისიც დილითვე დააკერა დედამ. ჩაიცვა ვანემ. ტანზე რა კარგად დაადგა!

წითელი პარასკევია, კერაზე ცეცხლი გუზგუზებს, ქვაბში წყალი ხუშხუშებს, კვერცხები იხარშება, ბანში ბობოლა საცოდავად ტრიალებს ბოლისაგან, ერთი ფრთაღა გაუშვერია. ის ფრთაც გამოვარდნაზედაა. ექვსი ნახვრეტიდან ნაცარი გამოდის.

ვანე სიხარულით ფეხზე აღარა დგას. არჩევს კერკეტ კვერცხებს, იშინჯავს კბილზე, რა მაგარია, მოლეული დედლის დადებული იქნება. აბა, ერთი ამას დამიკრან თუ სულ არ დაუმსხვრიო ყველასა. ეს დიდი კვერცხი კი ფუყე იქნება, ხმაც ისეთი აქვს. თან ჯიბეებს იშინჯავს. კაი დიდრონებია; ბლომად კვერცხები ჩავა, მარჯვენა ჯიბეში სულ მთელებს ჩაიწყობს, მარცხენაში კი დამტვრეულებს.

თან მსუქანი ქადა და ხორცი აგონდება. პირში ნერწყვი მოსდის. რაღა შორს არის, დღეს არაფერი, ხვალ შაბათი და ზეგ რო გათენდება, პირსაც გავიხსნილებთ.

დღეს წითელი პარასკევი,
ხვალ შაბათი თენდებაო,
ხვალე... ზეგ რო კვირა მოვა,
ყელი ჩაიპოხებაო.

მღერის ვანე.

პარასკევიც დაღამდა. კვერცხების ღებვაში ბრჩხილები და თითებიც შეიღება. როგორ იქნება, აღდგომას უნდა ეზიაროს, მღვდელი რას ეტყვის, წითელხელებიანი ხომ ეკლესიაში ვერ შევა.

აი, დაღამდა შაბათიც. ვანემ ახალი ახალუხიც ჩაიცვა, ახალი ქალამნები და წინდები. მოირთო, მოიკაზმა, ნეფეს დაემსგავსა. ვახშამიც არ უჭამია, ხვალ უნდა ეზიაროს, ტანგაუხდელი დაწვა ლოგინზე, ლიტანიაზე ხომ დაუგვიანდა, რომ გაიხადოს, სანამ ჩაიცვამს, მერე წინდები ისეთი ვიწროებია.

დაიძინა ვანემ, მაგრამ, ვაი იმ დაძინებას! სულ ლიტანია ეზმანება, წითელი კვერცხები, გაჩაღებული სანთლები!

ვითომ დასძინებია, ზარები დარეკილა, ხალხი სულ მისულა, მხოლოდ ის დარჩენილა. ტირის ვანე, ღრიალებს, პირდაუბანელი გარბის საყდარში. აკი კვერცხები შინ დარჩენია.

„ოჰ, ოჰ რა უბედო ვარ. რაღა მეშველება“ — გულამომჯდარი კვნესის, გმინავს. ღმერთმა შეიბრალა. ლიტანია ჯერ ადრეა, მღვდელი არ მოსულა: ვანე სიხარულით სახლში ბრუნდება, რაც ძალი და ღონე აქვს უკან მორბის.

— კვერცხები მომაგებე, დედა, კვერცხები, — ეძახის ისევ გზიდან დედას.

დედას არ ესმის, არ გამოდის.

„დედა! დედა!“ ყვირის ვანე, აწვება კარებსა. კარები მძიმედ იღება, ბნელა, დედა არსადა ჩანს. სასოწარკვეთილი ვანე, რაც ძალი და ღონე აქვს უყვირის დედასა და ამ ყვირილზე გამოეღვიძება.

გათენებულა, ბანიდან ფანტელ-ფანტელა თოვლს ჰყრის, გარეთ ქარი გრიალებს და კედლებში ბუზიკით შემობზუის. იხედება აქეთ-იქით, დაიხედა ტანზე, ისევ ის ძველი ახალუხი, ჯიბეებიც ცარიელი, მართლაც გაუხდელს დასძინებიყო.

[1894 წ.].

ფალავნები

I

ძალიან მკვეხარა ვინმე იყო პატარა გოგლია.

ვინ იცის, კვეხნა თავის დღეში აზრადაც არ მოსვლიყო, რომ თავის დედისაგან არა სმენოდა მუდამ დღე, მუდამ საათს: „უჰ რა გმირია ჩემი შვილი, ენაცვალოს დედა, რა ღონიერია, შეხედეთ ამის ტატუებს (უჩვენებდა იმის მსუქან დარგვალებულ ხელფეხს), გოლიათს არა ჰგავს! შემოევლოს თავისი დედის ძუძუები თავის ტკბილსა. ვინ გაუძლებს ჩემს ფალავანს, ჩემს რკინის კვნეტელა დევ-გმირსაო!“

გოგლიამაც წარმოიდგინა თავისი თავი გმირად. ეგონა, დედაჩემის სიტყვები — ჭეშმარიტია, მართლა ჩემი მომრევი აღარავინ იქნებაო. თვითონ სიარულშიაც შეამჩნევდით, რომ თავის ღონეს გაჩვენებდათ. რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გადაალაჯებდა ხოლმე, რომ მნახველს ეთქვა: „აბა, უყურეთ, როგორ შორს აბიჯებს, რა ბიჭია გოგლიაო!“

ხანდახან ისე გადიჩაჩხებოდა ხოლმე, რომ მეორე ფეხს ვეღარ გადიტანდა და იქვე ჩაქოქდებოდა.

— უი, ქა, გენაცვალე! — გამოქანდებოდა შეშინებული დედა, — ლაჯებში არ გაიყარო! — ააყენებდა გოგლიას და წამოიყვანდა. ამით გათავდებოდა იმისი სიგმირე. ბალიშზე დაწოლილ კატას დააკლებდა ხელს და მიარბენინებდა დედასთან.

— უყურე, დედა, უყურე! — ვითომ, ნახე, რა ბუმბულივით ავიტაცეო!

—ჰო, გენაცვალოს დედა, შვილო, რო გეუბნები დევი მყევხარ!— და ჩაიკრავდა გულში გამარჯვებულ შვილს, რომელიც თავმომწონედ გადმოხედავდა დამარცხებულ კატას.

წაღას იპოვნიდა ტახტქვეშ, თუ ლიტრას მაგიდასთან გადადგმულს, მოათრევდა დედისკენ, „აბა, რა ღონიერი ვარო“.

საწყალ მამალს იმისგან არ ჰქონდა მოსვენება: საყივრები სულ დააგლიჯა, ზოგი ახლაც ქუდის სანაპიროში ერჭო. მიეპარებოდა ხოლმე გაბერილ მამალ ინდაურს და, როცა ბოლოგაშლილი დაშვებულ მხრებს მიწაზე მიაფხაკუნებდა, გოგლია ბოლოში წაეტანებოდა დასაჭერად.

ვაშინ უნდა გენახათ, იმისი სიცილი, როცა ინდაურს უკან-უკან მოათრევდა ბოლოთი და ფეხით მიწას მოაკაწვრინებდა. ისეთი ხარხარებდა, ისეთი, ისეთი, რომ... მაგრამ ეს ინდაურთან ბრძოლა ხშირად ტირილით გათავდებოდა ხოლმე, თუ მარჯვედ ვერ შეხვდებოდა გოგლია, განზე არ ექნებოდა ფეხები გადგმული, გამფრთხალი ინდაური გაიწევდა ხოლმე და გოგლიაც პირქვე წამოყუნჭალავდებოდა (წამოყირავდებოდა), წაჰკრავდა ცხვირს. მაშინ უნდა გენახათ თვალცრემლიანი, ცხვირგასიებული, დაშვერილი ყიყვით, ღრიალით და ტუსტუსით გასწევდა ხოლმე დედისკენ.

— ვინა სცემა ჩემს შვილს? ვინა გცემა ჩემო მშვენიერო? მითხარ, გენაცვალე? დაიცადე, ინდაურო, შენ თუ შეგარჩინოს თავის გაბიაბურება, ჰნახავ, მაგ ჩინჩლოზე გეზიდებოდეს.

II

ძალიან გაითქვა გოგლიას გმირობა. სადაც კი გაივლიდით, სულ იმის გმირობის ამბავი ისმოდა, მოლექსეებს ლექსიც კი გამოეთქვათ, აი, ის ლექსიც:

ამირანივით გაითქვა
მთელ დუნიაზე გოგლია,
არწივს მთით ჩამოფრენილსა
მხოლოდ ფრთებიღა აკლია;
ეს ქათამა-ინდაურები
სუ პარკებივით ათრია.

ქათმები წუხდნენ: ლამის ჩვენს მამალს ყივილი დააკიწყდეს, მაგის შიშით, ბაიათი ვეღარ აუწევიაო.

— ჩვენი მამა-მამალი ვეღარ იფხორება, გოგლიამ ფრთა-ბოლო გააგლიჯაო... კივკივებდნენ ინდაურები.

— ერთს ადგილზე აღარ მასვენებსო, — ჩიოდა წაღა, — ჭიანჭველის გუდასავით დამათრევს, აღარ ვიცი, სად მოვაფარო თავიო.

მხოლოდ ერთს ოჯახს არ ეშინოდა გოგლიასი. აინუნშიაც არ მოუდიოდათ იმის ტრაბახი და ბაქიბუქი. ეს იყო ყურშას ოთხი პატარა ლეკვი. ამათი გოდორი კუთხეში იდგა და თითქმის მთელი დღე და ღამე გოდორში ჩაგებულ ჩალაზე იწვნენ. გოგლიას ერთხელაც არ მოსვლია ფიქრად იმათი დახედვა. სანამ პატარები იყვნენ, ლეკვებისა მხოლოდ კვნესა და წკავწკავი ესმოდა ხოლმე, ახლა კი, როცა მოიზარდნენ, გოგლიას ბრახაბრუხზე ამოცვივდებოდნენ ხოლმე გოდრიდან და გაბამდნენ ყეფას. დიდხანს ითმინეს იმათ გოგლიას კვეხნა-ტრაბახი.

— ერთი გადუხტეთ მაგ გოგლიას და სულ კუდით ქვა ვასროლინოთ, რომ ტრაბახობს, რასა ტრაბახობს, — დაემუქრნენ ლეკვები.

III

არ ვიცი, პირველად ვინ გამოითხოვა, გოგლიამ თუ ოთხმა ძმა-ლეკვებმა, ყურშას შვილებმა.

მე მხოლოდ მაშინ ვნახე პირველად, როცა ფალავანი გოგლია გამოვიდა საჭიდაო მოედანზე და გამოითხოვა ოთხივე ძმები.

— თქვენ, ყურდაუჭრელებო, ჩიხმეიდან, გამოდით მოედანზე, გინდა სათითაოდ, გინდა სულ ერთად, ჰნახავთ, სულ კურკებივით დაგალაგოთ, რა ბიჭები ხართ, გამოდით რაღა!

ის კი არ იფიქროთ, თუ გოგლია სამტროდ ემზადებოდა, არა! სამტრო რა ჰქონდა, ისე უნდა თავის ბიჭობა ეცადნა; გოგლიას იმათთვის უნდა დაემტკიცებინა, თქვენ რომ არაფრად მაგდებთ, მე ღონიერი ვაჟკაცი ვარო.

არ ვიცი, გაეგონა, თუ ენახა, ფალავნები ტანისამოსს იხდიანო, გოგლიასაც სულ ერთიანად გაეხადნა ახალუხი, შარვალი, წინდა-ჩექმები, ქუდიც კი მოეხადნა, დამამძიმებსო, ერთი პერანგის ამარა-ღა იყო. ასე და ამგვარად გამოვიდა საჭიდაოდ.

საფალავნოდ გოდრის წინ მდგომი ტახტი აირჩია. ვინცობაა წაქ-ცეულიყო, პატარა რბილად მაინც დაცემულიყო.

— აბა მოდით, ჰა, რაღას ელით? ვნახოთ, რა ბიჭები ხართ, თუ დაგალაგეთ, დაგალაგეთ, თორემ მე ცუდი ბიჭი! გეშინიათ, რას იმალებით?

ლეკვები იგვიანებდნენ, პასუხს არავინ იძლეოდა, მხოლოდ ფაჩი-ფუჩი ისმოდა.

— თუ არ ამოხვალთ, მე ამოგიყვანთ! — მიუხტა გოგლია გოდორს. ჩაყო ხელი და დაუწყო ერთს წევა.

— მაშ, ეგ არის გვითხოვ, გვითხოვ საჭიდაოდ, ბაქია გოგლიავ, რაღა? — შეეკითხა ერთი მურა ლეკვი. — აბა, ძმებო, მომეშველეთ, ანას ნუ დავაბრიყვებინებთ თავს. ამის ფალავნობა დავაჩალოთ.

სამი ლეკვი ერთად გადმოძვრა გოდრიდან და ყეფით შემოესია გოგლიას, მეოთხე კი შიგვე დარჩა სეირის საყურებლად.

— აბა მურავ, ჯერ შენ მიდი ხელდახელ, ჩვენ ფეხებში ვეცემით! — უთხრეს ბროლიამ და ციბრომ მურა ლეკვს, რომელიც უფრო გულადი იყო.

— არა, ყველანი ერთად შემოვეხვიოთ, აბა, ბიჭებო, ჩქარა, ჩქარა. აღარ დააცალოთ, ზოგი ცალ ფეხში ვეცეთ, ზოგი მეორეში, ერთი ეგ შევარცხვინოთ! — ამის თქმა და შეტევები ერთი იყო.

შემოეხვივნენ ფეხებში და ტიტველ კანჭებზე წაავლეს კბილი... ლეკვების წვრილი კბილები ცოტა არ იყოს ემწვავა გოგლიას, თან კიდეც აირია, პირველ შეტევებას ვერ გაუძლო და მორთო ყვირილი.

— მოიცათ, მოიცათ, უჯეროა, უჯერო, ფეხებს რო მიწევთ, რა ჭიდაობის წესია, ერთი ხელდახელ უნდა მოხვიდეთ, ვნახოთ რას გაჭყიდით!

მურიას ბრძანებით ბროლიამ და ციბრომ აუშვეს გოგლია და განზე გადგნენ, ჩახმახებივით ფეხზე შემდგარები გოგლიაზე იერიშის მისატანად.

— აბა, მურავ, მოდი შენ ხელდახელ, რა ბიჭი ხარ, გნახავ. — დაეტანა გოგლია მურას, მოხვია ერთი ხელი ყელზე და ერთიც წელზე.

ბევრს იბრძოდა მურა, მაგრამ რაღას გაუშვებდა გოგლია! დაძალა რაღა, დაძალა მურა.

— მიშველეთ, ძმებო, ბროლავ და ციბროვ! — ეძახის გაჭირვე-

ბული მურა. მაგრამ რაღა იმის დაძახება უნდოდა, ორივე ძმები ეცნენ მარდად გოგლიას კოჭებში და ერთს წამს დასცეს ძირსა. წამოიქცა პირქვე გოგლია და მურაც ქვეშ ამოიდო.

— ჰა, ეს ერთი ხომ ძირსა მყავს, — იძახის გაღიმებული გოგლია და დაუმუქნია მაგრად მურა. საწყალი მურა ძლივსღა ახელს თვალებს და სულს ძლივსღა იბრუნებს. უნდა გამოძვრეს, მაგრამ ვერ უდგება. თან წკმუტუნებს და კვნესის.

მურას დედაც წამოყუნტებულა იქვე და შეშინებული შეცქერის თავის მურას. „არ დამიხრჩოს კი იმ გოგლიამ ეს შვილი, რას უშვრება?“ მაგრამ რა იქნება, სანამ არ გაშველდებიან.

გამარჯვებული ბროლია გვერდში დაეტაკა გოგლიას, ციბრო დუნდულებზე შეახტა და წაავლო კბილი რბილ ხორცზე. ახლა კი ემწვავა გმირსაც.

— გამიშვით, გამიშვით, — ყვირის გოგლია, — გეყოფათ, კმარა, ძალიან ნუ იკბინებით, ე!

[1894 წ.]

ვახშმობა გადასული იქნებოდა. სოფელში ხმაურობა მიწყდა. წინანდელი ღრიანცელი აღარ ისმის. ხანდახან სახლის გვერდზე, სოფელს შუა, შარაზე ურემი მძიმედ მიჭრიალებს და მეურმეც ღამის ერთფერობას არღვევს. ზოგჯერ ძაღლის ყეფა მოისმის, მაგრამ იმასაც მალე სწყინდება.

სახლების ბან-ფანჯრებში შუქი თანდათან კლებულობს. მხოლოდ ბებე ქეთევანას სახლიდან ისევ ისეთი სინათლე გამოდის. შევიხედოთ, რას აკეთებს?

ბებე ქეთევანას დაუყრია ცეცხლზე შეშები, თვითონაც გვერდზე მოჯდომია და საწინდე ძაფსა ჰგრეხს, ეტყობა, ძალიან ეჩქარება.

ფანჯრიდან რომ მთელი საათი უცქირო, ერთხელაც არ შემოიხედავს. აი, შეშა თუ გასკდება და ნაპერწკალი დაეცემა კალთაზე, იმას თუ გააქრობს, მაშინ მოაშორებს ტარს ხელს, თორემ სულ ერთავად აბრუნებს და აბრუნებს. ნამწვავ მუგუზლებს ფეხით ისევ ცეცხლში ჰყრის.

— ამ ჭრაქის სინათლეზე ვერას დავინახავ, თუ ცეცხლმაც არ გააშუქაო. გვერდზე ერთი გულთეთრი ექვანა კატუნია მოჯდომია.

ბებეს ხელების პარჭყვას და ტარის ბზრიალს გაკვირვებით შეცქერის, როცა ბებე ძაფს გააგრძელებს და ხელს განზე გაიტანს, ისიც თვალს გადააყოლებს; როცა ბებე ტარზე ჩაახვევს და ხელს ახლო მოიტანს, ახლა აქეთ მოაყოლებს თვალებს.

რასა ფიქრობთ, ვითომ რთვა უნდა ისწავლოს, ან გრეხა-ძახვა? არა მგონია! რა ბავშვებისათვის მოუნდება წინდების დაქსოვა! ვინ იცის, იქნება ცნობისმოყვარეობითაც მოსდიოდეს, იქნება მართლა სწავლა უნდა. არ ვიცი, ღმერთმანი! ის კი ვიცი, რომ ციცუნიას მოჰშივდა, კაი ხანია არაფერი უჭამია და პატარა კბილის დასადგმელს ელის ბებესგან, როდის იქნება, მორჩეს, ვახშამი ვჭამოთო.

მაგრამ ბებეს არ მოჰწყინდა გრეხა და ტარს კი, აბა, რა დაჰლალავს. თითქო ერთმანეთს ეჯიბრებიან ბებე და ტარიო.

— როგორ ეჩქარება ბებეს ამ საწინდეს რთვა,—ფიქრობს ციცუნია.—მარტო ეგლა ახსოვს, მე ვიღას ვაგონდები, ან ჩემი დობილი თეკლია. ნეტა ვიცოდე, რა უცდება უმაგისოდ! გაგონილა ამდენი მუშაობა?! ერთ წამს ხელიდან არ უშვებს.

პური მშია, ველი, იქნება ან ახლა გაშალოს ვახშამი, ან ახლა, მაგრამ ეს არხეინად ზის; გული გადამელია ლოდინში. ჰო, ჰო, მე არაფერი, რატომ თვითონ მაინც არა ჭამს ვახშამს ეს დალოცვილი დეიდა. ქაა, გაგონილა მშიერი მუცლით მუშაობა? თუ თვითონ ქვის მუცელი აქვს, იქნება სხვასა ჰშიან. მაგას რომ მადა არა ჰქონდეს, ჩემი რა ბრალია. თეკლიასაც უვახშმოს დაეძინა. მე კი, აბა, რა დამაძინებს, პატარა რომ წამთვლიმოს, მაშინვე გამომეღვიძება ტარის გრიალისგან. ანძრევს თითებს ბებე, ტარიც, რაც ძალი და ღონე აქვს, ტრიალებს. თან ბუზარასავით ბზუის. შევცქერივარ, თანდათან იზრდება, მუცელი უსქელდება, ბოლოკივით უხდება.

მიკვირს, რა ზრდის, მე რატომ არ ვიზრდები მაგრე მალე? როცა ძალიან გავძღები, პატარა მაშინ თუ დამეტყობა მუცელი, თორემ უიმისოდ გამოწლულსა ვგევარ.

ხანდახან ტარის წკრიალზე ძილი მომეკიდება ხოლმე და კრინვას შოვყვები.

— ეს კატა როგორ ტკბილადა კრინავსო, — იძახის ბებე, — აბა, ჩემო კატუნო, არაკები უამბე თეკლიასა, თვითონ ხომ არაფერი იცის, სულ სხვა უნდა უამბობდეს.

ბებეს ძალიან ეჩქარება, თეკლიამა თქვა: „მამაჩემი ხვალ ქირაზე უნდა წავიდეს, ფეხებზე წინდები არ აცვიაო და ბებე იმიტომ აშურებსო.“

საწყალი ბებე! როდის უნდა მოქსოვოს? ზარმაცი თეკლია ხომ

არ უშველის, სულ დედოფლებს გაჰზიდავს, სხვა არაფერი აჯავრებს, იმის ხელში საქმეს ვერა ჰნახავ. მე მაინც ვიცოდე ქსოვა, აქამდე კი არ ვალოდინებდი.

მეშველნა, მალე მოვრჩებოდით და ვახშამსაც გემრიელად გიახლებოდით. არ შემერგებოდა თუ? ახლა კი ლამის შიმშილით გული წამივიდეს.“

შუაღამე გადასული იქნება. კერაზე ცეცხლი ჩაქრა.

ჭრაქი ხომ ბებემ დაწოლის წინათვე მოასვენა.

დაღალული ბებე ტახტზე ძველ საბანქვეშა ხვრინავს, თეკლიაც ბებეს მიჰკვრია გულში, ხელები დამჭკნარ ძუძუებში ჩაუყვია. მხოლოდ ჩვენს ნაცნობს ციცუნიას არა სძინავს. არც რწყილსა ძინავს. კალიასავით დახტის თეკლიას ლოგინში. არც თაგვსა ძინავს, გოდრის ძირში რაღაცას აფხაკუნებს, ჰხრავს, აკნატუნებს.

რატომ არ დაუძინია ციცუნიასა? რა ფიქრებშია გართული?

რა დააძინებს გენაცვა, ყველამ რო დაიძინოს, სახლს ვინღა უყარაულებს?

განა არ ესმის გოდორქვეშ რომ ვიღაცა აფხაკუნებს? ერთიც ენახოთ გამოძვრა.

კიდევ რა არ აძინებს?

საქმე ხომ მოგეხსენებათ რა მოსაქმეა, ღმერთმა ნუ დაგილიოსთ მაგისთანა მშრომელი!

— ამ ბებეს ხვრინვაც არ მაძინებს, როგორ სტვირივით უკრავს ბებე ამ ცხვირით, — ფიქრობს ციცა, — პატარა ბამბა დაუცო?...

ეს დალოცვილი თაგვებსაც აფრთხობს აბა, მაგ ხმაურობაზე თაგვს რა გამოიყვანს შიშითა. მგონია, ეგონოს კატების ლაშქარია ჩასაფრულიო. მეც ასე უნდა ვიჯდე. თვალი და გული ჩამოვიწყალო მოლოდინითა. ვიცოდე მაინც, ბებემ რა უყო ნაქსოვი წინდა.

გრეხას რომ მორჩა, წინდაც შეაბა და მგონი ერთს ტერფს (თათს) ქუსლიღა აქვს გადასახვევი. საწყალი ძალიან დაიღალა. ვინ იცის, მოასწრებს მოქსოვას? მოსაქსოვი რომ დარჩეს, ხომ თეკლიას მამას ფეხები დაეძრება ამ სიცივეში. ვიპოვო და მე ვქსოვო? ვერ მოვქსოვ? — რა დიდი საქმეა, გავერთობი კიდეც, ბებესაც გავახარებ; ადგება საწყალი, ჰნახავს მოქსოვილია ტერფი, ქუსლი გადუხვევიათ,

გაიკვირვებს, მგონი საწყალმა იფიქროს, ალბათ წუხელი ძილში თუ მოვქსოვეო.

არა, თუ არა ვქსოვე, არ იქნება.

წამოდგა ციცუნია, გაიზმორა, წინა ფეხები წინ გამოიჭიმა, უკანები უკან გაპარჭყა, ერთიც დაამთქნარა.

— ბნელა, იქნება თვალები ჩამიცვინდეს, სანთელი მაინც ენთოს. არა, ჯერ ვიპოვნო წინდა, მგონი აქ შეინახა.

ციცა მივიდა ხოკერთან, ჩაიხედა, ჩაყო ფეხი, იქ არაფერი იყო. მერე ბებეს იქით გადაძვრა, ბალიშ ქვეშ ნაქსოვ წინდას გვერდი უჩანდა.

— აქა ყოფილა, კარგია! — მოჰხვია წინა ტოტები წინდას, გადმოითრია ძირს და დაუჯდა საქსოვად.

ებრძვის ციცა, ატრიალებს, ჰსუნავს, როგორღაც არ ემარჯვება, ეს წინდის ჩხირები უშლის.

— მეც ამით უნდა ვქსოვო? — ფიქრობს კატუნი, — ბებე ამეებით არა ქსოვს? — არ იქნა, ვერ დაიჭირა კლანჭებში გალესილი ჩხირები, სულ ხელიდან უძვრებიან.

— ეჰ, ტყუილად მიშლიან, სჯობია გამოვაძრო ეს რაღაც ჩხირებია. — აი, ახლა აღარაფერი მოუშლის, ახლა ჩქარა მოქსოვს.

ჩაჰჭიდა ციცამ წინდის თავს კბილები, აიღო მაღლა, მერე კლანჭებით დაიჭირა, გადააქვს და გადმოაქვს იქით და აქეთ ეს თათი, როგორც ბებე შვრებოდა, თან მეტის სიფიცხით მაღლა ისვრის და ეტანება. საითკენაც თათი გადავარდება, ისიც იქით ტრიალებს, ხან ზურგზე, ხან კუდის თავზე, თან გორგალიც გორავს, ძაფიც იწეწება.

ახლა გორგალს ეცა, წააჯდა ზევიდან. გორგალი გაგორდა, გაჰყვა ციცაც, გააქვს და გამოაქვს. ხან ტახტქვეშ შეაგორა, ხან გოდრისუკან გადიტანა. უყურებს ციცა და უხარია გორგალი რომ ილევა.

ოჰ, რა ჩქარა იქსოვება წინდა, ჰხედავ, მთელი გორგალი შეაქსოვა. მხოლოდ ეს ძაფები რად არის გადაბმულ-გადმობმული ამ ტახტისფეხებში. იქნება დარჩა ქუსლსა? ვნახოთ, გადიხვია?

ახ, ეს უმადური თათი თითქო წელან უფრო გრძელი იყო, როგორ დამოკლებულა.

დაუჯდა ისევ ტერფსა, ეტყობა შეჰშლია.

ჩასჭიდა ძაფს პირი, ტერფი ფეხებით დაიჭირა. ეწევა ძაფს, ფრთხიალებს თათი, ძაფი უბევრდება ციცუნიას. ტერფი თანდათან ხელიდან უქრება—რა ვქნა, ეს ტერფი სად მეპარება, რა ეშმაკზე შემჯდარა.

— ახლა კი მეც დავიღალეო, — თქვა ციცამ, — დროა, მეც მოვისვენო, დილაზე ადრე ადგომა მომინდება.

შემოუწვა ჩვენი მშრომელი თავის ხელსაქმეს გვერდზე, ბებესავით თავით დაიდო წინდა.

დილით ბებეს წინდა უეჭველად მოქსოვილი დახვდებოდა, არა?

[1895 წ.]

„მარიამა“ კამეჩი

I

— დედილო, აბა ელთი გამოიქედე, ჩვენს კამეჩს ლა მშვენიელი ფუ-
ჩინა ჰყავს. უჰ, გენაცვალე, დედა! ლამოტოლა ყულები აქვს, ლო-
გოლ აბალტყუნებს, თითქო კულდღელიაო, უყულე, დედა უყუ-
ლე!—პატარა მარიამა დაჟინებით ეძახდა დედას გამოსულიყო, ფუ-
ჩინა ენახა.

— უყულე, დედილო, ლოგოლ ალხეინად დაბძანდება! ხომ ალ
მელჩოლავს, ლომ ხელი მოეჭიდო?!

— არ გერჩის, შვილო, არა, გენაცვალოს დედა.

— უჰ, უჰ ლა მცუქანია, ლა თეთლი აქვს, დედილო, კუდის წვე-
ლი, ლოგოლი ფაფუკი და ლბილია! ლით უნდა მელჩოლოს, ლომ
ელთი კიკნა ლქებიც ალა ჰქონია ამ საწყალსა. დედა, საწყალი ფუ-
ჩინა, ჯელ ისევ ლბილები აქვს, ლა ეშველება, ლომ ელთი მგელი
შეხვდეს ამ ჩვენ ფუჩინასა? ლქები ლომ ალა აქვს, ლით უნდა ულ-
ქინოს მგელსა?

— ვერაფრითა, შვილო, თავისი დედა თუ მიეშველება, თორემ
შესჭამს. თუ დედა იქ ეყოლება, კი არა უშავს რა.

— მალთლა, დედა, მეც ლომ მალტოკა წავიდე მინდოლში, მგე-
ლი შემჭამს? ჰო დედა?! იმ ველანას ლაღა პაწაწინეებისათვის მოუც-
ლია, აბა ელთი მამა შეჭამოს, თუ კაი მგელია, ნახავს თავის სეილსა!
განა დედა?

— ჰო, შვილო, მაშა!

— წავიყვანოთ, დედა, ფუჩინა ზინა, აქ მალთლა მგელმა ალ ჩამოიალოს და ალ შეგვიჭამოს. მაშინ ლაღა მეშველება, მგელი შოლს გაიქცევა და ვეღალც დავაკლებთ. ი ოხელი ლა დიდებულ ტყეში შეძვლება.

— არა, შვილო, იმასაც ძალიან ეშინიან კაცებისა და ძაღლებისა.

— უჰ, დედა, ამ ფუჩინიას დედას ლამოტოლა ლქები აქვს, ნეტა ის მგელი მოკლას სადმე და! საღამოზე ნახილიდან ლომ მოაგდებენ, უნდა უთხლა, აგე მგელი გვემტელება მე და შენს შვილსა და ელთი კალგად მიბეეე, მინდოლში თუ ნახო-თქო. ის ოხლად დასალჩენი, წავიდეს, ყანები ხომ ბევლია და სიმინდები, პაწაწები ლომ ალა ჭამოს, ყანა მოძოვოს ლა, ძლოხები სულ ბალახს ალა ძოვენ?

პატარა ქალი მარიამა აღარ ეშვებოდა პატარა ზაქსა. ხან პირში უყოფდა ხელსა, ხან ზედ უპირებდა შეჯდომასა. ხან ებუჩავებოდა. პატარა ზაქი კი არხეინად შეცქეროდა. თითქო უკვირს, რას მელაპარაკება ეს პატარა ადამიანიო. შემოწვა გვერდზე, თავი გვერდზე გადმოიდო, ხან ერთს ყურს ჩამოატყაპუნებდა ძირს, ხან მეორეს. ბუზი რო დაჯდომოდა, მთელი ტანი შეუთრთოლდებოდა. როცა პატარა მარიამა ხელს ახლებდა, ფუჩინაც ერთ თვალს გაახელდა და მერე ზარმაცად ისევ მილულავდა. პატარა ქალიც აღტაცებული შეცქეროდა.

— დედა, ეძინება ჩვენს ფუჩინას, შეხედე დედა, ლოგოლ თვალებს ხუჭავს, ვინ იცის, წუხელ ალ ეძინა, ვინ იცის, მგელი აშინებდა, უჰ, აბა ლა დააძინებდა ამ საწყალსა! დედა, ლა ცოტა კბილები ჰქონია. უკბილო ბებერი ყოფილა. იცი ლა გითხლა დედა, ამ ფუჩინას ელთი კალგი სახელი უნდა დავალქვა. ჩემი უნდა იყოს, დედილო, ფუჩინა. მე ლო გავიზდები, მე უნდა მოვწველო ხოლმე, ახლა ამას ლო პატალა ფუჩინები გაუჩნდება. ფუჩინა, ძუძუები გაქვს? ლა უნდა მოაწოვო შენს შვილებსა ქა, აბა ელთი გნახო.

პატარა ქალი ცდილობდა შეეყო ხელი ლაჯებში ზაქისათვის ძუძუების სანახავად. ზაქიც რაც ძალი და ღონე ჰქონდა, უჭერდა ფეხებს და კუდს იფარებდა, თან ტოკავდა.

— სულე, ფუჩინა, სულე, განა ძუძუ უნდა მოგპალო ქა! უნდა ვნახო, გაქვს ძუძუები თუ ალა. უჰ, უჰ, ლამოტელა ლძეს მომიწვე-

ლის ჩემი ფუჩინა, ლამოტელა მაწონს შევადედებ და კალაქს შევდღ-ევებ, განა დედა?

— ხარია შვილო, საფურე ხომ არ არის.

— უჰ, მაშ ლა უნდა უყო!

აქ გოგონას ოცნება სრულებით შეიცვალა და სრულიად ახლა სხვანაირად წაუვიდა ფიქრი. პატარა მარიამას არ ეპაშნიკა, რომ ზაქი სახარე გამოდგა, მაშ აღარც ფუჩინებს მოიგებს, აღარც რძეს მოიწველის, მაშ რაღას მოწველავს პატარა მარიამა ქალი, ან რაღა მაწონს შეადედებს? მაინც კიდევ გული არ გაიტეხა. მოაგონდა, რომ ხარ-კამეჩებიც გამოსადეგებია. მამა იმითი ზიდავს შეშას, ფიჩხსა, ძნასა, ხნავს, თესავს, წისქვილში საფქვავი მიაქვს. აკი ლომა და ნიკოლა შეაბა მამამ, ჯვარობაში რომ მიდიოდნენ, დიდედასთან რომ რთველში იყვნენ, ამათ არ მიჰყვანდათ ურმითა. პატარა მარიამას თვალები გაუბრწყინდა, მოაგონდა რთველი, ყურძენი, ხილი. „უჰ, უჰ, ლა კალგი იქნება“, ფიქრობს მარიამა.

— იცი, დედა, ლა მოვიგონე, ჩემი ფუჩინა თუ ხალია, ხომ ულემში შევაბამ, დაუჯდები და ჰალალე და ჰალალეეე, გავწეთ დიდედასაკენ ლთველში.

ჩემს ფუჩინას ვეტყვი, აბა ჩემო, ელთი კალგად გამაქცუნე, ისეთი ძიენ გამაქცუნე, ლომ, სულ ცხენივითა-თქო. ჩემს ფუჩინას უნდა მალიამა დავალქვა, დედა მეც მალიამა ვალ და ესეც მალიამა იქნება, განა დედა?!

— ჰო, შვილო, ჰო, მაშ, მეცა ორი შვილი მეყოლება, ერთი მარიამა შენ იქნები და მეორე ეგა. ძუძუსაც ორივეს მოგაწოვებთ, ერთს ძუძუს შენ მოწოვ, ერთს ეგა, ჰო შვილო?

— ალა, დედა, ძუძუ ლათ უნდა, თავისი დედა იქ ალა ჰყავს? ისიც ბევლს მოაწოვებს. ისე იქნება ჩემი მალიამა, განა ძუძუც უნდა მოაწოვო? ისე მიყვალს, დედა, ეს ფუჩინა, ლომ მუცელში აღალ მეტევა ამის სიყვარული.

II

ამათ ახლო ერთი ძველი ეკლესია იყო თავისი სასაფლაოთი. როგორც ყველგან, ამ სასაფლაოზედაც გაზაფხულზედ ᲨᲨᲔᲜᲘᲔᲠᲘ ბალახი ამოვიდოდა ხოლმე. მთელი დღეები სავსე იყო ეს არემარე ხბორებითა

და ზაქებით. სოფელში თავისუფალი ადგილი ეს იყო და ყველა აქეთ ერეკებოდა.

უეჭველია პატარა მარიამას „მარიამა ფუჩინასაც“ იქ გააგდებდნენ. მარიამა აბა თავს როგორ დაანებებდა თავის „მარიამასა“, კუდივით სულ უკან დასდევდა.

ჩემი მალიამა ისეთი უნდა გავასუქო, ისეთი ლომა, სულ ბღუოდეს აგე, ლოგოლიც ჩვენებიანთ მოზველი ბღუის ხოლმე,—და სადაც კარგი ბალახი იყო, სულ იქ უმარჯვებდა, — მოძოვე ფუჩინა, აქ მოძოვე, ჰხედავ, ლოგოლი თმასავით ბალახია, — თან ეკლებსა და ნარებს არიდებდა.

— მაგას ნუ მოძოვ, ფუჩინა, თოლემ შიგ ტუჩებში და ენაში შეგელჭობა, ყელში ალ შეგელჭოს და მელე... აბა ლაღა გეშველება და ლაღა შავი ქვა ვქნა.

არავის ახლოს არ მიაკარებდა. რო თვალი არ სცემოდა, ყელზე შელოცვილი ღვინჭილა, კოვზის პირი და ლოკოკინა დაჰკიდა. სანამ დაცხებოდა აძოვებდა, მერე მოიყვანდა საყდრის ჩრდილში, ზაქი წამოწვებოდა, პატარა მარიამა კი უვლიდა საყდარს ირგვლივ და ჰკოცნიდა.

— შენ გამიზალდე ჩემი „მალიამა“, შენ გენაცვალე ფუფალავ, შენ თავს შემოგევლე ფუფალავ, შენ წამლად დაგედე ფუფალავ, გამიზალდე ჩემი ფუჩინა, ნუ მომიკლავ, შენს მუხლებს ვენაცვალე. ფუფალავ, აგლემც ღმელთი გაგიზდის შვილებსა. აბა ფუფალა ჩემი „მალიამა“ ლომ მომიკლა, ხომ მეც მოვკვდები ფუფალა, შენი ჭილიმე ფუფალავ, და დედა ქადას გამოგიცხობს, მაწონსაც შეგიდედებს, ფუფალავ, დედაჩემსაც შევეხვეწები, ფუფალავ, ლომ შეგეხვეწოს, ლომ ჩემი „მალიამა“ გაიზალდოს, გაძიგონებ, ფუფალავ, ახლა?

როცა ხვეწნითა და საყდრის კედლების კოცნით გულს იჯერებდა, გასწევდა დედასთან სახლში. საკვირველია, თავის დღეში არ მოსწყინდებოდა „მარიამასთან“ ყოფნა.

III

ისმინა უფალმა მარიამ ქალის ხვეწნა — ახლა „მარიამა“ ის „მალიამა“ აღარ იყო, რომელსაც მარიამ ქალი საყდართან აძოვებდა ხოლმე. ახლა ვეებერთელა გაიზარდა. რქები თითო ტკაველზე მეტი

ჰქონდა და ნახირში დადიოდა. მარიამ ქალიც გაიზარდა, მაგრამ თავისი „მარიამა“ კი არ დავიწყებია. თუმცა ახლა ისე გაგიჟებით აღარ უყვარდა, ეშინოდა კიდეც იმისი, მაგრამ გააზიზებული მაინცა ჰყვანდა. მოვიდოდა თუ არა ნახირიდან „მარიამა“, მაშინვე ზმუილით გასწევდა სახლისაკენ. იცოდა, იქიდან მარიამა ქალი უეჭველად პურს გამოუტანდა, ან მარილს აალოკებდა. თუ ვინცობაა, მარიამა შინ არ იქნებოდა, „მარიამა“ ყვირილით გასკდებოდა, ვეღარც ბაკში დააყენებდნენ.

„მარიამას“ სოფლის ყველა ბავშვი იცნობდა. ჩამოივლიდა თუ არა სოფლის შუა შარაზე, გამოცვივდებოდნენ პატარა ყმაწვილები და დაედევნებოდნენ. იცოდნენ მისი სიმსუნაგის ამბავი და დაუწყებდნენ ტყუილად ძახილს: — „მარიამა“, მოდი პური გაქამო, მოდი! „მარიამაც“ არხეინად შეხედავდა. თუ შეატყობდა ხელში უჭირავს რამეო, მაშინათვე იქითკენ გაექანებოდა, თუ ვერაფერს დაუნახავდა ხელში, მაშინ კი ერთს ყურს შეიბერტყდა, კუდს მოიქნევდა, თითქო გემრიელ ქერქებზე მოსულ სიმსუნაგეს ერეკებაო და გასწევდა გზაზე. როცა თავს მოაბეზრებდნენ, მაშინ კი სრულებითაც არ შეიხედავდა იქეთკენ. განგებ სადმე ან სათივეში, ან ბაკში გადაჰყოფდა თავსა და უცმაცუნებდა ტუჩებს გამხმარ ღობეს, ვითომ და რამესა ვჭამ, თქვენი ლაპარაკი არ მესმისო.

IV

— ბიჭო, ხვალ ჩვენი ზაქი „მარიამა“ უნდა შევაბათ გუთანში, ნაფუზარში ჩაიტანეთ გუთანი, — დაუძახა „მარიამას“ პატრონმა მეხრეებს.

თავის ანეულობა იყო. მოწმენდილი ცა სიცხეს აპირებდა. დილით პატარა ნიავი ჰქროდა, მერე, სადილობის დროს, როცა მზემ წამოიწია და შეიმაღლა, ქარი ჩადგა, ჰაერი დაგუბდა, გახურდა და დაუწყო ნვა დედამიწას. პეტრუაანთ გუთანი ნაფუზარში გაჭიმულიყო, გაგძელებულიყო და თითქმის სულ გარბოდა. მეხრეებს ერთი კიჟინა და „ოროველას“ ძახილი ედგათ. გუთნისდედა პეტრუა, „მარიამას“ პატრონი, სიხარულით ცას ეწეოდა.

— ე, ბიჭებო, რა ზაქი გამოდგა, რა ზაქი, ეს ქედდალოცვილი.

ისე მიდის გუთანში, როგორც ცხენი. როგორ მოიტაცა გუთანი, კაცო, თითქო ერთი ფარატინი იყოსო.

— დაუხიეთ, ბიჭო, დაუხიეთ, ნელა უყავით, ზაქი არ წამიხდინოთ, ხომ ხედავთ, რა უღმერთოდა ცხელა, ხუმრობა საქმე არ არის, ზაქი არ დაიძალოს. — გუთნისდედა მეხრეებს არიგებდა, მაგრამ „მარიამას“ სიფიცხით წახალისებული მეხრეები ერეკებოდნენ დანარჩენ ხარ-კამეჩს, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ. გუთნისდედა ძლივს მიჰყვებოდა კვალდაკვალ გუთანს, ხელში ვეღარც კი იმაგრებდა.

„მარიამას“ საქმე კი სულ სხვანაირად იყო. უღელუჩვევს, ჯერ უღელი ეჩოთირა, გაიწია ნაპირისკენ, ფიქრობდა, გავგლეჯ, ან გუთანს გავითრევ და მოვიშორებ კისრიდან, ეს რაღაც დამადვეს მძიმეო. მაგრამ ვერც აპეურები დაგლიჯა და არც გუთნიდან ტოლმა გაუშვა. რამდენიც კვალიდან ამოსვლას დააპირებდა, მეუღლე ისევ აგდებდა კვალში. თან მეხრეც ცხვირში სახრესა სცემდა.

„რაღა ცემა მინდა, ლამის ისეც ძარღვები დამიწყდეს, ვერა ხედავ, შე უგულო ქვავ, შენა.

ღმერთი აღარ გაქვს, შემომხედე მაინც, როგორ მიჭირს, განა რო გავრბივარ, მართლა მსუბუქად ვარ, აბა მოდი, შენ შეები ჩემს მაგივრად, თან გცემონ და თან ეწიე, ვნახავ, როგორ მოუმატებ წევასა“.

სიცხისაგან გალექებულს „მარიამას“ პირიდან თეთრი ქაფი სდიოდა, პირი დაეღო და ქშიტინებდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა გარბოდა. ისა ფიქრობდა, ასე რომ ვირბინო, უთუოდ მალე გათავდება ეს სარბენი მანძილი და მერე გამომიშვებენო. ბელტი ბელტს ემატებოდა. მზეც კიდევ თითქოს ჯიბრს უწეკსო, უფრო და უფრო აცხუნებდა, რამდენიც მაღლა ადიოდა, აჭერდა კისერში, თითქო ცეცხლის შუბებითა სჩხვლეტენო.

„მარიამას“ წინა მკერდზე ოფლი დაჰხეთქა, სულ წურწურით გასდიოდა, მაინც ისევ გამალებული იწევდა. ქვევით დააბრუნებდნენ გუთანს, „მარიამა“ ქვეით ნაპირისაკენ ეშურებოდა, ეგონა, იქ ჩავალთ და გამომიშვებენო. მაგრამ გუთნეულს ისევ შემოაბრუნებდნენ და კამეჩები ისევ კვალში ჩადგებოდნენ. „მარიამა“ ახლა ზევით ნაპირისაკენ მიეშურებოდა. „მარიამა“ თანდათან მოწყდა, თვა-

ლებში ღრუბელი აერია, ყელში ქშიტინი დაიწყო. ამის მერე აღარაფერი ახსოვს. თვალები დაუბნელდა, ფეხები აღარ მიჰყვნენ, „მარიამა“ გალექებული მიწაზე წაიქცა, ხრიალებდა.

— ნუ დამღუპეთ ბიჭებო, ბიჭებო ნუ დამღუპეთ, ნუ დამიქციეთ ოჯახი, — ღრიალებს პეტრუა. — მიშველეთ, ჩქარა წყალი, ჩააჭერით აპეურები, გამოუშვით, ზაქი არ მომიკლათ, ხალხო, ზაქი! — ტირის პეტრუა.

— არიქა, ბიჭებო, ვაგრილოთ ჩქარა, წყალი მოიტანეთ კოკებით.—ყველანი დაფაცურდნენ, გუთანი დააყენეს. მეხრეები გადმოხტნენ, ზოგი წყალზე გარბოდა, ზოგი ზაქს შეცქეროდა.

— ეე, რა უღმერთოდ იწევდა, ხალხო, და! არ მინახია მაგისთანა მხრიანი საქონელი, ჩემმა მზემა. — იძახდნენ მეხრეები. მოიტანეს წყალი, გაუხიეს ყურები, სისხლი გამოუშვეს. „მარიამა“ მოსულიერდა, ააყენეს „მარიამას“ წეღანდელი ამბავი მოაგონდა; გუთნეული დაინახა, თვალებს გიჟივით ცეცება დაუწყო.

კარგა ხანი გავიდა, სანამ „მარიამა“ კამეჩი უღელს შეეჩვეოდა. ბევრი შავი დღე ნახა, მაგრამ შეეჩვია და სანაქებო კამეჩიც დადგა.

— ლუკმას მაგისგანა ვჭამთო, — იტყოდა პეტრუა, — ჩემი ოჯახია და ეგა. მაგის ქედსა ვკიდივართ თორმეტ-ცამეტი სულიო.

V

გაუფრინდა ყმაწვილობის ტკბილი დღეები „მარიამასა“. ზაქობაში გატარებული დრო სანატრელი გაუხდა. ანკი, როგორ არ ინატრებდა! მაშინ თავის ნებაზე, სადაც უნდოდა, იქ დასეირნობდა, ბაღებსა და ვენახებში სძოვდა, პატრონიც ისე ააზიზებდა, ხელით პურს აჭმევდა, ვენახიდან რო მოვიდოდა ან მინდვრიდან, თან იღლიით ბალახს მოუტანდა ხოლმე.

— ჭამე, ჩემო „მარიამავ“, ჩემო ხარ-ზაქო, ნახავთ ჩემს „მარიამას“, როგორი ხარი დადგეს. მგონია, გუთანი სულ მიფრინავდეს, მეხრეები უღლებზე ველარა დგებოდნენ, როცა ჩემი „მარიამა“ შევაბა გუთანში, დავუსვა ჩემი გია მეხრედ, რალა გაგვიჭირდება მაშინა!

მოაგონდებოდა ხოლმე „მარიამას“ ის დღეები, გული დაუწყებდა სიხარულით ხტუნაობას, თითქოს ახლაც ისე გააზიზონ. მაშინ რა იცოდა, რა იყო უღელი?

რა მძიმეა ეს კისერზე დადებული ტვირთი და შიგ ჩაკრული კისრით ხარი და კამეჩი! მაშინ არ იცოდა, რა იყო გუთანი, მიწასთან ბრძოლა და წელში გრეხა. ახლა კი გაიგო, გამოსცადა, იწვნია ყველა ამის გემო. ღმერთო, წინანდელი დობილი მარიამა ახლა რომ ჩამოუვლიდა გვერდზე, ერთს გუთნის გაშლაზე ვეღარ მიეკარებოდა ახლოს. „არ მერჩოლოს, ჩემკენ იხედება". ან კიდევ „წიხლი არ მომარტყასო".

ესმოდა ეს „მარიამა" კამეჩს და გული ცრემლით ებანებოდა: ამას აქ ამოდენა სიმძიმე აწვა კისერზე, ეს ამოტელა მთასავით დადებული ურემი ამის ძარღვებმა უნდა ზიდონ, და ის კი, ის ქალი მარიამა მარტო საცინელს ან მხეცურს რასმეს ხედავს. ბიჭები შიშით ვერც კი შეხედავენ ამათ მოტანილ ფიჩხის ურემს. რამდენჯერ მიფიქრია, რომ დამინახავს იმოდენა მთასავით დაყუდებული ურემი, აქ კი არ გადაბრუნდეს და არ დამიტანოსო. მართლაც, ერთიც ვნახოთ, ეს უზარმაზარი ურემი გადაბრუნდა, ხომ მოიტანა ქვეშ კამეჩები და გაჭყლიტა. მე რომ ერთი ხეც დამაწვეს, ხომ იმასაც ვერ ვეუდგები. „მარიამას" პატრონს კი რამდენჯერ გადაუბრუნდა ურემი და კამეჩები ცოცხლები გადარჩებოდნენ ხოლმე. ტყიდან რო ურემს წამოიღებდნენ დაღმართზე, როგორ დაგორდებოდა ხოლმე ურემი და მიაწვებოდა კამეჩებს. განა კაცი დაიმაგრებდა იმ ურემს? თავის დღეშიაც ვერა, მგონი ქათამივით გაჰჭყლეტდა. კამეჩები კი, „მარიამა" და მისი მეუღლე, გაიმაგრებდნენ ფეხებს, მხოლოდ კუდების ქნევას მოუმატებდნენ ხოლმე და ვეშაპებივით ქშენა ისმოდა.

საქმე არ აშინებდა „მარიამას", არც ეზარებოდა. ცივი და მძიმე მიწის ბრძოლას შეეჩვია. გუთანი რო ბურბუშელასავით ჰყრიდა ბელტებს, „მარიამას" ეამებოდა ხოლმე მიწის სუნი.

რა დაავიწყებდა „მარიამას" იმ დღეს, როცა პირველად გუთანში შეაბეს. ის დღე „მარიამას" ხსოვნაში ცეცხლის ასოებით იყო ამოჭრილი. რაც უნდა კაი გუნებაზე და კაი ჯანზე ყოფილიყო, ის მოგონება სულ დაადუნებდა და დააღონებდა.

ძალიან დამსხვილდა „მარიამა", კისერი გაუსქელდა, რქები დაეზარდა. ღაბები ერთს მტკაველზე ეკიდა. თვალებს ცეცხლის ალივით ატრიალებდა.

— ე ქედდალოცვილი სულ ვეშაპივითა ქშინავსო, — იტყოდნენ ხოლმე.

— ბიჭო, უნდა ჰნახოთ როცა ქალაქზე ჩავატარებთ, აქეთ-იქით თვალდაცეცებული იხედება, თავს ვეღარ გაასწორებინებ. სიფრთხილე და ყოჩაღობა აბა მაშინა ჰმართებს მეურმეს, თუ „მარიამას“ ხმაურობა რამე მოესმა და ერთი გაფრთხა, რაღა დაიჭერს, მგონი, სულ ფეხით გაანადგუროს რაც წინ დახვდება. ხიდზე თვალებს აუხვევდნენ ხოლმე, რომ არაფერი დაენახა. „მარიამას“ პატრონს, პირიქით, კიდეც უხაროდა ქალაქზე ჩავლა. გზაში ყველას „მარიამაზე“ დაჰრჩებოდა ხოლმე თვალი. ვაჭრები იცნობდნენ და რომ ჩამოიელიდა, დაეხმაურებოდნენ პეტრუას.

— პეტრო, არ გეშინია, რო დაგიფრთხეს ე კამეჩი?

— კოპტონს არ გამოუხდი ზამთრისთვის? — ეკითხებოდა მეორე.

— მაშ, ისე დავაყენებ კაცო, უკოპტონოდ რა ლაზათი აქვს კამეჩსა.

— რატო უგრეხელას არ აჭმევ, როში და უგრეხელა კარგია, — გამოიჩენდა ცოდნას მესამე.

— არა, ძმაო, როში და უგრეხელი კოპტონთან ვერ მოვა, კოპტონ ნაჭამი კამეჩი სუ წყალში დაიწყებს წოლას სიმხურვალით. ახლა უნდა ნახოთ ტანი როგორ ბროწეულივით გაუწითლდება. კოპტონისთანა ტყუილია.

ამ სიტყვებს მგონი, ხუთჯერ იტყოდა, სანამ ქუჩას ჩაათავებდა და ჰაერში გაატყლაშუნებდა შოლტს ყინის მოსაკლავად, რაკი დაჩვეული იყო, თორემ იმის „მარიამას“ რეკაც არ უნდოდა.

— განზე ატარე, განზე კამეჩები, ფაიტონმა არ გაგიტანოს, — უყვიროდნენ დუქნებიდან, როცა პირდაპირ ვინმე მოაქროლებდა ეტლსა.

— ე მანდ ჭკვიანად იყავით, შვილოსა, თორემ თუ გატანაზე მიდგა, ჩემი „მარიამა“ მაგ თქვენს ცხენებს თავის ფაიტონიანად სულ ფეხით მოსჭყლეტს.

VI

გავიდა ხანი, დაბერდა „მარიამა“. ხორცი დააკლდა, ძვლები გამოუჩნდა. ბეწვი გაუთხელდა, ალაგ-ალაგ სულ ტიტველი კანი უჩანდა. შუბლშიაც ძალიან აკლო; თვალებიდანაც ვეღარაფერს ჰხედავდა. კბილები სულ დასცვივდა. ერთი ლუკმის გალოღვნას მთელ საათს

ანდომებდა. ურემში რის გაჭირვებით შეაბამდნენ ხოლმე, გუთანში ხომ აღარ აბამდნენ. ცოდო არის, გუთანში ამოძვრება სულიო.

გაჭირდა ცხოვრება. აღარაფერს ჰქონდა გემო. თუმცა ახლა უფრო მოსვენებით იყო ხოლმე, მაგრამ ძვლებს ძლივღა ჰზიდავდა. ზამთარში წყალზე ძლივ ჩავიდოდა ხოლმე.

— საცოდავი „მარიამა“ წეღან კინაღამ წყაროზე დაიჩეხა, ძლივს ამოაღწია, — იძახდა პატრონი, — ვერ დამიკლავს, მეცოდება, დიდი შრომა აქვს ჩვენზე დადებული, კაი საქონელი იყო. იყოს, რას გვიშლის, მაგისი ერთი გოდორი ბზე ხომ არ დამღუპავსო.

სოფელშიაც ყველა იცნობდა „მარიამას“, როცა ახალგაზრდა იყო, ჩხვერეა იცოდა ხოლმე. რომელი კაციც არ მოეწონებოდა, გამოეკიდებოდა, ბალღებს ახლაც ახსოვთ „მარიამას“ ბუჩაობა. წინათ ეშინოდათ ხოლმე იმისი და ახლა, როცა დაბერდა და გაქცევა აღარ შეეძლო, გადაუდგებოდნენ ხოლმე გზაში.

— აი, „მარიამ“, აი, „მარიამა“ კამეჩო! აი, შე ბებერო გადაყრუებულო, უუ!

„მარიამას“ თითქო არ ესმისო, შეშინებულივით გააჩქარებდა ფეხსა. ბავშვები უფრო უმატებდნენ კიჟინს. ზოგი კუდში სწვდებოდა, ზოგი ფეხში, ზოგი სახრეს ურტყამდა. ამას კი ვეღარ მოითმენდა „მარიამა“. ერთ წამს სიბრაზით თვალები აენთებოდა. ძვლები შეუმსუბუქდებოდა. მოუბრუნდებოდა ამ გაკადნიერებულ ბალღებს და სულ საბძელ-ბოსლებში აძვრენდა. მერე ისევ ფეხ აჩქარებით გასწევდა თავის გზაზე, რომ ის ბოროტი ბალღები აღარ გამოსდგომოდნენ.

მთელი შემოდგომა გარეთ იყო ხოლმე.

— რა მოვლა უნდა, ვენახები მოკრეფილია, რას შესჭამს, იარონსო, — იტყოდა პატრონი.

ჩამოივლის „მარიამა“ სოფელზე, მშიერია, დილით უზმო გაუგდიათ; რას შეჭამს, ჯერ ზაფხულში რას მოსძოვდა თავის უკბილო ღრძილებით, როცა იმისთანა ბალახი იყო, რომ ახლა მოძოვოს. აქაიქ ან კაკლის ფოთოლს შეხვდებოდა, მოხოხნიდა, ან ფუჩეჩს იშოვნიდა გზაზედ. ურმებს თივა გასცვივნია, იმას მოჰკრეფს, მაგრამ რას ეყოფა ერთი მუჭა თივა.

დაინახა „მარიამამ“ ურმით დადგმული ფუჩეჩი, მივიდა, „ერთ ორ ლუკმას გამოვაძრობ, ვინ რას მეტყვის, მშიერი ვარ, რა დააკლ-

დება“, — ფიქრობს „მარიამა“, მივიდა ფუჩეჩთან, ერთი ღერო გამოაძრო და ძლივძლივობით ჭლოღნის. ამ დროს დაინახა პატრონმა. გაბრაზებულმა წამოავლო კეტს ხელი — აი, შე ვერანა, შე უპატრონო შენა! — ერთი თუ ორი ისპის ბრახაბრუხი, „მარიამას“ ხმელი ზურგისა და გვერდებისა. შეშინებული და დაღონებული „მარიამა“ მოდის ახლა ქვევით. თვალებიდან ცრემლები ჩამოსდის. ვინ იცის, მკითხველო, რასა ფიქრობს, ვინც შეხვდება, იძახის, თვალში შემოუკრავთ, ცრემლი სდისო...

VII

— ეს კამეჩი თუ არ გავყიდე, ამ ზამთარ ველარ გავკვებავთ, — თქვა პატრონმა. „მარიამამაც“ გაიგონა. არც კი გაჰკვირვებია ეს სიტყვები „მარიამასა“. იცის, რაც მოელის ყველა იმისთანას კაცისაგან. რა ექნა, „პირუტყვები ვართო, — ფიქრობდა „მარიამა“, — ჩვენს გაჭირვებას ენით ვერავის გავაგონებთ, ვერ ვიტყვით, უნდა ესე ვიტანჯოთ, წელი ვიწყვიტოთ, ყელში დანას გვაჭერდნენ და მაშინაც კი ვერა ვთქვათ ჩვენი განწირულება. კაცებს კი ჰგონიათ, პირუტყვებს არ ესმისთ რას ვუშვრებითო. გვესმის, მაგრამ ჩვენი გულშემატკივარი სადღაა. იმათ მარტო ხორცი უნდათ ჩვენ მარტო ხორცადა გვთვლიან, სხვა ვითომ არცა გვტკივა, არც გაჭირება გვესმის. რა ვქნათ? სად წავიდეთ, ვის შევეხიზნოთ. აკი ვინც თავისუფლად დაიარება, ჩვენი მოძმეები აფრიკისა და ამერიკის ტყეებში, ბედნიერებიც არიან. იმათაც თუ ჰხოცენ, იციან მაინც, რომ მტერია იმათი კაცი, ან გაექცევიან, ან მოჰკლავენ, ან შეაკვდებიან. ჩვენ კი პატარა ბავშვივით საითაც უნდათ, იქით გვიკვრენ თავსა, რათა? იმით, რომ დამონებულები ვყევართ და აღარ ვიცით, აღარ გვახსოვს თავისუფლება როგორია, აღარ ვიცით იმისი სიტკბო. ისე შევეჩვიეთ მონობით ყოფნას, რომ გაგვაგდონ კიდეც. ისევ შინ მივრბივართ იმავე კაცებთან. გამყიდის ჩემი პატრონი, არ უნდა რომ სიკვდილს მაინც მოსვენებით დავხვდე. არ უნდა, რომ ჩემი დღით მოვკვდე, უნდათ ლეში ჭამონ ჩემი და ტყავი ჩაიცვან. გამყიდეთ, გამყიდეთ, მაინც მეტი ბედი არც სხვა ჩემფერებსა აქვთ. ისინი დამკვლენ მაინც, მომაშორებენ ამ ოხერა სიცოცხლეს“.

ჩოდარმა „მარიამა“ კამეჩი ჩამოიყვანა ქალაქში და რიყეზე ერთ გომში დააბინავა. ზაფხულის სიცხე იყო და დამწყვდეულს „მარიამას“ ხომ სულის ქცევაც აღარ შეეძლო. მართალია, ქალაქში პირველად არ იყო, მაგრამ წინათ რო ჩამოსულა, სტუმრად ყოფილა, ისევ მალე გასცლია იქაურს შემხუთველს ჰაერსა და ახლა კი სამუდამოდ უნდა აქ ეცხოვრა. ვინ იცის, რა მოელოდა, რამდენს ხანს მოუნდებოდა ამ თონესავით გახურებულს ქალაქში ყოფნა. წინათ რო ორ ღამეს დარჩენილიყო, სოფლის სურვილი აღარ დააყენებდა. ახლა? ახლა კი აქ უნდა იყოს სიკვდილამდე დამწყვდეული, კარებ გამოკეტილი. იმასთან კიდევ რამდენიმე სხვა მობუზული საქონელიც იყო, მაგრამ ისინი რას უშლიდნენ! ისინიც ამასავით იტანჯებოდნენ. გარე არც კი გამოუშვებდნენ, ან კი სად უნდა წაესხათ, აქ რა მინდვრები და ჩალები იყო. შეუყრიდნენ ნახევარზე დამპალ ბზესა. ილოღნებოდნენ საცოდავად უკბილო ბებერი კამეჩები. დღეში ერთხელ გამორეკდნენ ეზოში, ჭა იყო, ჭასთან გეჯა იყო, იღებდნენ წყალს ჭიდან, გეჯაში უსხამდნენ და ისე ასმევდნენ. მერე გაირეკავდნენ და ისევ ბოსელში უკრავდნენ თავსა. ყოველ დღე „მარიამას “ამხანაგებს ზოგი ემატებოდა, ზოგი აკლდებოდა. დაუჭერდნენ ყურს და მიათრევდნენ სადღაც. ისმოდა ბრახაბრუხი, საშინელი კვნესა და ხრიალი. დატრიალდებოდა თბილი სისხლის სუნი. „მარიამა“ ამ სუნისაგან ცოფიანივით ხდებოდა. ეხეთქებოდა აქეთ-იქით. უნდოდა გაემტვრია კარები და მივარდნილიყო იქ, სადაც იმის მოძმეთ სისხლი იქცეოდა. კაცები საქონლის სისხლს წყალივით აქცევდნენ. „მარიამა“ კი სისხლის დანახვაზედაც საზარლად ღრიალებდა.

მიდიოდნენ დღეები. „მარიამას“ ყოფნას არ ყოფნა ჯობდა. სიცხეს სიცხე მოსდევდა. ისმოდა კარების ჭრიალი, სახრის ტლაშატლუში, დაკლული საქონლის ღრიალი. დაბზუოდნენ მიწურის ბუზები. გრიალებდნენ ქუჩაზე ეტლები. ისმოდა ჟრიამული.

— სად ჩავვარდი აქა, რა მომდის, განა, ისეთი რა შევცოდე ღმერთსა! ოჰ, დალოცვილო ღმერთო! რამდენი იტანჯება ტყუილ-უბრალოდ უცოდველი! სინათლე მაინც დამანახვონ, მინდორში მა-

ინც გამაგდონ. ერთხელ კიდევ მეღირსოს მწვანე ბალახის მოწიწკნა და ქორფა ფოთლის მოხოხნა! ცივი წყლით დაგრილება! — ტყუილად ნატრობდა „მარიამა“. არ უსრულდებოდა ნატვრა.

— რატომ არ გაიქცევი სადმე, შე საცოდავო „მარიამა“, რატომ თავს არ უშველი. — ეტყოდა თავის თავს სასოწარკვეთილი „მარიამა“ კამეჩი, — საიდან წავიდე, საიდან გავაღწიო ამ სისხლის მსმელებს, ვერა ჰხედავ სულ დაკეტილში ვარ, როგორ გავტეხო კარები, სად გავივნო გზა. — იტანჯებოდა და იგვემებოდა „მარიამა“ დაღონებული.

IX

ერთ დღეს გომის პატრონს კარები ღია დარჩა. „მარიამა“ კარგა ხანს შესცქეროდა გაღებულს კარებს, ან ახლა გაიხურავს ან ახლაო. მაგრამ პატრონი არა ჩანდა, არც კარები იხურებოდა. იქიდან კი თავისუფლება შემოიჭყიტებოდა და ეძახდა თავისთან „მარიამას“.

— იქნება მეშველოს რამე?! — თქვა „მარიამამ“, — იქნება ბოლო მოეღოს ჩემს ტანჯვასა?! — ადგა ნელა-ნელა „მარიამა“, გულის კანკალით მიუახლოვდა კარებს. იქით გზა იყო, ზედ ხალხი ჭიანჭველებივით ირეოდა. ეტლებს გრიალი გაჰქონდა. „მარიამამ“ შეუმჩნევლად ამოყო თავი ქუჩაზე. მიდის „მარიამა“ და, ღმერთმა იცის, იმისი ფიქრი სად მიჰქრის. აქამდე ყურადღება არავინ მიაქცია, აქ ხშირად ენახათ გომებიდან გამოპარული კამეჩები. როცა ზევით ამოვიდა, აქ კი ნირი იცვალა ხალხმა.

— საით ბეხო კამეჩო, სად მიდიხარ, შე გადაყრუებულო? — ეძახის ერთი.

— ნოეს ხბოვ, რას დასეირნობ? — დაცინის მეორე ვაჭარი.

„ნეტა, რასა ყვირიან, — ფიქრობს „მარიამა“, — პატრონმა კი არ გაიგონოს“.

— შე გადაყრუებულო, სად მიეხეტები, — უყვირის მესამე.

— დუქანში არ შემომივარდე, შე უპატრონოვ! — უხევს მეოთხე.

აგერ მოაქროლებენ ეტლსა. „ხაბარდა“! — ყვირის მეეტლე. რა იცის „მარიამამ“ რა არის „ხაბარდა“. „ხაბარდა“, შე სატიელო! — უყვირის მეეტლე კიდევ. ისმის ცხენების ნალის წკრიალი, ფაიტო-

ნის დგარდგარი. დაეჯახება უცებ რაღაცა „მარიამას“ და ზედ ქუჩაზე გადააგორებს.

ისმის დუქნებიდან ხალხის ხარხარი. ეტლი ქვევით მიდრიგინებს.

— ყოჩაღ შაქრო. რა მარჯვედ გადააბრუნა კამეჩი! — ქშიტინებს გაბერილი სომეხი. არ ესმის „მარიამას“ რა ამბავია იმის თავსა. ირგვლივ ავლებს თვალს, უნდა ერთი ღერი ბალახი მაინც დაინახოს, ერთი ძირი ხე, ერთი ვაზის ფოთოლი, მაგრამ ტყუილად! უნდა წამოდგეს „მარიამა“ და ამ დროს შემოეხვევიან ხმლიანი და ჯოხიანი ხალხი. უბრახუნებენ საცოდავს „მარიამას“ ხმლის ყუებს და ჯოხებს.

ააყენეს „მარიამა“, სცემენ და მიჰყავთ. უსუსტდება მუხლები. ქვაფენილმა ჩლიქები სულ დაამტვრია. აქეთ-იქით თვალაუწვდენელი სახლებია წამოჭიმული. „სადა ვარ, სად მივყევარ? სადა ხარ, მინდორო? სადა ხარ, ჩემო მტკვრისა და ლიახვის ჭალებო?! რატომ მანდვე არ შემჭამეს მგლებმა, სანამ ამ ყოფაში ჩავვარდებოდი. მიშველეთ ვინმემ, სადა ვარ, რა ხალხში, რა ქვეყანაში“, — მიდის „მარიამა“, მილახლახებს. ან კი სული რაღაში უდგია. ცარიელი ძვალი და ტყავია. მიდის, მიდის და... „ღმერთო! იქნება მართლა? იქნება მომხედა ღმერთმა! „მარიამას“ წყლის სუნი დაავიწყდა. ნიავმა მოუტანა მტკვრის სიო. მაშინვე იცნო, მტკვრის დუდუნიც მოესმა. თვალები გაუცოცხლდა, მუხლებში ძალა მიეცა. მირბის „მარიამა“, რაც ძალი და ღონე აქვს, მირბის. აღარ უცქერის გზასა. დიდი ხანია, მდევრები უკან ჩამორჩნენ. აი, მოვიდა კიდეც. აი, მტკვარიც! ძლივს არ ეღირსა კიდევ მტკვრის ნახვა! ახლა კი ეღირსება თავისუფლებას!

არც კი დაუხედნია „მარიამას“ წინა, ერთი ხარბად შეისუნთქა მტკვრის სიო და ყირამალა გადაეშვა ზვირთებში.

„დაილოცე ღმერთო, იკურთხა შენი სამართალი. სიკვდილის დღეს მაინც მაღირსე თავისუფლება. ახლა გინდ მოვკვდე, შენ მაინც დამიტირებ“.

მიაგორებს მღვრიე ზვირთებს კლდეებში ჩაჭედილი მტკვარი. „მარიამას“ თავიღა უჩანს. აგერ, გამოჩნდნენ წისქვილების ჩარხებიც, იმათაც ჩაცილდა. „მარიამას“ არ ეტყობა, რომ ნაპირისკენ იწევდეს, ის უფრო შუა გულში მიიწევს, რომ უფრო უშიშრად

ოგრძნოს თავი. არ ვიცი, სად მიდის „მარიამა“, ან რასა ფიქრობს ამ წუთში. ის კი ვიცი, რომ ენით გამოუთქმელ ბედნიერებასა გრძნობს.

ხიდებზე ხალხი დგას და გასცქერის.

— დაიხრჩობა უეჭველად, — იძახის ერთი.

— საიდამღა გამოვა. სად არის გამოსასვლელი, — ამბობს მეორე. „მარიამას“ კი ავლაბრის ხიდქვეშ ღურღუმელი ატრიალებს. სახეზე არავითარი შიში და ვარამი აღარ ეტყობა. აგერ, აგერ ქუდის ტოლად ძლივსღა მოჩანს.

საით შენი გზა, „მარიამა“, საით?

[1895 წ.]

არიქა, ქურდები!

I

ზაქარიამ ახალწლისთვის წინადღითვე დაკლა ერთი კაი ბურვაკი, გაფუფქა, გაწმინდა, გაათეთრა, გაალამაზა, თავი მოჭრა, ცალკე ხონჩაზე დააგორა; გოჭი აკაფა და ფეშხვი სახლში ლურსმნებზე დაჰკიდა.

— ეფემია ერთი შეხედე, მამა გიცხონდა, რა არის და! ყველივით არ ითლება!

— ზაქარია, ძალუაანთ არაფერს მიაწოდებ? არაფერი აქვთ ბედნიერი დღისთვის, ერთი შამფური მწვადი ბედენას არ გვიზამს.

ზაქარია ჩაფიქრდა. ცოტა არ იყოს, არ ესიამოვნა ამისთანა მეტიჩრობა დედაკაცისა, ყოყმანობდა, არ იცოდა, ჰო ეთქვა თუ არა. როგორღაც არ ემეტებოდა კარში გასატანად ამისთანა გოჭის ხორცი, მაგრამ არც ეფემიას წყენა უნდოდა.

რას ბრძანებთ, მთელი ზამთრის სარჩო ის გოჭი იყო იმისთვის, თუ ხორცით, თუ ქონით. ბედნიერი დღე მოიმიზეზეს, თორემ მაინც საზამთროდ ასუქებდნენ, ექვსი ჩანახი სიმინდი შეაჭამეს. ახალწელიწადს თავით გამოვლენ იოლად, დანარჩენი აღებაში ეყოფათ.

— ქა, რას დაფიქრებულხარ, კაცო, ერთი თირკმელი, პატარა

გულისა და ღვიძლის ნაჭერი და ერთი მწვადი ხორცი იმათ ეყოფათ, გულს დაედებათ, ჩვენ კი ბევრი არა დაგვაკლდება რა.

— შე დალოცვილო, ჯერ ჩვენც არ გვინახავს გემოთ და აღარ დამაცლი, გავუგზავნი მა რა! — წაიბურტყუნა ზაქარიამ.

II

ახალწლის წინა ღამე იყო და ეფემიაც სამზადისს შეუდგა წინდაწინვე. ერთი კასრი ფქვილი გამტკიცა და შოთებად და ლავაშებად მეზობლის თონეზე მიაკრა. თავი და თავი ბასილა იყო; კაცის სახედ გააკეთა, ფეხები გამოაბა, ყელის ადგილას ხელი მოუჭირა, გაუწვრილა, თავი გაურგვალა ხელის გულებით, თვალები და ცხვირი ჩხირით დაუჩხვლიტა. უნდოდა ბედისკვერებიც მიეკრა, მაგრამ ახლა აღარავინ იცისო თქვა და თავი დაანება. შოთებს, ლავაშებს და ბასილას კი ვერ აიცილებდა.

— ბედნიერი დღეა, არ იქნება არავინ შემოვიდესო, — თქვა ეფემიამ, — არქონებაში ხომ არ ჩამოგვართმევენ, ხალხი სხვანაირად იტყვისო.

ერთი გირვანქა თაფლიც ამოიტანა გორიდან, ორი შაურის კამფეტები, ჩურჩხელა, ჩამიჩი და კაკალი შინა ჰქონდა, სამშობლოდან მოუვიდა და ბედნიერი დღისთვის შეინახა, რამდენიმე ქურწითელი ვაშლიცა ჰქონდა.

ეფემიამ ერთი პატარა ლამბაქი გოზინაყი მოადუღა; დანარჩენი თაფლი ზოგი ფიალაზე დაასხა ტაბლისთვის და ზოგიც შეინახა. თავშენახული ადამიანი გახლდათ ძალიან!

ზაქარიამაც ცხელცხელი გოჭის თავი ქვაბიდან ამოაბძანა და ხონჩაზე ბრახვანი მოადინა. ისეთი სუნი დატრიალდა გოჭის თავისა, რომ დიაკვანსაც კი ნერწყვი მოუვიდოდა. ერთი სიტყვით, კარგი სამზადისი ჰქონდათ. ნეტავი, იმათ მეკვლეს.

— იჰ, იჰ! დაილოცე! მოიტა, ეფემია, მარილი მომაწოდე, — მოაყარა მარილი, გადააბრუნ-გადმოაბრუნა, პატარა კიდეც უკბინა, ჯერ მე ვნახო გემოთაო, ჩემი პირის გემო სხვამ რად უნდა წაიღოსო, — და მერე ხონჩაზე გააგორა.

ეფემიამაც დაალაგა და დაასუფთავა სახლი და კარი, ჭერი ჩამოგავა, რაც მეზობლებში ან საციქველი ჰქონდა, ან სესხი, მოიტანა, თვითონაც წაუღო, რაც ნათხოვარი ჰქონდა.

ახალწლის მოსვლით ყველა მხიარულობდა: ზაქარიაც, ეფემიაც, პატარა ფეჩიც ხმელი შეშისგან ხითხითებდა და გურგურებდა.

მართლა, ის კი დამავიწყდა, ზაქარიაანთ ერთი კნავილა კატა ჰყავდათ, იმას აღდგომასაც არ უხაროდა, თორემ ახლა კი არ შეუწყვეტია კნავილი. ის სამგლე მშიერი იყო, თუ მაძღარი, იდგა, თუ დადიოდა, სულ კნაოდა. ძილშიაც კი კნაოდა.

ეფემიას ძალიან შეკვეთილ-შემკვდარებული ჰყავდა. ანკი როგორ არ შეეყვარა — შვილი არ გააჩნდა და ბირი, ხარი და ბროხა, კამეჩი და ცხენი, ის იყო და ის, იმათ ბედზე ისა კნაოდა. ეფემია საითაც წავიდოდა, კატაც კუდაშვერილი კნავილით უკან დასდევდა, კაბაზე ეხახუნებოდა.

ზაქარია რომ გოჭსა სწელავდა, კატაც გვერდზე უტრიალებდა, ხან ეხახუნებოდა, ხან თვალებში შესცქეროდა და შეჰკნაოდა, ხან გოჭსა სუნავდა.

— იქით გასწი, შე მუდრეგო! აქ საშენო არაფერია, ტყუილად გესულნება [1], — წაარტყამდა წიხლს ზაქარია და გააგდებდა ციცას.

ციცა მაინც არ ეშვებოდა, მიდიოდა და შეჰკნაოდა.

— რამ გააცოფა ეს სამგლე, სადა ხარ, ადამიანო, მოდი, ერთი მომაშორე, ლამის ხორცი სულ გაზიდოს.

— მიუგდე ერთი ჩიჩქნა ხორცი და მოგშორდება, კაცო, ვერა ჰხედავ, მაგისთვის შემოგჩხავის.

ზაქარიამაც გაიმეტა და ერთი ბეწო წელის ნაგლეჯი მიუგდო.

კატამ გადაყლაპა და ისევ ზაქარიას მიუცუცქდა.

— მიაუ, მიაუ! — აგრძელებდა ციცა, თითქოს ახრჩობენო.

იშორა ზაქარიამ, ვერ მოიშორა, გაბრაზდა, წამოვარდა, გაცეცხლებულმა ორიოდე წიხლი ჩასცხო შიგ მუცელში, ისე რო კატამ სიმწვავით საცოდავად შეჰკნავლა.

— შე ოხერო, შე ტიელო, არც ახლა მომშორდები! — ყვიროდა ზაქარია.

— რა დაგემართა, კაცო, წელები არ გამოაყრევინო, კატის ცოდ-

---

[1] გესულნება — სული ვძლევსო

ვაში არ ჩადგე. რას ერჩი, რა იცის, პირუტყვია, მიუგდე ლუკმა და თვითონ მოგშორდება როცა გაძღება.

გაჯავრებული ზაქარია გოჭის ნასხეპებს მაღლა ლურსმნებზე ათითოებდა.

გაბეგვილი კატა შეძვრა ტახტქვეშ, ცალი თვალი ზაქარიასკენ ეჭირა, ცალი თვალი მაღლა დაკიდულ ბურვაკის ნასხეპებზე.

— მიაუ, მიაუუ, — ისმოდა დროგამოშვებით მსუნაგი კატის კნავილი.

— მაგრე იკნავლე, აი, შე მსუნაგო, შენა! ერთი კიდევ მოდი ახლო, ერთი კაი ჯოხი გდო! — ემუქრებოდა ზაქარია.

— მიაუ მიაუ! — აძლევდა პასუხს ციცუნია, თითქო ეუბნება, თქვენთვის რო იმზადებთ, მეო?

ზაქარიამ კარგად იცოდა თავის კატის ამბავი და ბურვაკის ნასხეპებს ისე მაღლა იმიტომ ჰკიდებდა.

ეფემიამაც მანამდე ტაბლა დაამზადა—„ტაბლა აბრამიანი“.

ცხრილზე დაალაგა შეიდი პურის მარცვალი, ორი წყვილი სანთელი, კვერცხი, ვაშლი, ჩურჩხელა, მთელი ბასილა თავის კამპანიით, ორიოდე შოთი, თაფლიანი ფიალა, გოზინაყიანი ლამბაქი, ერთი ჯამი კაკალი, კამფეტებიც ზოგი ღორის თავს გაუკეთა ცხვირის ნესტოებში და ყურებში, ზოგიც ჩურჩხელასთან დაყარა. მართლა, ის კი დამავიწყდა, ღორის თავს პირში ჩურჩხელის ნაჭერიც ჩაუდვა. მორთულ-მოკაზმული ტაბლა კიდობანზე დადგა.

IV

კაი ხანი გავიდა, გრძელი ვახშმობა გადავიდა, ზაქარია და ეფემია ისევ ზეზე იყვნენ, კიდევ რაღაცას ფუსფუსებდნენ.

— დავწვეთ, ეფემია, ტყუილად ან შეშას რათა ვწვავთ, ან სანათსა, დავიძინოთ, ხვალ ადრე ადგომა მინდა, წყაროს მინდა მივუ-ლოცო [1].

სანათი მოასვენეს, ლოგინში ჩაწვნენ.

ზაქარიას კარგა ხანს არ დაძინებია, ახალწელიწადზე ფიქრობდა,

---

[1] ქართლში იციან, ქათმები რო ყივილს დაიწყებენ, ადგებიან და თუ წყარო ან წყალი აქვთ სოფელში, ჩაიტანენ ხორბლის მარცვლებს, ჩაპყრიან და ახალწლით მიულოცავენ.

თუ ვინ მოუკვლევს, ან თვითონ ვისთან წავა, ვის მიულოცავს. მართლა, კიდობანში რომ ეფემიას ერთი ბოთლი არაყი ედგა, რატომ ისიც არ ამოვაღებინეო, — მოაგონდა ზაქარიას, უნდოდა ამდგარიყო, მაგრამ ისევ გადიფიქრა. — „აბრამიანზე“ ხომ ვერ დავდგამ და სანამ ვინმე მოვა მოსალოცად, ხომ კიდევ მოვასწრებთ ამოღებასაო. — ამ ფიქრებში ზაქარიას ჩაეძინა.

ეფემიაც გულის ძილში იყო და ბარაქიანად ხვრინავდა. მხოლოდ ზაქარიას კატას არ ეძინა. ის ისევ გულიანად კნაოდა, რაკი მაღლა დაკიდებულ ხორცებსა ხედავდა, რაღა ეშმაკი დააძინებდა. ბევრი უარა, ბევრი ებღაოტა, მაგრამ არ იქნა, ვერ შესწვდა საბრალობელი. თვალებდაბრეცილი უკან გამობრუნდა, ამ დროს მოხარშული გოჭის თავის სუნი ეცა.

V

ზაქარიას ძინავს. ეფემიაც ხვრინავს. ესიზმრა ზაქარიას: ვითომ იმის სახლში ქურდები შემოპარულან. სულ ერთიანად გაუზიდნიათ, რაც რამ ებადა, გოჭის ნასხეპებიც ჩამოუღიათ, არყიანი ბოთლისთვის მიუგნიათ და ზაქარიას სადღეგრძელოს სვამენ. ზაქარია ვითომ ავადმყოფია, არ შეუძლია ფეხზე ადგეს, გული მოსდის, ბრაზდება, სისხლი ყელში აწვება, იწევს ასადგომად, საბანი არ უშვებს, ფეხები აღარ ემორჩილებიან. იხედება გაჭირვებული ზაქარია, ეფემია მაინც სად არის, რო ხმას არ იღებს, ერთი მაინც დაიყვიროს, სოფელს შეატყობინოს. მოვლენ, მომეშველებიან.

უყვირის ეფემიას.

— სადა ხარ, ადამიანო, სად დაიკარგე, ვერა ხედავ აგვიკლეს.

ამ ყვირილზე ეფემიაც წამოვარდა.

ის იყო კატასაც ერთი ყური ძირამდე დაეყვანა და ახლა მეორეს უპირებდა შედგომას, რომ ზაქარიას დაყვირებაზე გულგახეთქილი შეხტა და ტაბლას ღორისთავიანად ძირს რახვანი მოხდა.

სიზმარს ეს ბრახუნიც ზედ დაერთო, ზაქარიას ძილში შესწვდა, ფეთიანივით წამოვარდა, ჯერ ისევ მძინარ ზაქარიას რახუნი კანთიელად მიესმა, სიზმარი და ცხადი ერთმანეთში აერია, მართლა ქურდები ეგონა და მორთო ყვირილი.

— არიქა ქურდები არიქა! ვინ ხარ, მოასწარით, დაიჭირეთ!

ეფემია, სად არის ჩემი თოფი მაჟარი, ხმალი ფრანგული, ხანჯალი მისრული, დამბაჩა ქისტური, არიქა მომიტანე. ერთი ეს ოხრები დავ-ხოცო სულა, რო შემოპარულან, ჩემი სახლი უპატრონო ჰგონიათ, თუ რა არის, კაცი არა ვარ?! — გაჯავრებული ზაქარია გადმოხტა ტახტიდან, კიდობანიც იქვე იყო; დასცა ფეხი ძირს გადმოყრილ ტაბლა-აბრამიანს და თაფლიან-გოზინაყიანი ლამბაქები სულ დაა-ნაჭუჭა.

— სად არის ქურდები, რა იქნენ?

გულგახეთქილი ეფემია ამ ხმაურობაზე წამოვარდა ზეზე, საჩ-ქაროდ აანთო სანათი და შენმა მტერმა ნახოს, რაც იმისმა თვალებ-მა ნახეს!

ღორის თავი კიდობნის ქვეშიდან გამოიყურება, გოზინაყიანი ლამბაქი დამტვრეულ-დალეწილი ზაქარიას ფეხზე მიკვრია, თაფლი მიწაზე გალესილა.

— სად არიან ქურდები, რა იქნენ?

— ვუი, შენს თვალებს და შენს ქურდებს, ზაქარია!

შერცხვენილი და გაბრაზებული ზაქარიაც დგას და იფურთხება. ზაქარიას ქურდი, შეშინებული კატა, კარებთან ატუზულა და სახ-ტადდარჩენილ ზაქარიას შემოჰკნავის: მიაუ, მიაუუ!

[1605 წ.]

ფითრი

—

— მცივა, მცივა, შემიბრალე, თავშესაფარი მომეც, სიცივით ნუ მომკლავ, ხო ხედავ, რა პატარა ვარ, ლამის ქარმა გადამაგდოს და თოვლმა დამახრჩოს! ბინა მომეც, ცასქვეშ ნუ დამაგდებ, — ასე ევედრებოდა სიცივისაგან სიკვდილის პირზე მისული პაწაწა ფითრის თესლი მსხლის ხესა, რომელსაც ამაყად თავი მაღლა აეღო და ირხეოდა.

ქარი ჰქროდა, თოვდა, ნამქერი ტრიალებდა.

მსხალმა წვერებიდან გადმოხედა ფითრის მარცვალსა; ეძებდა, ვინ ეძახდა, რა სულიერი იყო მთხოვნელი. ათვალიერებდა, მაგრამ არავინა ჩანდა.

— გამოჩნდი, არ დამენახვები, ვიღაცა ხარ, ჭოგრიტით გეძებო? სადღაც შემძვრალხარ და წრიპინებ! — ჩამოსძახა გაჯავრებულმა მსხალმა.

ფითრის მარცვალი ზედ ტოტზე აცოცდა, ქერქს ამოეფარა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იჭიმებოდა, დამინახოსო. თან მსხლის ქერქს ეკვროდა, ებღაუჭებოდა, რომ ქარს არ ჩამოეგდო ძირსა.

— აქა ვარ, პატარა ვარ, დაიხარე კიდევ, რო დამინახო; ჩემი ტოლ-ამხანაგებიდან მარტო მე გადავრჩი. გაუმაძღარმა ჩხართვმა გადაყლაპა ყველანი, მეც ნახევრად დაგლეჯილ-დაფლეთილმა აქ შენ შემოგაფარე თავი. შენ თუ არ დამმალე, ის მსუნაგი მეც ჩამყლაპავს, არ გადავურჩები.

მსხალიც მოიდრიკა, აიყვანა ფითრის თესლი და შინჯვა დაუწყო.

— რა პატარა ყოფილა ეს საცოდავი! ამისი თავშესაფარი რა უნდა იყოს, ან ამისი შეჭმა, ვის რა უნდა გაუხდეს, რა მუცელს გაუძღობს?! — იფიქრა მსხალმა.

რამდენი ჭია-ღუა ზის ჩემს ქერქქვეშ, დათბება, გამოძვრებიან, თავის გზაზე წავლენ, არც მოსვლასა მკითხავენ, არც წასვლასა.

წელან კოდალა იყო აქა. თავიდან ფეხებამდე სულ გამსინჯა, ამივლიდა და ჩამივლიდა, იმის ნისკარტს ჩემს ტანზე რაკა-რუკი გაჰქონდა. საწყალ ჭია-ღუებს გულები დაუსკდათ, მეეედრებოდნენ: — შეგვიბრალე, ნუ შეგვაჭმევ ამ მოსისხლესაო! — მერე რა მეშველა? ბევრი ჩაულაპა და ბევრიც გადარჩა ისევ ჩემს ქერქში.

მუხა მეძახდა: „კაცო, ჭკუაზე მოდი, რამ გაგასულელა, ვინც მოგადგება, შენც კარებს უღებ, იმათაც აუღიათ თავი და ყველა შენზე მოცოცავს. მე გირჩევ, რაც ქერქქვეშ ჭიები და ბუჭყები გისხედს, გარეთ გამორეკე, კოდალამ შეჭამოსო. აღარ გახსოვს, გაზაფხულზე როგორ ჰყვავი? გამვლელ-გამომვლელი იძახის: „ძალიან მოაქვს ამ მსხალსა, ბევრს მოისხავს წლეულობითაო!“ გავა ცოტა ხანი, დაიყვავილებ, წვრილი ნაყოფი ჯერ ბევრი გასხია, თითქო ფოთოლსა სჭარბობს. მოდის ზაფხული, სადღაა ხილი? მეათედი აღარ გასხია...

— რა იქნა, სად წავიდა, რამ ჩაულაპა?

— რამა და სულ მაგ ჭიებმა, შენ რომ შემოგხიზვნიან. თვალი გაახილე, თვალიო, — თითქო მე ბრმა ვიყო.

— ნეტა შენა, მუხავ, რო მაგისთანა ეჭვიანი ხარ, ნიადაგ ბევრი ნაყოფი შეგრჩება.

მერე კაკალსა ვკითხე, კაკალმაც ისეთი პასუხი მოვცა, როგორც მუხამ.

— მე მაგათი შიშით ჩემს თესლს ორნაირ ტანისამოსში ვახვევ, გარეთ მწარე წენგოს ვუკეთებ, შიგნითაც ძვალივით მაგარ ნაჭუჭს, მაგრამ კიდევ უზარალოდ ვერა ვრჩები. ნახევარს მაინც ეგ ჭიები მიჭამენ და მიფუჭებენ. მაგათგან კარგი არა გამოდნება რა. მუხაც მაგას გეტყოდა, ჭკვიანია, შენც გაფრთხილდიო.

— მცივა, მცივა! — წრიპინებდა ფითრის თესლი, — აქვე შევძვრები, თორემ ეს არის სული ამოვიდა.

— შეძვერ, შე საწყალო, ადგილს როგორ დაგიჭერ, — უთხრა

გულმტკივნეულად მსხალმა, — თუ თქვენები კიდევ ნახო ვინმე გაჭირვებული, მოვიდნენ, არ დავიშურებ არც იმათთვის ბინასა. თქვენ ხომ ნაყოფს არ შემიჭამთ ჭიებივით, მუხა რო იძახდა?

— რასა ბრძანებთ, თქვე დალოცვილო, ჩვენი ჯიში ხილეულს არ ეწყობა და არც მე გიახლებით, არხეინადა ბრძანდებოდე. ოჰ, რა მადლობელი ვარ, რა მადლი მიყავ, ერთი სული მომარჩინე სიკვდილსა. თუ ფითრი ვარ, გადაგიხდი შენს სიკეთესა.

ფითრის მარცვალი შეძვრა მსხლის ქერქქვეშ, სადაც უფრო ღრმად იყო გახეთქილი და ზედ ცილაზე მიეკრა.

— ოჰ, რა კარგადა ვარ, არც შემცივა, არც მომშივა! — ბუტბუტებდა ფითრი.

— ვის ელაპარაკები, მანდ ყოფნა ხომ არავინ დაგიშალა? — ჩამოსძახა მსხალმა.

— არა, გენაცვა, ნაცნობი შემხვდა, იმას გამოვეხმაურე.

— ხომ აღარა გცივა, ვერ გათბი?

— ახლა რაღა მიშავს, რაკი ჩხართვს თავი დავაღწიე და შენ შემოგეხიზნე.

* * *

ფითრის მარცვალმა ის ზამთარი მსხლის ქერქში გაატარა. არა ციოდა, არა შიოდა, მტერი ვერაფერს დააკლებდა და დუშმანი, ისე იყო შემძვრალ-შემალული, სინათლეც კი ვერ დაინახავდა. რამდენიმე დღეს შიშით თავი არ გამოუყვია გარეთ. სულ ჩხართვი ელანდებოდა, ან ახლა ჩამცხებს ნისკარტს ან ახლაო. არ იცოდა, დღე იყო თუ ღამე. მაგრამ დრო გავიდა, თავის მდგომარეობას შეეჩვია. პირველმა შიშმაც გადაუარა.

ერთხელ მზის შუქი პირდაპირ თვალებში მიადგა ფითრსა. ფითრმაც ნამძინარები თვალები მოიფშვნიტა, გაინძრა, გაიშალა ცოტათი წელში, მზეს თვალი აარიდა და ზურგი კი უცხუნა. ძალიან ესიამოვნა მზის სტუმრობა.

— ახლა აღარა მიშავს რა, რაკი ჩემს სადგომს მზემაც მოაგნო, — ფიქრობდა ფითრი, — თქვენ კი, მანდ გეძინოთ, ჭია-ღუებო, ზოგს კოდალა ამოგთხრით და მძინარს ჩაგყლაპავთ, ზოგს ქარი ჩამოგყრით ძირსა. იქაც კაჭკაჭები და ჩხიკვები კაი გემოს ჩაგატანენ. მე კი აქ

არხეინად ვიქნები, პატარა, თქვენგან ათვალისწუნებული ფითრი, ნახავთ, როგორ გავიზარდო და გავსუქდე. მსხალს კაი ღონიერი ფესვები აქვს, საკმაო საჭმელი გვექნება. მსხალი მომაწოდებს მიწიდან მზამზარეულს საზრდოსა. მოხმარება ჩემზე ჰკიდია. — ასე ფიქრობდა ფითრის მარცვალი მზის შუქისაგან გახარებული.

ქარი გრიალებდა. თოვლი მზეზე სპეტაკად ბრწყინავდა. მსხალი ნელ-ნელა ირწეოდა. ჭია-ღუები ღრმა ძილში იყვნენ გაზაფხულის მომლოდინენი. მართლაც ბევრი მათგანი ფრინველებისა და თაგვების წერა ხდებოდა. ფითრმა კი რაკი მზის შუქი დაინახა, რაღა დაძინებდა, ფიქრად გადაიქცა, სულ რაღასაც საზრობდა. დღეებიც გადიოდნენ და მზესაც სითბო ემატებოდა.

რამდენიც დრო გადიოდა, იმდენი ფითრიც იცვლებოდა. მსხლის ქერქზე, ტკიპასავით დაკრობილი, იზრდებოდა, იბერებოდა, სულ გან-გან იწევდა. მსხლის ცილა რამდენიმე ალაგას ჩაეხვრიტა და ტუჩებით დაჰკვროდა.

მსხალს აღარც კი ახსოვდა ფითრი, ან კი რა ყურადღების ღირსი იყო! რამდენი იმისთანა შემოხიზნული თბებოდა და ძღებოდა მსხლის ოფლითა! კიდეც რო ხსომებოდა, ბევრსაც არ ინაღვლიდა ფითრის გულისათვის: ვინ იცის, საწყალი, სად გადავარდებოდა, რა შეჭამდაო.

ცილაში ჩაკრობილი ფითრის თესლი კი რაც ძალი და ღონე ჰქონდა, წუწნიდა ახლად გამართული ტუჩებით ისეც სიცივისაგან გამოფიტულ მსხლის ქერქსა.

ეს სისხლის წოვნა კი უგრძნობელი არ დარჩა მსხალსა.

— რაღაცა მიღიტინებს, თითქოს არცა მკბენს და არცა მწუწნისო, — იძახდა შეშფოთებული მსხალი და იჭროლებოდა მთელი ტანითა. ვინ იცის, დაუდეგარი ჭიები თავშესაფარს ხვრეტენ. კოდალამ მაინც ჩამოიაროს და მომაშოროს ეს აბეზრები.

კოდალამაც რამდენჯერმე ჩამოუარა და გაარაკრაკა ნისკარტი იმის ქერქზე. დამფრთხალ ჭიებსაც ამ ხმაზე ელეთ-მელეთი მოსდიოდათ. შეშინებულები ხან აქ ამოჰყოფდნენ თავს და ხან იქ.

კოდალასაც სხვა არ უნდოდა რა, სტაცებდა პირს და ყლაპ!

მსხალს კი მაინც რაღაცა ულიტინებდა და რამდენიც დრო გადიოდა, იმდენი მოუსვენრობა ემატებოდა.

• • •

გავიდა ზამთარი. ჭია-ღუები დათბნენ, გაცოცხლდნენ, ამოძვრნენ მსხლის ქერქიდან, ფრთიანები ცის ქვეშ გაფრინდნენ: უფრთონი ზოგი ძირს დაეშვა ნეხვის საძებნელად, ზოგი ტოტებზე გავიდა ყვავილის კვირტებში კვერცხების ჩასადებად.

ფითრი?! იმან რაღა ქნა?

სადაც ფითრი შეძვრა, იმ ადგილზე ერთი მწვანედ გაღაღანებული ბატის ფთის სისხო ყლორტი ამომძვრალიყო და ორიოდე ფოთოლიც გაშლოდა.

— გამარჯვება, ფითრო! აქ რამ ამოგიყვანა, ამ ქორფა მსხალზე? — ეკითხებოდა გაკვირვებული ხავსი, — ოცი წელიწადია მაგ მსხლის გარშემო ვტრიალებ, მინდოდა როგორმე ამოვსულიყავ, მაგრამ აქამდე ვერ მოვახერხე; დახე, დახე, ისევ შენ არ დამასწარ. ოჰ, რა ეშმაკი რამა ხარ! შენ მანდ არხეინად უნდა იჯდე და მე აქ უნაყოფო ქვებსა და გადამღრძვალ ხეებს შევეცქეროდე!

— რა არის, კაცო, შეგშურდა ჩემი აქ ამოსვლა, თუ რა დაგემართა. მოესწრები შენც ამოსვლასა. მეც ხომ ეს არის, ახლა ვერევი ქვეყანაში, ჯერ წუთისოფელი არ მომიჭამია. ღმერთმა ააშენოს ჩხართვის ოჯახი. ზოგი ჭირი მარგებელიაო, რომ იტყვიან, სწორედ ჩვენზე არის. ის რომ არ გვჭამდეს, ჩვენი გვარი დუნიაზე ამოვარდებოდა. მოგეხსენება რა ღორმუცელაა ის შეჩვენებული, სადაც კი ფითრს ნახავს, იქ დაიბუდებს, აღარ მოეშვება, სანამ სათითაოდ არ გამოჭენკავს. ჩვენც ძალიან ამტანები ვართ, ჩხართვის მუცლიდან კი ბევრი ისევ უვნებლად გამოდის. წავა ჩხართვიც, სადმე ქორფა მსხალზე, ან ვაშლზე მოსკინტლავს, ჩვენებთაგანიც ვინმე გაჰყვება სკინტლში უპირველ-უტკივარი. ძალიან ბედნიერადა გრძნობს იქ თავსა. სამშობლოს მოშორებული თავისთვის იწყებს წარმოებას. შეხედავ სამი-ოთხი წლის შემდეგ ერთი უშველებელი გამხდარა. მსხლის ტოტებში მწვანე კორდივით გადაფენილა. გამრავლდება, გაავსებს ტოტებსა და დაიჭერს მთლად ყველა ადგილს. საკვირველი კაი ჯიში გვაქვს. ის არის კიდევ საკვირველი, რომ თუ არ ხეზე, თუ არ მზამზარეული საკვებით, ჩვენი გვარი ვერ ხეირობს. თუ სხვას არ ვასხედვართ, დედამიწაზე ჩამოყრილები ერთ დღეს ვე-

ღარა ვცოცხლობთ. რამდენსაც განვიბნევით, იმდენი ვმრავლდებით და ვსუქდებით, ჩვენი სამშობლო იქ არის, სადაც ხეებია. საფითრეთი არსად გამიგონია. ან კი საიდან რა მეცოდინება, სულ ერთი ზამთარია, რაც აქ მოვედი. ამ მსხალმა შემიფარა, ბინაც მომცა და საჭმელიც. მეც დავბინავდი და ფესვები მაგრად გავიდგი. საბუდამოდ აქ ვაპირებ დარჩენას. სანამ მე ცოცხალი ვარ, ეს მსხალიც იცოცხლებს და მეც არა გამიჭირდება რა. როცა მე აღარ ვიქნები, ჯანი გავარდეს, ვინც დარჩეს, თავის თავს თვითონ მოუაროს. შენი ჯიში ვიცი, ხავსო, მალე შენც მესტუმრები.

— ძალიან რომ გამრავლდეთ და მსხალი აღარ გეყოთ საწუწნად, მაშინ რაღას იზამთ, ერთმანეთს ხომ ვერ დაჭამთ? — ჰკითხა ცბიერმა ხავსმა. ფითრი გაჩუმდა, პასუხი არა მიუცია რა.

მსხალს ესმოდა იმათი ხმაურობა, მაგრამ რასა ლაპარაკობდნენ, კი ვერ არჩევდა. ეს ძალად სტუმრები უცხო უცხო ენაზე ლაპარაკობდნენ; ფითრს არ იცნობდა, ხავსი კი გაეგონა და ენახა კიდეც: აგერ, ა იმ ბებერ მუხას როგორი ხავსები ეკიდა. ძირზე შავად ჰქონდა ბალანივით შემოდებული და ტოტებზეც აბლაბუდასავით ჩამოჰკიდებოდა მწვანე ფოჩებივით.

* * *

თუ სხვა წლით იზრდებოდა, ფითრი დღითა. ღერს ღერი ემატებოდა, ტოტს ტოტი, ფოთოლს ფოთოლი. გასუქდა, გალაღდა, გაიბარჯღა, გაიზარდა; გაშალა შორს თავისი ბჭყალები. ფესვებიდან მომდინარე წვენს წვერებისკენ აღარ უშვებდა, წოვდა, როგორც ობობა ბუზსა, წუწნიდა, როგორც ბალღი შაქარსა, ძღებოდა, როგორც სვავი სისხლითა.

მსხალი კი თანდათან იმშეოდა. ახლა კი მწვავედ იგრძნო მსხალმა ტკივილი იმ ადგილზე, სადაც, ფითრი აჯდა. მჭამელივით ჭამდა და ჰგლეჯდა რაღაცა, ჩხვლეტდა და სწვავდა შანთივითა.

— ვინა ხარ, რა ხარ, რა სულიერი ხარ? აღარ მომშორდები? — ეკითხებოდა ფითრსა. — თუ სტუმარი ხარ, სტუმრობა ამდენი ხანი არ გაგონილა, სხვებიც იყვნენ ჩემს ქერქქვეშ შემოხიზნულები, მაგრამ წავიდნენ თავის გზაზე. მგონი, შენც ისე უნდა ჰქნა, სტუმრის წესი აასრულო. თუ მტერი ხარ, გამაგებინე, გამეცალე, რას ჩამციებიხარ?!

— ხა! ხა! ხა! — გადაიხარხარა ფითრმა, ისეთი საზარელი და საძაგელი ხმითა და კილოთი, რომელშიაც გამოიხატებოდა მწარე და გულის მომკვლელი დაცინვა. — სად უნდა წავიდეთ, ვერა ჰხედავ, რამდენი ვართ?! ჩვენი სამშობლო ეს არის. აბა, გაიხედე, აი, იმ ტოტებზე!

მსხალს თვალი დარჩა იქით, საითკენაც ფითრი უჩვენებდა. აუარებელ წვრილსა და მსხვილს ფითრს ამოეყოთ თავები მსხლის ტოტების ქერქიდან და გაჯეჯილებულიყვნენ.

დაფიქრდა მსხალი, თითქო ახლაღა იგრძნოვო, მთელმა ტანმა დაუწყო ქავილი და ჭამა.

— არ მომშორდებით მაშა, ვიღაცეები მოთრეულხართ ამ ჩემ ტოტებზე! — დაუყვირა მსხალმა, — თქვენი ნებით წადით, თორემ სულ ძირს ჩაგყრით და ირემს შეგაჭმევთ.

ყელმოღერებული ნაიალაღარი ხარირემი ამაყად და მსუბუქად ატრიალებდა მრავალშტოვან რქებსა. აქა-იქ ჰგლეჯდა და ჰყლაპავდა ხეებიდან ხავსსა. იმ დალოცვილის რქებში არწივი გაიკეთებდა ბუდესა. ბაღს გარს უვლიდა და ხეებსა ჰკორტნიდა. მსხლის ხმაურობაზე თვალი მაღლა დარჩა, იქნება ჩამოყაროს რამეო. ფითრები არხეინად ისხდნენ და ყურსაც არ იბერტყავდნენ.

გაბრაზებული მსხალი კი ძირიანად ირყეოდა, უნდოდა მათი ჩამოყრა. ირემი კი ნაღვლიანად იღიმებოდა.

ფითრი თითქო ჯიბრზე, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სწოვდა მსხალსა. ახლა აღარც იმალებოდა და აღარც თავს იკატუნებდა. ისე იყო გასუქებულ-გათამამებული, რომ ყველა გაიგებდა, საიდანაც მოჰქონდა საზრდო. ფოცხვერივით აჯდა კისერზე და წუწნიდა რაც ძალი და ღონე ჰქონდა.

მიდიოდა ხანი და მსხალს უფრო და უფრო უჭირდებოდა საქმე. ჯერ შუა ხნისაც არ იყო და ბებერს კი დამსგავსებოდა. დახავსებულ-დაძაბუნებული ქერქი ძონძებივით ეკიდა. ერთი ფრჩხილის ტოლა ნაზარდიც კი აღარ უჩანდა... სასოწარკვეთილი, ღონემიხდილი აქეთ-იქით იხედებოდა, ეძებდა მშველელს, არავინ კი შველოდა.

— ქარო! ქარო! — შეევედრა ქარს, — ერთი შენებურად დაუქროლე და ეს ფითრები მომაშორე, ჰო ჰხედავ, ვკვდები.

— როგორ მოგაშორო, შე საცოდაო, ძირიან თუ მოგტეხ, თორემ ეგენი შენ არ მოგშორდებიან, აბა რა გიყო, რა გიწამლო?!

— კაცო, შენ მაინც მომაშორე ეს ფითრები, ლამის ზეზეურ ჩამომახმონ, ცოცხალი გამომსუტონ, — ეხვეწებოდა ძროხების პატრონს მსხალი.

— შე დალოცვილო, ჩემთვის ისა სჯობიან, რაც უფრო ბევრი ფითრი ესხმის ტყესა; ჩემს ძროხებს ძალიან უყვართ და ძალიანაც ასუქებს. — უპასუხა მწყემსმა.

აღარავინ იყო მშველელი, აღარავინ!

* * *

ზამთარია. ქარი ჰქრის, თოვლსა ჰყრის, ზუის და წუწუნებს. დატიტვლებულ-დაშიშვლებული ხეები ქარის ქროლაზე ბუზებივით ბზუიან და ნადირივით ღმუიან. დახედე სიცივეს, უენოსაც კი აკვნესებს! აღარსად არა სჩანს სიცოცხლის ნიშანი. მწვანე ფოთლების მაგივრად თოვლი დაჰყინვია, ბარდანი დასდებია ხეებსა. ზაფხულის მომღერლების მაგივრად ქარი შემოჰღმუის. სიცივისაგან დაფიჩხებული ტოტები კანკალებენ და ცახცახებენ. ზოგი გაყინულ-გაქვავებული ველარ უძლებს ქარის მოწოლას. ტყდება და პარტყაპურტყით მოაჩახუნებს ძირსა. ყველა შეუშინებია და შეუძრწუნებია ზამთრის სუსხსა. მხოლოდ ბაიბუათაც არ იგდებს ფითრი. ის ახლა მწიფს და ნაყოფიერდება. ნახევრად დამტვრეულ-დაძაბუნებულ მსხალს ქორის ბუდეებივით ასხმია და მწვანედ ხასხასი გააქვს. მარტო ისა ხარობს და ლხინობს. იმისთვის არც სიცივეა, არც ზამთარია, არც მიწა გაეყინება, არც წყალი დაუშრება.

ამდენი უზარმაზარი ხეები საცოდავად შესტირიან მოღუშულ ცას. ფითრი კი აზის ზურგზე მსხალს და დღე და ღამე წოვს და წუწნის.

— ჰაი, ჰაი, ფითრო, აღარ გახსოვს ამ ათი-თხუთმეტი წლის წინათ როგორი იყავ, როცა მსხალს თავშესაფარს თხოვდი. ახლა კი მსხალმა შენ უნდა გთხოვოს, რომ სიცოცხლე აჩუქო იმ საბრალოსა!

აღარც ქარი გაშინებს, ისიც შენ გემსახურება. ქარსა და ჩხართეს

მრავლად გააქვს შენი თესლი და ირგვლივ ხეებზე ჰდებს. სად არ მოუკალათნია ფითრსა, სად არ აცოცებულა და არ გამოჭიმულა! მსხალზე, ვაშლზე, თელაზე, იფანზე, რცხილაზე, მურყანზე კაკალზედაც კი აქა-იქ ამომძვრალა, თხილზე, ნეკერჩხალზე, ვერხვზე. მუხის ტოტებშიაც კი ამოუყვია თავი. სად არ არის. სად არ გაჩენილა! მაგრამ ისე კი ვერსად მოუკიდნია ფესვი და გამრავლებულა, როგორც მსხალზე. იმის ნაზი ქერქიდან უფრო ადვილად და გაუჭირებლად წუწნიდა საზრდოსა, ვიდრე მუხის გაქვავებულ-გაშეშებული ქერქიდან. არც დიდი დღე აქვს მუხაზე ამოსულსა. ცოტა ხანს იღონღიალებს, მორჩება მერე და მოისპობა, აგრეთვე კაკალზე. ბრალი მსხლისა!

გავიდა ხანი. კოხტა თავმომწონე მსხალი უდროოდ დაბერდა. ასი წლის ბებერივით მოიკაკვა. დახავსდა, დაიღმიჭა, დაეღრიჯა ქერქი, დაუსკდა კანი. ტოტები დაუკოპიტდა, ზოგი დაემტვრა, ზოგიც ნახევრად ხმელი აქა-იქღა გაეშვირა. საცოდავი შესახედი იყო. „ვაი შენი ბრალი, შე საწყალო! ხილს შენ აღარ ისხამ და შტო შენ აღარ გეზრდება!“

წლის ნაზარდი სრულებით აღარა ჰქონდა. სულ უკან-უკან მიდიოდა.

— რა დაემართა ამ მსხალსა! — იძახდა პატრონი, — სანამ პატარა იყო, მსხმოიარებით ემტვრეოდა ტოტები, იმის ხილი პირში დნებოდა. ახლა კი მაგის ქეციან ნაყოფზე კაცს შესახედავადაც აღარ მიუვა გული. უნდა მოვჭრა, მეტი ღონე არ არის, ტყუილად ადგილსა ჰხაფრავს. მართალია, ცოდოა, არ არის გასამეტი, მაგრამ რა ვქნა, მაგის ადგილზე ახლა სხვას დავრგავ, რად მოვაცდინო ადგილი. ენანებოდა პატრონს, არ უნდოდა იმის ჯიშის გაწყვეტა, მერე იმისთანა იყო ის ძირკურთხეული, რომ მთელს იმ არემარეში იმაზე კარგი აღარა იყო რა.

— რას უვლი, ფიდონ, მაგ მსხალსა, რა ცული დაგიჭერია, რას შეეცქერიხარ, შეშა ხომ არ შემოგელია და ხმელი ტოტების შერთმევას უპირობ? — დაეკითხა გზაზე მიმავალი მეზობელი მსხლის პატრონს ფიდღნას, რომელიც ხელცულიანი მსხალს შესტრიალებდა, უვლიდა აქეთ-იქით, და არც ემეტებოდა მოსაჭრელად.

— რას ამბობ, კაცო, რის ხმელი ტოტები; მინდა ძირიანად მოვჭ-

რა და მოეიშორო, მინდა ამის ადგილზე ახლა სხვა დავრგო. რა ხანია შევცქერივარ. აღარაფერს ისხამს, მომატების მაგივრად ამან სულ უკლო და ახლა თითო-ოროლასღა იბამს და იმასაც პანტასავით. ბარემ ჭოსაჭრელი ხილი არ არის, ამისთანა ჯიშის მსხალი არსად მეგულება. ვინც კი გემოთ ნახა, ყველამ წაიღო სამყნობი ტოტები. ალბათ ბარაქა და იღბალი თუ გაჰყვა სადმე, აღარ ვიცი, ღმერთმანი, რამ გადააგვარა ამისთანა ბედაური მსხალი!

— კაცო, ეს ფითრი რო შესხმია, რატო არ უპატრონე, მაგაზე შეტად რა აფუჭებს ხეხილსა? ვისაც კი თავისი ხეხილი უყვარს და ეზოგება, განა ფითრს დააყენებს ხეებზე? მოაშორე, არ იქნება ისევ არ გამობრუნდეს, — ურჩია მეზობელმა.

— როგორ მოვაშორო, ერთი მოვგლიჯო, იმის ადგილზე სხვა ამოვა, — უთხრა ფიდონამ, — რა ეშველება, რა ვუყო?

— გადაკაფე დაზიანებული ფითრიანი ტოტები, სხვა ნორჩს აიყრის და გადახალისდება. ისევ ისეთს ხილს მოისხამს, როგორც წინათ, — ურჩია მეზობელმა.

— შენს პირს შაქარი, თუკი მაგის შეტი არა უნდა რა, გადაკაფვა რა დიდი საქმეა, თუკი ისევ აიყრის. ვაი თუ გახმეს და აღარა აიყაროს რა. რა მომაგონებდა, ძმაო, თუ ფითრს მაგოდენა ნავნების მოტანა შეეძლო.

— ვაი შენ, ჩემო თავო! — წამოიძახა გაბრაზებულმა მეზობელმა, — მოიტა აქ ე ცული, თუ შენ არ იცი, როგორ მოიქცე!

კაპ! კუპ! კაპ! კუპ! — მოისმოდა ცოტა ხანს შემდეგ ფიდონას ბაღიდან ცულის ხმაურობა

მსხალს შიშით და ელდით თავისი დაემართა. ღაპაღუპით ცრემლები ჩამოსდიოდა.

კაპ! კუპ! კაპ! კუპ! — ისმოდა ცულის კაკუნი, თან მოჭრილი ტოტების ჭრიალი და ბარტყუნი.

ოჰ, რა შეშინებული იყო მსხალი! რა ტკივილსა გრძნობდა, თითო ცულის დაკვრაზე თითო ლიტრა ხორცი ადნებოდა. ტოტებს რო ჭრა და მორვა დაუწყეს, იმას კინაღამ სული ამოხდა.

— ახლა კი დაითვალა ჩემი დღეებიო, — ფიქრობდა მსხალი, — აღარაფერი მიხსნის!

დახუჭა თვალები, თითქო არ უნდა სიკვდილის თვალით დანახ-

ვაო. თავისთავი მკვდრად მიაჩნდა. მაგრამ აგერ, აგერ, ძირიდან, მიწის ჯურღმულიდან რაღაცა ხმაურობა და დუდუნი მოესმა, რომელსაც თანდათან უფრო და უფრო არკვევდა.

— ჩვენ ისევ ცოცხლები ვართ, არ მოვკვდებით, ჩვენამდე ჯერ სიკვდილს არ მოუღწევია, სასოებას ნუ ჰკარგავო.—იძახოდნენ თურმე ფესვები. ისინი ისევ ღონიერნი, მძლავრნი, მრავალნი, უთვალავნი იყვნენ. თავისთვის ჩუმად ბნელს, უმზეო თვალჩაუხედველ უკუნში მიმალულ-მიჩქმალულნი, მსხალს ახალ-ახალი ტოტებისთვის უხვ საჭმელ-საზრდოს უმზადებდნენ და აწვდიდნენ.

* * *

სამ წელს შემდეგ მომიხდა ჩამოვლა იმ სოფელზე. ფიდონას ხუთი-ექვსი ბალღი სიამოვნებით შეცქეროდა ქარვასავით ყვითელ, დაშაქრებულ მსხლებს, ან ახლა ჩამოვარდება, შევჭამოთ, ან ახლაო.

(1896 წ.).

სვავი

დიდი ხანია რაც ის აქ მოვიდა და მაღალ, მწირსა და ყინულიან მთაში დაბინავდა. განა სიცხისა ეშინოდა, ან მთა უყვარდა, ან ყინულებს შესტრფოდა და იმიტომ დასახლდა აქა? სრულებითაც არა! ბარში ალარ დააყენეს, შიმშილით სიკვდილს ისევ თოვლიან მთაში არჩია შეხიზვნა; თუ ბევრი არ იქნება, ცოტას ხომ მაინც ვიშოვი საჭმელსაო. მეცხვარეებისაგან არ იქნება არა მერგოს რაო. მგელი მოიტაცებს რასმეს, ძვალი მაინც დამრჩება, კლდეზე დაიჩეხება რამე, ხო ჩემი ლუკმა იქნებაო.

მართლაც და ძალიან გამხდარი იყო. სქელ ძვლებზე მარტო ლურჯი კანიღა ეკრა.

რა იჭერდა, ღმერთმანი, იმ სისხო ფრთებს და ბუმბულს ცარიელა ტყაეში?!. ერთი ბუმბულისთვის რო გამოგეწია, ასე გეგონებოდა, მთელი კანი აეყარაო.

ან კი რა გაასუქებდა, იმის მუცელი განა მაგრე ადვილად გამოიყორებოდა?!

თბილი სისხლი უყვარდა და რბილი ხორცი, ის იყო სვავის აღდგომა.

მაგრამ სად იყო რბილი ხორცი?!

კურდღელი მარდი იყო, იმას არ ჩაუვარდებოდა ხელში; როჭო და კაკაბი ფრთხილები იყვნენ, საამისოდ არ გახდებოდნენ; მწყემსი ძუნწი იყო, სვავისთვის არაფერს გაიმეტებდა.

მგელი იმაზე უარესი ხარბი და გაუმაძღარი იყო, საშოვარი თვითონაც არა ჰყოფნიდა, ნახევარზე მშიერი მუცლით დალაწლაწებდა.

თვითონ სვავი კი მშიშარა იყო, ან არწივთან უნდა ებრძოლა და ნადავლში წილი ჩაედო, ან ლეშზე გაბოტიტნებულ ყაჯირს მიჰხტომოდა და თვითონაც ეთქვლიფა დამპალი ლეში, ან შავარდენს შესცილებოდა გემრიელ კაკბის ლუკმასა.

რა ექნა, რით გამაძღარიყო, რით უნდა გასუქებულიყო. მეტი ღონე არ იყო, რაკი ჯერ ძალით ვერას გახდებოდა, უნდა დრომდე ეთმინა. ითმენდა სვავიც, როგორც ის კლდეები ითმენენ შავ მთაში დგომას, სადაც სვავი ბუდობდა და ძირს არ იმზღვლეოდნენ; ითმენდა და ზღვავ-ყინულების ძღვნითა კმაყოფილდებოდა.

* * *

გადიოდნენ დღეები, თვეები, წლები. წყლის ნაკადულივით გაუწყვეტლივ მიექანებოდა დრო-ჟამი.

შეეჩვია სვავიც თოვლიან მთასა. სადღა ახსოვდა ბარი. რო ეკითხნა ვისმე: საიდან მოხველ, სადაური ხარო, გაკვირვებით დაიწყებდა ცქერას.

— რასა მკითხავ, არ იცი, რომ მთის შვილი ვარ, ამ კლდეებსა და ყინულებში გავჩნდი და გავიზარდეო. მართალია, არწივისთვის არა წაურთმევია რა, საშავარდნე კლდესაც შიშით ახლო ვერ გაუვლიდა ხოლმე.

ერთხელ შავარდნების ბუდის ახლო მოუნდა გავლა. დაუხულუზნეს (დაუქროლეს) შავარდნებმა, ჰკრეს კლანჭები; ერთი წივილი და შხრების ტყლაშა-ტყლუში იდგა. საცოდავი სვავი ხანმხრებს აეფარებოდა, ხან ზურგზე გადატრიალდებოდა და თავის ბოკო კლანჭებს მიაგებებდა მოტეეებულ შავარდენს. მაგრამ ამ დროს ძირიდან ახლა სხვა შეუტევდა და ისევ გადმობრუნება დასჭირდებოდა, რის ვაი-ვაგლახით გააღწევდა ხოლმე.

— ოხრად კი გახდეს! ამაზე რაღა გამომატარებს, შიმშილითაც რო ვკვდებოდეო, — იტყოდა ხოლმე.

* * *

ძალიან მიყვარს, როცა ცხვრის ფარები რთვილივით დაედება ხოლმე მთების კალთებს. მეცხვარეც ხომ თვალისჩინივით უფრთხილდება, შესტრფის და შეჰხარის თავის დუმასქელ ერკემლებსა. მაგრამ ყველაზე მეტად კი სვავს უხაროდა ხოლმე იმათი მთებზე ამოსვლა. სიხარულით თვალები გოდრებივით დაუხდებოდა ხოლმე. იჯდა კლდის თავზე, ან არყის წვერებში და სიამოვნებით იქექებოდა, თან ხარბად მწყემსსა და იმის სამწყოს გასცქეროდა: ან დავარდნილი ცხვარი ხომ არსად დარჩა, ან ყეყეჩი ბატკანი არ ასხლტა ფარასაო.

თუ სადმე ყორნების ყრანტალი შემოესმოდა, ან ფრინველების ბოინს შენიშნავდა, რომ ერთ ადგილს ეთელებოდნენ, სვავიც მხრების ტყლაშა-ტყლუშით იქითკენ მიეშურებოდა, არ იქნებოდა არა რგებოდა რა.

იმისი თვალი ძალიან, ძალიან შორს ჰხედავდა გაღმა-გამოღმა მთებში, ძირს კიდევ ხევხუვში არა გამოეპარებოდა რა. დაჯდომის დროს მუდამ მაღლობ ადგილს რჩებოდა, თუ ფრინავდა, მაღლა-მაღლა ადიოდა და იქიდან ათვალიერებდა.

ხალხი კი იძახოდა: სუნი იცის სვავმა, მაშინვე გაიგებს, სადაც ლეში გაჩნდებაო.

გაიგებდა ხოლმე კიდეც, თუ შეხვდებოდა, ერთი ბარაქიანადაც მიაძღებოდა. შეეჩვია სვავი მთასა და მთის მცხოვრებთა. იმის ფიქრით, მწყემსი იმიტომ იყო გაჩენილი, რომ სვავისთვის ცხვრები დაეზარდა; მგელიც იმიტომა ნადირობდა, რომ იმისთვის საპმელი ლეში გაეჩინა; ყორნები კიდევ იმისი ჯაშუშები იყვნენ. შეეჩვია ყველა ამათ სვავი. ყველას თავის სასარგებლოდ იყენებდა. გაგულადდა, თან ამაყი, გულზვავი და თავმომწონე გახდა. მკვდარ ლეშს აღარა ჯერდებოდა, ცოცხალ ცხვრებსა და ბატკნებსაც დაუწყო ტანება.

* * *

წვიმიანი და ნისლიანი დღე იყო, ორი დღის მშიერი სვავი, წვიმისაგან შეწუხებული და შიმშილით დაყმენდილი, ხმელ ძვლებს ხრავდა და ჰგლეჯდა ძაღლივითა, მაგრამ თითო ციცქნა ხმელი ძარღვის ნაგლეჯი იმის მუცელს რას ამოჰყორავდა.

— მზე მაინც გამოვიდეს, შევშრე ცოტა. რა ოხერი ნისლიან-ბურუსიანია ე მთა, რა იშვიათია აქ მოკრიალებული ცა, — იძახდა სვავი, ვითომ მზესა ნატრობდა, მაგრამ თან ფიქრი სხვაგან მიურბოდა.

— არა, არა! მზე რად მინდა, მე მოკრიალე ცა ვერ გამაძღობს, ისევ ჯანღიან-ბურუსიანი, მოტირალ-ჩამოშავებული დღე მირჩევნია. საშოვარი ამისთანა დღეში იშოვება. დარში და მზეში ყველა თავისთავს უპატრონებს. რაზე კვდები მშიერი, შე ოხერო ჩემო თავო, ადექ, მეცხვარე ხომ ფარეხში ვერ დააღრძობს ცხვარსა, არ უნდა აძოვოს?!

ადგა სვავი, გაიზმორა, შეიბერტყა შავი მხრები და ცხვრების ფარის მუქარაზე წავიდა.

მეცხვარესაც ნამ-წვიმისაგან დაზუზული ცხვარი ლიჭყიან მთის კალთებზე გაეშალა. თვითონაც ნაბადწამოსხმული, ყაბალახჩამობურვილი კომბალს დაჰყრდნობოდა და თვალს ადევნებდა ცხვარსა. ცხვრის ფარა ზვავივით მიჰქანაობდა, ხან აღმა მიცურავდა, ხან დაღმა დაეშვებოდა, ხან ხევხუვის პირებს მოსდევდა, კლდეებში და ბეჭებში ებღოტებოდა.

უცებ კლდიდან მოწყვეტილი ქვა ერთ ცხვარს მოხვდა და იქვე გადააგორა.

ფარა გასცდა. ვერც მეცხვარემ და ვერც ცხვრის ფარამ ერთი ცხვრის დაკლება ვერ გაიგეს.

ქვისაგან დაქექილ-დამტვრეული ცხვარი ფორთხავდა, იკლაკნეზოდა, უნდოდა ფეხზე წამოდგომა, რის ვაი-ვაგლახით წინა მხრებს აიწევდა, უკანას ვეღარ აიტანდა და ახლა ისევ გულაღმა გადაყირავდებოდა. კარგა ხანს ეგდო ასე ოხრად.

ახლო მდგომი ბალახები სულ გაჰქელა, ქვები ტალახითა და სისხლით მოსვარა.

ამ დროს მშიერი სვავიც გამოჩნდა. ასლი საამისო იყო! კარგა ხანს დაჰფარფაშებდა თავის მსხვერპლსა, ხან სულ ზედ გაეხახუნებოდა, ხან ვითომ იქვე დააპირებდა დაჯდომას, მაგრამ არა ჯდებოდა კი; ამ დროს ის გარეშოსა ჰზვერავდა და ათვალიერებდა: ან ჩასაფრებული არავინ იყოს, ან ბადე არ იყოს დაგებულიო. რაკი საშიში არა ჩანდა რა, მიბედა და პირდაპირ ცხვრის თვალებწინ დაჯდა, დაზვერა, ადვილად დაიმორჩილებდა თუ ბრძოლა მოუნდებოდა, მაგ-

რამ რა წინააღმდეგობას გაუწევდა სულთმობრძავი ცხვარი. საცოდავი სვავის კლანჭებში მარტო ბორგავდა, აქეთ-იქით ეხეთქებოდა და აწყვეტდა თავს.

სვავიც ჯერ თვალებს ეტანებოდა, პირველად იმათი ამოჩიჩქნა. უნდოდა. საზარელი იყო იმათი ბრძოლა, — დამარცხებული, სულთმობრძავი, სვავის კლანჭებში ლევდა უკანასკნელ სიცოცხლის წუთსა. გამარჯვებული სისხლისმსმელი ზედ იყო გადალაჯული, ჰგლეჯდა და თან ფრთებბოლოს აბერტყებდა ზედ. გაბოტიტნებული სვავი ჰგლეჯდა და ჰბღლეძდა, ძვალს, ტყავს, ხორცს ერთნაირად ულაპავდა. ნახევარი კიდეც ჰქონდა გამოხრული, რომ ცხვარმა მაშინღა დალია სული. გაძღა სვავი, გაილექა თბილი სისხლით, აფრინდა იქიდან და იქვე შორიახლოს, ძირგადაკიდებულ ერთ კლდეზე დაჯდა და დაიწყო ქექა. იქექებოდა, თან ნისკარტს იწმენდდა და ფრთაბუმბულს ისწორებდა.

დასვენებულმა მძიმე-მძიმედ, ყვინტ-ყვინტით გასწია სასვაოსკენ.

რა შურით შეეკერდნენ სხვა სვავები ამ სისხლით მთვრალსა, ზოგს გულიც ეღრინებოდა, მაგრამ ვინ რას გაუბედავდა. ზოგი შიშით, ზოგი იმ იმედით, იქნება დანარჩენიდან მეც მარგუნოს რამეო.

მეორე დღეს მწყემსმა მატყლის ნაფლეთები და წელების ნაგლეჯებილა იპოვნა თავის ცხვრისა.

* * *

ვინ იცის, რამდენმა ხანმა გაიარა ამას შემდეგ. გაონავრებულმა სვავმა მრავალი ცხვარი და ბატკანი გაგლიჯა, ბევრი ბედაურის ცხენის გავა გამოხრა, სუყველაფერს ინელებდა იმისი კუჭი. ძალიან გადიდგულდა, ასე ფიქრობდა მთასა ვარ, ფეხი ბარს მიდგა, ჩემია მთელი ქვეყანაო. არავისთვის იყო იმისი გამოჩენა სასიამოვნო; მეცხვარემ იცოდა, რომ თუ ფარას სვავი დასტრიალებდა, უეჭველად გაგლეჯდა რასმე. არც სხვა სულიერნი ხარობდნენ იმის გამოჩენას, იცოდნენ მისი ამბავი.

სვავისთვის კი სულერთი იყო, ვინ რას ფიქრობდა, ის ყველაფრით კმაყოფილი და გულგრილი იყო. თავისთავი ყველას ბატონად მიაჩნდა. ეგონა უიმისოდ ქვეყანაზე არა გარიგდებოდა რა. უკვირდა,

სადაც მე ვარ, იქ სხვა ფრინველ-ნადირნი რითღა საზრდოობენო.

მხოლოდ ერთი დარდი და შიში ჰქონდა შავ სვაესა, ის უფრთხობდა ძილსა და მოსვენებას უკარგავდა: რაც უნდ კაი გუნებაზე ყოფილიყო და კაი საშოვარიც ჰქონოდა, როცა არწივის ყეფა იმის ყურამდე მიაღწევდა, მაშინვე მხრები უდუნდებოდა, გული დაუწყებდა კანკალსა და აფორიაქებული გაეშურებოდა სასვავო კლდისკენ. იქ იყო იმისი ბინა. სვავის უძღომ მადას კიდევ არწივის შიში უდებდა საზღვარსა, თორემ მთელ ქვეყანას აიკლებდა. როცა არწივის კივილისაგან დამფრთხალ-დაფორიაქებული სვავი მიაღწევდა თავის თოვლიან-ყინულიან კლდემდე და თავს კლდის ყბაში დაიგულებდა, მაშინ კი გული ეძლეოდა და სიბრაზით ამღვრეული სისხლიანი თვალებით მუქარას უთვლიდა ფრინველთა მეფეს.

— ან მე უნდა ვიყო ამ მთებში ბატონი, ან შენ, არწივო! ორივეს აქ ბინა არა გვაქვს. ბრძოლამ უნდა გადასწყვიტოს, ვის დარჩეს ბატონობა, ან ვინ უნდა გაერთხოს დედამიწაზეო. — მართლაც და ამ ორ ქვეყნისმპყრობელ ბუმბერაზების ბრძოლა სანახავი იქნებოდა, ვინც კი მოესწრებოდა. მაგრამ ერთ-ერთი ამ ბუმბერაზთაგანი ისტორიამ და დროთაბრუნვის საიდუმლოებამ მოსპო უომრად და სისხლის დაუღვრელად, თუმცა ერთ-ერთის სისხლი კი დაიქცა.

* * *

საზარელი წელიწადი იყო ხალხისათვის. შეშინებული ბარი მთისკენ გარბოდა და ზარდაცემულნი მთის მცხოვრებნი კიდევ ცაში თუ აებლოტებოდნენ, თორემ სხვა საშველი აღარ იყო. ჭირი იყო მთასა და ბარს მოდებული და საქონელს მუსრს ავლებდა.

აღარავინ იყო მშველელი. შვილის დარი ხარები უპატრონოდ იხოცებოდნენ, სადაც მოხვდებოდათ. ბინები, ბაკები, გზები, ხევები სულ სავსე იყო საქონლის ლეშით. გაზიდვასა და გადაგორებას ძლივსღა ასწრებდნენ. ისევ ისე გაუტყავებელს ყრიდნენ ხევებში. ბევრი ხელაღებით თავს ანებებდა საქონლით სავსე ბაკებს და ისე ღვთის ანაბარას უშვებდა. რაც იხოცებოდა, ხომ იხოცებოდა, რაც ცოცხალი გადარჩენილიყო, — ისინიც უპატრონოდ ნაბინავრებში და ბაკებში დალასლასებდნენ შიმშილით მიხრწნეულები, თავს დაჰბრუნავდნენ დახოცილ ამხანაგებს, ბუბუნებდნენ და ღრიალებდნენ

ნასისხლარებზე. არ იყო მთა, არ იყო ხეები და ღელე, რომ საქონლის ლეშით არა ყოფილიყო სავსე. ტყე და მინდორი ნადირითა და ფრინველით აივსო. ნამდვილი ყურთაგლეჯა იყო, ოხერ უპატრონო ლეშზე და საქონელზე ნადირთა და ფრინველთ ჰქონდათ გაზიდულობა და ლხინ-ქორწილი.

სად იყო სვავი? რას აკეთებდა? არა ძღებოდა ლეშითა?

იქ იყო ისიცა და მრავალუთვალავნი სხვანიც, იმის მოდგმისანი. უპატრონო ლეშით ძღებოდა და ილექებოდა სვავთა გუნდი და ყორნების შავი ლაშქარი.

ოჰ, რა საზარელი იყო, როცა ახლადმოჯარებული სვავები, ორბები, ყაჯირები, ყორნები, ყველიერები და ყვავ-კაჭკაჭები ლეშის ახლო ხეებზე ჩარიგდებოდნენ და ელოდნენ, რომ, როცა ლეში მოიცლიდა იმათთვის, დასცემოდნენ და ეთქვლიფათ.

დაგეშებული, წელამდე სისხლითმოსვრილი ძაღლები შიგა ძვრებოდნენ გამოფაშვულ საქონლის ღრუში და ზედ დამსხდარ სვავებსა და ყორნებს ულრენდნენ და ერეკებოდნენ, სანამ თავის მუცლებს არ გაიძღობდნენ, მერე კი დამაძღრები ამოდიოდნენ ხევიდან და მწვანე მინდორზე გორავდნენ სისხლით გალექებულები.

სად იყო შავი სვავი? ხომ არ შიოდა?

განა დაუშლიდა ვინმე იმას ლეშზე მისვლასა?! რა ენაღვლებოდა იმას ძაღლების ღრენა და ყაჯირების ქშენა. იჯდა ერთ ძთასავით ხარზე და თავის რკინის ნისკარტით გლეჯდა და ყლაპავდა ლეშსა.

გაუმაძღარი ყლაპვას ვერც კი ასწრებდა, ისე ხარბად თქვლეფდა, ლუკმა-ლუკმას ეწეოდა, ეტენებოდა ყრანჭა და მერე იგრძელებდა სვავიც კისერს, რომ ლუკმას ხალვათად ჩაეყლო ყელში და ახლა სხვისთვის დაეთმო ადგილი. ასე ყლაპავდა მთელი დღე და საკვირველი ის იყო, სად მიდიოდა ამოდენა ნაჭამი, რა მუცელი იტევდა?!

მზეც გადიწვერა, დაძღნენ სვავები და გაფრინდნენ, ყორნებიც ყაჯირიც, ყველიერებიც, ყველა გალექებულ-გამაძღარი თავის ბინისაკენ მიეშურებოდა.

სცადა შავმა სვავმაც გაფრენა. რაკი ბინდი ახლოვდებოდა და ახლა მგლებისთვის უნდა დაეთმოთ სუფრა; ეცადა აფრენას, დაიკაკვა მუხლებში, მხრები ღონივრად დაიქნია ჰაერში, მაგრამ მუცელი

ალარ აჰყვა, ჰაერმა ველარ ასწია, ძალიან დამძიმებულიყო. იმოდენა ნაჭამი იმის მხრებმა ველარ დასძრა. გადმოვიდა სვავი ლეშიდან, ახლა გაქცევითა სცადა გაფრენა. გაიქცა, გაიქცა და მერე ჰაერში შეხტა, მაგრამ მხრებმა ვერ დაიმაგრეს და ძირს გაიშხლართა.

მერე მაღლა ბექობის თავზე აფოფხდა, იფიქრა: რაკი მაღლიდან გადმოვეშვები და ჰაერში მოვექცევი, მერე გავიმართებიო. მართლა გადმოხტა, მაგრამ ვერც აქ დაიმაგრა მხრებმა, ძირს ტყაპა მოსძვრა და კუნძივით გაგორდა. კინაღამ დაიმსხვრა და დაილეწა.

რაღა ექნა, მეტად ავგუნებაზე დადგა და დაუწყო თავის მუცელს ლანძღვა და გინება, ამ დროს დაბინდდა კიდეც. სვავი აპირებდა სადმე შეძრომას და თავის მოფარებას, რომ ამ დროს ორი მარჯვე ბიჭი კომბლებით და თოფებით გაემართნენ ხევისკენ, სადაც სვავი იყო, მგლების ჩასასაფრებლად. საჩქაროდ ჩამოირბინეს ხევში და პირქარისკენ აპირებდნენ ჩასაფრებას, რომ შავად რაღაც გამოჩნდა ლეშზე.

— ბიჭო, ფრთხილად იყავ, მგონი მგელი მოსულა ლეშზე. ვერ უყურებ მაგათ გათამამებას? ჯერ არც კი დაღამებულა და ესენი ახლავე მოსულან, ლამის ქოხებშიაც შემოგვიცვივდნენ.

— დაიცა, პაპუავ, მარჯვედ მივიდეთ, ველარსად წაგვივა, ერთი უტყუპოთ ორთავ ერთადა!

პაპუა და სოსია მუხლის კვერებით მიფოფხდნენ ლეშის ახლო ისე, რომ გაარჩევდა კაცი რაც იყო, ნადირი იყო თუ ფრინველი.

— დაიცა, სოსიავ, ეგ ვერანა მგელი არა ჩანს, მგონი სხვა რაღაც არის.

— რაღა სხვა, სვავია კაცო, გამაძღარა და ველარ გაფრენილა, თორემ ამ დრომდე მაგას აქ რაღა დააყენებდა.

— თოფის სროლა არ იქნება, ხმაზე ნადირი დაფრთხება, მგლები აღარ მოვლენ ამაღამ. მოდი და კომბლებით გადვუხტეთ, ვიცი ველარსად წაგვივა, ჩვენი წერაა, ერთი ამოვაშხამოთ ჩვენი საქონლის ლეში!

სოსიამ და პაპუამ მიჰყარეს იქვე თოფები და კომბლებით ჩაეტივნენ სვავს.

ცოტახანს შემდეგ ხევ-ხევ ქვების რახარუხი, ქვიშის ჩხრიალი და კომბლების ტყაპატყუპი ისმოდა.

შიშით გულგახეთქილი სვავი ბარემ ისარივით მიჰქროლავდა თავდალმართზე, მაგრამ კომბლიან ბიჭებს ველარსად წაუვიდა.

წელმოწყვეტილი და მხრებდამტვრეული თავის მკვლელებს მარტოღა უქშენდა, მაგრამ ქშენით იმათ რას შეაშინებდა.

შავი სვავის ფრთებისა ქალებმა სანემსეები დააკეთეს, ბიჭებმა ისრები და მესტვირემ ლერწმები აჰყარა თავის სტვირისათვის.

[1807 წ.]

ობობა

სწორედ კაი ალაგას მოვაგენ აქა, მეტს ველარც კი ვინატრებდი. — იძახდა დიდი, გრძელფეხებიანი, შავი, ბანჯგვლიანი ობობა და თან თავის მტკიცე ქსელსა ქსელავდა, ადიოდა და ჩამოდიოდა, გარბოდა და გამორბოდა. ბადესავით ქსელავდა, ხლართავდა ერთმანეთში ძაფებს და სადაც გასაწყვეტი ეგულებოდა, მეორე და მესამე წვერს უტოლებდა და ამაგრებდა: იქნება რა ნადირი მოჰხვედროდა, უნდა გაეძლო თუ არა?!

— უყურე, ვარდო, უყურე, რა ჩოხას გიქსოვს ეს ფეიქარა. წმინდა, მტკიცე მოუქსოვე, ფეიქარ, ვარდოს, ე ჩოხა და იმდენ ბუზებს მოგართმევს, ჭამას ვერ ასდიოდე.

— აბალე ანდრიკო, სად არის ფეიქარა? ოჰო — შენიშნა ვარდომაც. — მოდი, ერთი მიზურგულე, ჩამოუგლიჯო მაგ ვერანასა. მანდ რა ქსელს აბამს! არც ეგ მინდა და არც მაგის მოქსოვილი ჩოხა!

მაგრამ ფეიქარას აგრე დაბლა როდი გაება თავისი ქსელი, რომ ბალღებს ჩამოეგლიჯათ!

* * *

ფეიქარამ გაათავა თავისი ქსელის ქსოვა, სამი მხრით კედელზე მიაბა, ერთი მხარე აუშვა; ძირსაც ლასტივით დაუკიდა თხელი ხაჩანა. თვითონ გახეთქილ კედლის კუნჭულში შეძვრა და მოიბღუნძა.

— ხომ არა გცივა, ოსტატო, რას მობუნძღულხარ, ან იქნება დაი-

ღალე ქსელის ქსოვაში? რამდენ ბუზს მოუქსოვე სუდარი? — ეკითხება ორთავიანი ყურმელა.

ფეიქარამ სტუმრის დანახვაზე წამოიწია, აიმართა და თავის გრძელ კაჩებზე შედგა. ეჭვით აათვალიერ-ჩაათვალიერა გრძელკუდიანი სტუმარი.

— რა დროს ხუმრობაა, შე სულკურთხეულის შვილო! ლამის შიმშილით მოვკვდე. წელები მეწვის — ზრდილობიანად გაეპასუხა ობობა და თან გესლიანად გადაჰხედა. როცა მიბრუნდება, ერთი დავეტაკოვო, მაგრამ ყურმელა არ მიბრუნებულა, ისე უკან-უკან გაგლინდა.

— ეგ კაი .სული არ იქნება, — იფიქრა ფეიქარამ, — თორემ მაგას ორი თავი არ ებმის.

ცოტა არ იყოს, ყურმელას მოსვლამ შეაფიქრიანა და თავისთვინაც ბუდე აზრუნებინა.

სძინავს ობობას, თუ ჰღვიძავს, ღმერთმა იცის! იმოდენა ფეიქარი ქინძის თესლის ტოლი აღარა ჩანს, ვინ იტყვის, თუ ცოცხალია: სულს არ იქცევს. ირგვლივ ერთი ბზუკუნი და ბზუილი ისმის. ობობას ქსელი ოდნავ იძვრის. როცა ერთბაშად შეიძვრის, მაშინ ფეიქარა ცალფეხს სჭიმავს და თუ ვერაფერს შენიშნავს, ისევ თავის ეშმაკურ ძილს ეძლევა.

— აქეთ მოდი, აქეთ, შე სულელო, ვერა ჰხედავ, ქსელია მანდ გაბმული, — ეძახის ერთი მწვანეკაბიანი ბუზი შავებში მორთულს.

— მაგ ქსელმა დამაქვრივა, შე ბრიყვო და შენც იქით იწევ?

— ქა, რა ქსელი, რის ქსელი. მაგისთანა სამასხაროს ჩვენი ბალღებიც კი არ აკეთებენ! მოდი შენცა, ქალო, ვნახოთ, რასა ჰქსოვენ.

— ბზუუ, ბზუუუ! — ჭირვეულობს შავკაბიანი ბუზი, — ეს ერთი ფეხი რო გამეხლართა, ეს არაფერი, მეორეს მოვჭიდო ხელი და სულ ჩამოვწყვიტო! — მაგრამ დახე უბედურებას, მეორე ფეხიც შიგ არ გაეხლართა!

— ბზზზ... — ისმის მოსაწყენი ბზუილი, ეხეთქება აქეთ-იქით შავკაბა, — აგერ ვიღაც გრძელფეხა მორბის, მორბის... სწორედ ჩემ საშველად მოდის... ბზზ... ბზზ... — კვნესის შავკაბა და თან ხმა უწყდება.

— წუუუ... — ისმის ძლივღა ფეიქარას კლანჭებიდან.

* * *

ვინ იცის, რამდენი ბუზი გამოსუტა ფეიქარამ, დიდი და პატარა, მჭლე და მსუქანი. იმისი ქსელი სულ შავათოლა იყო შესისხლული. ახლა რამდენი ძირსა ცვიოდა! როცა პატარა ან ბუზი მოხვდებოდა ქსელში, ან ქინქლა და მუმლი, გასუქებული ობობა ყურსაც არ იბერტყდა. — ჯერ ბევრი მოგროვდესო. შეასწორებდა თავის ბადეს და მერე ისევ სოროში შეძვრებოდა. არც თავის მოდგმას ჰზოგავდა, ვინც კი ხელში ჩაუვარდებოდა, ბუზების დღეს აყენებდა.

— როგორ შენ და შენი ქსელი, რასა კოწიწობ, ფეიქარო, მე შენი მოქსოვილი სამოსელი არ მინახავს; წამოდი ჩემთან, ისეთ ლექსებს მოგიყვე, პაპაშენსაც არ გაეგონოს, — ეჭრახება ჭრიჭინა.

— ნეტაი შენ, უსაქმურო, ე ქსელი არ დამიგლიჯო, რას დალაჯუნებ უგზო-უკვლოდ, ბინა შენ არ გიჩანს, ცოლი და შვილი. ზაფხულში დიდი გული გაქვს, რაკი საჭმელი ბევრი გაქვს და შენი ჭრიჭინით ყურებს გვიყრუებ, ზამთარში კი, როცა სიცივე მოგიჭერს და მუცელი აურზაურს დაგიწყებს, მოჰყვები და ჰყვირი: „მიშველეთ, შიმშილით ნუ მომკლავთ, გამომკვებეთ, თქვენი მგოსანი ვარო“. მე კი ჩემი ქსელით დღესაც მაძღარი ვარ და ზამთრისთვისაც მრავალი ჩავამუქუქე. შენ კი მაგრე მშიერმა უნდა იტლიკინო.

— ფუ, შენც შეგარცხვინა ღმერთმა, შენი მუქუქიც და შენი მუცელიც! — მიაძახა ჭრიჭინამ და ხტუნაობით განეშორა ადგილსა მას მაცდურებისასა და თან უკან იხედებოდა, არავინ მომდევდესო.

* * *

ღამეა. ვარდოსა სძინავს. ფეიქარასაც სძინავს თავის მანქანასთან, თუკი იმას ძილი მიეკარება.

არა სძინავს ერთ კოღო მხედარს. მორთულ-მოკაზმული, ხმალ-ხანჯლიანი, ფიშტო-დამბაჩიანი, ის მსუბუქად დააქროლებს თავის კანჭმაღალ ცხენს ვარდოს ოთახში. არც თუ მუცელი ამძიმებს, რამდენიმე კვირაა, ხორთუმი აღარ გაუწითლებია.

ასე დანავარდობდა ჩვენი კოღო მხედარი, ხან ერთ კუნჭულში მიახეთქებდა თავის მერანს, ხან მეორეში, ეგების სასუსნს სადმე წასწყვეტოდა.

აი, მიაგნო ვარდოს, გაუქროლ-გამოუქროლა, საბანზე ჩამოხტა, ხორთუმი მიუსვ-მოუსვა, სად არის სირბილეო, ვერა იპოვა რა. ახლა შუბლზე დააჯდა და ჩაუყარა თავისი წვეტი ხორთუმი, დაუწყო წუწნა.

სწუხს ვარდო, ხვნეშის, აქნევს მძინარი ხელებს, მაგრამ მხედარი კოღო აინუნშიაც არ იგდებს, გამოძღა, გაივსო მუცელი, წითელი გუდასავით გაუხდა, გაძღა და მხიარულად გაფრინდა, თან საგალობელი შემოსძახა, და რა საგალობელი! სულ თათრული ბაიათები.

ეს ერთი ხო მაინც კიდევ გაძღა, მერე კიდევ სხვა ვარდო შეხვდება. „ახლა კი უნდა მოვისვენო სადმე კუნჭულში მოფარებით. სანამ მოვინელო და მერე მე ვიცი კიდევ“.

მოდის და მოიმღერის. აი, დახვდა წინ ობობას ქსელი. კოღო მხედარი დაეჯახა ზედა და კინაღამ ცხენი დაეჩეხა.

— ვინა ხართ, თქვე მუდრეგებო, რა გზა შეგიკრავთ, გააღეთ კარი, გამიშვით, არ იცით, რომ საჩალის ბატონი ვარ! — მაგრამ კოღოს ყვირილმა ვერავინ შეაშინა და ხმა არავინ გასცა. გაბრაზებული კოღო ეცა კიდევ და ფეიქარას ქსელში გულდაღმა კი გადავარდა.

— იჰ, იჰ — იძახის ფეიქარა, — ეს რა კარგი ნოყიერი მაზა შემხვდა. შენ მოსვლას კი ვენაცვალე! — წუის კოღო, მაგრამ ტყუილად. მეორე დილით კოღო მხედრის ფეხები ობობას კარებზე ეკიდა. აფსუს!

* * *

თავის რჯულის ხალხში ჩვენ ფეიქარას ძალიან სახელი ჰქონდა გავარდნილი. კაი მოხერხებულ და დოვლათიან კაცად თვლიდნენ. ბევრს ენატრებოდა კიდეც იმისი ლუკმა.

ფეიქარა კი იტყოდა ხოლმე: „რად უნდა გშურდეთ, შვილო, ჩემ ალალ ლუკმასა ვჭამ, არავის რას ვართმევ, არავის რას ვეცილები. თქვენც გაისარჯეთ, თვალი გაახილეთ, წუთისოფელი იცანით, ყურები გამოიჩიჩქნეთ და ერთ ლუკმას თქვენც შესჭამთო“.

ობობას მოდგმა, მოგეხსენებათ, მრავალია, და სადაც კი ბუზი გაუჩენია ღმერთსა, ობობაც თან დაჰყოლია. მოდგმა ერთი აქვთ, მაგრამ სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახის ობობები ცხოვრობენ, ყველა კი ერთმანეთს იმით ჰგავს, რომ საშინელი მოსისხლეებია

და თუ არ ცოცხალი არსების სისხლით, ისე არ შეუძლიათ თავის დარჩენა. თითქმის ყველა ქსელს აბამს და იმითი იჭერენ პატარა მწერებს. ზოგი დიდია, ზოგი პატარა, უეჭველია, ზოგი რო საცოდავი იყოს, ზოგი უფრო ონავარი იქნება.

ჩვენი ნაცნობი ობობა ფეიქარა კაი ხანი ცხოვრობდა იმ კუნჭულში. თუ ერთი ქსელი ჩამოუწყდებოდა, ან ჩამოგვიდნენ, ის სხვას აბამდა. ძირს მუდამ მრავლად ეყარა იმისაგან გამოსუტვილი მწერები. იმათში სულელი ბუზიც ბევრი იყო, კოღო მხედარიც, მკბენარა კრაზანაც, მგოსანი ჭრიჭინაც, ბანჯგვლიანი ბუზურაც, საქონლის მკბენარა ბაურაც და მშრომელი ფუტკარიც. ვისაც რა ხერხით დასძლევდა, ყველას მიირთმევდა.

მართლა და ყოჩაღი იყო სისხლისწოვაში ჩვენი ნაცნობი ობობა-ფეიქარა! მაგრამ უკვდავ-უბერებელი ხომ არ იქნებოდა? არა მგონია.

ერთ ღამეს ძალიან ცუდი სიზმარი ეზმანა ფეიქარას და დაფეთიანებული წამოიჭრა ზეზე. იმღამეს თვალი ვეღარ დახუჭა, თუმცა ბევრი ეცადა, აღარ დაეძინა და აღარა!

ფეიქარამ შენიშნა ამ ქსელზე მძიმე ვიღაც დაიარებოდა და არაჩვეულებრივ ანძრევდა. დაუგდო ყური.

— თუ ნადირი მოხვდა, რატო ხმაურობა არა ისმის რაო. არ გაინძრა ადგილიდან, ჯერ რიგიანად გაიხლართოსო. მაგრამ ხმაურობა არა ისმოდა რა და ქსელზე კი ნამდვილად ვიღაცა იყო.

— იქნება ჭია რამე ჩამოვარდა და უხეიროდ ლახლახებს. ის ხომ ვერ მიკბენს, გავიდე, ვნახო!

წამოხტა ფეიქარა და საჩქაროდ გაექანა იქითკენა, სადაც რაღაცა იძროდა, მაგრამ გულგახეთქილმა თოფნაკრავივით უკან მოცხრილა. უკან ერთი შავი საზარელი ობობა მოსდევდა.

— ოჰ, შემიბრალე, ნუ შემჭამ! — კვნესოდა ფეიქარა, — ახლა კი გამიშვი და ამ ადგილიდან გადავიკარგები! ვაიმე, ვაიმე, გამიშრა სისხლი, ვკვდები, ვკვდები!

ობობას ჩაეყარა თავისი ხორთუმი ფეიქარას წელში და შაქარივითა წუწნიდა.

[1897 წ.]

ჯერ ისევ ყინვა მეფობდა და ბატონობდა ზამთარი; ჯერ ისევ ზამთრის შიშითა იკუჭკებოდა მთა-ბარი. ბარად, მტკვრის ველზე ერთად შეყრილიყვნენ ყინვა, თოვლი და ნამქერი. ზამთარიც იქ იყო და დიდად თავმოწონებული შეჰკვეხოდა თავის ხელქვეითებს.

— რა სულელია ხალხი, რა უჭკუონი და უტვინონი არიან ეს ორფეხა ჭია-ღუები, ადამიანებს რომ ეძახიან! საწყლები! ვითომ იციან კიდეც რამე. ოთხმოცდაათი დღის მეფობა დამიწესეს, მარტო სამ თვეს უნდა იბატონოსო. ის კი არა, თუ მე ოთხ-ხუთ თვესაც არა ვჯერდები, ეს სულ ამ სამხრეთის ბრალია, — მზე ახლო ახლავთ და იმისი იმედი აქვთ. ახლა ჩრდილოეთისკენ წავიდნენ, თუ ჩემი დიდების შეტყობა უნდათ, რა ყინულის ციხე-ქალაქები, სრა-სასახლეები მაქვს გადაჭიმული. აბა ჰკითხეთ ჩრდილოეთის მცხოვრებთა და ჩემი ძლიერების ამბავს ისინი გეტყვიან უტყუვრად.

— ფიცი არ უნდა, დიდებულო მეფევ, ზამთარო, — ხრიტინებდა ნამქერი, თითქო ყელზე თოვლი ადგებაო, — მართალსა ბრძანებთ, თქვენს ძალას რაღა ქება უნდა.

* * *

ამ დროს ნამქერისგან გატიტვლებულ ადგილებისთვის მზეს მოესწრო და რაც დანარჩენი თოვლი ეფრქვია, გაედნო, მიწაც გაელხო და აეტალახებინა. ამ ალაგებში ენძელას თავი ამოეყო და ზამთრის ბა-

ქიბუქს ყურს არ უგდებდა. ზოგი თეთრი იყო, ზოგი სოსანი, ზოგიც ბაცი წითელი.

— მშვიდობა შენდა, გაზაფხულის სტუმარო, მშვიდობა შენსა მოსვლასა. მრავალ წელსაც გვახარებ გაზაფხულის მოსვლასა. გიშველა ღმერთმა, რომ ზამთრისგან დაჩაგრული გული გამიმხიარულე. — ეუბნებოდა ცალფეხზე მდგომი ღალღა ენძელას და თან თავის გრძელ ნისკარტს მიწაში ურევდა.

— არ გეშინია ზამთრისა, რომ მაგრე გულადად ამოსულხარ? უყურე ამ შენს ახლომდებარე თოვლსა, რამდენია! ან ნამქერისა არ გეშინია? დაუბერავს ნამქერი, დაჰქროლავს, დაიგრიალებს და ამ შენ ადგილს ყელამდე მოჰყრის. ხომ დაიხვრჩე იმოდენა თოვლისაგან, ხომ გაიჭყლიტე! მე ჩალა-ლერწმებში ვიმალები ხოლმე იმისი შიშით და ვაფარებ თავსა. მესმის ხოლმე, როგორ ზუზუნებს და ხვევის ნამქერი. მესმის ჭილს რომ ჰკითხავს ჩემს ამბავს:

— აქ რომ ღალღა დაიმალა, მითხარი სად არის, ჭილო, შე ეშმაკის კერძო, თასმასავით რომ იგრიხები, მიჩვენე იმისი ბინა!

— არა ვიცი რა, ან შენ ვის ეძებ, ან ვინ დაგემალა, — უპასუხებს ჭილი, — არავის ჯაშუში არა ვარ, მე მოსულ-წასულების გზას არ ვუცქერი.

მესმოდა, როგორ გაჯავრდა, გაბრაზდა და ხრიტინებდა ნამქერი, როგორა ჰგრეხდა ჭილსა და დედამიწაზე აწვენდა.

— მშვიდობით, დაო, მშვიდობით, ფრთხილად იყავ, ზამთარს ნუ ეხუმრები, მე ბევრჯელ მიწვნევია მაგისგან წვენი, — ეთხოვებოდა ღალღა ენძელას და თავის გრძელი კანჭებით ჭაობებისაკენ მიაბოტებდა.

— მადლობელი ვარ, მადლობელი, ჩემო ღალღა, მეც ამ დროსა ვყვავი და ზამთრისგან გულგატეხილებს იმედს ვუღვიძებ, მოტიტვლებულ უსიცოცხლო მინდორზე აყვავებულს რომ მნახავენ, თორემ ზაფხულში მე სადღა გამოვჩნდები! მშვიდობით, მშვიდობით წადი!

* * *

ზამთარს ქრისტეშობის თვე და იანვარი წასვლოდნენ. თებერვალს მოელოდა, მგონი მოსვლოდა კიდეცა. დიდ სიხარულში იყო ზამთარი. სად მთები თოვლით გადაელესა, ხეები ნამქერით აევსო. მდინა-

რეებზე, ხევებზე, ტბებზე ყინულის ბოგირ-ხიდები გაემართა. წყლის პირას მდგომ ბუჩქნარ-ბუწკნარებს თოვლი ყელამდე მოსდგომოდა.

— ფუ, ფუი, — იბერავდა და იფურთხებოდა კატა-ფშატა, — ლამის ამ ნამქერმა თოვლში ამომახრჩოს, პირი და ყელ-ყური სულ თოვლით გამომივსო.

— ეჰ, შე მამაცხონებულო, შენ ყელ-ყურსა ჰჩივი და მე კი აღარა მკითხავ, ლამის წელი მომწყვიტოს ამოდენა არზანმა. — იძახდა თოვლიდან გამომძვრალი კვრინჩხი და თან იბერტყებოდა, — ამ ოხერმა მომიმწყვდია ქვეშ და ზემოდან დამაწვა. სამი დღეა სული არ შემიქცევია, კინაღამ დამახრჩო.

— სამი დღეა, ბალახი თვალით არ დამინახავს, — ბუზღუნებდა კურდღელი, — ვთხრი ფეხით თოვლსა, მინდა გამოვაჩინო ხმელი ჯოყარი მაინც, ვეფლობი შიგ, ლამის მეც დავიხრჩო, თორემ ბალახს კი რას დავუწვდენ. ხის ქერქსღა ვხრავ და იმით ვსაზრდოობ.

ბეღურა ჩიტები საბძლებსა და დერეფნებში იმალებოდნენ. ყვავიც კი მობუზულიყო და საცოდავი ხმით ჩამოჩხაოდა მბოლავ ბუხრებს. ალბათ სუნი თუ მისდიოდა ცეცხლზე შედგმული საჭმლისა.

* * *

— ადიდოს და გააძლიეროს დიდი და სპეტაკი ქვეყნის მპყრობელი ზამთარი! დღეგრძელ ჰყოს უფალმან ჩემი მბრძანებელი უკუნითი უკუნისამდე! — მიესალმა თავმდაბლად თავდახრილი თეთრსამოსლიანი თებერვალი ზამთარს.

— აბა, რა ამბავი მომიტანე ურჩი ქვეყნისა, ჩემო ყოჩაღო თებერვალო, ღალატი ხომ არსად შენიშნე, ჩემ ბრძანებას ხომ არ ეურჩებიან, ხომ ეშინიათ ჩემი? რას ამბობენ, წინააღმდეგობას ხომ არსად წააწყდი?

— თქვენი და ღვთის წყალობა ნუ მომაკლოს საშვილიშვილოდ! თქვენი ყველას ეშინია, ისეთს არავის შევხვედრივარ გზებზე, რომ კანკალს არ აეტანოს და სიცივით ჭიაყელასავით არ მობღუნძულიყოს. ხალხი სულ სახლებში იმალება. შიშით თავს ვერავინ ჰყოფს გარეთა. წუხელ სოფელში ჩამოვიარე, ვახშმობა იქნებოდა. ჯერ ერთ კარებთან მივედი, სინათლე არ გამოდიოდა, შევიხედე, რას დავინახავდი, ყური დავუგდე, კვნესა ისმოდა.

— მოვკვდი სიცივით, — იძახდა თავგანწირულებით ვიღაცა, — ნეტა, ერთი ღერი შეშა მაინც იშოვებოდეს სადმე, ლამის ბალღები სიცივით დამეხოცონ. წუხელაც აკვნის ბავშვი გაფიჩხებულიყო აკვანში, ბევრი ვათბეთ, ვზილეთ, მაგრამ ვეღარ გამოვაბრუნეთ!

— ვაიმე, დედავ, ვაიმე, მცივა, მცივა, დამხურეთ ეს საბანი! — წრიპინებდნენ საცოდავად ბალღები.

დედა იმედს აძლევდა: — მოითმინეთ, შვილო, მოითმინეთ, სადაც ბევრი გავძელით, შვილო, ცოტაც მოვითმინოთ. საცაა, მარტი დადგება და ძვლები გაგვითბებაო.

ახლა სხვაგან ჩავიარე. სინათლე გამოდიოდა. ჭრაქი ებეუტათ. ერთი მუგუზალი იდვა ბუხარში, სულ იმას შემოხვეოდნენ, ზოგს ფეხები დაეწყო ნაცარში, ზოგს გვერდი მიებრუნებინა, ზოგნი უბერავდნენ. იქაც ზამთარზე იყო ლაპარაკი.

— რამდენი ზამთარი გვინახავს და ამისთანა უღმერთო ყინვიან ზამთარს არ შევსწრებივართო. კიდევ მადლობა ღმერთს, თუ ცოცხლები გავაღწევთო. ზაფხული ღონიერიაო. საცაა ზაფხული დადგებაო.

სადაც მიველ, სულ გაზაფხულზე ლაპარაკობდნენ. არ მომწონს ამისთანა ლაპარაკი, მარა როგორ დავაშლევინოთ, არ ვიცი, რა ვუწამლოთ, — ამბობდა თებერვალი.

— სხვა კიდევ რა ამბავი?! — იკითხა ზამთარმა.

— არ მომწონს ეს დრო, არ მომწონს, — ნაღვლიანად წუწუნებდა თებერვალი, — სულ რაღაც ურჩობის ხმა ისმის, რაღაც სხვანაირი სუნი ტრიალებს ჰაერში. ჩვენ ჩვენსას ვშვრებით და მინდორს და ტყეს რომ უცქირო, თითქო ფშვინვენ, თითქო დაცოცხლდნენ, თითქო რაღაცას ემზადებიან. სადაც კი მშრალი ადგილებია, სულ წითელ-ყვითელი ენძელებით ავსილა. წნორები და ტირიფ-დვნალები სხვა ფერზე ბზინავენ. შემოდგომაზე ხეხილებს თითო ბეწვა კვირტები ჰქონდათ, ახლა გავსილან, დაბერილან, დაჭიკნულან. მზეცა გვღალატობს, სულ მაღლა-მაღლა მიდის და დღე მატულობს. სულ ამ გაზაფხულის ბრალია, გაზაფხულისა! იმას არავისი ეშინია კაცებივით. ოჰ, იმისი ჯავრი!

ამ ამბებზე ზამთარმა შუბლი შეიჭმუხნა, გრძელი თეთრი წვერები ხელით ასწია და შეუბერა. საშინელება რამ მოხდა; ატყდა საზა-

რელი ქარი და გრიგალი, დატრიალდა თოვლის სვეტი და სხეტი. დაბნელდა მზე, დაიბურა ცა და დაიწყო შესაზარავად სტვენა ქარმა.

თითქო ნიჩბებითა ჰყრიანო, დაიწყო თოვლის ყრა, გაივსო ქვეყანა თოვლით. გაიჭედა ხევები და ღელეები. მოიყარა ყელამდე ტყე და მინდორი. შეხედა ზამთარმა თავის ნაქნარს, ფრიად იამა. ახლა კი ენძელებიც დაიხრჩობოდნენ, ხეებიც დაიმტვრევიან და ვეღარც ჟიჟო გაბედავს მიწიდან ამოძრომასა!

მოისვენა გული ზამთარმა; ასე ეგონა, ეს არის, გაზაფხული ვეღარ მოვაო. გაშალა თავისი თეთრი კარავი და მოსვენებას მისცა თავი. მარა მზეს არ ეძინა. გაზაფხულის წინამორბედი, თეთრად შემოსილ დედამიწას აჭერდა და შეშინებულ-შემკრთალი თოვლი დედამიწაში ძვრებოდა წყლის ცვრად ქცეული. ზამთრისაგან გაკეთებული ყინულის ხიდ-ბოგირები ინგრეოდა, ტყდებოდა და ხრიალით წყალი მიაქანებდა. თეთრი ფერის მაგივრად მწკანე ფერი ედებოდა არემარეს.

თვითონ გაზაფხულიც შორს არ იყო. მოწინავე მახარობლები კიდეც მოსულიყვნენ და გაზაფხულიც თავის ბრწყინვალე ამალით უკან მოდიოდა.

— გააღე კარი! — მოესმა ხმა ზამთარს, ქეიფში მყოფს და თან ძალიან დააკაკუნეს კარები... — გააღე კარი! — მოისმა კიდევ.

ზამთარი ამ ხმაზე შეკრთა, ფერი ეცვალა, ხმა ვეღარ ამოიღო, მომაკვდავს დაემსგავსა.

— დამიცალე კარავი, გააღე კარი! — მოისმა კიდევ ხმა და ეს უბრალო ხმა ჭექა-ქუხილად გადაიქცა. თითქო დედამიწა დაინგრაო, მინდორი და მთები სულ იძვროდნენ ამ ქუხილისაგან. მოხსნა პირი და დაუშვა შხაპუნა წვიმამ. კაი ხანი ისმოდა ხეების ღრიალი და შორეული ქუხილის რაკრაკი.

როცა ყველა დამშვიდდა, ღრუბელი გადაიყარა, ცამ გამოინათლა და მზემ გამოაშუქა, ზამთარი აღარსად ჩანდა. აღარც იმისი კარავი. ჭალებში მურყნები საამურად მწვანედ ბზინავდნენ.

— ჩირთი შემოვიდა, ჩირთი! გაზაფხული მოვიდა, გაზაფხული!— ისმოდა აღტაცებული ხმა სულდგმულთა.

[1898 წ.]

გუგული

თიბათვის დღე იყო. გაჭირვეულებული გუგული თავის „გუგუს“ გაიძახოდა. ბუდარობის დრო მოსვლოდა, არ იცოდა ჯერ კიდევ არავისი ბუდე, რომ კვერცხი ჩაედვა და გამოეჩეკა. ხმელწვერებიან წიფელზე ბჯდომი დაშტერებით მისჩერებოდა ტოტქვეშ გამოხვრეტილ სათვალეს, საიდანაც რაღაც ხმაურობა ისმოდა.

— კუკუუუ! — აჭიანურებდა გუგული, თითქო ვისიმე გაჯავრება უნდაო; თან ჭრელ ბოლოს ხან ასწევ-დასწევდა, ხან ჯარასავით ატრიალებდა.

გუგულის ხერხმა გასჭრა: ნახვრეტიდან ერთი ჭრელი კოდალა გამოძვრა და გააფთრებულმა შემოუტია გუგულს.

— კუკუც შენ გინდა და პანღურიც, შე უმსგავსო შენა! რა დაგემართა, რა ღმერთი გაგიწყრა, დღეს-დილანდელა აღარ მომასვენე. ვითომ კუკუც გინდა ამოშკრა ჩემი ბუდიდანა, ჰა?! მანამდე ნურა ჭამე რა შენა, შე საკვნესო, შენა!

— ქა, გაგონილა! ქრისტიანებო, ჩემი ბუდიდან უნდა მე გამომაგდოს და თვითონ შიგ მოიკალათოს. ჰი, თუ თბილად ჩაჯდები და წყალი არ ჩამოგივა, არჩევა კი იცი! შენთვის არ ვეწვალეთ მე და ჩემი ქმარი მთელ ერთ თვეს, სანამ ამ საბუდარს გამოვხვრეტდით. მაშინდელი დანთქრეული ტვინი ჯერაც არ დამდგომია ადგილასა, ლამის შაკიკის ქარად გადამექცეს.

— არა, მე რომ კუკუ უნდა ამომკრა, შენ უფრო კუკუამოკრული არ დადიხარ? სახლი შენთვის არსადა ჩანს და კარი, შვილი და ბოლო. გაიგეთ, ქალო, რა ზნისა ბრძანდება ეს ქალბატონი?

— თვითონ ხო არც კი კადრულობს ბუდის აშენებას, რო მერე შიგ ბარტყები დაზარდოს; აბა, თავს რად შეიწუხებს ბუდეში ჩაიწყალოს თვალი და გული. აბა, ხუმრობა საქმე ხომ არ არის, მაგან „კუკუ" ველარ იძახოს და ყურები აღარ გამოუჭედოს გამვლელ-გამომვლელს თავის ყბედობითა. ის არ ურჩევნია, ეგრე იწოწიალოს და სხვის ბუდეებიდან კვერცხები იპაროს. — ცხარობდა კოდალა.

— მართლა! ქურდიც არის ეგ ქალბატონი? — შეეკითხა ჩხიკვი, რომელიც აქამდე წიფლის შიმელაზე[1] იჯდა და მუშტრის თვალით იცქირებოდა აქეთ-იქით. — აბა, ქალო, მაგისი ამბავი გეცოდინება. რამე, ჩვენც გვიამბე.

ამავე აზრისა აღმოჩნდა ტილიანი ძერაც, რომელიც აქვე არყზე იჯდა და სითბოზე იქექებოდა.

— უკაცრავად ნუ ვიქნები, ცოტა მკბენარი დამეხვია, უნდა გავიქექო, — თქვა ძერამ, — ერთი გვიამბე მა გუგულისა რამე, ვიცი, არც ჩხიკვი მოცდება, ჯერ ჟოლა[2]-მაყვალი არ დამწიფებულა და არც ბალამწარა[3].

სანამ ესენი ამ ბაასში იყვნენ, გუგულმა შეათვალიერა კოდალას საბუდარი და ხითხითით მოცხრილა ტყისაკენ. კაი ხანი ისმოდა იმისი სიცილი.

— თქვენ რომ მანდედან გამეცლებით, მე თვითონ ვიცი მაშინ, რასაც ვიზამ; თუ ჩემს შვილს შენ არ გაგაზრდევინებ, რაღა ქალი ვიქნები! — ფიქრობდა გულში გუგული, — ხომ არა გნებავს, საძიძაო მოგართვა?

— ქა, კიდეც რო დაგვცინის ეგ სასიკვდილე! — თქვა გულმოსულმა კოდალამ. — მოსულა აქ სისხამ დილაზე და მითვალთვალებს, უნდა გამიტყუილოს, მერე მოვიდეს და ჩემს კვერცხებში თავის კვერცხიც ჩაურიოს. ეგ ხო თავის დღეში ბუდეს არ იკეთებს, სულ სხვას აზრდევინებს თავის ბარტყებს. არა, რა საამურია, შენი ჭირი-

---

1 შიმელა — ახალი მოზარდი ხე.

2 ჟოლა — Малина.

3 ბალამწარა — გარეული ტყის ბალია, შავად მწიფდება, ვემო მწარე აქვს.

მე, ვიღაც ოხრის შვილების დაზრდა, როცა ჩემიც გამჭირებია. შარ-შან არ იყო, ე მანდ იელიანში[1] შაშვისთვის რა საქმე ექნა, — შაშვის კვერცხები დაეჭამა და თავისი შიგ ჩაედვა. შაშვსაც ვერა გაეგო რა, სანამ არ გამოეჩიკა და არ წამოზრდილიყვნენ, ის პატარა არ დასაზ-რდელები. თურმე უზიდავს და უზიდავს საჭმელს, მაგრამ იმ ღორმუ-ცელებს რა დააძღობდათ. საწყალი შაშვი თვითონაც კინაღამ შეეჭა-მათ. თურმე სულ ჰკბენდნენ და ჰგლეჯდნენ, როცა საჭმელი არ ჰყოფნიდათ. რო ვეღარა გააწყო რა ადგა და იქიდან გადიხვეწა. საწ-ყალი, მე ვნახე, სული ხელთ ეჭირა სიგამხდრითა, — ყბედობდა კო-დალა.

— ჰეე, კაი ეშმაკი ყოფილა, — თქვა ძერამ, — თვალით არა ჩანს რა და მოხერხება კი დიდი ჰქონია; ერთი ღმერთმა გააბრიყვოს და ჩემს ბუდეში ჩადოს კვერცხები, ჰნახავს, როგორ გამოვუჩეკავ, სულ ნაჭუჭებიანად შევსვლიპავ.

— დიახ, შენისთანა თავდასიებულს ის კვერცხს არ ჩაუდებს. ლამის შენ შენი კვერცხებიც დაჭამო, თორემ სხვისას რას გაუშ-ვებ, — გამოეხმაურა ჩხიკვი. — ამასთან იმისი კვერცხები შენ კვერ-ცხებზე პატარებია და შენი კვერცხები სულ დალეწენ, შენც რო არ დაუჭამო; ისიც იმიტომ თავის ტოლ-ფრინველებს ეტანება, რომ კი-დევაც იმისმა კვერცხებმა სხვისა დაამტვრიოს.

— ის კი მართალია, ჩხიკვო, — შეეკითხა ძერა, — ვითომ საზრ-დოდ გუგულისათვის ღმერთს დღეში ერთი ჩიტი მიუციაო; მე ჩემი თვალით მინახავს, ჩიტი რო დასდევნებია გუგულსა.

— ეგ ტყუილია, მარა ის კი მეც მინახავს, რო მართლა ხშირად დასდევს ხოლმე რომელიმე ჩიტი გუგულს. ეს იმიტომ, რომ გუგული კვერცხებსა ჰპარავს და რაკი მოასწრებს, ჩიტი ქურდს ბუდეში გა-მოეკიდება, მაგრამ რას გამორჩება!

— ყველა ყველა და მე გამიგონია, ძერავ, შენი და ჯორის ამბავი, არ ვიცი მართალია, თუ ტყუილი, ვითომ შენა და ჯორს სანაძლეო დაგედოთ, თუ რომელი გასძლებს უწყლოდ და რომელი უშვილო-დაო. ჯორს უწყლობა ვერ დაუთმია და უშვილობა ურჩევია, შენ წყლის უსმელობა დაგითმია და შვილოსნობა არა. იტყვიან ჯორს იმი-

---

[1] იელიანი — იელის ტყე.

ტომ არ ეძლევა შვილიო და ძერა რო ჰაერში გაჩერდება ხოლმე, წყალი წყურიან, ვერ დაულევია და ქარსა ჰყლაპავს; თანა წივის და ჯორს აგონებს, აღთქმა არ გასტეხოვო.[1]

— მართალია, ძერავ, მართლა არა სვამ წყალსა?

— ტყუილია, უწყლოდ რომელი სულდგმული გასძლებს. მე რო ჰაერში ვჩერდები, ძირს გველ-ხვლიკებს ვათვალიერებ, — თქვა ძერამ, — მერე დავეცემი და წავიღებ. ჩემი საზრდო ისინია.

—მშვიდობით იყავით, დამიგვიანდა, მეც ბუდეს უნდა მივხედო,— თქვა ძერამ და შეუარა წიფლიან[2] გორას, საითაც იმისი ბუდე იყო. ჩხიკვიც გაძვრა სადღაც.

როგორც კი კოდალა გაიგულა სხვაგან, გუგული მაშინვე იმის ბუდესთან დაერჭო; ჯერ შეძრომა სცადა, მაგრამ ვერ შეეტია; გამოძვრა ისევ და დაფიქრდა, რა უნდა მოეგვარებინა, როგორ უნდა ჩაედვა შიგ კვერცხი. დიდხანს არ მოუნდა ფიქრს. მაშინვე ბალახებში ჩაჯდა და კვერცხი იქ დადო. მერე ნისკარტით აიღო და კოდალას ბუდეში ჩააგორა. ერთი გულიანად გაიხითხითა და მოცხრილა ტყისკენ.

— ფრთხილო ქალბატონო, ვნახოთ შენც როგორ გაგაზრდევინო ჩემი შვილი, ძალიან რო თავს იდებდი, — ფიქრობდა გუგული.

კოდალამ ვერა გაიგო რა, თუ გუგულმა კვერცხი ჩაუდვა, რადგან გუგულის კვერცხი თითქმის არ ერჩეოდა იმის კვერცხებიდან.

სანამ ქორფა იყო პატარა გუგული, ისიც სხვებსავით ყვითელ ნისკარტს უღებდა ხოლმე კოდალას საჭმლისათვის, მაგრამ როცა მოიზარდა და კისერი დაუგრძელდა, მაშინ კი შეეცილა თავის ამხანაგებს საზრდოს, სულ თვითონ დაუწყო ჭამა, პატარა კოდალები კი შიმშილით იხოცებოდნენ.

რის ვაი-ვაგლახით დაზარდა კოდალამ ბარტყები, გაიზარდა გუგულიც. ისეთი ამაყი და ავი რამ იყო, რომ საცოდავ კოდალას დააფრინდებოდა ხოლმე საკბენლად, როცა საჭმელს დაუგვიანებდა. კოდალაც ითმენდა ყველაფერს და ერთხელაც არ მოსვლია აზრად, გუგულს თავი დავანებოვო.

გაიწურა ზაფხული. დაფთიანებული კოდალები ბუდიდან ამოსხა

---

[1] ეს ლეგენდა ფშავშია გავრცელებული.

[2] წიფლიანი — წიფლნარი.

დედამ და სიხარულით ტყეს მოედვნენ. შეუდგა ერთი ჟივილ-ხივილი ტყის მცხოვრებელთ; შეეხიზნენ ტყეს, თავის ჰასაზრდოებელს; შემოქმედს მადლი შესწირეს და ბუდეს მოშორებულებმა იწყეს ახალი თავისუფალი ცხოვრება.

გუგული? — ის ისე გაიზარდა, ისე დასქელდა, ბევრიც რო ნდომებოდა, სათვალიდან ველარ გამოძვრებოდა. ბევრჯელა სცადა გამოძრომა, ჰყოფდა ხოლმე თავს გარეთ, მაგრამ სულ ტყუილად, კოდალა მაინც თავს არ ანებებდა, უზიდავდა კიდევ საჭმელს და შიმშილით არა ჰკლავდა. როცა მოშიოდა ხოლმე საცოდავ გუგულს. საცოდავად ჩხაოდა. ამ დროს ყველა ფრინველი თავისუფლებით ტკბებოდა. ყველა თავის ნებაზე დაფრინავდა. შორიდან ხანდახან ისმოდა, ათასში ერთხელ, გუგულის „კუკუ"; ეს ხმა გულამდე სწვდებოდა საცოდავ დამწყვდეულ გუგულს; გრძნობდა, რომ ის ხმა იყო იმისი სამშობლოს დედაენა; ესმოდა და შურით გული უკვდებოდა, რადგან თვითონ მოკლებული იყო იმ სიამოვნებას. თვითონ კოდალასავით უნდა ეჩხიკვინა, რომ იმისთვის გაეგონებინა და საზრდოს მოტანა ეთხოვნა.

გავიდა ზაფხულიც. მარიამობისთვის გასულს თან მოჰყვა წვიმა და სიცივე. აქა-იქ ქარს ყვითელი ფოთლები მოჰქონდა. ფრინველნი გასაფრენად ემზადებოდნენ. რიგი მიდიოდა, რიგი წასულიყო, რიგი ახლა ემზადებოდა. გუგულები რახანია წავიდნენ. მერცხლებიც იმათ გაჰყვნენ. ჰაერს თანდათან სიჩუმე შეეპარა, კოდალებსაც ადგილის ცვლა მოუნდათ. მთიანი ადგილებიდან ბარისკენ გაიწიეს. ჩვენი გუგულის დედობილი კოდალაც სხვებთან ერთად ბარისკენ წავიდა. გუგული დარჩა ხის ღრუში გამომწყვდეული.

ნადირობიდან მოვდიოდი და ერთი გულსაკლავი ჭყივილი შემომესმა. შევხედე, გამოეყო სათვალიდან გუგულს თავი და საზარელი ხმით გასჩხაოდა ტყეს, მაგრამ ვის გააგონებდა; მშობელმა ღვიძლმა დედამ იმავთავიდანვე არ გაუწია დედობა. დროებით დედამ კოდალამაც დაანება თავი. მინდოდა როგორმე მეშველა, გამომეყვანა, მაგრამ ისე მაღლა იყო ხეზე, რომ ვერასგზით ვერ მივუდგებოდი.

[1898 წ.]

მგლები

შორს, ძალიან შორს არის გადაჭიმული შირაქის ველი. აქ სოფლებს ვერსადა ჰნახავს კაცი. აქა-იქ მხოლოდ ფშავლებისა და თუშების ფარეხები მოჩანან და წივის ცეცხლის ბოლი იძაფება. აქ ღამე ვერც არავინ მამლის ყივილს გაიგონებს, მხოლოდ დაყმენდილი მგლების ყმუილი მოისმის ივრისა და ალაზნის ჩალიანი ნაპირებიდან და მეცხვარეების ძაღლების წკავ-წკავი და ყეფა.

თოვლი იშვიათად მოვა და როცა კი დათოვს, მაშინაც დიდხანს არ გასტანს ხოლმე. შირაქის მცხოვრებელი მეცხვარეა თავისი ცხვრის ფარების და ნახევრად განადირებული ცხენების ჯოგებით. მგლებიც მეცხვარეებთან ერთად მთა-ბარობენ; ზაფხულში მთაში დასდევენ ცხვრის ფარებს და ზამთარში შირაქს ეტანებიან; საჭმელი მუდამ ეგულებათ, თუ ცოცხალი არა, მკვდარს ხომ ბევრს გადმოჰყრიან მეცხვარეები. თუ ისიც არ არის და მაშინ გაონავრებულები ასდევენ და ჩასდევენ საქარავნო გზებსა. მინდვრის მგელი საშიშიაო,— იტყვიან მეცხვარეები, — ნამეტნავად, როცა ჯოგშიაო. კაი ბიჭი უნდა, რომ იქ თოვლიან ზამთარში ღამე გაბედოს და შორს მანძილზე წავიდეს.

* * *

ახალწელიწად ღამეა. შირაქის მინდორზე თოვლი ძევს. აქა-იქა ბინებზე ძაღლების ყეფა ისმის; ქვევა (მდიდარი) ხარანაულის ბინაზე შეყრილან ფშავლებ-თუშები და საუბრობენ თავის ნაცად-ნახადზე.

ალაზნის მხრიდან მგლების ყმუილი მოისმის. ეტყობათ, რომ მგლები გზის პირს მოსდევენ.

— ცივი ზამთარია, — თქვა თუშმა ლეომა, — ე ოხერი მგლები ძალიან იტანებიან. ლამის ფარეხები გამოგვითხარონ მაგ ოხრებმა. კაი ხანია, ასე მრავლად არსადა ყოფილან. მაგათი ყმუილი უერთოდ არ ჩაძირდება (ჩაივლის), ნავნებს იზმენ რასმე. მინდოდა ხვალისთვის ლაგოდეხს მწყემსი გამეგზავნა, ღვინო გადმომეტაინებინა ბედნიერი დღისთვინა, მაგრამ ვერ გავბედე ნადირის შიშითა. ვიცოდი, თავის დროზე ვერ გადმოვიდოდა და ღამე სიარული ემ დროს საშიშია.

— ღვინო ჩვენც გვინდოდა, — თქვა ხარანაულმა, — მაგრამ ისევ ხვალ დილით გავაქცევ ცხენით და კიდევ მალე მოგვისწრობს.

— სუთ, სუთ! — დაიძახეს რამდენიმე ბიჭმა ერთად, — აბა, ყური დაუგდეთ, იმ ოხერი ერთი მგლის ხმა როგორ ერჩევა, როგორა ღრიალებს!

მართლაც მოწმენდილი ცა და დაყუჩებული ჰაერი იყო. ისეთი გულის შემზარავი ყმუილი ისმოდა, რო იტყოდით, მთელი მინდორი მგლებადა ქცეულაო. ამათში უფრო გამორკვევით ერთი მგლის ხმა ისმოდა, რო დაიღრიალებდა, იტყოდით, დედამიწას გულიდან მოსწიაო, გაბამდა და ბოლოს თითქო იხრჩობაო, ხრიალით დააბოლოვებდა, მთელი მინდორი კვნესოდა. შეშინებული ძაღლებიც სულ ერთმანეთს ეკვროდნენ და საცოდავად გაჰყმუოდნენ ალაზნის პირისაკენ...

— სწორედ ეს დრო იქნებოდა, ბიჭებო,—დაიწყო ხარანაულმა,— ფშავში მივდიოდი. ძალიანა ჰყინავდა და ახმეტაში შევსადილდი. ცოტა ღვინო გადავკარ სითბოსთვის და ამის გამო შემიგვიანდა. მაღალახადს[1] რო შევუდეგ, დაღამდა. მთვარიანი ღამე იყო და რაკი თოვლიც იდო, დღესავით იყო გავარვარებული მთელი კახეთი. მარტო ტყე იყურებოდა შავადა. რამდენიც შეღამდა, უფრო და უფრო მოუჭირა ყინვამ. ქალმები რკინასავით დაიყინა და დაილუსა, გზას სულ ლაწალუწი გაჰქონდა ფეხებქვეშ.

ცხენი მყვანდა, მაგრამ ამ სიცივეში ცხენზე რა შემსვამდა. ქვეითად მივდიოდი. გძელი ვახშმობა იქნებოდა, რო ავანახევრე მაღალახადის მთა. თან ჩემი ყელჭრელი ხირიმი[1] მქონდა მაშინ ხო ბერ-

---

[1] მაღალახადი — დიდი ტყიანი ქედია თიანეთსა და ახმეტას შუა.

დენკები არ იყო! გამეგონა და ვიცოდი კიდეც, რო მაღალახადაზე მგლები იცოდა და მეც ფრთხილად ვიყავ. ღვთისა წინაშე, შიშით არ მეშინოდა, მე მგლებს არაფრად ვაგდებდი; თოფიან კაცს როგორ შეჰბედვენ-მეთქი, ვამბობდი, თუკი ვაქკაცი ვარგა და ან გული შერჩა-მეთქი.

მე არხეინად მივდიოდი, რო' ოთოვლის ხრიალი და ფეხისხმა შემომესმა. ცხენმა ყურები ცქვიტა და უკან-უკან წევა დაიწყო. მე თვალი გზაზე დამრჩა. ესე, ოცდაათი ნაბდის გაშლაზე[1], ერთმა მგელმა გზა გადამიჭრა და გზის ნაპირზე დადგა და ცქერა დამიწყო. თან თოვლს დაუწყო ფეხებით თხრა და აქეთ-იქით სროლა, როგორც ძაღლებმა იციან მტრის დანახვაზე. მე ცხენს გავუჯავრდი, რო მომყოლოდა. თოფი გადმოვიღე და პირდაპირ წაველ. იდგა ისიც და რაკი შემატყო, რო თოფი აქვსო, იკადრა და გორის პირისკენ გახტა. თოფის ხელმეორედ გატენა მეზარებოდა სიცივეში, დამიგვიანდებოდა კიდეც და იმიტომ აღარ ვესროლე.

არხეინად გავსწიე. ცოტა ხანს შემდეგ გორის პირიდან საზარელი ყმუილი შემომესმა. ყმუილს გაღმა-გამოღმა ამ გაუვალმა ტყემ ხმა ჩისცა და შორს, შორს ხევ-ხევში ჩაიღუპა. მშიშარა არა ვარ, მაგრამ ამ ხმაზე სულ ერუანტელმა დამიარა ტანში. კიდეე დაიყმუვლა და ხეებიდან გაყინულმა ჭირხლმა წკრიალით დაიწყო ჩამოდენა ძირსა. ორჯერ თუ სამჯერ კიდევ დაიყმუვლა და მერე გაჩუმდა. ცოტა ხანი გამოვიდა და ილტოს მხრიდან ხმა მისცა ერთმა მგელმა. მეორემაც გაღმიდან მოსცა ხმა. მალე იმათ მესამეც მოემატა და გააბეს საზარელი ყმუილი. მე ვიცოდი ეს ყმუილი რისაც მომასწავებელი იყო და ფეხს ავუჩქარე. გაქცევა კი არ მინდოდა და ვერც გავიქცევოდი, რადგან უფრო საშიში იყო.

მგლების ყმუილი თანდათან ახლოვდებოდა. ეხლა ვეღარ ვარჩევდი, რამდენი ყმუოდა. ბეჩავი ჩემი ცხენი ასეთი იყო, სულ ფრუტუნებდა, ფრთხებოდა და უნდოდა გაქცევა, მაგრამ გაჭირვებაში მე, იმის იმედი უფრო მქონდა. მზესავით მთვარე იდგა და ჩემ წინ და უკან ისე ჩანდა გზა, თითქოს ხელის გულიაო. უკან მივიხედე და წე-

---

[1] ხირიმი (ყირიმი) საუკეთესო თოფად ითვლება ქართულ თოფებში, ყელ-ოქროთი აქვს მოზარნაშული.

[2] ნაბდის გაშლა — ერთი საქენია.

ლანდელი მგელი დამხვდა წინა, ამდევნებოდა და ელქეშად[1] მომდევდა. იმან იცოდა, რომ სხვებიც მიეშველებოდნენ და იმიტომ იყო ისე გულადადა. მართლაც, იმედი არ გაუცრუვდა.

მოსახვევი გზა გავიარე და წინ ორი მგელი ამეყუდა. აქეთ-იქით ცეცხლის ნაპერწკლებივით დაიწყეს მგლის თვალებმა ციცაობა და ჩემ უკან გზაზე და გზის იქით-აქეთ შემომწკრივდა ერთი ათამდე მგელი. ამათ ყმუილი შესწყვიტეს და მხოლოდ შორს, ცივ-გომბორის მთის ტყეებშიღა ისმოდა კიდევ სხვა მგლის ყმუილი. ის კი მე რას მიზამდა, ალბათ იმან იქ სხვა თუ ნახა რამე კბილის გასასველებელი და ამხანაგებს ეძახდა.

ის ორი მგელი ზედ შუაგზაზედ გაიხიდნენ. ერთი წამოწვა ტოტებზე, თითქო გადაფრენა უნდაო და მეორე კი გაშეშდა და არ მაშორებდა თვალსა. წასვლას აღარ აპირებდნენ. მეც გადმოვიღე თოფი და ჩახმახშეყენებულმა იმათკენ გავწიე: სხვა გზაც არა მქონდა, რაც იქნებოდა. იქნებოდა, უნდა გამევლო. მართალია, ტყუილი კაცს შეარცხვენს, რო მოვიტყუილო, რა იქნება, — შევკრთი, მაგრამ ეს ვიცოდი, რო კაცის გაშტერებულ თვალს ნადირი ვერ გაუმაგრდება და გზასაც თურმე, ლომის მეტი, ყველა მისცემს კაცს. მეც თუ მიშველიდა რასმე, ისევ სიგულადე, თორემ თუ შევშინებულიყავ, საეშმაკოდ გავხდებოდი. ხელში გატენილი თოფი მეჭირა და ხანჯალიც მეკრა. ვთქვი: თუ გზა არ დამიგდეს, ერთ-ერთს თოფით გავაგორებ და ერთსაც დავხანჯლავ-მეთქი.

გამიგონია, რომ თურმე, თუ ჯოგში მგელი დაიჭრა და ამხანაგებმა სისხლი დაინახეს, მიეხვევიან და შესჭამენ. მგელიც რაკი კბილს გაისისხლიანებს, მერე უფრო საშიში ხდება და კაცსაც ადვილად მიჰბედავს.

მე კიდევ იმისი იმედი მქონდა, ნათელი ღამე იყო და მგლები ისე ვერ მომეპარებოდნენ, რომ ვერ დამენახა. თუ ძალიან გამიჭირდებოდა საქმე, გულში ისე მქონდა, ცხენი უნდა მიმეგდო მგლებისათვის და მე თავისთვის მეშველა.

თქვენ კარგად იცით, რო სანამ თიანეთს არ გადახვალ, არსად სოფელია და არსად სახლი. მართალია, ტყე კარგია, მაგრამ ხეზე ასვლაც ხათაბალაა, ჯერ ერთი ცხენს თავს ვერ დავანებებდი, მეორე ესა,

---

[1] ელქეშად — შორიახლოს, ნელა-ნელა, გაუგებრად.

რომ ხეზე სიცივე მომკლავდა, ან კიდევ მგლები აამყრალებდნენ და ჩამომაგდებდნენ. აგრე ერთი ფშაველი ასულიყო ხეზე მგლებისაგან გამოქცეული; მგლები ისე აყროლებდნენ თურმე, რო კაცი დაბნედილიყო და სარტყლით რო არ მივკროდი ხეს, უეჭველად ჩამოვვარდებოდიო...

მივდივარ მგლებისკენ და დგანან ისინიც გაშეშებულები. რაკი მივუახლოვდი და მივუახლოვდი, როგორღაც შეთოთქორდნენ — შევატყვე, ისე ახლოს ვიყავი, რო იმათი სულის ქცევაც მესმოდა. მაშინ კი გადვუდე ჩემი ხირიმი. თეთრმა სალტებმა და თოფის ბრჭყვიალა ლულამ რაკი გაიელვა, მგლები ისე გადახტნენ ტყისაკენ, რო თვალიც ვეღარ მოვკარ.

ჰაი, ბიჭებო, თოფს სხვა ზავთი[1] აქვს. თოფის ლულის წინ ვინ არ შაკრთება, ვის არ მოაგონდება სიკვდილი.

რაკი ისინი გაიქცნენ, სხვა მგლებიც უკან შედგნენ. ვიარე მე და მდიეს იმათაც. ვერა და ვერ მომწონეს (შემბედეს). ბოლოს და ბოლოს რაკი თიანეთისკენ გადავხედე, დამიწყეს მგლებმაც სათითაოდ ჩამოცლა. ბოლოს ორიღა მომდევდა. მგონი, წინ რო დამიდგნენ, ისინი უნდა ყოფილიყვნენ. რაკი სამშვიდობოს გაველ, მივუბრუნე თოფი და მივახალე. ღმერთს მადლობა შევწირე გადარჩენისთვის.

— განა ბიჭებო, ბევრი თქვენგანი თავს შეირცხვენდა ჩემს ადგილას რო ყოფილიყო? — დააბოლოვა ხარანაულმა.

ბევრმა გაიკვირვა ხარანაულის ნაამბობი და ბევრმაც თავმომწონე ბიჭებმა, იუკადრისეს იმისგან დამცირება.

— რავა, ჩემო ძმაო, ე ბიჭად შენ ჩვენ ვერა გვჯობიხარ და თუ შენ ქართული თოფი გქონდა, ჩვენ ბერდენკებიცა გვაქვს. ჩვენც სულაც არ შევეპუებით მგლებსა, თუკი საკმაო ტყვიები გვექნება.

— თოფი ხომ კარგია და კარგი, მაგრამ გული ყველაზე მეტია, ბიჭებო. — თქვა თუშმა ლეომა, — შეშინებული კაცი წარამარა დაიწყებს თოფის სროლასა, პატრონებს ტყუილ-უბრალოდ დასწვამს და მგლებსაც შეეჭმევა.

---

[1] ზავთი — კაცის სახის გამომეტყველებას ჰქვია, რომლისაგანაც მნახველი შიშსაც გრძნობს და კაცისადმი ძალაუნებურ პატივისცემასაც.

— მართალია, მართალი, — მოუწონა რამდენიმე ხანში შესულმა მწყემსმა.

მხოლოდ ერთი თუში ნადიბაისძე იყო წინააღმდეგი, — ვერც შემაშინებენ მგლები და ვერც არას მიზამენო.

— არ გადაგხედია თავსა, ნადიბაისძევ, ძმაილავ, იმიტომ ამბობ მგრე, თორემ თუ სადმე დაგეხვივნენ ის ყურდაუჭრელნი, ავად გაცვლეინებენ ფერსა, — შეუხირდა ფშაველი ბეწინა.

— აი, ეს ბურთი და ეს მოედანი, — თქვა თუშმა ნადიბაისძემ, — ახლაც ხო ნაკლები ღამე არ არის და არც ნაკლები მგლები, ხო გესმიო, რა ამბავი აქვთ. მე სანაძლეოსთვის ახლა ლაგოდეხს წავალ და იქიდან ღვინოს მოვიტან. ხო იცით, გზაც შორია და თავმოუფარებელი მინდორიც, კაცს რო გაუჭირდეს, ერთ ხეს ვერა ჰნახავს. აი, ვისაც უნდა ათ თოხლზე დავენაძლეევები. არც ცხენს წავიყვან, ლეოს ბერდენკას წავიღებ, ერთი ოცდაათი პატრონა მომეცით და ხმალს შემოვირტყამ.

ნადიბაისძის სიტყვებზე მწყემსებს ჩოჩქოლი შეუდგათ.

— არ იქნება, შვილო, რა დროს სიარულია, ხომ არ გაგიჟდი, — უთხრა ხარანაულმა, — განა, ვისაც თავი არ მოსძულებია, ეხლა კარში გავა?! მე კი შენს ცოდვას ვერ ავიღებ და სხვამ თავისი იცის.

— არა, ნადიბაიძევ, დაჯექ, შენს ქურქში ეგდე, — გაუჯავრდა თუში ლეო, — შენა, ძმაო, ერთს რასმე უბედურებას შეიმთხვევ და შენ დედ-მამასთან რა პირითღა მიგვესვლება. არა, თამარ მეფის მადლმა, მე კი ვერ გირჩევ და.

— ლაშარისჯვრის მადლმა შენ ტყუილაი ტრაბახობ, თუში ხარ, ცარიელა ტრაბახა, თორემ ვიცი, რაც გული გჩრია, — გაეპასუხა ფშაველი ბეწინა, — შენ არ იყავ, შარშან რო თათრებმა გამოგაქციეს, ახლაც ისევ ნადიბაისძე არა ხარ?!

— მოდი და გაუწყრეს თამარ მეფეცა, ალავერდის წმინდა გიორგიც, წვერის წმინდა გიორგიც და ფშავ-ხევსურეთის სალოცავებიც, ვინც პირს გადავიდეს, მოდი, დამნაძლევდი ათ თოხლზე, თუ მე ამაღამ თუქურმიშას გადაველ, იქ ხომ ნაცნობი მედუქნე გვყავს, იმასა ჰკითხეთ, როდის მიველ, მაშინ ათი თოხლი შენც მომეც, ბეწინავ, თუ ვერ გადაველ და გზიდან დავბრუნდი, მე მოგცემ ათ თოხლსა, — დაამთავრა ნადიბაისძემ.

— ჰა, ხალხნო, რას იტყვით, ყაბულსა ხართ თუ არა?

— მე ყაბულსა ვარ, — თქვა ბეწინამ.

ხარანაულმა და თუშმა ლეომ ბევრი უშალეს ნადიბაისძეს, მაგრამ არ დაიშალა.

დაარ~გეს, ვისთანაც უნდა მისულიყო და კაცებიც დაესწრო.

აიღო თუშმა ნადიბაისძემ თოფი, პატრონებით სავსე, სასწრაფოდ ახსენა თუშეთის სალოცავები და გაუდგა გზას...

მთვარემ გადაუარა შირაქის ველსა და ციე-გომბორის მთას დაადგა თავზედა. მრავალი და სასწორი საშუალამის გადასცდნენ. შორს, დასავლეთისაკენ, რომ ერთი ბეწვა ღრუბელი მოსჩანდა, დაიკარგა. ცა ისე მოიწმინდა, თითქო ცოცხით დაუგვიათო. წვრილი ვარსკვლავები უფსკრულში მიმალულიყვნენ და ოდნავღა ციმციმებდნენ. უფრო მსხვილ ვარსკვლავებს ბდღვრიალი გაჰქონდათ. იმათ არც მგლებისა ეშინოდათ და არც ძირს ჩამოვარდნისა. უჰ, რა მაღლა იყვნენ!

შირაქს ეძინა. არ ეძინათ ხარანაულის ბინაზე მწყემსებს, ან კი რა დააძინებდათ! სახუმარო საქმე ხომ არ იყო, კაცი სახიფათო გზაზე იყო წასული.

— ძალიან მოვტყუვდი, — თქვა ნაღვლიანად ბეწინამ, — რო ავუხირდი. მე რო არ დავნაძლევებულიყავ, .ის ხომ არ წავიდოდა. რო რამე აუტყდეს, კაცო, იმის ცოდვაში ხო მე ჩავდგები!

— არა უშავს რა, თუ ყოჩაღად მოიქცევა,— თქვა ხარანაულმა.— სიფრთხილეს თავი არა სტკივა, ცხენები მზადა გყვანდესთ, თოფები და პატრონებიც მოამზადეთ, დაძინება არ იქნება...

ერთხანად ძაღლებმა ხმა გასწყვიტეს და ღრმა ძილს მისცეს თავი. მგლებმაც ყმუილს უკლეს და ბოლოს სულ გაჩუმდნენ.

— იქნება ამ ბალღმა ისახელოს თავი და მშვიდობით გადავიდეს ლაგოდეხსა! — თქვა თუშმა ლეომა.

— ნეტავი არ იქნება! — წამოიძახეს ყველამ ერთად.

— მეძნელება კი, ლეო, და არ ვიცი, როგორღაც ცუდი მხარი შეუბნება, — დაეპასუხა ხარანაული.

ამ ლაპარაკში იყვნენ, რომ ძაღლებმა საერთო ყეფა და განგაში ასტეხეს.

მწყემსები მაშინვე გარე გამოცვივდნენ. ზოგი ფარეხის ბანზე ავარდა!

— თოფის ხმა იყო! — დაიძახეს ფარეხზე მყოფებმა.

— თამარ მეფის გამარჯვებამ, თოფის ხმა იყო! აგერ მეორეც გავარდა!

მართლაც პირველ თოფის ხმას მეორეც მოჰყვა, მესამეც და მერე დატყვრა ზედიზედ.

— არიქათ, ჩქარა, ბიჭებო! ცხენები! ჩქარა, თორემ საქმე რომ არ უჭირდეს არ დაიწყებს მაგრე სროლასა.

ზოგი თოფისთვის გარბოდა, ზოგი ცხენზე ჯდებოდა. სულ ერთს წუთს უკან თუქურმიშისკენ მიმავალ გზიდან ცხენების ნალის წკრიალი ისმოდა და მწყემსების თოფის ხმა...

მართლადა თუშ ნადიბაისძეს დიდი გაჭირვება ადგა.

მწყემსები რო მივიდნენ, მგლის ჯოგი გაქცეულიყო მათ მიახლოებაზე. ნადიბაისძეს თოფი გადაეგდო და ოთხივკუთხივ ხმალს იქნევდა, თანა ჰკიოდა. იქვე ორი მგელი შუაზე გაჭრილი ეგდო.

ბევრი უყვირეს მწყემსებმა, ბევრი უძახეს, ნულარ გეშინიან, ჩვენა ვართო, მაგრამ ვეღარა გააგონეს რა.

[1898 წ.]

ცირცელი

ზამთრობითაც იქ იდგა და ზაფხულობითაც. თუმცა ზამთარში სასტიკი სიცივე იყო და ზაფხულში სიცხისაგან კლდეებში იხრაკებოდა, მაგრამ იმას მაინც მაგრა ჩაეყარა თავისი ფესვები სალი კლდისათვის და გულზე მიჰკრობოდა და ჩაჰკონებოდა, როგორც შვილი დედას ეკვრის ხოლმე და ძუძუებში ეხუტება.

ძალიან უყვარდა ცირცელს[1] თავისი მშობელი მთა; თვალჩაუწვდომელი კლდეები, ჩამორეცხილ-ჩამოგლეჯილნი, რომელთაც აქაიქა მიჰკროდა თითო ბღუჯა ბალახი და ხავსი; უყვარდა ღრმა ხევები; ზამთარ-ზაფხულ ზვავით სავსენი და მთებიდან ჩამოგორებული მდუმარე ლოდები, მწვანე ხავსმოკიდებულნი.

ნეტა განა კიდე შეიძლებოდა იმაზე მეტი სიყვარული?! განა გულში კიდევ დარჩებოდა ადგილი სხვა სიყვარულისთვის? სულაც არა! მთაზე მეტად არც არა უყვარდა რა და არც არა ჰყვარებია რა.

ქარის კივილი, ნამქერის თეთრი ღრუბლები, მთების გუგუნი, კლდეებიდან ჩამოკიდებული უზარმაზარი ყინულის სვეტები, ზვავების ქუხილი და უძირო ხევებში ჩადენა — ცირცელისათვის დედის ნანა და და-ძმებში ლხინი იყო.

როგორი სიყვარულით ჩასცქეროდა ხოლმე, როცა ზამთრის

---

[1] ცირცელი — Рябина.

ყინვა იმის მეზობელ მთის ხეობაზე ჩამომყეფარ გიჟმაჟ მდინარეს გაჰყინავდა ხოლმე და ვეშაპივით კლდიდან კლდეზე აკეცილ-ჩაკეცილ მზეზე ლაპლაპი გაჰქონდა.

გაზაფხულზე ხო ისევ დნებოდა და წყალმომატებული დაიწყებდა ქოთობას და შხუილს. ზაფხულში ჩხრიალებდა წმინდა წყლიანი და ზამთარში ყინულად ქცეული მკვდარსავით უძრავად იწვა.

— თქვენ გენაცვალოთ ჩემი თავი, მთებო, თქვენა, თქვე ჩემი სულის ჩამდგმელნო! განა, ქვეყანაზე იქნება თქვენისთანა რამე კიდევა! — შეჰღაღადებდა ირგვლივ მოჯარებულ მთებს ცირცელი.

— არა, ბრაწო?[1] ჩვენ სამშობლოს განა სჯობია კიდევ სხვა ვისიმე მხარე? მითხარ მართალი, ჭკვიანი ხარ, გეცოდინება, ან გენახება, ან გაგონილი გექნება, ათასი ფრინველი ბუდობს შენს ახლოს,— ეკითხებოდა ბრაწს ცირცელი.

— რა ვიცი, შენ გენაცვალოს ჩემი თვალები; შენ კარგად მხედავ, მე შენზე პატარა ვარ, სულ წელში მოღუნული და სევდიანი. ხო იცი, მეც შენსავით აქაურობას არ გავცილებივარ, გაგონილიც შენ უფრო მეტი გექნება. მართალია, ჩემს ახლო კლდის ეხებში სვავები ბუდობენ, ბევრსაც რასმე ლაპარაკობენ შორეული ქვეყნებისას, მაგრამ დაეჯერებათ იმათ რამე? იმათ ის მხარე უყვართ, სადაც ბევრი ლეშია და სადაც თავის გაუმაძღარ მუცლებს ლეშით გაიტენენ. აბა იმათთანა ხალხს განა დაეჯერება რამე, რომელსაც თავისი სამშობლო არა აქვს? შე კარგო, შენ უფრო ხილს არ ისხამ, შენთან უფრო ბევრნი არ მოდიან სტუმრადა?!

ჩემი ნაყოფის საჭმელად სუ ჩვენი მთის შვილებივე მოდიან, ჩვენსავით ისინიც არ გასცილებიან თავის მიწა-წყალს. აბა როჭოს განა წაიყვანს ვინმე მთიდან? ისინიც სულ ჩვენი მთებისას მიაჭბობენ. ჩვენ კლდეებს შესტრფიან და შეჰხარიან. ასე ჰგონიათ, ამეს იქით ქვეყანა აღარ არისო.

— შენა, შალშავო[2], შენ რაღას იტყვი, შე გულჩათხრობილო,

---

1 ბრაწი — კლდის მცენარეა. ეცვეთელსა ჰგავს, იმის ტოტებისას ფშაელები რძის საწურაკებს ჰკრავენ.

2 შალშავი — черника, მთის მცენარეა, სულ ერთი მტკაველი იზრდება და ტკბილ ნაყოფს ისხამს. მწიფე კვრინჩხსა ჰგავს ფერით. წარიამობის თვეში მწიფდება. მარცვალი ხუნწის მარცვლის ტოლა აქვს.

თვალშავო? არ ინაღვლი, რომ მოგგლიჯონ აქედან, შორს წაგიღონ, თუნდა იქ ცხრა მზე იყოს და ცხრა მთვარე? არ მოგაგონდება ეს ჩვენი სამშობლო?

— ეჰ, მე ვინა მკითხავს, როცა მთიბელი ცელს მისვამს და ძირიანად მტუსავს. ჩემი ფესვი რომ ჩემს მშობელ მიწაში არა რჩებოდეს, მაშინ ხო ჩვენი გვარის სახსენებელი ამოვარდებოდა ქვეყანაზე. მე კი, თუ არ ჩემი სამშობლო, სხვაგან ვერ ვიცოცხლებ და თქვენი კი არ ვიცი, ჩემო თვალის ჩინებო!

* * *

ამ დროს ქარი ქროდა და სისინებდა, თან მოჰქონდა სვავთა ყვიტყვიტი, არწივთა ყეფა, შევარდნის წივილი და ორბების ფრთათა ტყლაშა-ტყლუში, ცელ-ნამგლის წკრიალი, ძაღლების ყეფა და ცხვრისა და მეცხვარის ხმაურობა და ჟრიამული; მოჰქონდა წყაროთა ჩუხჩუხი და ტყის საამური შრიალი, კლდეთა ოხვრა და ჩანჩქართა ჩამოხვივილი.

მოჰქონდა შორეული სოფლებისა და ქალაქების ხმაურობა და განგაში, აღელვებული ზღვების ბობოქრობა და ქუხილი. მოჰქონდა ყოველივე ესა, უამბობდა გზა-გზა სულიერთა და უსულოთა და დაიხსომებდა რა იმათ ნათქვამსაც — სიხარულს თუ მწუხარებას, ტირილს თუ სიცილს, მღერას თუ კვნესას, ჰკრებდა კვალწმინდად და მიჰქროდა ახლა სხვა ქვეყანაში და სხვა ერში და ახლა იქ უამბობდა უცხოთა უცხო ქვეყნის ამბებსა.

ცირცელი კი უკრავდა თავს ქარსა და წელიდანვე იხრებოდა და იდრიკებოდა, თითქო მადლობას ეუბნებოდა ქარს ამდენი ამბიზისთვისაო. წითელი მტევნებიც შემოჰხვევოდნენ გარსა და ფუნჯებივით ქანაობდნენ ქარის მობერვაზე. იცნობდა ცირცელი ქარსა, არც ეშინოდა იმისი, არც უკვირდა იმისი ნაამბობი, რადგანაც ბევრჯელ სმენოდა მისგან ეს ამბები.

იმისი წითელი მტევნები ბევრს ფრინველს იზიდავდა თავისკენ. მაგრამ რაკი ჰნახავდნენ, რომ მკვახე იყო და ჯერ არ იქმეოდა, ისევ ანებებდნენ თავს. იმათ მაგივრად ახლა სხვანი მოფრინდებოდნენ, ჩაუნისკარტებდნენ ხოლმე წითელ მძივის სისხო მარცვლებს და ისინიც თავს მიაბრუნებდნენ ხოლმე. მარტო მთიბელმა ფშაველმა

იცოდა, როცა თიეებს დგამდა მთაში, ამტვრევდა ტოტებიანად და თივას გულში ატანდა და ზამთარში, როცა ნაშალ თივაში იმისი ბტევნები ამოჩნდებოდნენ ხოლმე წითლად ჩამკრახულები — ფერ-შეუცვლელად, პატარა ბიჭები ცას ეწეოდნენ სიხარულით.

ხშირად თავს დასტრიალებდნენ ფრაშფრაშით წვინტლიპა სვავები და იქვე ახლო-მახლო წიფლებზე და მუხებზე სხდებოდნენ.

— ცირცელო, — ეუბნებოდა ჭვარტლიანი სვავი, — რას ირთ-მევ ამ გაფხეკილ მთაში სულს, ამ უსულო და უსიცოცხლო კლდე-ებს რას ჩასციებიხარ. ზამთარში თოვლის მეტს ვერაფერსა ჰხედავ, ქარის გრიალის მეტი არა გესმის რა და ზვავთა ქუხილი და გუგუნი ძილს გიკრთობს და ტანში გშლის. ან არ გეშინიან, მოზვავდეს კლდე, დაგეცეს და დაგლეწოს, ან დაიძრას მთიდან ლაღი ზვავი და დედამიწიდან აგფხიკოს? რას ჰხედავ აქ საშურველსა? ახლა ბარი უნდა ჰნახო, რა დიდი სოფლებია და დიდი ქალაქებია, საყდრებითა და სასახლეებით მორთულ-აჭრელებულნი, რა მდორე და ღრმა მდინარეებია, ათასნაირი თევზით სავსე, ნავ-ხომალდებით აჭრელ-ებული და რკინისა და ქვიტკირის ხიდებით შემოსარტყლული! რა ბაღ-ვენახებია ათასნაირის ხილითა და ნაყოფით დაზნექილი და და-ტვირთული ხეებით სავსენი. შენი ნაყოფი იმათთან რა გამოჩნდება!

აი, ჩვენც მომეტებულად სულ ბარად არა ვართ, მხოლოდ ზაფხუ-ლის სიცხეს გამოვექეცით ხოლმე ამ შავსა და ბნელს კლდე-ებში. უჰ, რამდენი საჭმელი ლეშია იქა! უჰ, რამდენია საჩვენებელი! ჭამა მაინც იცოდე ჩვენსავით, შე საწყალო, შენ ხომ აღარც კი დაგ-ვაცლიდი და პირველი დაანებებდი ამ მთებსა და კლდეებს თავსა. წახვიდოდი და სხვებსაც გააბედვინებდი ბარად ჩასვლასა. აი, თუნ-და ქუჩსა. ცოდვა არ არის, რომ ამისთანა ქალის თმასავით დავარ-ცხნილი ქოჩორა ბალახი ვაკე მინდვრებზე არა ბიბინებდეს!

მართალია, მართალი! — იქნევდა ასკილივით თავს და კვერს უკ-რავდა ტილიანი ძერაც.

— მართალს ამბობენ სვავები,—ბურტყუნებდა ყაჯირი,—ოღონდ კარგად ვიყვნეთ და სულ ერთი არ არის, გინდ მთა ყოფილა ჩემი სამშობლო, გინდ ბარში ვყოფილვარ ეული!

— არ გაბრიყვდე, უბედურო და არ დაუჯერო მაგ ქვეყნის გამ-ცემ იუდებს, მაგ წყეულ-შეჩვენებულ მაცდურებს, განა ჭკუათამყო-

ფელი თავის სამშობლოს გასცვლის რაზედმე! არ გაგიგონია ქართველთ ნათქვამი:

„არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედ!
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს, სხვა ქვეყნის საჭოთხეზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედაო“.

ესმოდა ღრუბლებზემოდან ამაყად მცურავი არწივის ყეფა.

— ძლიერო ღმერთო, დამიხსენ და დამიფარე განსაცდელისაგან! — ბუტბუტებდა ცირცელი.

— ეს ფუტკრები და ბუზები რაღას შემომბზუიან. ჩემს მეტი ვეღარავინ დაინახეს ამ უსიერ მთაში?

შორიდან ისმოდა შურთხის სტვენა, თითქო მეცხვარე ცხვრის ფარას უსტვენდეს და ერეკებოდეს.

არყის ბრჭყვიალა ზეთიან ფოთლებს ნიავზე გაჰქონდათ შრიალი, როგორც ყინვისაგან დამზრალი თოვლის ფიფქი შრიალებს ხოლმე, როცა ქარი უბერავს და ერთმანეთს აყრის შაქრის ფერფლებსავით თეთრსა და ბრჭყვიალა ფიფქსა.

მუხები გაშეშებულნი იდგნენ და ერთი ტოტი არ ინძრეოდა იმათ მძლავრ ტანზე.

ქვევით, მინდვრად, ქარზე ღელავდა თავდაწმენდილი ყანები და რამდენადაც ყანა წვებოდა, იმდენადვე იზნიქებოდა ქარიც წელში და ადგებოდა რა ყანა, აიწევდა ქარიც, და წელში ამართული თავთავნი ხელახლად იდრეკდნენ თავებს და წყობისად აწყობდნენ თავთავებს საომრად მიტევებული მხედრობის შუბებსავით. ჰხედავდა რა ამას ცირცელი, გაშმაგებით იმეორებდა გულში:

— წყეული ვიყო და შეჩვენებული, თუ ჩემ მშობელ ქვეყანაზე კარგი მინდოდეს რამე!

* * *

ხოლო ცირცელის ბედი კაცმა სხვანაირად გადაწყვიტა. დიდ ბაღვენახების პატრონს, სხვადასხვანაირ მცენარეთა მოყვარულ კაცს, გული შეუვარდა ცირცელზე და თქვა:

— მოვთხრი ამ ცირცელს ამ მწირი ქვიშიდან და გადავრგავ ჩემს მსუქან და გაპოხიერებულ ბაღში. იქ აღარც სიცივე შეაწუხებს,

ალარც უწყლობა. მუდამ თვალს დავიჭერ და მოვუელი. მთის მძლავრი ზვავი ვეღარ გაჰქელავს და ვეღარც კლდიდან ჩამოგორებული ლოდი დაამტვრევს და დალეწავს. ჩემი ვენახი შეღობილია მაღალი მესერით, რომელსაც ზემოდან ძეძვი ადევს. იქ კაცის ფეხიც ვერ მიეკარება, განა თუ საქონელმა გაკვნიტოს, ან მშიერმა დათუნიამ დალეწოს!

მებაღეც ბეჯითად დაიჭერს თვალს, გასწმენდს და გაჰფხეკს ხმელ ტოტებს გააცლის და შემაწუხებელ ჭია-ღუებს გააყრეინებს.

იქნება ჩემს ბაღში ცირცელი არხეინად, დამშვიდებით და ბედნიერად დაბერდება.

გაზაფხულის პირზე ცირცელის ფესვებთან ისმოდა წერაქვისა და ქარჩის[1] კაკაკუკი. წერაქვის წვეტი წვერი მადიანად ჰკმეჭდა კლდესა და ლოდებს, ფშვნიდა და ამოჰქონდა ზევით. ცირცელის ფესვები თანდათან ტიტვლდებოდნენ და, აქამდე მზეთუნახავნი, ახლა მზის სხივებისაგან იხრუკებოდნენ და იდაგებოდნენ.

ცირცელი კრთოდა და კანკალებდა, ხოლო ქარჩი და წერაქვი ერთმანეთის მემჯობიას ჰგლეჯდნენ ბელტს, როგორც მგელი გლეჯს მატყლიან ტყავს ცხვრისასა, აპობდნენ კლდის გულს და ქვების ნატეხებს ქვეშეითკენ მიაგორებდნენ. კოხტა ლამაზი ქუჩი, რომელიც ცირცელის ფესვებთან იდგა, წერაქვის წვერმა მოგლიჯა და უფსკრულში გადაუძახა.

— ვიღუპები, ვიღუპები! — კვნესოდა ცირცელი; — ჩემი მეშველი აღარავინ არის!

რომელი ფესვიც ღრმად იყო წასული, ჯიუტდებოდა და ხელს არ ამოსდევდა, იმას სჭრიდნენ და ათლიდნენ.

ხოლო ცირცელი უფრო მეტად კანკალებდა და ხათხათებდა. ტყუილიღა იყო შიში. კაცი იმათ თავს არ დაანებებდა. რამდენიმე ხანს შემდეგ ცირცელს მთები და კლდეები შორს დარჩა. სამშობლო მხარე თვალთაგან მიეფარა და გრძელ მინდორს გაუდგა. აქ აღარც კლდეები იყო, აღარც ღრიანცელები, არც მთიდან ჩამოგორებული ლოდები, არსად მყვირალი ხევები და მჩქეფარე ჩანჩქარი. უტყეო

---

[1] ქარჩი — ცალპირი წერაქვი, ბრტყელი პირი აქვს.

და გატიტვლებულ მინდორზე თავის შესაფარებელი არსად რა იდგა.

მხოლოდ აქა-იქ შარშანდელი გამხმარი ნარი ეხირა, რომელსაც მინდვრის მძლავრი ქარი მიწაზე უხეთქებდა კომბალა თავსა და ჭრელი ნიბლიები აქეთ-იქით ეხვეოდნენ და აწყდებოდნენ, ეგები ქარმა თესლები გააყრეინოს რამე და მშიერი მუცლები ამოვივსოთო.

მიდიოდა ცირცელი გაბენტარებულ-გაოგნებული, უკვირდა, რომ ისევ ცოცხალი იყო, რომ მაშინვე სული არ გასცვივდა, როგორც კი თავის სამშობლოს მოსწყვიტეს, რატომ იქვე არ დაბრმავდა, როცა ველარ დაინახა თავისი მშობელი მხარე.

— ნუგეშისმომცემელო ღმერთო, შენ მომხედე მე უბედურსა, ნუ დამტოვებ უპატრონოდ ბეჩავსა და ობერსა! — ევედრებოდა ცირცელი ღმერთსა.

მაგრამ ცა ძალიან მაღლა იყო და მისი ხმა კი სუსტი, რომ ცისა და ქვეყნის მპყრობელამდე მიღწეულიყო. კაცები კი მიდიოდნენ და მიაქანებდნენ ცირცელს უცხო ქვეყნისაკენ. ცირცელს თვალწინ სულ უცხო და უცხო სურათი ეშლებოდა.

აგერ გამოჩნდნენ მრავალკომლიანი სოფლები, ვენახებსა და ბაღებში ჩანთქმულნი. აგერ მდორე და ზვირთმრავალნი მდინარენი, ზედ გადარკალული ქვიტკირისა და რკინის ხიდებით. აგერ უზარმაზარი ქალაქები თეთრი საყდრებითა და ბრჭყვიალა გუმბათებითა! და ცირცელს აგონდებოდა სვავებისგან ნათქვამი ბარის ქვეყნებზე.

— ეს თუა, სვავები რომ მიქებდნენ, აქ თუ აქვთ სვავებს მუღარალი (თავსაყრელი) სასმელ-საჭმელი. აქ თუ მეპატიჟებოდნენ მეცა — ფიქრობდა ცირცელი. — ჰო და რით არის ნაკლები ეს ქვეყანა ჩემ სამშობლოზედაო, — გაივლო გულში, — მართლადა ჩემს სამშობლოს თუ არა სჯობია, არც ნაკლები ყოფილაო. — მაგრამ თვითონვე შერცხვა თავისი ფიქრისა და შეეზარა.

— სწორედ მე ჩემს სამშობლოში ყოფნის ღირსი არ ვიყავ და ღმერთმაც იმიტომ დამსაჯა, იმიტომ მომიგლიჯა გულიდან ჩემმა სამშობლომაც და აქეთ გადმომტყორცნა, აბა თუ მოგწონს, იქ წაბძანდიო. — და გული ისეც წამებულ-დატანჯული ცირცელისა უფრო დაიწვა და დაისერა მწუხარებითა.

— მე ჩემს სამშობლოს ვეღარა ვნახავ, ღირსი არა ვარ იქ დაბრუნებისა, არა! — ბუტბუტებდა საცოდავი.

* * *

გამარჯვება შენი, ცირცელო! — გამოეხმაურა ახლადდარგულ ცირცელს ზღმარტლი. — სხვა, როგორ მოგწონს, მთიულო, ეს ჩვენი ქვეყანა? აბა რას მოგეწონება შენ ტიტველ კლდეებთან! ვიცი, მოწყენით იქნები, ნუ ინაღვლი, შეეჩვევი, მალე დაგავიწყდება შენი ქვეყანა. აბა, მე მიცქირე, მეც შენსავით ტყეში სული მძვრებოდა, ჩემი ეკლების გამო ფრინველებიც კი მერიდებოდნენ. არც არავინ ავსა კითხულობდა ჩემსა და არც არავინ კარგსა. იქ შინდებში და თხილებში არც კი ვჩანდი, მზის შუქი მენატრებოდა; ჩემს ნაყოფსაც, სანამ სულ არ დატუნტლავდებოდა, პირს არავინ ახლებდა, ახლა კი ჰხედავს შენი ბედნიერი თვალი რა ადგილას ვარ გამოჭიმული ჩემთვის ფართოდ და ხალვათად. არც არავინ მზეზე მეფარება და თვალში მეჩხირება, არც არავინ ზედ მაწვება და მჩრდილავს, არც არავინ მამტვრევს და მკაფავს ღობეებისთვის, როგორც იქ. ვარ ჩემთვის აქ არხეინად; ჩემი ეკლები კი თუმცა ისევ მასხია, მაგრამ ასე ამბობენ, ამას მოვჭრით და უეკლო, საუკეთესო მსხვილი ბაღის ზღმარტლს ვამყნობთ ზედაო. რა უშავს, არა, ქალო? მე ახლა ერთი ხეპრე ტყის ხილი ვარ და მაშინ სულ სხვა ვიქნები, ჩემს ნათესავებს ზედაც აღარ შევხედავ.

— ეჰ, ზღმარტლო, ნეტავი შენ, რო სადაც მიხვალ, ქუდს იქაურულად დაიხურავ. ეგ იუდობაა, სხვა არაფერი.

— რას ამბობ, მთიულო, — გამოეხმაურა ამ ლაპარაკზე ზამთრის ძილიდან გამოფხიზლებული ჭანჭური ცირცელსა. — მადლობელიც არა ხარ, რომ ამისთანა პატრონის ხელში ჩავარდი და მთიდან ასეთ ქვეყანაში მოხველ? მე ვიცი, იქ თავისუფლად რომ ჰყოფილიყავ, მაგრე გაგიფრთხილდებოდნენ, როგორც აქ გაგიფრთხილდებიან? ერთ მარცვალსაც ვერავინ მოაკლებს შენ მტევანს.

— ვიცი, რომ არავის რას შეაჭმევენ, მაგრამ თვითონ კი ყველაფერს შესჭამენ, — გაეპასუხა უგულოდ ცირცელი.

გავიდა გაზაფხულიც. ჩაიყვავილა ხეხილმაც, დაპურდა მინდვრად ბალახი. გაზაფხულს მოჰყვა ზაფხული, ცირცელისათვის ტანჯვისა და წამების დრო.

იმ დროს, როცა უზარმაზარი ვენახი ხილით ივსებოდა, ყვითელი დაშაქრული მსხლები, გვერდწითელი ვაშლები, წითელ-ყვითელი ქლიავ-ჭანჭურები მნახველის თვალს იტაცებდნენ, დამკრახული

მტევნები ვაზებზე დნებოდნენ, — ცირცელი კი სიკვდილის პირს მისული ძლივს იდგა ფეხზე. ჩამოჭკნობოდნენ ფოთლები, დაღმეჭოდა ქერქი და მწუხარე სევდით და სიყვარულით სავსე თვალები თავის ქვეყნისკენ მიეღო. იქ, იქ, შორს მინდვრებსა და მთების იქით ეგულებოდა თავისი სამშობლო. ეჰ, რა იქნებოდა, ერთი კიდევ დაეკრა თვალი თავის მშობელი მთისთვის, ერთხელ კიდევ ჩაჰკონებოდა იმის მადლიან მკერდს, ერთხელ კიდევ ჰსხურებოდა იაზმის წყალივით ამის დამჭკნარ ფოთლებს მთის ნამი, — მაშინ უეჭველად მორჩებოდა, ისევ გამობრუნდებოდა, ისევ აუმწვანდებოდა ფოთლები. ერთხელ კიდევ დაეკრა თვალი იმ დიდებული არემარისთვის, სადაც მეხისგან თავპირჩამოლეწილი მუხები იდგა, სადაც არყი და თხილი ზვავს მიწაზე გაერთხა და ცოცხივით დაეგო; ერთხელ კიდევ სმენოდა ჩანჩქართ ხვივილი, მთებიდან დაგორებული ლოდების გრიალი და ლეწა-მტვრევა, ზვავების ჭუხილი, არწივის ყეფა და ნამიან დილაზე აშლილი როჭოების კაკანი და ჭყივილი. ერთხელ კიდევ დახმარებოდა პაწაწა ტკბილ ნაყოფიან შალშავს, ფრჩხილის ტოლა ფოთლებიანს, იმ პირშავსა და თვალშავასა და მოესმინა იმისი ბრძენი ბრაწის ნაამბობი, ბერიკაცის წვერებივით კლდეს რომ ეკიდა.

ოჰ, მაშინ უეჭველად ისევ გაცოცხლდებოდა და ამდენი ტანჯვა-დავიწყებული მტრისთვისაც ილოცავდა და მოკეთისთვისაც.

— ოჰ, კაცო, კაცო! რა მიყავ, რად მომწყვიტე ჩემს სამშობლოს, რატომ იქვე ცულით არ ამჩეხე და ცეცხლზე არ დამწვი! ნეტა იმ ქვეყნად მაინც შეგხვდებოდე, ჩემო სამშობლოვ, ბედნიერსა, და იქ მაინც გამაძღო შენი ცქერითა! მაგრამ შენაც ხომ არ მოჰკვდები, რო სიკვდილის შემდეგ ისევ შევიყარნეთ. მშვიდობით, მშვიდობით!..

* * *

— კი არ გახმეს ეს ცირცელი, რა ყურები ჩამოუყრია, — თქვა ერთხელ ვენახის პატრონმა, — რა ღმერთი უწყრება.

— მაგათი ჯიში მაგრეთია, ბატონო, — მოახსენა მებაღემ, — თუ არ მთაში, ეგ ბარად არა გვარობს, ტყუილად გვექნება მაგისი იმედი.

მეორე გაზაფხულზე ცირცელს ფოთოლი აღარ გამოუტანია.

[1899 წ.].

გულქანის დედოფლები

დღეს გულქანსა და იმის ამხანაგებს მასწავლებელმა „დედა-ენიდან“ „ნუცას სკოლა“ წააკითხა. იქ, წერია: „პატარა ნუცამა სთქვა: ჩემს დედოფლებს უთუოდ კითხვა უნდა ვასწავლოვო. გადუშალა წიგნი და ეუბნებოდა: ეს არის ანი, ეს არის ბანი, ისწავლეთ გენაცვალეთო.“

— ისწავლიდნენ დედოფლები კითხვასა, თუ ვერა? — იკითხა მასწავლებელმა.

— ისწავლიდნენ, ისწავლიდნენ! — ყვირიან ზოგნი.

— ვერ ისწავლიდნენ, ვერა! — უპასუხებდნენ სხვები.

— მოითმინეთ, მოითმინეთ, — უბრძანებს მასწავლებელი,—აბა, თითი აიშვირეთ, ვნახოთ, რას მეტყვით.

გამხიარულებული მოწაფეები წამოიყაყვნენ, გამოიშვირეს თითები, ზოგი სულ ზეზე წამოდგა, ეგები უფრო დამინახოს მასწავლებელმა და მე მკითხოსო.

— მე ვიტყვი, მასწავლებელო, — ვეღარ მოითმინა ერთმა ბიჭმა.

— მეე, მე! — იძახის მეორე.

გულქანიც ნუცასავით ექვსი წლისა იყო! ამანაც იცოდა კითხვა,

დედოფლები ამასაც ჰყავდა, მგონი სამი თუ ოთხი. დღეს გულქანიც იყო კლასში და მასწავლებელს ბეჯითად უგდებდა ყურსა.

— მაშ არ ისწავლიან დედოფლები კითხვას?! — ფიქრობს გულქანი, — ისწავლიან მაშა!

ის პაწაწა დედოფალი კი რას ისწავლის. ის ხომ ჯერ ისევ ძუძუსა სწოვს და აკვანში წვება, ის ჯერ გასაზრდელია. როცა დიდი დედოფალი გახდება, მაშინ ისიც ისწავლის. დიდმა დედოფლებმა კი იქნება იცოდნენ კიდეც კითხვა!

ამის მეტად არ მოჰგონებია გულქანს, რომ დედოფლებისთვის წაეკითხებინა წიგნი.

— ახ, ერთი წინათ მომგონებოდა, სანამ მასწავლებელი იკითხავდა, — ფიქრობდა გულქანი. — ერთი ჩემი დედოფლები მენახა, იციან თუ არა კითხვა. თუ არ იციან, ისწავლიდნენ თუ არა. დიახაც რო ისწავლიან. მაშ არ ისწავლიან? — ფიქრობს გულქანი.

კაბები ხომ დედამ შეუკერა დედოფლებისთვის; მერე მრგვალ ჩხირებს თავებზე თეთრი მიტკალი დაახვიეს, ზედ ჯვარედინად შავი ძაფით ცხვირი და წარბები ამოუნემსეს გულქანმა და თამარმა და ასე ააშენეს ეს კოხტა დედოფლები. მოაგონდა ესენი გულქანს, ცოტა როგორღაც ეჭვი შეეპარა თავის დედოფლების უვიცობაზე, მაგრამ გულს ხომ ვერ შეიცვლიდა!

— გენაცვათ, ჩემო დედოფლებო, მოვიდე შინა, თუ ნუცა ასწავლიდა თავის დედოფლებს კითხვასა, თქვენ რაღა იმათზე ნაკლები შყევხართ, მე კი ვერ გასწავლით, ქა?! — ფიქრობს გულქანი და თან თითი აქვს აშვერილი.

დიდები იძახოდნენ: ვერ ისწავლიან, ჩხირებია, ადამიანები ხომ არ არიანო.

პატარები იძახოდნენ: ისწავლიანო, გულქანიც იმათში ერია.

— კარგით, კარგით! — უთხრა სიცილით მასწავლებელმა. — მაშ აბა, ქალებო, ვინა ხართ ყოჩაღი, ვისა გყავთ დედოფლები, ხვალისთვის ვინ დაასწავლის დედოფლებს ასოებსა?

— მეე, მასწავლებელო, მე! — ეხვეწებიან აქეთ-იქიდან გოგოები მასწავლებელს.

— მაშ კარგი. აი, გულქანმა ასწავლოს დედოფლებს კითხვა. ამას უფრო ჭკვიანი და ლამაზი დედოფლები ეყოლება...

* * *

სახლში რომ დაბრუნდა, დასხა გულქანმაც თავისი დედოფლები რიგზე, დიდები აქეთ-იქით, პატარა ფაიფურისთავიანი და ცისფერთვალებიანი დედოფალი შუაში ჩაუსვა.

— აი, აგრე, გენაცვათ! რაც შეეშალოს ამას, თქვენ ასწავლეთ, თქვენ დიდები ხართ და ეს პატარაა.

— შენცა გენაცვა, ჩემო პატარა დედოფალო, ყური დაუგდე დიდებსა, რაც დაგარიგონ, გაიგონე, მე გასწავლით და თქვენ ყური დამიგდეთ, ჭკვიანად ისხედით, არ იეშმაკოთ, თორემ ბუას შეგაჭმევთ ან ყუთში ჩაგკეტავთ და ბნელაში დაგდგამთ. აბა, ყური, დამიგდეთ! — გადუშალა გულქანამ დედოფლებს „დედა-ენა“, სადაც ია არის დახატული.

— აბა, შემომხედეთ, რა არის აქ დახატული დედოფლებო? — დედოფლები კი სრულებით სხვა მხრისკენ იცქირებოდნენ, თითქო არც კი გაუგონიათო. — ქა! აქეთ შემომხედეთ! აი, ასე! — აქ გულქანმა დედოფლები მოატრიალა და პირები წიგნისკენ აქნევინა.

— რას იცინი, ქა, მერე კი არ გეყოფა სიცილი? — შემოუტია ერთს დედოფალს გულქანმა,—სულ რას იკრიჭები, ჯერ ვისწავლოთ.

დედოფლები სულ ხმაგაკმენდილები ისხდნენ და უაზროდ გამოიცქირებოდნენ. ფაიფურისთავიანს გარდა, რომელიც სულ იკრიჭებოდა.

— ალბათ არ იციან, რა არის ია, — ფიქრობს გულქანი, ვენახში კი არა ყოფილან და აბა სად ნახავდნენ? — მაშ მე გეტყვით გენაცვათ ისევ: ია მშვენიერი პაწაწა სუნიანი ყვავილია. ჩვენს ვენახში ბევრნაირი ია იცის, ზოგი სოსანია, ზოგი ბაცი ნათელია, ზოგი თეთრია, ზოგი მუქი ნათელი. ყველანი კი იმით ჰგვანან ერთმანეთს, რომ მშვენიერი სუნი აქვთ. თუმცა უსუნო იაც არის. აყვავებაში ერთი ენძელა დაასწრებს ხოლმე და მეორე თავყვითელა. სუნი კი ენძელასა და თავყვითელას სრულებით არა აქვთ. გაიგონეთ?

დედოფლები კი, ალბათ, სწორედ დგომა მოჰბეზრდათ, გადახრილიყვნენ და ერთმანეთისათვის თავები მიედოთ. პატარა დედოფალი გვერდიდან გამოიღრიჭებოდა.

ძალიან უგულისყურონი გამოდგნენ გულქანის დედოფლები. რამდენი ეცადა გულქანი და იმათ ვერ შეასმინა რა. მხოლოდ გულქანის ჭრელი ციცუნია ისმენდა მის გაკვეთილს გულმოდგინედ და მსიარულად შესცქეროდა ხან გულქანს, ხან იმის დედოფლებს. თან

თავის თივთიკივით რბილ კუდს ათამაშებდა, ათრევდა მიწაზე და ცოცხივით უსვამდა, თითქო მტვერსა სწმენდსო.

— თქვენ სრულებით უნიჭონი ჰყოფილხართ, თავები ბზითა გქონიათ გამოტენილი, — უთხრა გაჯავრებით გულქანმა. — იაც კი ვერ მითხარით, რა არის და აბა ასოებს როგორ ისწავლით! ტყუილად კი არ იძახდნენ დღეს ბიჭები, თქვენი დედოფლები უბრალო ჩხირებია მორთულებიო. აბა, რა გიყოთ, ჩემო დედოფლებო? იქნება თქვენთავად უფრო ისწავლოთ! იქნება ჩემი ან გეშინიანთ, ან გრცხვენიანთ, გენაცვა! აბა, შე კრეჭიავ შენა, სულ რომ იცინი, სულ იღრიჭები და კბილებსა ჰყრი კიტრის თესლივით, აბა, ერთი დილამდის კიდევ მოგიცდით. ვნახოთ, ხვალ მაინც ვერ მეტყვით, რაც არის აქ დახატული?

ჩაამწკრივა გულქანმა თავისი დედოფლები მაგიდაზე, გადუშალა წინ „დედაენა“, სადაც ია არის დახატული.

— დედა, გენაცვა, ამაღამ სანათი არ გააქრო, ჩემმა დედოფლებმა უნდა წიგნი იკითხონ. დღეს დაიღალნენ, ამაღამ არავინ დაუშლის, უფრო თავისუფლად წაიკითხავენ...

გულქანის ციცუნია დღეს ძალიან ბეჯითად უგდებდა ყურს გულქანსა. ნახა, როგორ დასხა გულქანმა დედოფლები რიგზე, წინ წიგნი გადუშალა, თავებზე ხელი გადუსვა და კაბებიც გაუსწორა.

— მოიცა, გულქან, — ფიქრობს ციცუნია, — როცა შენ დაიძინებ, მე ვასწავლი შენს დედოფლებს კითხვას. ვნახოთ, თუ მე უფრო კარგი ოსტატი არ გამოვდგე, ქალბატონო!

* * *

დაღამდა. ყველას ეძინა. გულქანიც დიდი ხანია რაც ტკბილად ხვრინავს. ათასნაირ სიზმრებს ჰხედავს: აგერ ამისი პატარა დედოფალა ვეებერთელა გაზრდილა, სწორედ იმოტელა გამხდარა, ქალაქის მაღაზიებში რომ უნახავს ფანჯარაზე მიყუდებული, ყვითელთმიანი, ხელებგაშლილი დედოფალი.

— უჰ, გენაცვა! რამ გაგზარდა მაგოდენა, აკი არაფერსა სჭამდი?! ვეღარც კი მოგერევი, გენაცვა! შენ ეხლა წიგნის კითხვაც გეცოდინება, არა?

კითხულობს დიდი დედოფალი, კითხულობს სულ სხაპასხუპით, გადააბულბულა ნახევარი „დედაენა“, გულქანსაც კი აჯობა.

— რა მშვენივრადა კითხულობს, გენაცვა! ხვალ უნდა მასწავლებელთან წაგიყვანო. თუ ის ბიჭები არ დაგაცრუებინე, არ იქნება, მასწავლებელსაც როგორ გაუკვირდება!

ამ დროს გულქანის ჭრელი ციცუნია მოსჯდომოდა დედოფლებს და ფეხით შინჯავდა, თან სუნავდა, ვნახოთ თამაშობის გუნებაზე არიან, თუ არაო.

— მოდი აქ, შე ღრეჭიავ, მოდი წაიკითხე, თორემ ხვალ რომ არ გეცოდინება, გულქანი გაგიჯავრდება.

გადაათრია კატამ ერთი დედოფალი და ზედ წიგნზე დააგდო. — ასე უფრო ახლო იქნები, აბა, წაიკითხე! — დედოფალა არც იძროდა, არც ხმას იღებდა. კატამ შეურაცხებად მიიღო იმისი სიჩუმე. — არ გეკადრება, ქალო, რომ ხმა ამოიღო? აბა შენ მოდი, მეორე ქალო! მეორეც და მესამეც ერთი ზნისანი გამოდგნენ.

— მაშ, არც ცეკვა იცით? — ჰკითხა კატამ, — აბა ძირს ჩამობრძანდით...

მეორე დღეს გულქანს ადრიანად გამოეღვიძა. წამოხტა, საჩქაროდ ჩაიცვა და დედოფლებთან მიირბინა. სადღა არიან დედოფლები, — ბუას შეუჭამია სულ ერთიანად. მოჰყვა ტირილს გულქანი, მოსთქვამს გამწარებული.

— გენაცვალეთ, ჩემო პატარა, ლამაზო დედოფლებო! რომელმა ბუამ შეგყლაპათ, თქვენ გენაცვალეთ!.. საით გაგაქცუნათ იმ სასიკვდილემა? ვაიმე, ჩემო პაწაწა დედოფალო, სად ვიყავ, რო ვერ მოგეშველე, შენ გენაცვალე!..

ამ დროს გულქანის დედაც შემოვიდა. ის უფრო ადრე ამდგარიყო და სახლს ალაგებდა.

— რა გატირებს, გოგო, რა დაგმართნია ამ დილაადრიანად, შვილო, რა იყო ?ენ გენაცვალოს შენი მშობელი?!

— დედოფლები აღარ არიან, გენაცვალე, დედა, ბუას წაუყვანია! — ღრიალებდა გულქანი.

— აქ ბუას რა ხელი აქვს, შვილო, მოძებნე, იმ ეშმაკმა კატამ ხომ არსად გადაათრია. აბა ტახტქვეშ ნახე!

მართლაც შეეთრია ციცას დედოფლები ტახტქვეშ, ზოგი პირქვე ეგდო, ზოგი გულდაღმა. ზოგს კაბა ჰქონდა ჩამოფხრეწილი, ზოგს სახე დაკაწრული. თვითონაც ზედ მოკეცილიყო და თავი კუდზე დაედო.

კოდალა

მთაში იყო დაბადებული, წიფლის ტყეებით რომ არის დაბურული. ტყის შვილი იყო, იმ უღრანი ტყისა, სადაც ათასი წლები გასულა და არც კაცს, არც ფთხილს ნადირს მონადირისგან შეშინებულს და იქ შეხიზნულს, ცულის ხმა არ გაუგონიათ.

ათასში ერთხელ, ქარიშხალში, სიბერისაგან დაძაბუნებული და ჭიებისაგან გამოხრული ზეხმელი მოსტყდებოდა ხოლმე და ერთი ლეწა-მტვრევით ჩაიფეხვებოდა ძირს ხეობაში სულ ნაკოდლებად გადაქცეული. დაივიწყებდა მაშინ იმას ყველა. თუ აქამდე ამ ზაფხულს კოდალა უკაკუნებდა თავის მაგარ ნისკარტს და ერთი ფერდობიდან მეორეში გაისმოდა მისი კრიალი, ეხლა აღარც ეს ხმაურობა დაარღვევდა ტყის სიჩუმეს.

ზეხმელს კი, თავის მეზობლებში გამოწყვეტილს, ახლა სხვა პატრონი გამოუჩნდებოდა: ან თოვლის ზვავი მიათრევდა ჭალისკენ, ან ზაფხულის ნიაღვარი მიაქანებდა ქვებთან და მიწასთან ერთად ქვევით, შორს. მინდვრად, სოფელში, სადაც ტვირთდამძიმებული ნიაღვარი სტოვებდა ჯერ ქვებს, მერე თიხას და ბოლოს ვაკისაგან შეშინებული სადმე მურყნებში მიჰლამავდა ხოლმე ამ ტყის ცხედარსა. აქ გამოუჩნდებოდნენ ახლა სხვა ახალი ჭირისუფლები და სიხარულით მიათრევდნენ ცეცხლზე დასაწვავად.

ზოგი კი იქვე ტყეში რჩებოდა, მამა-პაპათა სასაფლაოზე, ისხამდა

კალმახა სოკოს, გაზაფხულისა და შემოდგომის წვიმისაგან გაჟღინთული.

იმის გაშავებული ქერქის ქვეშ იმალებოდნენ მრავალი მსხვილი და წვრილი ჭია-ღუანი, ხრავდნენ, ღრღნიდნენ და ბოლოს ნაღერღლად ქცეული, იფუშებოდა მიწაზე და აოხიერებდა იქვე ნამპალში ამოსულ ჟოლსა და მწვანე მაყვალსა.

უყვარდა კოდალას ეს ტყე, უყვარდა და შემკვდარებულიცა ჰყავდა ამ ტყესა. უყვარდა და ასე ფიქრობდა, ვითომ ამ ტყეს გარეშე იმისი სიცოცხლე სიკვდილი იქნებოდა. იცოდა კოდალამ ამ ტყეში თითოეული ხე. ხომ უთვალავი ხე იდგა ამ უღრანს ტყეში. მსხვილი, თუ წვრილი, მაღალი თუ დაბალი, ტლუ თუ ტოტიანი, საღი თუ ჭიანი და დაძაბუნებულ-ფუღურროიანი. მთელ დღეს დილიდან საღამომდის კოდალაც ამ ხეების ალერსსა და შინჯვაში იყო. ხან ტანზე აეკვროდა და კვერივით ურახუნებდა თავის სატეხე ნისკარტს, ხან წვერებში მოექცეოდა და იქიდან დასჭყიოდა თავზე მიბინარებულ ტყეს.

— კრრ! კრრ! — ისმოდა კოდალას ნისკარტის გაუწყვეტელი კრიალი ამ სამარესავით მიყუჩებულს და ხმაჩაკმენდილს უდაბნოში, აჭ ხომ ბუზის ბზუილიც კი არ ისმოდა ხოლმე! ძირს, თითქო სიცოცხლე მოსპობილაო, არც ხალხი, არც მწვანე ფოთოლი. სიცოცხლე მხოლოდ წვერებში ეტყობა ამისთანა ტყესა. სადაც მზე უხვად ანათებს, ფოთოლიც იქ ასხია, მწვანე, ხასხასი ნაყოფიც იქა მწიფდება და მწერებიც იქა ბზუიან.

დაჰკრავდა კოდალა ნისკარტს სადმე ხმელ ხეს და ეს ხმა თოფის ხმასავით მოეცემოდა ამ უდაბურს ტყესა; ხან მიჩუმდებოდა, ხან ზარივით რეკავდა და ხან, როცა ხეობა ჰქონდა გასასვლელი, ზვავის ხმასავით გაჰხვიოდა.

უყვარდა ტყეს ეს ხმა. იამებოდა გულში, დევივით აყაყულს, ტოტებჩამოლეწილს და ღარიბ-ღატაკ კაცივით გაშიშვლებულ ზეხმელს, და ალაგ-ალაგ რომ ძონძებივით ეკრა ხმელი, ნახევრადაყრილი და ძირს გადმოკიდებული დაფუტუროვებული ქერქები — კანკალს იწყებდნენ.

არ ვიცი, იქნებ ისინი კანკალებდნენ და თახთახებდნენ ქერქსქვეშ, რომ ჭია-ღუები, ღელატუები, ბუჭყები და ათასი მილეთის მწერი იფარავდა თავსა! კოდალა ამათი სულთამხუთავი იყო.

თუ ტყეს იამებოდა იმისი ნისკარტის ძგრიალი, ჭია-მატლებისთვის სიკვდილის ხმა იყო. ელდანაკრავნი ხის ნახვრეტებში აფარებდნენ თავსა.

* * *

— კრრ! კრრ! — უკაკუნებს კოდალა თავის სატეხასავით მაგარ ნისკარტს საღ შიმელასა. — ხომ საღათა ხარ, შიმელავ, ყანდი ხომ არსად გაგიჩნდა? ხომ იცი, თუ ყანდი შეგეპარა, ის ამოსავარდნელი ჭია-მატლებიც მაშინვე გაჩნდებიან და მშვიდობით შენი მოსვენება. მუდამ დღე რო მკურნალივით ჩამოგივლით და გშინჯავთ, ეს იმიტომ, რომ არ მინდა ჭია-ღუებმა შეგჭამოსთ. აბა ზეხმელს კი რაღა ვუყო? იმას მე ვეღარ გავაცოცხლებ, ჭია-მატლებიღა ხარობენ იმაზე.

— რას იმალებით, ჭია-მატლებო? სინათლეზე გამოდით, მე გახლავარ კოდალა, თქვენი სულთამხუთავი, აქა მაქვს ჩემი ნისკარტი — სატეხე და ენაჩანგალი. სად წახვალთ? ქვესკნელს ხომ ვერ ჩაძვრებით, მალე ამოგათრევთ მზეზე, თეთრად რო დასუქებულხართ და რძე გაგდით.

ასე ემუქრებოდა შავი დიდი კოდალა, ყვითელნისკარტიანი. ფრენაში იმის მხრებსაც ისეთივე ხმა ჰქონდა, როგორც ხმელ ქერქზე იმის ნისკარტსა.

არც ჭრელი კოდალა იყო ნაკლები მტერი ჭია-ღუებისა. ისე დარბოდა ხეზე, როგორც თაგვი მშრალ დედამიწაზე, ისე მიეკვროდა ხოლმე ხის ღერს თავისი გრძელი კლანჭებით და მაგარი შუბებივით ფრთების ბოლოთი, როგორც ტკიპი. თან უბრახუნებდა და უბრახუნებდა გარედან ხეს, რომ შეშინებული მწერები მზეზე ამოეყვანა.

* * *

გავიდა ხანი. პატარა შიმელები დიდი ხეები გახდნენ, დიდებს წვერები დაახმა და ყანდი შეუვიდათ, ზეხმელები დაიფეხვნენ და კუნძებიღა დასტოვეს. ტყეს კაცის ხელი შეეპარა. ცულის ხმა გაისმა და ტყესაც ტანში ჟრუანტელმა დაუარა. აქამდე თუ კოდალა არაკრაკებდა ნისკარტსა, ახლა ცულმა დაიწყო კაკუნი.

დაწვნენ ძირს დევივით წიფლები. იჩეხებოდა შიმელები, როგორც კაცის ხელით, ეგრეთვე მოჭრილი ხეებისაგან, რომლებიც თა-

ვის სიმძიმით წვერიდან ძირამდე ჰყვლეფდნენ ტყის მორბედსა. ეჩოთირებოდა ყრუ კუნქულებში ტყეს ცულის ხმა.

— ეს როგორი კოდალა მოსულა, რომ მაგრე მაგრა სცემს იმ ოხერ ნისკარტს, ტანი სულ მიკანკალებს! — ეკითხებოდა ხავსიანი არყი ცაში ატყორცნილ თელას.

— არ გინახია? რა ჯურაა? ან რა ნისკარტი აქვს მაგრეთი?

— ეგ კოდალა როდია, — გამოეხმაურა იფანი, — მაგას ცული ჰქვიან. არ არის კარგი, ძმაო, რომ აქ ცული აჩქამდა.

— ახლა კი დავიღუპებით, საშველი აღარა გვაქვს, სუ ძირიანად დაგვჭრის და შეათხელებს ამ ჩვენს ხალხმრავალ ოჯახსა.

— აბა, ვისაც გვევიწროებოდათ აქ დგომა და მეზობლის მოშორებას ნატრობდით, ეხლა უნდა ყველამ მოვცალოთ ეს ადგილი და სხვას დავუთმოთ. ვინ იცის ჩვენი მიწა-წყლით ვინ გაიხარებს!

— ვინ იცის ჩვენთა მამა-პაპათა ძვლებს ვინ ამოჰყრის და იმათ ადგილას თავის მკვდარს დაჰფლავს?! ვის უნდა დარჩეს ჩვენი სისხლით გაპოხიერებული მიწა! აი, დედასა! — ამბობდა მწუხარედ იფანი.

— ამბობენ, რომ ცულში თურმე ჩვენივე მოძმეა გაყრილი, ჩვენი სისხლი და ხორცი, — ჩაურთო რცხილამ, — თორემ უმისოდ ცული ჩვენ რას გვიზამდა!

— უნდა გავიგოთ, ვინ მოიყვანა აქ ცულიანი კაცი, ვინ ასწავლა ეს ჩვენი მშვიდობიანი კუთხე, — ბუზღუნებდა ცაცხვი, — რომ ვუცქერი, ლამის ზეზეულად შიშით სული ამომძვრეს. მერე ხომ მომეტებულად სულ ცაცხვს არჩევენ, ადვილად სამუშაო ხე არის. კოდებს, სადღვებლებს, კასრებს სულ ცაცხვისაგან აკეთებენ. დიდებს ხომ სადღვებელ კასრებისთვის სჭრიან, ქორფა ბაყილოებს კიდევ ტყავს აძრობენ, უნდა მუში გავაკეთოთო.

ასე ლაპარაკობდნენ შეშინებული ხეები. მაგრამ ცულს აბა სად გაექცეოდნენ. ცულიც თავისას არ იშლიდა, სად ნაყვერს აკეთებდა, სად ახოსა სჩეხავდა, სად საანეულედ შეშას აკეთებდა. ტყე კი დრტვინავდა, შიშის ზარით მოცული.

კოდალა სადღა იყო?

ის ერთგულად ადგა თავის საქმეს და ბეჯითად აცლიდა ჭია-მატლებს დაზიანებულ ხეებს. რაკი ტყე შეთხელდა, კოდალაც თითოე-

ულ ხეს უფრო მალ-მალე ეწვეოდა ხოლმე და წინანდებურად გაჰ-ქონდა რაკრაკი იმის ნისკარტსა.

გაუჭირდათ საქმე ჭია-ღუებსაც კოდალასაგან, სწყდებოდნენ, იმუსრებოდნენ და სამაგიეროდ ხეები ისვენებდნენ იმათგან.

აკაკუნებდა ცული, აკრიალებდა ნისკარტს კოდალა და ტყე კი კვნესოდა. სადღა იყო წინანდელი მდუმარება ტყისა და სიმშვიდე?

— ვიღუპებით, ვიღუპებით, — გმინავდა ტყე.

— ვიღუპებით, ვილეევით, — წუოდნენ ჭია-ღუები, უნდა ჩვენ თავს რამე ვუშველოთ!

* * *

ამ დროს კი ხის ფუტუროებში, ქერქისქვეშ, ნახვრეტებში, ნაროკა-ლებში, ყანდებში, ნაცულარებში, სადაც კი ჭიაბუჭყების საბუდარი იყო, ერთი ჩურჩული და მითქმა-მოთქმა იდგა.

რაღასაც ეპირებოდნენ ჭია-ღუანი, ჰქონდათ ერთი მიდენ-მოდენა და მგზავრობა. ვისაც თავის დღეში გარეთ არ გამოუხედნია, ეხლა მიცოცავდა დიდი ზეხმელისაკენ, სადაც, ეტყობოდა, ჭია-მატლებს კრება ჰქონდათ, ზოგი მირბოდა, ზოგი მიფრინავდა, ზოგი მიცოცავ-და, ზოგი მიეთრეოდა, ზოგი მიფორთხავდა.

რა ჯურის ჭია-ღუანი და ბუჭყები არ იყვნენ აქა? დიდი რქიანი ბუჭყა, ირემივით რო რქები აეშვირა; ლორწოიანი ლოკოკინა, გზაზე რო ბრჭყვიალა კვალს ამჩნევდა. მზომელაც ოჩოფეხასაეით მიაბო-ტებდა და ზომავდა გზასა.

თეთრი გოდორ-გოდორა მატლებიც მიგორავდნენ, მუცელ დასი-ებულები. ესენი იყვნენ, რომ მზისა ეშინოდათ და თავის დღეში სი-ნათლეზე თავს არ ამოჰყოფდნენ, სუქდებოდნენ ისე ბნელაში და ახ-ლა კი გაებედნათ და აღარ ეშინოდათ სინათლისა. რა ჯურისა და რა ყაიდის ბუჭყები არ იყვნენ აქა: შავები, ნაცრისფერები, ყავისფერე-ბი, ოქროსავით ბრჭყვიალანი, ლურჯები, ნუშის მძიებივითა, მხრია-ნი, უმსრონი, დიდრონი და თვალით უხილავნი.

სხვა მწერებიც კი ბუზის მოდგმისანი, რომელნიც მუდამ ხის ფოთლებქვეშ და ტოტებს შუა იმალებოდნენ, ან ბალახს ეფარებოდ-ნენ, ისინიც კი იქ მიფრინავდნენ. ეშმაკცხენაც ისარივით გამალებუ-ლი იქითკენ მიაქროლებდა. ბაურაც კი, რომელსაც თავის დღეში პი-

რუტყვთა სისხლის მეტი არა ეწოვნა რა, ისიც იქ მიფრინავდა. ხილისმჭამელნი და დამჭიანებელნიც იქითკენ მიეშურებოდნენ.

გაივსო ზეხმელი ჭია-ღუებით და ბუზანკალ-ბუჭყეებით. ძირიდან წვერამდე მთლად შეხურხლულიყო, თრთოდა და ზიმზიმი გაჰქონდა, თითქო ცოცხალ არსებათაგან აშენებულაო.

სადაც კი ერთი ბეწვა ადგილი ჰქონდა ზეხმელს, სულ ბუჭყებით იყო სავსე. ადგილი რო აღარ იყო, ერთმანეთსღა ასხდებოდნენ ზურგებზე.

— სად მიძვრები აქა? ვერა ჰხედავ ჩვენც ფეხათაც ვერ ვეტევით ამ ერთ ბეწვა ხვრელში, გასწი ისევ გარედ, — უჯავრდებოდა ბატილასავით თეთრი მატლი ნათელს, ზორბა ლეკის ჭიანჭველასა, რომელსაც მსუქანი მატლის სუნი მისვლოდა და პირის ჩაგემრიელებას ლამობდა.

— ნუ გეშინიან, მე ხომ აქ სადგომად არ მოვსულვარ, მინდა ცოტა ხანს ყური დავუგდო, რას გადასწყვეტს ყრილობა, — მოიბოდიშა დიდმა ჭიანჭველამ, — ამ წუთში ისევ წავალ.

— ბზზ! ბზზ! რას შეჰყრილხართ ამდენნი, რას აპირობთ, თქვე ჭია-მატლებო, თქვენი ერთად შეყრა სახეირო არ არის. გინდათ ტყიდან კოდალა გააძეოთ, ჰა? — ჩაეკითხა გაჯავრებული ფუტკარი. — გინდათ რაღა, რომ მერე ტყე თქვენ ნებაზე დაგრჩეთ და რაც გინდათ ისა ჰქნათ, ჰა? ვინღა იქნება მერე თქვენი კბილის დამჭერი და შიშის მომცემი. ჩემთვის კოდალას არა დაუშავებია რა, პირიქით, თქვენგან მოსვენება არც ჩვენა გვაქვს, კოდალას უნდა ვუმადლიდე, რომ ჩვენ მონაგარს სულ თქვენ არა ჰყლაპავთ.

— რასა ბზუკუნებ მანდა, ვიღაც ბზუილა მოთრეულხარ, ხომ არ გინდა მოგისიო ბიჭები და კუდით ქვა გასროლინო, — დაემუქრა ჩრჩილი ფუტკარსა.

— თქვენ ეი, ხალხნო და ჯამაათნო! სმენა იყოს და გაგონება. თქვენ ყველანი მიცნობთ, რომ მე ვარ ჩრჩილი, კაი გვარისშვილი და გამრავლებული მოდგმისა. ჩემისთანა გამოცდილს სიზმარიც დაეჯერება, განა თუ სიტყვა და დარიგება არ გაიგონოთ ჩემი. ხომ იცით, აქ რისთვისაც შევყრილვართ; ყვირილს კი ნუ მოჰყვებით, რომ ტყეში არა გაიგოს რა. ჩვენი საქმე ისე საიდუმლოდ უნდა გავაკეთოთ, რო ჩვენვე გვიკვირდეს, „მჩხავანა კატა თაგვს ვერ დაიჭერს“. ყველას გა-

გონილი გექნებათ კოდალას სახელი. არა მგონია თქვენში ისეთი სულელი იყოს ვინმე, რომ კოდალა მეგობრად მიაჩნდეს, როგორც წელან უგვარო ფუტკარი ბზუოდა. თუ ეხლავე არ ვუწამლეთ ჩვენს თავს, მერე გვიანღა იქნება.

აბა ვინ არ დამეთანხმებით, რომ ტყე ჩვენ საჭმელად გაუჩენია ღმერთსა. კოდალა კი დაგვდგომია და ლამის ჩვენი სახსენებელი მოსპოს. ან განა ჩვენ იმდენ ზიანს ვუშვრებით ტყეს, რამდენსაც კოდალა? აი, თუნდა ემ ზეხმელსა ვკითხოთ. ჩვენ რო ხესა ვხვრეტთ, თავშესაფარს ვიკეთებთ, რომ დავემალოთ კოდალასთანა გაუმაძღარ სულიერთა, ან ხეებს რად უნდა სწყინდეს, რომ ჩვენ ჩვენს თავს გავუფრთხილდეთ. რა ვქნათ, დავსხდეთ მზეზე და დავუძახოთ გამვლელ-გამომვლელს, მოდი და შეგვჭამეო!

აბა ახლა კოდალას საქციელი გავსინჯოთ. იმასაც ხომ არ ეშინიან, რომ ვინმემ არ შეჭამოს. რას მისდგომია ამ მშვენიერ ხეებს და რას უბრახუნებს თავებში, თითქო შინჯავს, რომელი ღრუა და რომელი საღი გულის მქონებელიო. რათ აჯუღურებს, რათა ჰკორტნის? აბა თუნდა ამ მშვენიერ ზეხმელს უყურეთ, ირგვლივ ისე მოჭვრითა, რომ თითოეულ ნახვრეტში მკლავი შეეტევა. მერე შიგ ბუდესაც გაიკეთებს და არხეინად ჩაჯდება, თბილად და რბილად, მე ვიცი წყალი დაასველებს. ე ჩვენც ხომ აქვე ახლო ვართ, გასუქდება თვითონაც და ბარტყებსაც გაასუქებს.

— ვინ მოიყვანა აქ ცული, თუ არ კოდალამ? კოდალამ უქო ცულს ეს ტყე და გზაც მაგან ასწავლა, ბრალი კი ჩვენ გვედება.

— ჩემი აზრი ეს არის, — თქვა დაბლა ჩრჩილმა, რომ ხეებს არ გაეგონათ, — უნდა წახვიდეთ ყველანი, მოედვნეთ ტყესა და ჩააგონოთ ყველას, რომ ცულის შემოსვლა ამ ტყეში კოდალას ბრალია-თქო, რომ კოდალას უნდა ეს ტყე სულ ძირიანად გააკაფინოს და თუ მალე არ მოიშორეთ თავიდან კოდალა, ცუდად არის თქვენი საქმეთქო. როცა ამას ავასრულებთ და კოდალას თავიდან მოვიშორებთ, მაშინ დადგება ჩვენთვის ბედნიერი დღე.

— აბა, თქვით თქვენც, ვისაც გაქვთ რამე სათქმელი. მე ვთქვი და გავათავე. — სთქვა ხმამაღლა ჩრჩილმა.

ბევრმა სთქვა თავის თავგადასავალი და კოდალასაგან მიყენებული უბედურობა. ერთი იძახდა: დედაჩემი კოდალამ ჩაყლაპაო, სხვა

იძახოდა: მთელი ოჯახიდან მარტო მე გადავრჩიო. მესამე ამბობდა: ჩემი კვერცხებიც და მატლებიც იმან დაყლაპაო, მეც რაღაც სასწაულით გადავრჩიო.

დაადგნენ ერთ პირს და დაიშალნენ, მოედნენ ტყესა და დაიწყეს კოდალას წინააღმდეგ ქადაგება.

— ცული ჩვენთვის საზარალოა თუ სასარგებლო? — ჰკითხავდა წითელი ბუჭყა ცოფის ჭიას.

— შე, სულელო, პირიქით, ჩვენთვის ცული დიდი მარგებელია. აბა საღ ხეებს ჩვენ რას გამოვრჩებით, მაგრამ როცა ცული მიწაზე დააწვენს ამ ბუმბერაზებს, მაშინ კი ჩვენი საქმელი გახდებიან.

— თუ ცული არ მოვიმიზეზეთ, მაშ როგორ შევაძულოთ კოდალა ტყესა. განა ცოტაა ჯერაც ტყეში სულელები, რომელთაც ცულის კაკუნი კოდალას ნისკარტის კრიალი ჰგონიათ?

* * *

გავიდა ხანი. ვინც ამ დროს ტყეში შეესწრო, ის გაიგონებდა რა საზარლად ხმაურობდა ტყე, დრტვინავდა, შფოთავდა, ხვიოდა, გუგუნი გაჰქონდა. კაცს ამ ხმაზე ტანში ჟრუანტელი უელიდა.

— გავდევნოთ ტყიდან კოდალა, გავდევნოთ! — ბღუოდა მუხა, თითქო ფუღურაში ქარი უბერავსო.

— მოვკლათ, გაესრისოთ, მოვიშოროთ თავიდან, თორემ სულ დაგვღუპავს! — ჭრიალებდა ქორაფი. — ვერ გაიგონეთ, ჩრჩილი რას ამბობდა?

— გავაგდოთ, აღარ შემოვადგმეინოთ ფეხი ტყეში, — შრიალებდა ვერხვი. — ერთი კოდალას მოშორება რას გაგიძნელდათ? ვინც კიდევ მიიკაროს ახლო, ძირიანად ამოვაგდოთ ტყიდან.

— ეგრე! ეგრე! მაგან გააოხრა ჩვენი ტყე, მაგან მოიტანა აქ ცული, სულ მაგისი ბრალია, რომ ჩვენ ასე ვიღუპებით! — ჭრაჭუნებდა დგნალი.

ერთი თხილი იდგა ჩუმად, არ ვიცი, რაკი ყველაზე დაბლა იდგა და ყველაზე პატარა იყო, თუ იცოდა რამე და იმიტომ მდუმარებდა!

* * *

განდევნილი კოდალა უცხო ქვეყანაში გლოვობდა თავის სამშობლო ტყის უბედურებას და მოელოდა იმ დღეს, როცა ჭია-ღუებთან სიბრძოლველად ისევ დაბრუნდებოდა თავის მშობელ ტყეში.

[1900 წ.].

დათვი

ყვარლელ გლეხს გიო ტუხაშვილს მეტ სახელად „ლიმონას“ ეძახდ-ნენ სოფლელები. ალბათ ეს სახელი იმიტომ დაარქვეს, რომ ტანზე მუდამ მოყვითალო ჩოხას იცვამდა.

მაგრამ ამ ჩოხის ფერი არც ყვითელი იყო და არც წითელი. უფ-რო შემოდგომის ხიდან ჩამოვარდნილ ფოთოლსა ჰგავდა სიძველისა და გაურეცხაობის გამო.

სოფელ ყვარელს ტყე ზედ აკრავს. ძველ კაზარმებსა და გალავანს უკან თხილიან-წვრილიანია; ბლომად დგას შინდი, პანტა, ზღმარტლი, თხილი და მისთანა. მთელი ყვარელი წვრილ საგოდრე წნელს სულ ამ ტყეში სჭრის და ხალხი იოლად გამოდის.

შემოდგომის პირი იყო. როცა შინდი მწიფეა, ვენახებში ყურძე-ნი დამკრახულია, წაბლი, რკო და წიფელა დიდ ტყეებში ჯერ შემო-უსვლელია, ცხვარი მთიდან ჩამოსულია და დათვიც, რაკი ბარში სი-ცხე აღარ შეაწუხებს, ძირს არის ჩამოსული და შინდსა და პანტებზე დაეხეტება. ამ დროს დათვი მხდალია, თუმცა კი სოფლის ხმაურო-ბა, ძაღლების ყეფა, მამლების ყივილი, ბავშვების ტირილი, მებაღე-ების ყვირილი და თოფის ხმა აინუნშიაც არ მოსდის; არხეინად ზის შინდზე, ან პანტაზე და სვლეპს, ან ფოთლებქვეშ თხილს ეძებს და აკნატუნებს. ამ დროს ის კაცს არას ერჩის და თუ ღმერთი გაუწყრა და კაცი საიდანმე დაეხედვა, — ღრიალით გასკდება; პანტიდან

გულგახეთქილი ძირს ზღართანს მოიღებს და თავგადაგლეჯილი გარბის, საითაც მოჰხვდება.

„ლიმონა“ კაი გამრჯე გლეხი კაცი იყო, ყვარელში თავისთვის ვენახიც ჰქონდა და არც ლუკმა აკლდა. ლიმონა რთველისთვის ემზადებოდა და რაკი გოდრები აკლდა, სთქვა: წავალ, ტყე აქვე ცხვირწინა მაქვს, წნელს მოვჭრი და ორიოდე მოსაკიდს მაინც მოვჩხლართავ, რომ სხვისა ღრეჭა და თხოვნა აღარ მომინდესო. ერთ დილას აიღო წალდუნა და გასწია შინდიანისკენ.

ქართლში მანეულის გოდორია გაანთქმული და კახეთში — შინდისა.

ლიმონა რჩევაში არ შესულა და, რაც ხელში მოჰხვდა, ყველას დაუწყო ჭრა: თხილს, შინდს, შინდანწლას და სხვას.

რადგან დათვისა ცოტაოდენი ხათრი და რიდი ჰქონდა, ამიტომ შორს ვერ წავიდა და იქვე სოფლის ახლო სჭრიდა, ასე რომ კარგად არჩევდა სოფლის ღრიანცელს, გზაზე მიმავალს და თავის სახლის ბანსაც. მაინც „სიფრთხილეს თავი არა სტკივაო“, ამბობდა და ყური მახვილად ეჭირა.

ამავე დღეს ლიმონას მეზობელ მედუქნეს, რომელსაც მეტ სახელად „კოლოტას“ ეძახდნენ, ქათმების გალიებისათვის წნელი დასჭირებოდა და ისიც იმ ტყეში წავიდა, სადაც ლიმონა წნელსა სჭრიდა.

ამასაც გულში ცოტაოდენი შიშის ქარი ჰქონდა, რომ გაეგო ლიმონას წასვლა, უეჭველად იმას გაჰყვებოდა.

— ვა! რა ვიცი, ნადირია, კაცი ხომ არ არის, — ამბობდა კოლოტა, — ერთიც ვნახოთ, მე ჩემთვის არხეინად წნელსა ვჭრი, უცებ ერთი მშიერი დათვი ზედ დამაწვეს. ვინღა მიშველის? ვის დაუძახო? სანამ ვინმე მომეშველება, ნადირმაც რომ არ გამაფუჭოს, შიში მომკლამს! ნეტა, რატომ არ ეშინიათ ამ ოხერ ფშაველებს და თუშებს, ტყეში რო დადიან და ნადირობენ? ერთიც ვნახოთ, წამოხტა მგელი, ან გადმოვარდა დათვი, — თოფიც არ გაუვარდა! რა? ძნელია!? ეშმაკს რა არ შეუძლიან. ბაზარში რომ მკვდარ დათვს ჩამოატარებენ, მე მაშინაც მეშინიან, — ბუტბუტებდა კოლოტა თავისთვის.

კოლოტას უფრო სუფთა წნელი უნდოდა და სულ თითოობით უნდოდა მოერჩია. მაინც შორს ვერ წავიდა და სწორედ იმ ადგილას მივიდა, სადაც ლიმონა წნელსა სჭრიდა.

ლიმონა თავის საქმეში იყო გართული და კოლოტას მისვლა არ გაუგია.

კოლოტასაც რა მოაგონებდა, თუ აქ ლიმონა იქნებოდა წნელის საჭრელად.

კოლოტას ყური მახვილად ეჭირა და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, რომ უბედურება არა შემთხვეოდა რა, ნადირს არ გაეფუჭებინა.

მართლაც, სულ არ მოეჭრა ოცი წკეპლა, რომ კოლოტას რაღაც ფაჩი-ფუჩი და ფშვინვა მოესმა. კოლოტამ ყურები ცქვიტა. მართლა, რაღაც არის, არ მოსჩვენებია!

კოლოტას ტანში ცივმა ჟრუანტელმა დაუარა, ბანალი აებურძგნა და თმა ჯაგარივით აუდგა.

მაინც უღური არ გაიტეხა და ფეხი წინ წადგა: იქნება კაცია, იქნება ვისიმე საქონელი ამოეხეტა, ან გული რაზე გაიხეთქოს, ან სოფელში რაზე შერცხვეს!

წაიარა კიდევ და დაუგდო ყური, — ჩაკიჩუკი ისმის, თითქო დათვი თხილს ამტვრევსო.

დაიკუზა კოლოტა, გაიხედა შინდებში და სულ რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით წითლად გამოჩნდა რაღაც; არც წითელია, არც ყვითელი, სწორედ იმ ფერია, რა ფერისაც დათვია შემოდგომით. დააშტერდა კარგად, აგერ ზურგის ბალანიც დაუნახა, კუდიც, უკანა ფეხებიც.

კოლოტას გულმა ისე დაიწყო ბაგაბუგი, თითქო წისქვილის ქვა აბრაგუნებსო. კოლოტას შეეშინდა, ეს ჩემი გულის ბრაგაბრუგი დათვმა არ გაიგონოსო. აბა რაღა ფეხს წასდგამდა, იქვე გაშეშდა. დათვიც კი ხან აიმართება, ხან დაიკუზება, თითქო კოლოტასაკენ მოდის.

— ვაიმე დათვი! — ერთი საზარლად დაიღრიალა კოლოტამ, დაჰყარა ხელიდან წნელიც, წალდიც და დაეშვა ამ შინდიანზე სოფლისკენ. მირბის კოლოტა, მირბის, ერთი ლეწა-მტვრევა და ფაჩხი-ფუჩხი უდგას. უკან რაღა მოახედებს, სულ ზედა ხტება თხილებზე და შინდებზე.

— დათვიო! — ამ დაყვირებაზე წაკუზულმა „დათვმაც“ შეჰბღავლა „ვაიმეო!“ და დაეშვა ესეც ტყე და ტყე კოლოტას კვალდაკვალ.

მირბის კოლოტა, მირბის, რაც ძალი და ღონე აქვს, მიხტის; აბა რა-ღა ეშმაკისათვის დაზოგავს ჯანსა, თან ესმის, რომ დათვიც შორი-ახ-ლო მოსდევს.

ჰა, ეს არის დაეწევა, ეს არის კბილს ჩასჭიდებს კისერში და წა-ათრევს სოროში. შიშით კოლოტა განაღა უკან მიიხედავდა. შიშით აღარც ის მოაგონდა, რომ ხატისათვის და ღმერთისათვის რამე შე-ეთქვა, ოღონდ ამ უბედურებას გადარჩენოდა.

როგორც იყო, რის ვაი-ვაგლახით, ჩამოგლეჯილ-ჩამოფლეთილი გამოვარდა ტყიდან და ველზე დაეშვა. ეს „დათვიც“ გამოვარდა ტყი-დან და შეხედა, რომ კოლოტა გარბის ქვეითკენ ქუდგადაგლეჯილი.

რაკი ლიმონა ტყიდან გამოვარდა, თავი სამშვიდობოს გამოსუ-ლად ჩასთვალა, გული მოიბრუნა, ოფლი მოიწმინდა და ჯერ ყური დაუგდო, აბა ტყეში მორბის ვინმე, თუ არაო და რაკი ვერაფერი და-ინახა, მერე კოლოტას მიაძახა:

— კოლოტ! ჰაი კოლოტ! რაღას გარბიხარ, შე ოხერო, რაზე გა-მიხეთქე გული, სად იყო დათვი?...

მთელ ერთ თვეს ყვარლელები კოლოტას ყელს აჭრევინებდნენ, ლიმონა დათვად მოეჩვენა და კინაღამ ქელეხი გვაჭამაო.

[1900 წ.].

სამაგიერო

— ახ, შე რჯულძაღლო ყვავო, შენა! კიდევ ხელცარიელი არ დამსვა ამ გასატიალებელმა! თუ არ ამოგაშხამო და ვანუა ნულარ ვიყო! თუ შეგარჩინო ჩემი ყველისა და პურის პარვა, მაშ რაღა ბიჭი ვყოფილვარ. განა შენც მე უნდა ამიგდო მასხარადა?! — გაშფოთებული ვანუა ჭრიჭინაშვილი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იფურთხებოდა და იგინებოდა.

კაი ხანია, რაც ის აქ სიმინდს თოხნიდა. მარტოხელი იყო და სულ მარტოდმარტო დაიარებოდა სოფლის ბოლოს სიმინდის სათოხნავად.

სოფელ ყვარელს სიმინდები და ყანები კარგა მოშორებით აქვს. დილით, როცა მარტოხელა მუშა სამუშაოდ მიდის, თუკი რამ აბადია, თავისი სადილ-სამხრის სამზადისი თან მიაქვს ხელსახოცით და თანაც ლიტრით წყალი, რომ სახლში რბენა აღარ მოუნდეს მოღალულ-მოქანცულს! პურს მაღლა ჰკიდებს, რომ არაფერმა დასუნთქოს, წყლიან ლიტრას პირში ბალახს უცობს და ან ჩრდილში სდგამს, თუ არის სადმე, თუ არ არის და ზევიდან ფარაჯას აფარებს.

— ვერ უყურებთ, კაცო, ამ ვერანა ყვავს, რას მიშვრება?! — გაბოეხმაურა ვანუა თავის მეზობელს, რომელიც იქვე შორი ახლოს თოხნიდა. — ლამის შიმშილით მომკლას მაგ ყვავმა. გუშინ იყო ხელსახოციდან მთელი პური ამოეღო და წაეღო. იმ დღეს იყო და ყველი მქონდა, — აი, ჩვენებმა ფშავლებს ყაჭზე გამოართვეს, — ისეთი ვიყავ, ძლივ შევცქეროდი, სამხრობას სულწასული მოველოდი, ყველითა და პურით ყელს გავიგემრიელებ-მეთქი, მაგრამ, შენი მტერი

დარჩეს ისე ხელცარიელი, როგორც მე ხახამშრალი დავრჩი. ხელსახოცში შებვეული მუხაზე შევდე, ორჯერ იყო ჩანასკული, მაგრამ მაინც კიდევ ამოეღო და მაშინღა შევასწარ თვალი, როცა თავზე გადამიარა. მუშტისოდენა ყველი ნისკარტით ეჭირა და მიაქროლებდა ბუდისკენ. თვალი თან გავაყოლე იმ ვერანას.

დაიცა, ყვავო, შენთვისაც მოვიცლი!

ყვავმა თავისი არ დაიშალა: ხან უსაუზმოდ დატოვა, ხან უსამხროდ გაუშვა და ხან სამხრის-სამხარი შეუჭამა.

* * *

— ადამიანო, არ მეტყვი რა ვუყო ამ ვერანა ყვავსა? — ეკითხებოდა ერთ საღამოს სამუშაოდან დაბრუნებული ვანუა თავის ცოლს, — აღარ ვიცი, სადღა რა შევინახო, ველარა გადავარჩინე რა, მაშინვე მიაგნებს და ისე არ იქს, ერთი ნაჭერი მაინც არა წაიღოს რა.

— რაღას ელი, კაცო, ი ოხრადდასარჩენი ბუდე ხო იცი, სადაც უოხრია, ადი და ჩამოუშალე, წავა და გაგეცლება.

ეს ხომ ვანუამაც იცოდა, მაგრამ ისეთი ოინი უნდოდა ექნა ყვავისათვის, რომ სამუდამოდ იმისი ჯავრი ამოეყარა და გული მოეფხანა. ბუდეს ჩამოვუშლი, სხვას აიშენებს, კვერცხებს დავუმტვრევ,— სხვას დასდებს. არა, სხვა რამე უნდა მოვუხერხო! — ჰო, მართლა!— წამოიყვირა ვანუამ, — ყველას ის ემჯობინება, სწორედ ეგრე უნდა ვუყო, რა კარგი იქნება და!

მეორე დღეს ვანუამ თან პატარა ქვაბი და წუმწუმა წაიღო. ყვავის ბუდე შიგ კაკლის წვეროკინაში იყო.

მერე ბუდისთვის ისეთი წვრილი ტოტი იყო არჩეული, რომ თუ ძარ ძალიან გულადი და თანაც მსუბუქი კაცი, იმაზე ასვლას ადვილად ვერავინ გაბედავდა, რადგან ტოტი ადვილად მოტყდებოდა და იქიდან ჩამოვარდნილ კაცს მიწამდე სული აღარ დაჰყვებოდა.

მაგრამ ვანუა ისე იყო გაბრაზებული ყვავზე, რომ ტოტის სიწვრილე არც კი შეუმჩნევია. მერე ყვარელელი კაცი! მთელი წელიწადი კოდალასავით ხეს აკვრია, ჯიგოს ჰკაფავს მუხაზე, რცხილაზე, იფნაზე, ლაფანასა ჰყრის, კვერნას ეძებს და ფუტკარს გამოჰკრის ხოლმე. ხელიც შეჩვეული აქვს ხისათვის და თვალიც.

ვანუა ბევრს ეწვალა კაკალზე ასვლაში. გაწოწლოკინებული ტო-

ტი ლერწამივით იდრიკებოდა და იკაკვებოდა. ხან იქით მიეხეთქებოდა ვანუა, ხან აქეთ; ხან ერთ ტოტს წაავლებდა ხელს და ხან მეორეს, თან ოდნავ ადგამდა ფეხს და სულგასუნთქული მიცოცავდა, რომ მთელი თავისი სიმძიმით არ დასწოლოდა ხეს და არ მოეტეხა.

რის ვაი-ვაგლახით ავიდა ბუდემდე. ბუდეში ოთხი თუ ხუთი შავი ჭორფლიანი კვერცხები ეწყო. ეტყობოდა, რომ ყვავი კრუხად იჯდა. სანამ ვანუა ბუდემდე ავიდოდა, ყვავი არხეინად იჯდა ახლო კაკალზე და დაცინვით გადმოცქეროდა ვანუას. „რას ეწვალები, — ამბობდა გულში ყვავი, — ბევრიც რო ეცადო,შენ ჩემ ბუდესთან ვერ ახვალ. არც მაგრეთი სულელი ვარ, რომ პირში ჩაგივარდე.

მაგრამ რამდენიც ვანუა ბუდეს უახლოვდებოდა, ყვავი როგორლაც სწუხდა, ტოკავდა, მოუსვენრობა ეტყობოდა. როცა ბუდესთან ავიდა, გულგახეთქილი ყვავი აფრინდა და ჩხაგილით დაუწყო თავზე ტრიალი.

ვანუამ ფრთხილად ამოაწყო ყვავის კვერცხები ბუდიდან. რბილად ჩაილაგა უბეში და კატასავით ჩამოცოცდა ხიდან — ახლა მე ვიცი, ყვავო — დაემუქრა ყვავს.

ვანუამ საჩქაროდ დაანთო ცეცხლი. ჩააწყო ყვავის კვერცხები წყლიან ქვაბში და ცეცხლზე შედგა. წყალი როცა ადუღდა, კვერცხებმა, თითქო სიცხე იგრძნესო, თამაშობა დაიწყეს. იდგა ვანუა და ჭიამოვნებით ილიმებოდა.

— შენა ხარ ყვავი, მაგრამ არც კი ნაკლები ბიჭი მე გახლავარ. დაიცა, ამ მოხარშულ კვერცხებს ისევ მანდვე მოგართმევ, არ გეგონოს, ვითომ საჭმელად ძინდოდეს შენი მყრალი კვერცხები, — დააჯექ და გამოჩეკე! მაშინ ბატის ჭუჭულებს და ინდაურის ჭუკებს მოგვტაცებ, არა?!

* * *

კარგა ხანს იჯდა ვანუას მტერი ყვავი მოხარშულ კვერცხებზე. კარგა ხანს ელოდა ბარტყების გამოჩეკას, მაგრამ ტყუილად. მეტისმეტი ჯდომით თვალები ამოუცივდა, ფრთებმა ცვენა დაუწყო. ვანუაც შორიდან შეცქეროდა ხოლმე იმის საცოდავობას. ის დღე იყო და ის დღე. ვანუასათვის სამხარ-სადილის პური აღარავის მოუპარავს, რადგან გაბეჩავებული ყვავი სადღაც გადიკარგა, მოშორდა იმ არემარეს.

ქურდი

ჯერ ისევ ადრე იყო, როცა რეზიკოს მამა გორიდან მოვიდა და საახალწლო ტკბილეულობა მოიტანა. სხვადასხვა ჯურის კამფეტები პარკებით, ინდის ხურმა, მყინვარშაქარი, ქიშმიში, ნუში, თაფლი და მხვა. ყველა ეს ფანჯარაზე დააწყო. ამ ფანჯარასთან იდგა რეზიკოს საწოლიც. ხვალ ახალწელიწადი იყო და ყველა ემზადებოდა ბედნიერი დღისათვის. შეძლებული გლეხები ღორებს ფუფქავდნენ, ზოგი ახლაც აკუვირებდა ბურვაკსა.

რეზიკოს დედაც გოზინაყისთვის კაკალს ამტვრევდა, რეზიკო ნიგოზს არჩევდა, უღლებს ჰყრიდა. ხანდახან პირშიაც ჩააპარებდა ხოლმე.

— დედი, ხომ არ გამიჯავრდები, რომ ეს ცოტა შავი ნიგოზები შევჭამო ხოლმე?!

— მიირთვი, შვილო, მიირთვი, ბევრი კი არა ჭამო, თორემ ყელს დაგწვავს და დაგახველებს.

გახარებული იყო რეზიკო. სულ ახალ-ახალი ტანისამოსი და წაღები ჰქონდა ამისთვის დედას შენახული. ის დიდრონი კამფეტიც ამისი იყო, პარკიდან რო კოხტად ამოეშვირა ფოჩები, თითქო რეზიკოს აჯავრებსო.

— რა იქნება რომ ის კამფეტი დღესვე ვნახო, ერთი რაფერია, იმ

ჭრელ ქაღალდსქვეშ, ან რა გემოსია. ხვალ ხო სხვებიც მოგილოცავენ.

— დედი, არ იქნება, რომ ერთი დიდი კამფეტი ამოვიღო და გავფცქვნა, ვნახო და მერე ისევ შევახვიო?

— არა შვილო, როგორ იქნება, მოითმინე ამაღამაც და ხვალ აქ არ იქნება!

ამ დროს ტაფით გოზინაყს საამურად გაჰქონდა შიშხინი და ტკაცატკუცი. რეზიკოს დამწვარი თაფლის და ნიგვზის სუნი ცხვირის ნესტოებში უღიტინებდა.

საკმაო გოზინაყი ჭამა რეზიკომ, ტაფა მოფხიკა და გოზინაყიან თეფშებს შეციებული გვერდები უციცქნა. მაინც ამ კამფეტის ჯავრი არ მოეშვა, ზედ რომ ფერადი წამლებით დახატული პატარა ბიჭი შემოღრეჭოდა.

— დაიძინე გენაცვალოს დედა, დაიძინე, ხვალ ადრე უნდა ავდგეთ, რომ ადრე ადგომა დაგვეკვებოს.

ცოტა ხნის შემდეგ, კამფეტის ახლო, ტახტზე ხვრინავდა ჩვენი რეზიკო და სიზმარში სულ ჩურჩხელები, გოზინაყი და ის დიდი კამფეტი ელანდებოდნენ.

— აბა, თუ კაი ბიჭი ხარ, მობრძანდი რაღაც რეზიკო ხარ,—უძახის დიდი კამფეტი და თან მუშტს უღერებს, — ისეთს ჩაგცხებ კბილებში, რომ სულ ჩაგამტვრიო!.. მობრძანდი, რაღა, — უგდებს ენას კამფეტი და დასცინის, — აბა თუ კაი ბიჭი ხარ! უჰ, რამოდენა გაზრდილა კამფეტი. რა ყვითელი თმა ასხია, რა ცისფერი თვალები აქვს! რა კოხტა წაღები აცვია და მშვენიერი ხალათი!

— მაგას ვერც კი მოვერევი, — ფიქრობს რეზიკო, — სჯობს ჩუმად ვიყო, — რეზიკო ჩუმად არის, მაგრამ ხალხი ირევა, აგერ ახალწლის მოსალოცად მოდიან ნაცნობი, უცნობი, ბავშვები.

დიდ კამფეტსაც ამხანაგები მოსვლია. ზოგი მოგრძო კამფეტი ამომძვრალა და თეფშზე წამოწოლილა, ზოგი სულ გაუფცქვნიათ, ერთი ბეწო ქაღალდი აღარ ახვევია, ზოგი შაქრის კუჭალასა [1] ჰგავს. ყვირიან, იცინიან, აფხაკუნებენ. აგერ დაჰსტაცეს ხელი ბიჭებმა კამფეტებს და დაუწყეს ჭამა. ზოგი ფცქვნის, კვნეტს, სულ ხრაშა-ხრუში უდგიათ.

---

[1] კუჭალი — პატარა ქადის კვერია.

* * *

როცა რეზიკოს გამოეღვიძა, ოთახში სანათი ძლივსღა ბჟუტავდა. ყველას ეძინა. კარგა ხანს იფშვნეტდა თვალებს, ეძებდა სიზმარში ნანახ ხალხს, მაგრამ არსად არავინ იყო. ბუხართან კატა კრუტუნებდა, დედასაც იქვე ეძინა. რეზიკომ ჯერ დააპირა დედისთვის დაეძახნა, იფიქრა: „ახლა დრო იქნება აბრამიანით სახლს შემოუაროს მამაჩემმა და დაგვაბეროსო“ — მაგრამ ამ დროს თავის გვერდზე დალაგებული პარკები მოაგონდა:

— რა უშავს, რო ვნახო, სანამ გაუღვიძნიათ, რა ჯურის ხილია? ქურდობა ხომ არ იქნება, რომ დამეკვებოს, მერე ასე ახლო აწყვია.

წამოჯდა რეზიკო ლოგინში. ჯერ ყური დაუგდო, ღამე იყო და თუმცა სანთელი ენთო, მაინც როგორღაც ეშინოდა. შიგნითი ოთახიდან თაგვების ფხაკაფხუკი ისმოდა. შკაფის უკან რაღაც ღრღნიდა. სოფელში ძაღლები ჰყეფდნენ და ერთი განგაში ედგათ. თვით რეზიკოს ყურებმაც რაღაც ბურბური დაიწყეს. რეზიკო ისევ ლოგინში ჩაწვა, პირი პარკებისკენ ჰქნა. თავზე საბანი წაიხურა და მხოლოდ ცალი თვალი იჩინა. ბევრჯერ დახუჭა თვალი, მაგრამ ის დიდკამფეტიანი პარკი მოსვენებას არ აძლევდა, თითქო ჯიბრზე იქვე თვალწინ ედო.

დასძლია ბოლოს შიშსაც, სირცხვილსაც და ნელა-ნელა ადგა ჩვენი რეზიკო. ნელა-ნელა მიუახლოვდა პარკს და ჯერ ერთში ჩაჰყო ხელი: „რა ტკბილი იყო ის ინდის ხურმა! ბევრის ჭამა კი არ შეიძლება, დედა გაიგებს“. მერე მეორე ნახა. ბოლოს კამფეტების პარკშიაც ჩააპარა ხელი. ის იყო უნდა დიდი კამფეტი ამოეთრია, რომ უცებ რაღაცამ გაიფანთხალა, ეცა პერანგის სახელოში რეზიკოს და გაქანდა იღლიისაკენ.

— ვაიმე, მიშველეთო! — ერთი კი დაიყვირა რეზიკომ და ღრიალით ლოგინზე გაიშხლართა. იმის ყვირილზე საწყალი დედა ფეთიანივით წამოვარდა. გულგახეთქილი მივარდა რეზიკოს და გულში მიიკრა. ხან წყალი დაასხეს, ხან ძმარი, როგორც იყო ძლივს მოასულიერეს.

თურმე თაგვს მიეგნო დიდი კამფეტის ფოჩებისთვის, თავის საბუდრისთვის ძალიან მოსწონებოდა და როცა იმას ფცქვნიდა, რეზიკომაც მაშინ ჩაჰყო ხელი. მეორე დღეს დიდ კამფეტს ვერც კი შეხედა ჩვენმა ქურდმა.

[1901 წ.]

მოთამაშე მაიმუნი

ითამაშე, ითამაშე, ჩემო გიულ-ხანუმ! კარგად ასიამოვნე ჩვენი მუშტარი! იხტუნე გიულ, ჩაბუქნე გიულ, უფრო ბევრ ფულს მოგცემენ! „გიულ-ხანუმიც“ ხტოდა, უვლიდა, ბუქნავდა, ტრიალებდა ხვითქში გაცურებული; ხან ჩაქუქდებოდა და მაშინ თავის ჭუჭყიან კაბის ბოლოს ფეხს ადგამდა და ზედა ჯდებოდა. ეს კაბის ბოლო ალის ჩითისა იყო, ავლაბარში ან შეითან ბაზარში შეკერილი. თავის დღეში არ გარეცხილიყო, რის გამოც ბრტყელი ფოთლები და ყვავილები ძლივსღა ეტყობოდა.

გიულ-ხანუმს (ასე ეძახდნენ მოთამაშე მაიმუნს) ყელზე რკინის წვრილი და გრძელი ჯაჭვი ჰქონდა მობმული და ერთ ახალგაზრდა თათრის ბიჭს ეჭირა ხელში. ეს ბიჭიც მაიმუნთან ერთად. რაც ძალი და ღონე ჰქონდა, წრეს უვლიდა და თან ჯაჭვიან ხელს იქნევდა, რომ მაიმუნს თამაშობა არ შეეწყვიტა. ჯაჭვი ხან ასწევდა მაღლა გიულ-ხანუმს და ხან მიწაზე ახეთქებდა. რა მეტი ღონე ჰქონდა, იმასაც, უნდა ეხტუნა.

— აგრე, გიულ, აგრე! აი, ყოჩაღ! აი ყოჩაღ! — ამხნევებდა მოთამაშე ბიჭი. მეორე ბიჭი კი ჭუჭყიან დაირას ძალზე აბრახუნებდა და რაღაც ბაზრულ სათამაშო ხმას დაჰმღეროდა. საკვირველად აყოლებდნენ ფეხებს მაიმუნი და ჰასანა ყურბანას დაირის ხმას. როცა ისა ჩქარობდა, ესენიც გარბოდნენ და ხტოდნენ, როცა დაირა ჩუმ-

დებოდა და ნელ-ნელა ჩქამობდა, ისინიც დაღალულებივით მიცოცავდნენ; მიწაზე სხდებოდნენ და მჯდომიარე ბაყაყურად ოთხზე ხტუნავდნენ, ხან წელში გამართულები წრეში უვლიდნენ ხელებგაშლილები და ხან ყირამალა გადადიოდნენ.

— აგრე, გიულ, კიდევ გიულ! ხომ არ დაიღალე, გიულ! — ეძახის მოდაირე ყურბანა მაიმუნს, — ჯერ კიდევ, კიდევ! ხომ ხედავ, ჯერ ისევ ფულს აგროვებენ. კიდევ ცოტა გიულ, კიდევ. კეთილი მუშტარია, შაქარს გაჭმევენ.

— აჭამეთ კეთილო მუშტრებო გიულს შაქარი, უფრო კარგად გასიამოვნებსთ, აჭამეთ! — ამბობს ყურბანა და თავის მოდუნებულ დაირას უბრახუნებს, თითქო დაირის ბრალი ყოფილიყოს ესეთი სიცხე და ამათი სოფლად კარიკარს ხეტიალი. — აჩუქეთ, კეთილო ხალხნო, გიულ-ხანუმს ფულები, ხომ ხედავთ, კაბა ძველი აცვია, თვითონაც დაიღალა, აჩუქეთ ღვთის გულისათვის! — ყვირის ჰასანა.

ხალხი ძალიან ბევრი მოვიდა. რაც სოფელში წვრილფეხობა იყო, სულ აქ მოგროვილიყვნენ და ერთმანეთს აღარ აცლიდნენ, ყველას უნდოდა წინ გადასულიყო და ახლოდან დაენახა ეს კაბიანი მოთამაშე მაიმუნი. ზოგი ბალღი დაირის ხმაზე თვითონაც ხტოდა და ბუქნავდა, მაიმუნს აჯავრებდა. დედაკაცებიც ბლომად იყვნენ. ზოგი ცომიანი ხელით გამოქცეულიყო, ზოგს სარეცხისთვის გაენებებინა თავი და ჩამოგლეჯილ-ჩამოფლეთილი სეირს უცქეროდა. ზოგს საჩქაროდ აეყენებინა აკვნიდან ქორფა ბავშვი და სეირის საყურებლად გამოჭრილიყო. რომლებიც უფრო დარბაისლობაზე სდებდნენ თავს, ისინი უფრო ცოტა მოშორებით იდგნენ.

— ქა, აბა, რა ნამუსია, რომ პირში უვარდებით მაგ ხალხსა. აქედან კი ვეღარ დაინახავთ! ცოტა უკან დადექით, ჩვენც დავინახოთ რამე, — იძახდა ერთი.

— ქა! ადამიანს არა ჰგავს! სულ თორტელ აზნაურს არა ჰგავს! — იძახდა მეორე და იფიცავდა კიდეც, რომ ის აზნაური ცოტა მაღალია და ჩოხაც აცვია, თორემ პირწავარდნილი ის არისო.

— აბა მაიმუნო, ერთი უზუნდარა ითამაშე, გეცოდინება, ქალაქელი ხარ! — ეუბნებოდა მესამე.

— იი, ჩაქრი შენცა და შენი კაბაცა! შენმა მზემ, მშვენიერი რამა ხარ მაგ კაბაში! — ამბობდა ერთი ბალღიანი ჩამოხეულ-ჩამოფხ-

რეწილი დედაკაცი, რომელსაც თვითონაც ვითომდა კაბაზე, ათასი კონკი ეკერა და თან ქოქოლას აყრიდა საცოდავ მაიმუნს. — რა გეთამაშება, შე საცოდავო, წადი შენ სახლში, შენმა მზემ ქვეყანა არ გააკვირვო შენი ნივთეულობით!

* * *

მხარზე პარკაკიდებული თათრის ბიჭი ჰასანა მიუძღოდა წინ მაიმუნს და თან სოფელში მოგროვილ შავ ფულებს ითვლიდა ჯიბეში. ყურბანაც უკან ჩანჩალით მისდევდა.

— ღმერთმა ააშენოს ქვეყანა, არა უჭირს რა დღევანდელ ნაშოვარს, არა ჰასან! გვეყოფა დღესა და ხვალ ეგ გროშები, სხვაც რომ ვეღარა ვიშოვოთ რა. გიულ-ხანუმსაც ვაჭამოთ რამე, თორემ, შეიძლება ადვილად გამოგვეცალოს ხელიდან. რა შეუძლიან, მთელი დღე ხვითქი გადასდის ხტუნვაში და ტრიალში, მერე ამ პაპანაქება სიცხეში. თუ რამე აუტყდა მაგას, მაშინ მე და შენ ან ისევ დუქნებში უნდა ვეთრიოთ მშიერ-მწყურვალნი, ან სანაგვეებზე ჯღანები და ჩვრები ვაგროვოთ. აქ სუფთა ჰაერი მაინც არის, სოფელია, უცხო ხალხია, არავინ გვიცნობს, რომ კიდევ ვითხოვოთ ხოლმე ხანდახან, არა უშავს რა, „ჩვენ გიულ-ხანუმს აჩუქეთ-თქო“. ბევრია სოფლად კეთილი გულისა, თეთრ ფულსაც ბევრი გაიმეტებს. თორემ განა კი ძალიან მეხალისება კარისკარ თრევა და მუდამ ტანტალი, ან დაირის ბრახაბრუხი და ჩვენი უგემური სიმღერა?! რა გვაქვს სათამაშო ჩვენ ოხრებს, გვიხარიან რამე?!

— ფული, ფული, ეგ ოხერი! გიულ-ხანუმსაც იმიტომ ვტანჯავთ და ჩვენც ბოშებივით იმიტომ დავეთრევით ასე, რომ ცოტა რამე მოვაგროვოთ. მერე წვრილმანი ვიყიდოთ და ფული მოვიგოთ. ბოლოს იქნება ალახმა მოგვხედოს და ერთი საწვრილმანოს დუქანი ჩვენც გავაღოთ. ჩვენც ახალი ტანისამოსი ჩავიცვათ, ჩექმა, კალოში, სუფთად გამოვიდეთ ქუჩაში, ხალხში გავერიოთ. მერე ვერცხლის ქამრები... ვისღა ეხსომება, თუ ჩვენ მაიმუნს ვათამაშებდით! ოჰ, ალლახ! მოგვხედე და გაგვიგონე შენს მადლსა!

ჰასანა და ყურბანა, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, მიჩანჩალებდნენ და თან გიულ-ხანუმს მიათრევდნენ.

შუა დღე გადასული იყო. მკათათვეში შუადღის უკან უფრო

ცხელა ხოლმე. მზე ულმობელად აჭერდათ დაღალულ-დაქანცულებს. კისრებში ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ. გიულ-ხანუმს ენა გადმოეგდო ძაღლივით და ქაქანებდა. მეორე სოფლამდე კიდევ შორს იყო.

— ვიაროთ, ყურბან, ვიაროთ, ავუჩქაროთ ფეხი, — ეუბნება ჰასანა, — ეგები ცოტა მაინც ვიშოვოთ რამე იმ სოფელში, ვახშმისა და საწოლის ფასს ხომ ავიღებთ.

— რა ვქნა, ჰასან, მე კი მოგყვები, მაგრამ ეს მაიმუნი მაბრკოლებს, აღარ მოდის, არ ვიცი, დაიღალა, თუ აღარა სწადიან, კისერზე მაინც შევისვათ.

— კისერზე კი არა ახლა ნეტა უბეშიაც არ ჩაისვა! დაჰკარ, მაგის ეშმაკობა აქამდე როგორ არ გაიგე? არ იცი, რა ციგანიც არის?!

— ცოტახანს კიდევ, გიულ, — ეუბნება ყურბანა, — აი, მივედით, აქაც ვითამაშოთ და მერე დავისვენოთ. ამაღამ კარგი ვახშამი ვჭამოთ და დავიძინოთ არხეინად.

რაკი სოფელს დაუახლოვდნენ, რიგ-რიგით გიულ-ხანუმი კისერზე შეისვეს, შეისვენებსო თქვეს და მერე უფრო შესძლებს თამაშობასაო. გიულ-ხანუმმა ყურბანას კისერზე ცოტა დაისვენა და შეღავათი მიეცა. გული გაუგრილდა და აღარ ქაქანებდა. ძაღლების შიშით მოკრუნჩული იჯდა და იმათ დანახვაზე ყურბანას ეკვროდა.

სოფლის ბალღები, თითქო ძაღლებმა ლეში გაიგესო, იქიდანვე აედევნენ უკან და მთელი ხროვა შესდგა უსაქმური ხალხისა.

— მიირთვი, გიულ, შაქარი! — ეძახის კეთილი მუშტარი გიულ-ხანუმს და თან მოზრდილ შაქრისნატეხს აწოდებს.

რახანია გიულ-ხანუმს წყურვილითა და სიცხით ყელი ამოეწვა და ამოეხრანწა, უნდა შაქარით პირი გაისველოს და მადლობით უშვერს ხელს შაქრისათვის.

— მოიცა, მოიცა, ჯერ შაქრის ჭამის დრო არ არის, — ყვირის ჰასანა, — ეგ შაქარი აქ მომეც, შეგინახავ საღამოსთვის. აბა, დაუარე! — თან ჯაჭვს სწევს და მაიმუნს ძალის-ძალით მიათრევს. დაქანცული გიულიც, თუმცა ფეხებს ძლივსღა მიათრევს, მაინც ტრიალებს თავბრუ დასხმული, საჩუქარი კი მოდის და მოდის. ზოგი პურს აწოდებს, ზოგი ყველს, ზოგი შაქარს, ხილს. კაპეიკიანებს ქუდში ჩხაკაჩხუკი გააქვს.

— უჰ, აბა რამდენი იშოვა გიულმა! — იძახის ყურბანა, — ეგრე, კეთილო მუშტრებო, ეგრე!

მაგრამ გიულს ხომ ერთი ნატეხი შაქარიც ეყოფოდა, რომ პირი გაესველა. სული ეხუთებოდა, ყელში უჭერდა რაღაც, ხროტინებდა, თვალები უბნელდებოდა, ოფლი წურწურით ჩამსოდიოდა. თვალები სისხლით ევსებოდა. ხალხი სულ ახლო და ახლო იწევდა და ჰაერი უფრო და უფრო იხუთებოდა. ნიავი არსაიდან არ მოდიოდა. ცხელოდა! გიული კი თამაშობდა და თამაშობდა!

დაბინდდა. ხალხი ნელ-ნელა დაიშალა. ჰასანა და ყურბანა თავის მაიმუნით ერთ საბძელში დაბინავდნენ და იქ დაუწყეს დახლს თვლა.

— ღმერთმა ააშენოს ქვეყანა, თუ მუდამდღე ასე ვიშოვეთ, ქალაქში ხელცარიელები არ დავბრუნდებით, არა, ყურბან?!

— დიახაც ჰასან! დიახაც! ცოტა გიულ-ხანუმი დაგვეღალა ძალიან. ისეთია საწყალი, სულ კვნესის. ვაჭამოთ რამე, დაისვენოს ხვალისთვის. ჩვენც ვჭამოთ, დავიძინოთ, ხვალ ადრე უნდა ავდგეთ.

ვახშამი გიულ-ხანუმსაც უწილეს, მაგრამ იმან ზედაც არ დახედა საჭმელს, მხოლოდ წყალი კი ხარბად სვა. — მე ვახშამს აღარ შეგეცილებით! — ამბობდნენ გიულის ამღვრეული თვალები, — თქვენ მიირთვით. კინწმოწყვეტილი გიული იმათ ფეხებთან ბზეზე მოკრუნჩხული დაეგდო და მძიმე-მძიმედ სუნთქავდა. სული ეხუთებოდა და გახურებული გული გახეთქვას უპირებდა.

— ჭამე, რაღა, შე ოხერო, წახე და! არ მოგშივდა, მთელი დღე არაფერი გიჭამია, — უყვირის ჰასანა.

* * *

გიულმა ვერ შესძლო იმოტოლა ჯაფა სიცხეში და ახლა ავადმყოფი ბურანში იყო და კვნესოდა. სულ გათენება ელანდებოდა, თითქო დღე ბედნიერებას მოუტანდა რასმე! ძვალი და რბილი სულ სტკიოდა, გმინავდა და ბორგავდა...

აგერ, უცხო სოფელში მივიდნენ. ხალხი კალიასავით ირევა. ერთი ყივილ-ხივილი და ხმაურობაა. ბალღები, ბებრები ამათკენ გამორბიან. აგერ ჯაჭვით მიათრევს ჰასანა გიულს, უნდა ათამაშოს.

— არ წამოვალ, არა, მოვკვდები, ამის მეტი აღარ შემიძლიან! — კვნესის გიული, მაგრამ გამგონი ვინ არის!

— მოდი რაღა, შე მუდრეგო, თორემ აგიწვი ზურგი!

— ოჰ! ოხ! — კვნესის გიული, — ღმერთო, მომკალი, შე დალოცვილო!

ალარ მისდევს გიულ-ხანუმი ჰასანას, გასაქცევად იწევს, უნდა გაიქცეს, წავიდეს იმ თავისუფლების ქვეყანაში, საიდანაც ბოროტმა კაცებმა ის მოიტაცეს და ამ ტანჯვა-წვალების (ქვეყანაში) მხარეში მოიყვანეს. იწევს გიული, ეწევა ჰასანაც, მაგრამ გიული მაინც იძრობს ყელიდან ჯაჭვს და მირბის, სულ მიფრინავს. ალარაფერი სტკივა, მორჩა, დალალულობაც დაავიწყდა, ფრთები შეესხა.

მიფრინავს გიული თავის სამშობლოსაკენ, როგორც ფრინველი, მიჰქრის, როგორც ქარი, მისცურავს, როგორც ღრუბელი. სულ ცას გაეკრა, რომ ბოროტი ჰასანა ველარ დაეწიოს.

მიჰფრინავს გიული თავის დედისაკენ, თავისი უტეხი ტყეებისაკენ, თავის ტოლ-ამხანაგებისაკენ. თავზე გადაუარა მწვანით შემოსილ მინდვრებს და ველებს, თოვლ-ყინულისაგან დაზნექილ მთის ქედებს, მშფოთვარე ზღვებს, თვალუწვდენელ ხეებს და კლდეებს.

აგერ, თავისი სამშობლო ქვეყანაც! თავისუფალია ახლა გიული, თავისუფალი! აგერ ნათესავები, ძმები, დები, დედა!.. ეკვრის გიული დედას ძუძუებში, ჰკოცნის დედას, ველარ გამაძღარა იმისი ალერსით.

— დედავ, დედავ! შენს ძუძუებს ვენაცვალე, რომ კიდევ გნახე, დედავ! ჩემო ძვირფასო დედავ! — სიხარულით ტირის, ტირის გიული!

— გიულ, შვილო, შვილო, სად იყავ, აქამდე, ვინ გამოგწუწნა მაგრე და გამოგხრა შვილო?! რაღასა ჰგევხარ, შვილო, ეგ კისერი რაღას გადაუქლეტია შენთვის და დაუსისხლიანებია შვილო? სად იყავ, შვილო, სად მემალებოდი?! წავიდეთ, შვილო ჩვენს ტყეში, წავიდეთ!

მეორე დღეს ბევრი აჯანჯღალეს ჰასანამ და ყურბანამ გიულ-ხანუმი, მაგრამ ველარ გამოაღვიძეს. მართლა დედას წაეყვანა!..

[1902 წ.].

ერთხელ გაძღა

მეტ სახელად „ტურას“ ეძახდნენ, რადგან ბეწვი და დაუჭრელი ყურები საშინლად უგვანდა ტურისას. მოწითალო წვრილი ცეცხლივით თვალები ქურდობას უმტკიცებდნენ. თუმცა ქურდს ეძახდნენ, მაგრამ მუდამ კი მშიერი და ფერდიფერდს მიკრობილი დაწანწალებდა. საკვირველი იყო, რისგანღა ედგა სული, რა აცოცხლებდა, რა არჩენდა? ბევრი ძაღლებს კი ამრავლებს და იმას კი აღარ ფიქრობს, თუ ჭამაც უნდათ და შენახვაც. ტურასთვის ერთხელაც არ უქმევია არავის სასვარი და თავის სიცოცხლეში არც გამაძღარა. შიმშილისაგან შეწუხებული ან სოფელს ირგვლივ უვლიდა, ან სადმე საბძლების ძირში მკვდარივით ეგდო და ეძინა.

თუ სოფელში ან ქორწილი ჰქონდა ვისმე და ან წირვა გადასახდელი და საკლავი სადმე იკვლოდა, ტურაც შორიახლოს იდგა და ილოკებოდა, ელოდა, იობის მოთმინებით, სანამ ვინმე გაიმეტებდა და ფაშვის ან წელების ნაგლეჯით მოიგონებდა.

სისხლიანს მიწასა ჰლოკავდა და ხორცის ნარეცხს წყალსა სლაპავდა. თუ ვისმეს სიგამხდრით ან ცხენი ჩაეხრჩობოდა, ან კუტად ჩავარდნილი საქონელი დაეხრჩობოდა, იქნება მაშინ რგებოდა რამე ტურას, ისიც მაშინ, როცა სოფლის ძაღლები დაძღებოდნენ და ლეშს თავს გაანებებდნენ. უმისოდ კი საიმისოდ რას გაჰხდიდნენ საჭმელსა! ყველა იმას უღრინავდა და უტევდა.

როცა სხვა ძაღლები დაძღებოდნენ და ლეშს თავს დაანებებდნენ, ტურას მაშინღა თუ ეღირსებოდა რამე, ისიც გამოხრულ-გამოკაწრული ძვლები.

აითრევდა ტურა ერთ ძვალს და მიახოხიალებდა სადმე მოფარებულ ადგილისაკენ, ან ნაოხარ საბძელში, ან ვისიმე ჩამონგრეულ სათონეში, ან არა და ვენახის ღობეების ძირში, სადაც კაცის და ძაღლის თვალი იმას ადვილად ვერ შენიშნავდა, მერე წამოუწვებოდა და ღრღნიდა მთელს დღეს. დიაღაც, სულ შიმშილს, ძვალი სჯობდა, ცოტა ხორცი მაინც ეკვრებოდა და შიგაც ტვინი იქნებოდა, პირის ჩასაგემრიელებელი.

საშოვარზე გამოსვლას ისე დღე ვერა ჰბედავდა, როგორც ღამე. ყველას სანაგვე კარგად იცოდა. ჩიჩქნიდა ნაგავს, ეძებდა პურის ნამცეცებს და გადმოყრილ ძვლებს, ტყავის ნაჭრებსა და ქალამნის ჯღანებს და ყოველივე ამას მადიანად შეექცეოდა, თუმცა კი ერთხელაც არ გასძღომია მუცელი.

ან კი რა გააძღობდა? იმისგან ნაპოვნი ნამცეცები ჩიტსაც ვერ აპურებდა და აბა ი სიყმილისაგან გადამღრძვალს რა გაუხდებოდა, და ან რომელი გლეხი გაატანდა ნაგავს იმდენ ნახორხალსა?

ასე დაეთრეოდა სოფელში მურა მშიერ-მწყურვალი. მაძღრებისათვის სიმაძღრე ჰშურდა და თავისავით მშივრები დასანახავად ეჯავრებოდა. პატარა ბალღები უყვარდა და სულ იმათ შესტრიალებდა. თუ ხელში პურს დაუნახავდა, ბალღებიც ან ცოტ-ცოტას უციცქნიდნენ ხოლმე, ანდა თვითონ ასწაპნიდა ხოლმე ხელიდან პურს და გაიმელუზნებოდა, ვითომ და აქ არაფერიაო.

ალბათ დიდები ამიტომ თუ ეძახდნენ ქურდსა, სულ უჯავრდებოდნენ და უტატანებდნენ.

ძაღლები კი არას ერჩოდნენ, კარებზედაც რომ გაეარნა, არ ვიცი თვალი ჰქონდათ შეჩვეული თუ ეცოდებოდათ. თუ გულფიცხი გამოდგებოდა რომელიმე ძუკნა ან ხვადი და დაეცემოდა თავსა, ტურა მაშინვე გულაღმა წაუწვებოდა, ულოკდა ტუჩებს, ყელს, ცხვირს და მტერი თუ მაინც მტრობას არ დაიშლიდა და ღრინვას დაუწყებდა, მაშინ კი იკადრებდა ტურა ზეზე წამოვარდნას, ერთს მიუკაწუნებდა კუდამოძუებული თავის მჩაგვრელს და სულგამწარებული დასცოცხავდა სახლისაკენ.

• • •

ყველიერი იყო. ყველა, ვისაც კი ჰქონდა და არა ჰქონდა, ქეიფსა და დროების ტარებას აპირებდა. დარი მშვენიერი იდგა, დღეები თბილი და მშრალი, ამინდი სანატრელი.

ქართველობა ქადა-ნაზუქებს აცხობდა, სომხობა ქათამ-ბატ-ინდაურებსა ხოცდა. მედუქნეები სიამოვნებით ხელებს იფშვნეტდნენ. კარგ ვაჭრობა-მუშტრობას ელოდნენ და მოგებას წინდაწინვე ანგარიშობდნენ. ჯეელი ბიჭები თავებს იკრეჭდნენ. ქალები კიდე ფერუმარილსა ლესდნენ.

კოკოჩაანთ ბალღები რაღაც ცხვირს აცემინებდნენ, იზმორებოდნენ და ქალებმა იფიქრეს, ალბათ ბატონები თუ შეხვდათო. სოფელში წითელა იყო მოდებული და რადგან მერე საკლავი აღარ დაიკვლოდა, ამიტომ სამი დღის ულუფა—სამი ბატი ქალებმა წინდაწინვე დააკვლევინეს კაცებს. ბატებს ბოსელში აკეთებდნენ; ჰყვლეფავდნენ და ფუფქავდნენ. სისხლის სუნს ძაღლები მიეზიდნა და კარებში შეციცქინებდნენ. ერთმანეთის მემჯობიას სულწინდაწინ იწევდნენ, ეგები მე უფრო მეტი მერგოსო.

საცოდავი ტურა სულ უკან მოექციათ. თითქო რისამე რცხვენია და პირი ეწბილებაო, კუდამოძუებული ყველაზე უკან იდგა. თეითონაც ბოსელში შეიცქირებოდა და ტუჩებს ილოკდა ბატების ეშხით.

ქალებმა დაყვლიფეს ბატები, დაწიწკნეს, დატუსეს, ფეხებსაც ჭარი წააძრეს. მერე გამოწელეს, კუჭები დაატყავეს, დარეცხეს და ხონჩით იქეე ტახტთან თაროზე შედგეს. წელები, ფეხების ჭარი, კუჭების კანი და განაყვლეფი გინგლი ნარეცხი, სისხლიანი წყლით ნეხვზე გადააქციეს.

ძაღლები თან მიჰყვნენ. რომელიც ყველაზე ღონიერი იყო, ჯერ ის ეცა და ყლაპვა დაუწყო, რაც მოხვდა პირში, — ცოტ-ცოტათი მეორემაც მიჰბედა და დანარჩენებს მოკრძალებით დაუწყო კრეფა და ჭამა. ტურაც მივარდა, მაგრამ ერთი ისეთი შეჰღრინეს, რომ ისევ გაცლა არჩია მშიერი მუცლით. მიბრუნდა და იქეე შორიახლო დაწვა. იმათ გაცლას ელოდა.

ძაღლებმაც დიდხანს არ ალოდინეს, — რაკი შესანსლეს, რაც შე-

საჭმელი იყო, გზაზე მიმავალ ოსებს გამოეკიდნენ და ყეფა დაუწყეს. ტურას ახლა დარჩა დრო. ნელ-ნელა ადგა, ჯერ სანეხვეზე დაიწყო სუნსული, მერე ბოსლის კარებზე მივიდა და ფრთის ძირებსა და წაძრობილ ნისკარტებს დაუწყო კვნეტა. მერე ბოსელშიაც შეიხედა და მოკრძალებით ფეხი გადადგა ზღურბლზე. ქალები სახლში გასულიყვნენ და ბოსელი უპატრონოდ დაეგდოთ, ბატებიც, რასაკვირველია. მერე რა ბატები! თითო-თითო ჯერად ეყოფოდა ტურას!

— ეჰ, იმათკენ არც კი შევიხედავ, — სთქვა ტურამ, — ჩემთვის ხომ არ დაუკლავთ, რაც იმათთვის არ ვარგა და მე კი გამომადგება, იმას მოვძებნი და პირს გავანძრევ, თორემ ბატს საჩემოდ ვინ გახდის!

დაიწყო სუნსული ტურამ ბოსელში. ბუხართან დამწვარი ჭადის ყუის ნატეხი იპოვნა და მადიანად მიირთვა, ბოძთან ქუჩი იპოვნა, ის გადაყლაპა, ქათმის საბუდრიდან ნაჭუჭები გადმოეყარათ, რაკი წიწილები გამოეჩიკა კრუხს, ისინიც ჩაეხრაჭუნა, თუმცა მაღლიდან კრუხი რაღაც უსიამოვნებას აცხადებდა. მაინც ვერ გაძღა, ისევ ჰშიოდა! მადა უფრო გაუცხოველდა.

— ეჰ, რაღა სიცოცხლეა, რო სულდგმული თავის დღეში ერთხელ მაინც ვერ გაძღეს! — იფიქრა ტურამ, — მე აქ შიმშილით სული მძვრება და ის ნასუქი ბატები თახჩაში აწყვია. მერე რა მარჯვედ! ვითომ რა უშავს, ან ვინ დამინახავს, რომ ის ბატები გავაპარო და ერთი ლაზათიანად გავძღე. ძაღლები გზაზე ოსებს ჰყეფენ, პატრონები აქ არ არიან, სწორედ კარგი დროა! და ვაი, სირცხვილო! ტურამ ნელა-ნელა ორი ბატი ჩამოაცოცა ხონჩიდან და მოძუძგა კარებისკენ.

ცოტა ხნის შემდეგ კოკოჩაანთ რძლებს ერთი ყვირილი და თავში ცემა ჰქონდათ, ერთი მეორეს აბრალებდა, — არა შენ გაგიშვია კარი ღია და არა შენაო. ისე ბატების დაკლება არ ანაღვლებდათ, როგორც კაცებისა ეშინოდათ.

— რა წყალში ჩავვარდეთ ქალო, რა ვუთხრათ გიორგი და გიგა რო მოვლენ? ხო დაგვხოცეს! როგორ ვუყოთ, რა ვქნათ? რამ ჩაყლაპა ის საოხროები ასე უცებ, ახლა არ გავედით?! იმ გასაზრდელმა ბალღმაც მაშინ დაიწყო ტირილი, ძუძუ მივეც და ბატები სუ დამა-

ვიწყდა. ის საოხრო ტურა წაიღებდა იმათ უეჭველად, რო კარებზე-დაც არ ჩანს!

დააპირეს ქალებმა, ტურა უნდა ეპოვნათ და ბატები წაერთმიათ, მაგრამ ტურა ამ დროს მეზობლის მინგრეულ-მონგრეულს საბძელში ცარიელი გოდრის უკან გადამძვრალიყო და შეექცეოდა მადიანად თავის ნაწვავ-ნადაგსა. ერთი ბატი როგორ გადაყლაპა, ვერც კი გაიგო, ხოლო მეორე ბატს კი ნაზად დაუწყო ჭამა. ძვლებს აღარა კადრულობდა და ხორცებს აცლიდა. თავის ნება არ იყო? ახლაც ხომ ვერავინ შეეცილება?! იმ ღამეს ტურას საჭმლისთვის აღარ უწანწალია: მთელი ღამე მკვდარივით ეგდო და ეძინა იქვე საბძელში..

* * *

მეორე დღემდე კიდეც დაავიწყდა, თუ ბატები მოიპარა და შეჭამა. ნელა-ნელა კუდამოძუებული თავიანთი ბოსლისაკენ მიიპარებოდა, რა იცოდა, თუ ხელდახელ შეკრებილმა მოსამართლეებმა ქურდობისათვის ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს!

ნაცემი, ნაჟეჟი, პირსისხლიანი ტურა, ყელზე წნელმობმული ორმა ბიჭმა ამოატარა გზაზე, დასახრჩობად გამზადებული.

ჯანდაბას! ერთხელ ხო გაძღა!

[1902 წ.]

აშუღი მიმინო

„ზაფხული მაძღარიაო“, უთქვამს ქართველს. დიაღაც: ტყე ხილით არის სავსე და მინდორი ჭირნახულით. მგლიდან დაწყებული, უკანასკნელ სირამდე ყველას მუცელი აქვს გამძღარი.

— მგელიც ხო ხილსა და ჭირნახულს არა სჭამს, მას რაღა ჭირი აძღობსო, — დაეკითხებოდნენ ხოლმე გოგოები ბებიაჩემსა.

— საქმე იმაშია, შვილოვო, — აუხსნიდა ბებიაჩემი,—რომ, როგორც ბალახი და მიწის მოსავალია ბევრი, ისე ფრინველი და ნადირიც მაშინ ნაშენობს. ფრინველები ბარტყებსა სჩეკენ, შვლები და ირმები ნუკრებსა ზრდიან, გარეული ღორი — გოჭებსა, ტურა და მელია — ლეკვებსა, კურდღელი — ბაჭიასა და მრავალი სხვა, ახლა ზედ თხა და ცხვარი დაურთე. მთა და ბარში მოდებული ყველა ეს ახალი თაობა გამოუცდელია, ცხოვრების ქარცეცხლში გამოუვლელი, მგელიც სარგებლობს იმათი გამოუცდელობით და მუდამ მაძღარი მუცლით დაიარებაო.

ალბათ მართალი თუ იყო ბებიაჩემის სიტყვები, რო მთელს ზაფხულს მიმინოც არსადა ჩანდა, რომელზედაც ახლა მე უნდა გიამბოთ. თუმცა ხანდახან სოფელს ნიავქარივით გადაუქროლებდა, მაშინაც მერცხლები დასცემდნენ ხოლმე ყიყინასა.

მაგრამ მსუქანი ზაფხული გადნა და-გაიპარა. მომეტებული ნაწილი ფრინველებისა თბილი ქვეყნების გზას გაუდგა და ტყე და მინდორიც დაყურსდა. ბევრი აღარავინ დარჩა ბინადარი. ისინიც, როცა

ცივმა შემოდგომის ქარმა უფოთლო ხის წვერებში სტვენა და ბღუი-ლი იწყო, სულ აქეთ-იქით მიიმალ-მოიმალნენ. რანიც სოფლად იყვნენ, საბძლებსა და ღობის ძირებს შეეფარნენ, ტყეში მყოფი კი-დე ფოთლიანი ზვარეს წიფელა მოძებნეს, ან ხის ღრუებსა და ფეს-ვებში შეძვრნენ.

მოშივდა მიმინოსაც. ახლა კი მოშივდა, მაგრამ ათასში ერთხელ კიდევ ჩაიგემრიელებდა ხოლმე პირსა. კარგად იცნობდნენ ჩიტები ამ მტაცებელსა. ერთი იმისი მხრის ტლაშუნი, ელეთმელეთსა ჰგვრი-და ამ საწყლებს. რომელიც კი თვალს მოჰკრავდა, მაშინვე გაბმული წიწინით სხვებსაც ატყობინებდა. „ჰა, ფრთხილად იყავით, სულთა-მხუთავი მოდისო“. და მაშინ უნდა გენახათ საცოდავი ჩიტუნიები, როგორ შემოდგომის ფოთლებივით ხეებიდან ძირსა ცვიოდნენ და მიწაზე ეგებოდნენ, ღობეებში ძვრებოდნენ და ჩირგვებსა და ეკალ-უკალს ეფარებოდნენ. ბრალი იმისი, ვინც ჰაერში შერჩებოდა და ვერ მოასწრებდა ძირს ჩამოშვებას, — აუბოჭავი არ გადურჩებოდა. ამის შემდეგ კიდევ კარგა ხანს ისხდნენ ხოლმე გარინდებულები, სანამ გაბედავდნენ და თავს გამოჰყოფდნენ გარეთა.

რაც დრო გადიოდა, მიმინოს საჭმელი თანდათან აკლდებოდა. ზოგი თვითონ დაჭამა, ბრიყვი გულადები და უმწეო ლაჩრები, ზო-გიც სხვებმა. ბევრმა ჭკუა ისწავლა და თვალში აღარ ეჩხირებოდნენ მიმინოსა. მთელი დღე დაყმენდილი დალაწლაწებდა მინდორში, ჭა-ლებში და სოფლად, სადაც კი რამე ეგულებოდა, ან ოდესმე ნისკარ-ტი გაესისხლიანებია.

— ჰაი და ჩიტებო! — ჩაიკრავდა ხოლმე გაბრაზებით მკერდში მუშტსა, — ჭკუა ისწავლეთ რაღა, თქვენცა! სულ დროს ბრალია! ახლა კაცი შიმშილით მოკვდება. ყველა მცნობს, ყველა ჭკუაზე მო-ვიდა. ჩემი მტაცებლობით ამ გაქნილებთან ველარას გავხდები, თუ არაფერი მოვიგონე და სხვა არა ვიღონე რა.

ასე ფიქრობდა მიმინო და ერთ ტყემალზე იჯდა, ვენახის კუნჭულ-ში რო იდგა. თვითონაც ჩიტებისგან ესწავლა სიფრთხილე. ისეთ ად-გილას იჯდა, სადაც საფანტი ადვილად ვერ მიუდგებოდა, თორემ ბევრი გულგადალეული მონადირე დაეხეტებოდა და დღეს გაუმწა-რებდნენ.

იჯდა და ფიქრობდა. იმისი ფიქრი არც მთას იქით იყო და არც ცის რაიმე საიდუმლოებას შეეპყრო.

— უნდა ეჭამო, ეჭამო! ეგ წვრილი ფრთოსანნი ღმერთს ჩემს საჭმელად გაუჩენია და დახე, მაგათ კი ლამის მასხარად ამიგდონ! უყურეთ იმ ღობემძვრალს, ჩემს პირდაპირ კვრინჩხებში რო ხტის ღა ბოლოს აქნევს! ან, აი, ის მამალი ბეღურა, ღობეში რო შემძვრალა და ისე არხეინად იწილება, ვითომ მე აქ არც კი ვიყო! დროების ბრალი არ არის, მაშ რა ჯანაბაა? — შფოთავდა მიმინო. და ჩიტები კი, თითქო უნდა გული გაუხეთქონო, ღობეებში მხიარულად წიწინებდნენ და ყივილი გაჰქონდათ. ზოგი ერთმანეთს შელაზღანდარებდა და მიმინოზე თვალით ანიშნებდა.

— რაო, ბიძია, ჩიჩია ხომ არ მოგინდა; მგონი კაი ხანია, რაცა მარხულობ, პირი აღარ გაგიხსნილებია. რომ ვინმემ გნახოს, ბერი ეგონები, სულზე დამდგარი.

მიმინო კი ფიქრობდა, იმისი ფიქრი მძიმე და სასტიკი იყო, ჭკვიანი და საშიში იმიტომ გახლდათ. რა უშავდა, რომ თავცარიელი ყოფილიყო. მარტო მოსისხლეობით იმდენ ზარალს ვერ მოუტანდა ჩიტებსა, მაგრამ ჭკვიანი იყო და! ფიქრობდა და ხეები კი იცრცევებოდა, მინდვრები ტიტვლდებოდა. წვრილი ფრთოსნები სოფლებში იყრიდნენ თავს საზრდოს გულისათვის. სიციცვე თანდათანობით მატულობდა. ჩიტებიც ადრე იბუდებოდნენ და გვიან ძვრებოდნენ თავის სამალავებიდან. რამდენჯერ მინახავს, ადრე დილით და გვიან ბინდზე, გაცოფებით მფრინავი მიმინო: იქნება ჩემზე უარესად მშიერი შემეფეთოს ვინმე და შევჭამოვო.

ზამთარი დგებოდა. თანდათან თოვლსა სდებდა და მიწის შავს ზედაპირს ზედ ეფარებოდა. სოფელში ბანები და კრებებიღა იყო მშრალი. ღობეებზე თუ თოვლის ბარდანი იდო, ფიჩხებქვეშაც მოიპოვებოდა მშრალი ადგილები. სანაგვებზე დედაკაცებს ნაგავი გაჰქონდათ, ნეხვებზე ნაგავსა ჰყრიდნენ და გზებზე სოფლის ბიჭები ბზეს აბნევდნენ და შიგ მახეს აგებდნენ ჩიტების დასაჭერად. ჩიტების საყვარელი ბინაც ეს იყო, აქ ეძებდნენ საზრდოს და მთელ დღე და ღამეს ერთ-ორ მარცვალსა სჯერდებოდნენ, თუკი ან იმას იპოვნიდნენ. მიმინოსაც აქეთ უყვარდა ჩამოვლა. აქედან ადვილად გაიგდებდა წინ ჩიტს და აბოჭავდა, მაგრამ ჩიტებიც ხო გიჟები არ იყვნენ. იმა-

თაც კარგად იცოდნენ მიმინოს მოსასვლელი გეზი და თვალი ფრთხილად ეჭირათ, რომ გაჭირვების დროს უცებ მოესწროთ საბძლებ-ღობეებში შეძრომა. ამიტომაც იყო, რომ მიმინო ხშირად ხელცარიელი დარჩებოდა ხოლმე და უვახშმო მუცელცარიელი თვითონაც უნდა თბილ ალაგას შემძვრალიყო სადმე. ტყეში ხომ არ გამოილევა ფოთლიანი ხე და ზოგს ახლობამდე ასხია ხოლმე ისევ, მაგალითად ნაკაფ მუხას და წიფელას. ეს ხეები ზამთარში მშვენიერი თავშესაფარია ფრინველებისათვის. მიმინოც იქით გააშურებდა. მე ვიცი ცხენი არ დასდგომია!

* * *

ერთ სუსხიან დილას მშიერი და შეცივნული მიმინო მოწყენით იჯდა ერთ პანტაზე თავჩაქინდრული და ფიქრობდა, ან უკეთა ვთქვათ, ოცნებობდა თბილს საჰმელზე, რადგან რამდენიმე დღე იყო ნაყრი არ ენახა.

— ერიჰაა, რას დაძმარებულხარ, მეჩიტიავ? რაო, ხომ არ დაჭკვიანდნენ ის ბრიყვები, ან ხომ არ შეათხელე და ნანადირევს ვეღარა შოულობ? ხომ არ მოგშივდა? თვალები როგორღაც შეგმღვრევია, კარგს არას მოასწავებს ეგ შენი გარინდება. შენი ცოდვა არა მაქვს, მეც შემჭამ რო ხელში ჩაგივარდე, არა? კარგი მოგცეს, კაი გემოს მე ჩამატან. ქონი კი არ ჩაგადნეს ყელში! თუ შენ, ჩიტების სულთამხუთავს, ლუკმა გენატრება, მე რაღა ვქნა ჯიხოლამ, მე შენი მეხუთედი არც ტანი მაქვს და არც კლანჭები, მე რა გამასულელებს! ათასში ერთხელ თუ გავაბრიყვებ ვისმეს და გამოვწიწკნი, თორემ ხელდახელ ხომ ვერ დავიჭერ ვერავისა. აბა შენვე ბრძანე, მე ვის დავეწევი ჩემი მოწყვეტილი წელით, მე ვიცი, შენსავით არ გამოვუქშუვლო და ხელდახელ არ ავიტაცო ჰაერში. ან რო გამიგონ ჩიტებმა, რომ მეც იმათა ვჭამ, (თვითონ ხო მეც ჩიტი ვარ), მგონი ხელდახელ გამწიწკნონ. აბა, მე რა ყურადღებას მომაქცევენ! ჩემი ტანი შეაშინებთ, თუ ზავთი და რიხი. მე სრულებით სხვა ხერხით ვიქცევი: რომელ ჩიტსაც შევატყობ რო საჩემოა, მოვუმიზეზებ რამეს და აურზაურს ავუტეხ, ისიც ხელს შემომიბრუნებს, გაგვიხდება ჩხუბი, ამაობაში ამოვიდებ ქვეშ და წავახრჩობ. მერე რაკი მოკვდება, ჩემს ნადავლს ვინღა შემეცილება, დავჯდები სადმე მოფარებით და იქ

გიახლები. აბა, ხედავ, მეც კი მშიერი არა ვკვდები და გემრიელ ჩიტის ხორცს მეც მივირთმევ ხოლმე. ეს სულ ამ ჩემი დიდი თავის ბრალია. იქნება შენ ორი შესჭამო და კი არ გაგიხდეს რა, მე კი ერთი ჩიტი თავსა მდის. რაო, რაკი ღონიერი და შენსავით მარდი არა ვარ, შიმშილითა ვკვდები? ახლანდელ დროში ჭკუაა, ძმაო, საქმე ჭკუა.

მიმინომ შეიბერტყა, მხრები აიკრიფა, თითქო გაფრენას აპირებსო და ზარმაცად შეხედა პატარა ჭრელ ჩიტსა, რომელიც პირდაპირ ტყემალზე იჯდა. ტოროლასოდენა იქნებოდა, თეთრი ზურგი და მუცელი ჰქონდა. ცოტა ზომაზე დიდი თავი და წვრილი და გრძელი კლანჭები, ბოროტი და სისხლისმსმელი თვალები, ძალზე მოკაუჭებული ნისკარტი, ცხადჰყოფდნენ, რომ ეს ვაჟბატონი სხვა ჩიტებივით არ იყო და მტაცებელსა ჰგავდა.

— ესეც ჩიტებსა სჭამს! — გაიფიქრა მიმინომ, — კაი საქმეა შენშა მზემ, ჩვენ რაღა ვქნათ, ეს მასხარაც მტაცებლობს, ჰა!?

ჯიხოლა შოუსვენრად იჯდა და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, თან მიმინოსი ეშინოდა, მიმინოს კლანჭებთან ეს ვერას გაჰყიდდა. მართალია, ლურჯი ხორცი ჰქონდა, მაგარი და დღარძი, მაგრამ მშიერი მიმინო ბევრს არას დაგიდევდა, ოღონდ თბილი სისხლი ჰქონოდა.

— იცი, — დაიწყო ისევ ჯიხოლამ, — ჩემგან ჭკუა არ გესწავლება, ჩემო მეჩიტიავ, მაგრამ მაინც არას ვაკეთებთ და ცოტა ხანს ვილაპარაკოთ. ახლა ისეთი დროა, რომ ყველამ თავისი ყადრი ისწავლა. ის დრო წავიდა, როცა უგონო ნიბლია ფიქრობდა, მიმინოს ლუკმა ვარ, იმან უნდა შემჭამოსო. მაშინ თავისი თავი ჩვენს საჭმელად გაჩენილი ეგონათ და არავის არ უკვირდა, თუ მიმინო, ალალი და თვითონ მეც უსამართლოდ ვიქცეოდით. ახლა კი მტაცებლებს გვიძახიან და სისხლისმსმელებსა. თავის სიცოცხლეს და პირადობას უფრთხილდებიან და ჩვენ აღარაფრად გვაგდებენ.

მოდი და ისევ ჩემს ჭკუას დაუჯერე, ერთს გეტყვი, ისე მოიქეცი და თუ მშიერი დარჩე, პირველად მე შევჭამე მაშინ. ეს კია, ბევრი ჭკვიანია და ჩვენს დაწყობილობას ეჭვის თვალით შეჰხედვენ, არ მოგვეკარებიან, მაგრამ ვინც გაბრიყვდება, ისინიც გვეყოფა ჩვენასანამ სულელები დაჭკვიანდებიან, ზაფხულიც მოვა და მაშინ სხვა

ბრიყვები დაიჩიკებიან, მერე რაღა გვაქვს საზრუნავი, როცა მინდორ-ველი სხვადასხვა ჰანგზე ახმაურდება.

აი, მზეწვია არის ძალიან ეშმაკი, თვითონ ხომ ათასნაირად მღერის და ხან წვიმას შეჰხარის, ხან მზესა, ზაფხულის მოახლოვებას ყველაზე უწინ ეგ იგებს და დაყურსებულ ჩიტებს გულს უნავარდებს, სიცოცხლეს უღვიძებს. ეგ მზეწვია იყო ფრინველთ ბუ რო ხელმწიფედ ამოირჩიეს, დიდი თავი აქვს, ჭკვიანი იქნებაო. აბა, ჭკუას გაშინაც კი იმდენი გასავალი ჰქონია! თუმცა დასვეს ტახტზე და ყველა ულოცავდა, თურმე, მაგრამ მზეწვია ჯერ არ მოსულიყო. ის მთაში იყო მახარობლად წასული, გაზაფხულის მოსვლას და ჩირთის[1] გაშლას თურმე ულოცავდა. აბა, ვინ რად ჩააგდებდა იმ პაწაწას, ვინ მოიკითხავდა, ვინ დაეკითხებოდა, როცა არწივი და სვავიც კი იქ იყვნენ.

როცა მზეწვია მოვიდა და ამოდენა ფრინველების ყრილობა ნახა, — რა ამბავიაო, — იკითხა.

— ვინა გკითხავს შენა, გასწი, მიულოცე ჩვენს ხელმწიფეს მშვიდობით ტახტზე აბრძანება, — უყვირის გზირი.

— არ მეტყვით ხალხნო, ვინ აირჩიეთ მეფედ, რომ მივიდე და თაყვანი ვცე?

— ბუ ავირჩიეთ, ბუ, ჩვენი ბრძენთა-ბრძენი, მაგის მეტი ჩვენს აწეწილ-დაწეწილ საქმეს ვერავინ მოუვლიდა, ყველაზე დიდი თავი მაგას აქვსო, — შესძახეს ყველამ ერთად მზეწვიასა. შეხედა მზეწვიამ, მართლა ბუ დაუსვამთ ხელმწიფედ. ისიც დამჯდარა ერთ დამპალ კუნძზე და ცხრილის ტოლა თვალებს აბრიალებს.

— ვაჰ, შენ ჩემო თავო, რა გიქნიათ ხალხნო, ეგ არის ჭკვიანი, მაგას აქვს დიდი თავი? — თურმე შესძახა მზეწვიამ, — მაგისი თავი ხომ ცარიელი ბუმბულია და შიგ თხილის გულისტოლა ტვინიც არ უდევს,—ესა თქვა თურმე, ეცა ამ ბუსა, გაუბდღვნა, გაუწიწკნა თავი და მართლა ერთი ბეწვა თავი კი ჰქონდა. ამოჰკრეს კუკუ და გააგდეს საწყალი ბუ.— ეგრე ჩემო ძმაო, სოფელი ბრმაა, რასაც ერთი დაიყვირებს, ცხვრის ფარასავით სხვებიც იმასა ბღავიან. თუ ხანდახან შიგადაშიგ თვალისამხელი არავინ გამოუჩნდა, როგორც გვინდა, ისე მოვიქცევით.

რაც ჯიხოლამ ერჩია, მიმინოც სწორედ იმ გზას დაადგა.

---

[1] ჩირთი — ახლად რო ფოთოლი იშლება, ტყე რო ბწვანედ შებზინდება.

* * *

სოფლის განაპირას, ერთ ვენახის ღობეში შემძვრალიყო მიმინო. იქვე მდგომ ვერხვის წვეროკინაზე ჯიხოლაც შესკუპულიყო და ორივენი თავგამომეტებით გალობდნენ. გაჰკიოდნენ რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, თავს არა ზოგავდნენ. ზამთრის დილა იყო, ციცაგი და სუსხიანი. მგონი არც ჩვენს აშუღებსა სცხელოდათ, რადგან ხან ერთ ფეხს იმალავდნენ ბუმბულში, ხან მეორეს.

საბრალო ჩიტებიც მობუზულიყვნენ, შიმშილი და სიცივე საქმეს უჭირებდა. ბედნიერნი საბძლებისა და თივის ძირის გვერდებში შემძვრალიყვნენ, უბედურები ღობეებსა და ჩირგვებქვეშ მიყუჟულიყვნენ და სიცივისაგან იკრუნჩხებოდნენ. თან მწუხარე ხმითა წრიპინებდნენ. ეს ამათი გაჭირვების გალობა იყო. განა ვისმე შეჰჩიოდნენ თავის გაჭირვებასა? ან განა დახმარებასა და შველას ვისმე სთხოვდნენ? სრულიადაც არა! იმათ კარგად იცოდნენ, რომ ივათთვის თავს არავინ გაიცხელებს. ეს იყო, ერთმანეთს უზიარებდნენ თავის გაჭირვებასა. შეიყრებოდნენ ერთად და გაბამდნენ წიწინს, ამ ხმაზე ყველა მხრიდან მოდიოდნენ მშივრები და ერთმანეთთან გულს ართობდნენ, მშიერ დღეს აღამებდნენ.

ეს იყო ვიზეზი, რომ მიმინო და ჯიხოლა ამ დილით სწორედ იმ ხმაზე გალობდნენ, რაზედაც ჩიტები. მართლა გალობა კი არ იყო: ხან ბეღურებივით ჟივჟივებდნენ, ნიბლიებივით წიწინებდნენ, ხან მზეწვიასავით წრიპინებდნენ და ღობემძვრალასავით წიოდნენ.

— გვიშველეთ, გვიშველეთ, მტრის ხელში ნუ ჩაგვყრით! — წრიპინებდა „ბეღურა"-მიმინო. — სადა ხართ, ჩემო ძმებო და ბიძაშვილებო! მიშველეთ!

— ვაიმე, ვაიმე! — გაჰკიოდა მაღლა ვერხვიდან ჯიხოლა, — არა გრცხვენია, რომ არა გვშველით?!

ანდა ხმამაღლა იპატიჟებდნენ მსუქან საუზმეზე ხალხსა: მოდით ჩქარა, სანამ რთველი არ წასულა, დაეშურეთ, ამოდენა მარცვალი ყრია აქა და მჭამელი კი არავინ არის. ჩიტებიც ფაცხა-ფუცხით მიეშურებოდნენ მიმინოსაკენ, ზოგი ვითომ — და გაჭირვებულის საშველად, ზოგიც მუცლის გასაძღობად. ივსებოდა ჯაგები ჩიტებითა. იდგა ერთი ჟრიამული და ჟივილ-ხივილი. ეძებდნენ გაჭირვებულს და

საშველად მზად იყვნენ, მაგრამ იქ მიმინოს მეტს ვერავის ჰხედავდნენ.

— რა ვქნა, რა აწიწინებს ამ მეჩიტიას, — ამბობდა ერთი ბრიყვი. — განა, რა გასჭირებია ისეთი!

— ეგეც, ეგ საწყალი, შიმშილს შეუწუხებია,—იბრალებოდა მეორე ბრიყვი.

— არაო, — ფიქრობდა ჭკვიანი, თან კლანჭებში შესცქეროდა,— მაგას, ალბათ, ჩვენი მოძმე ვინმე ჰყავს კლანჭებში დაბღუჯული და ის გვეძახისო, — და უმჯობესად სთვლიდა, იქაურობას გაცლოდა.

მიმინო კი გაქვავებული იჯდა ჩირგვში და გამწარებული წიწინებდა. არ იძვროდა, სიცოცხლე სრულებით არ ეტყობოდა. ვინ იტყოდა, თუ ის მტაცებელი იყო. რა რიგად ჭკვიანად იჯდა, არავის რას ერჩოდა.

— ეგ გაბეღურავებულა, ახლა კი ღმერთს უშველია ჩვენთვის. ჰაიდა, ბეღურებო! ახლა კი აღარას გვერჩის, პირიქით ჩვენ გამოგვესარჩლება. — ასე ფიქრობდა მესამე ბრიყვი და კინაღამ სიხარულით „ურა" დაიღრიალა.

— გაფრთხილდით, ბეღურებო, მახეში არ გაგაბათ. მაგ მწუხარე აშუღმა. — ეძახდა შორიდან მზეწვია. — ან შენ რაღას გამოყეყეჩებულხარ და პირდაღებული შესცქერიხარ, ქერონავ? შენისთანა მსუქანი მსმენელები უყვარს მაგ მჭლე აშუღსა.

გარემოების მიხედვით მიმინოც სცვლიდა ჰანგსა. როცა იცოდა, რომ ახლა ჩიტებს შიმშილი აწუხებთო, მაშინ იმისი გალობა ჩიტებს იწვევდა საჭმელზე, თითქო თვითონ გამაძღარი იყო და მონარჩენს იმათ უწილებდა.

— აბა დაეშურეთ, სანამ სხვას დაუსწრია და აუკენკია, დაეშურეთ,— წიწინებდა მიმინო. მართლაც ბევრი იყო ბრმა-ყრუ, მშიერი; იმათ სულ მართალი ეგონათ მიმინოს სიტყვები და სულ ფაცაფუცით მიეშურებოდნენ იმისკენ. შემოეხვეოდნენ ირგვლივ მიმინოს, იქექებოდნენ, იბერტყებოდნენ, იზმორებოდნენ და თან გაკვირვებულები უსმენდნენ —ამ ჩიტების ენაზე მოლაპარაკე მტაცებელსა. ისიც იჯდა თავმოკატუნებული, არავის რას ერჩოდა, არავის რას უშავებდა.

ჭკვიანებიც, ცოტა არ იყოს, ეპვში შევიდნენ, იქნება მართლა

ჩვენთვის გული შესტკივაო. რამდენჯერ მომხდარა, რომ მოსისხლე სწორ გზაზე დამდგარა, შეუნანია თავისი ცოდვები და მერე სულ მადლზე უვლიაო. მაინც გული კი როგორღაც არ ენდობოდათ. ძალიან შორს არ იყო ის დრო, როცა ეს ვაჟბატონი აქ შეყრილი ჩიტებისას ზოგისას დედას იჭერდა და სჭამდა, ზოგისას ძმას, დას, მამას, შვილს, ნათესავს. ბევრი ამათგანიც რის ვაი-ვაგლახით დაღწევია იმ აშულის კლანჭებსა.

* * *

კარგა ხნობამდე ვერავინ მიუხვდა მიმინოს, თუ რას მოასწავებდა იმისი დილა-საღამოს გალობა. თუმცა ბევრი ამ მსმენელთაგანი უნიშანგეშოდ იკარგებოდა, — აღარც მკვდარი ჩანდა და აღარც ცოცხალი. მართალია, მეორე დღეს მრავლად პოულობდნენ ახალ-ახალს ბურტყლს, თოვლზე მოდებულს იმის შესწვრივ, სადაც მიმინოს ჩვეულებადა ჰქონდა ჯდომა, მაგრამ მიმინოზე ხომ ვერ იფიქრებდნენ ვერაფერს. ალბათ თავის გაუფრთხილებლობით, ან მელია შეჭამდა, ან თრითინა.

რამდენიც დრო გადიოდა, ხევის პირზე ღობის ძირები და ჯაგმაგები ბუმბულით ივსებოდა. ხოლო მიმინოს მსმენელებს თანდათან აკლდებოდა. იქნება მოჰბეზრდათ და სოფლად გაფრინდნენ? — რა ბრძანებაა! — თუ აქამდე თითო სამალავში შვიდი და რვა ჩიტი იჯდა, ახლა ორი-სამიღა ეყუნტა. ზოგან ერთიც აღარ იჯდა. ეს გარემოება ბალღებმაც შენიშნეს, სარზე ჩამოცმულ კალანჩხებით საღამოობით თივებში და საბძლებში ჩიტებს რო იჭერდნენ. „ნეტა, რა იქნენ იმდენი ჩიტები, სად წავიდნენ. თითქო არც ისეთი სასტიკი ზამთარია, რომ სიცივეს გაეწყვიტა. ან თუ სხვაგან წავიდნენ სადმე, — ჩიოდნენ ბიჭები, — აქამდე კალოებიდან და საბძლებიდან სულ ბოინი და ბოინი გამოიშლებოდა ხოლმე და ახლა კი თითო-ოროლაღა დაყიალებს, ეს ოხრებიო.

* * *

მიმინო კი სუქდებოდა. ჯიხოლას ჭკუა კარგად დაუჯდა. ახლა არჩევანშიაც შედიოდა. უფრო მსუქნებს ეტანებოდა და ყარტალ-ყურტალს ყურადღებას აღარას აქცევდა. ახლა უფრო თამამად იქცეოდა

და ჩიტებს აღარ ეპუებოდა. რამდენმა დაინახა, როცა ის მსუქან ქერონას შეექცეოდა, ან ტოროლას სწიწკნიდა.

მზეწვიამაც ბევრი სიკეთე დასდო საჩიტეთსა. ვისაც შეხვდებოდა, ყველას ეჩიჩინებოდა, მიმინოს გაუფრთხილდითო, და მიმინოც დაფიცული იყო, სადაც კი მოეწეოდა, მზეწვიას მზეს დაუბნელებდა.

— ეგ არის, რაც არის, — ამბობდა გაცოფებული მიმინო. — დასწყევლა ღმერთმა, თუ ქვეყანაში ერთი მოუსვენარი არ გამოერია, როგორ იქნება! ვინა გკითხავს შენა, ვინ ამოგირჩია ქვეყნის პატრონად, ეგდე შენს ქერქში, რა გინდა, რად მიშლი ხელსა? ხო იცი, როცა ხელში ჩამივარდები, ხეირს არ დაგაყრი და პირს არ დაგიკოცნი... მაგრამ მზეწვია თავისას არ იშლიდა.

— გამოიჩიჩქნეთ ყურები, ძმებო, — ეჩიჩინებოდა წიპრია (მზეწვია) შეყრილ ჩიტებს, — მართალია ვშიანთ, გცივათ, მაგრამ მიმინო გაგაძღობსთ? ეგ თქვენგან მოელის გაძღომას. ქვეყნის მასხარა ნუ ვხდებით, ტკბილი სიტყვებით ნუ ვტყუვდებით. ე ჩვენ ძალად მაინც ნუ ვეჩრებით პირში და ვისაც ძალით მოასწრობს და დაიჭერს, რა ვუყოთ. ერთმანეთს მხარი მივცეთ ყველამ. მართალია, პატარები ვართ, უღონონი, უკლანჭონი, მაგრამ სიცოცხლე ხო ყველას გვიყვარს. ჩვენი ბუდე და ჩვენი მიწა-წყალი ხომ არავის მოგვძულებია. შევკრათ პირი, შევიყარნეთ ერთად, დავეხსნეთ თავს და თუ ვერ მოვკლავთ, აქედან ხომ გავაძევებთ. გაიგებს მაინც საჩიტეთი, რომ მიმინო ჩვენი სულთამხუთავია და საკვლაოდ გაფრთხილდებიან.

— იცით? — იძახდა სოფლის ზემოთ ფერდაში თეთრ რცხილაზე მჯდომი ჩხიკვი, — ჩიტებს გადაუწყვეტიათ მიმინოსთან ომი და არ ვიცი, როგორ წავა მაგათი საქმე, მე კი მგონია, უნდა გაიმარჯვონ. თავგამომეტებულს კაცს ბევრი შეუძლიან.

— დაიკარგნენ ის მასხარები, იმათ თავის მზემ მიმინოს ყურებზე ხახვი არ დააჭრან სკინტლიანმა ჩიტებმა, — ბურტყუნებდა ბეცი ბუ, ბებერი წიფლის ღრუში მჯდომი.

— შენ რაღას იტყვი, შაშვო? — დაეკითხა ჩხიკვი.

— მე იმას ვიტყვი, რომ მიმინო არც ჩვენ გვაყრის ხეირს. სადაც სამართალია, ჩვენც უნდა მივეშველნეთ, სულ ხო ერთბაშად ვერ გაგვწყვეტს. სულ მუდამ შიშში და ელდაში ყოფნას „ერთხელ სჯობიან სიკვდილი, სულ მუდამ დაღონებასაო“, უთქვამთ ჭკვიანებსა.

წიფლის ჩიტაც ამასვე ამბობდა.

კოდალა და ჩხართვიც თანახმანი იყვნენ. ტურფა დედოფალა ჩიტი, წითელ-ყვითლად რო იყო მორთული პატარძალსავით და ქალს უფრო ჰგვანდა, ვიდრე ბიჭს, ისიც კი თავგამოდებით იკვეხოდა: „მიმინოს თავზე ლაფს დავასხამთო“.

ნიბლია, ღობემძვრალა, წყლისჩიტა, ღალღა, წუა, მწყერჩიტა და ათასი სხვა, სულ ყველა საომრად ემზადებოდა. ჩხიკვიც კი, ჯაფარას რო ეძახიან მეტ სახელად, იქ იყო და „რაზმს აწყობდა“. — მართალიაო, — იძახდა, —ჩემთვის არა დაუშავებია რა, მაგრამ თქვენთან მეც თავი მიდევსო.

— აბაო, — იცინოდა ჩხიკვი, — ემ ჩემს ლურჯ ხორცს რა გემოს ჩაატანდა, თორემ ჩემი ჭრელი ქათიბი კი არ ენანებოდა დასახევადაო. ახლა მიმინომა ნახოს იმისი რუსული მაზარა[1] როგორ დაეფხრიწოთ ამ პატარა ჩიტებმაო.

ყველა რასმე იმუქრებოდა და სისხლის აღებასა ფიცულობდა. რომელნიც უფრო გულადები იყვნენ, ისინი ოხუნჯობდნენ და ხალხს აცინებდნენ. — მალე გაიგებ, ჩვენო ხმატკბილო აშუღო, შენგან დავალებული ჩიტები რა წვეულებას გაგიმართავენ. გიყვარს მსმენელები და იმდენს მოვასხამთ, რომ ქეიფი წაგიხდესო.

მეორე დილით ბუმ რომ ღრუდან თავი გამოყო, ტყეში ძე ხორციელი აღარ იყო. — კიდე არ გაბრიყვებულან ის ტუტუცებიო, — თქვა და ისევ შეიმალა ბნელაში.

* * *

მეორე დღეს ჟივილ-ხივილი და ხმაურობა იდგა. გუნდი და გუნდი წვრილფრთოსნებისა სოფლისკენ მიეშურებოდა. ზოგი ტყიდან, ზოგი მთიდან, ზოგი მინდორ-ჭალებიდან და ჭაობებიდან, რა ჯურის ხალხი არ იყო იქა. მომეტებულს ერთმანეთის სახელიც არ გაეგონა, თორემ თვალი კი დაეკრა. ყველა კი ერთმანეთს ულოცავდა და ესალმებოდა. თვითონვე უკვირდათ, როცა ვენახების ხეხილები მთლად დაიხუნძლა ფრინველებით, ამდენნი სად ვყოფილვართო. ტყიდან მოსულებს ბაირაღტრად ჩხიკვი აერჩიათ და წინამძღოლიც ის იყო.

---

[1] მიმინოს ლეგა ფერი აქვს.

ჭილყვავი გაკვირვებით შესცქეროდა ამოდენა ლაშქარს და თან ყვავს ეკითხებოდა: „რას აკეთებენ აქ ეს ჩიტები, ყვავო, არ იცი?“ რას იფიქრებდა მიმინო, თუ დაჩაგრულ-დამონებული ჩიტები ხელს გამოიღებდნენ და ომს გამოუცხადებდნენ.

აბა, რაღა გავაგრძელო ომის აღწერა. უეჭველია, ბევრი მოკვდებოდა. ლექსი ამბობს, რომ:

ჩიტთა შეჭამეს მიმინო,
შეიქნა დროთა ცვლილობა...
აბა, თუ შეგრჩესთ, ჩიტებო,
მაგაზე თავმოვლილობაო.

ალბათ გადარჩენილი ჯიხოლა იტყოდა.

[1902 წ.]

ნიბლია (გვ. 13)

პირველად დაიბეჭდა 1891 წ., ჟურნალ „ჯეჯილში", № 4, გვ. 4. ქვესათაური: (საყმაწვილო ამბები).

თედო რაზიკაშვილი ავტობიოგრაფიაში აღნიშნავს რომ ეს მოთხრობა მან დაწერა 1886 წელს.

იის ამბავი (გვ. 16)

დაბეჭდილია 1890 წ., ჟურნალ „ჯეჯილში", № 3, გვ. 21.

ამ მოთხრობის შესახებ ნ. ჯანაშია გორიდან თედოს სწერდა: „შენი „იის ამბავი" ძალიან მომეწონა, ნიკო ლომოურმა სთქვა: შშვენიერი არისო. ეს მოთხრობა ძალიან ჰგავს ერთ შენს ლექსს, აქ (სემინარიაში) დაწერილს. ლექსიც შშვენიერია" (წერილები თედო რაზიკაშვილისადმი (სოლ. ყუბანეიშვილის რედაქციით), კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის შრომები, წიგნი III, 1937 წ., გვ. 169, ქვემოთ დასახელებული იქნება შემოკლებით: წერილები).

მურია (გვ. 22)

პირველად გამოქვეყნდა 1891 წ. ჟურნალ „ჯეჯილში", გვ. 5. ცალკე წიგნად დაიბეჭდა 1903 წ.

ქვესათაური: მეცხვარის ძაღლის ამბავი ყრმათათვის.

ამ მოთხრობის ცალკე წიგნად გამოცემა განზრახული ჰქონდა ივ. როსტომაშვილს, რისთვისაც 1902 წ. ავტორისაგან გამოითხოვა

ნებართვა და თან სთხოვა, დაესახელებინა რომელ მოთხრობას სცნობ-ლა ის კიდევ ცალკე წიგნად გამოსაცემად. ავტორისაგან თანხმობის მიღების შემდეგ 1903 წ. 1 იანვარს ივ. როსტომაშვილი თედოს ატყობინებდა: „პირველად „მურიას“ გამოვცემ იაფ-ფასიან წიგნად სურათებით და თუ კარგად გაიყიდება, რაზედაც იმედი მაქვს, სხვა-საც გამოვცემ შემდეგშიო“ (წერილები, გვ. 188).

1903 წ. „მურია“ ილუსტრირებული სახით დაიბეჭდა წიგნად ს. ზუბადალაშვილის საფასით. ამ გამოცემის ტექსტი ავტორს შეუ-სწორებია. ჩვენი პუბლიკაცია ემყარება უკანასკნელ გამოცემას.

გარიელა (გვ. 27)

ვ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერა-ტურულ მუზეუმში (ქვემოთ დასახელებული იქნება ლიტმუზეუმი). დაცულია ამ მოთხრობის ასლი, № 12390. პირველად დაიბეჭდა 1892 წ. ჟურნ. „ჯეჯილში“, № 6, გვ. 37.

ქვესათაური: (თამარ დედოფლის ლეგენდა).

კუდგრძელა წრუწუნას ნაამბობი (გვ. 32)

დაიბეჭდა 1893 წ. ჟურნალ ჯეჯილში“, № 4, გვ 5.

კუდგრძელა წრუწუნა ამბობს, რომ ჩემი მამა-პაპა დღევანდელ ადგილას „გადმოსახლებულან, როგორც ი ა კ ო ბ ი ე გ ვ ი პ ტ ე ში გ ა დ ა ს ა ხ ლ დ ა.“ ბიბლიური თქმულებით, მოუსაელიანობის წლებში იაკობი თავისი ყახლობით გადასახლდა ეგვიპტეში, სადაც შიმშილობა არ იყო და იქ ცხოვრობდა. ბიბლიის ამ თქმულებას ვულისხმობს ავტორი ზემოთ მოყვანილ ცნობაში.

სათაგვეთის ამბები (გვ. 39)

პირველად დაიბეჭდა 1894 წ., ჟურნალ „ჯეჯილში“, № 1, გვ. 35.

მეორე ამბავი.

მოთხრობა დაწერილია არა უგვიანეს 1893 წლისა, რადგანაც სა-ცენზურო ეიზა დასახელებულ ჟურნალს მიუღია 1893 წლის 10 დე-კემბერს.

დ ა ვ ი თ გ ო ლ ი ა თ ი — ავტორს მხედველობაში აქეს ბი-ბლიის შემდეგი თქმულება: დავითი იყო ებრაელთა გამოჩენილი მეფე და ძლიერი ლონის პატრონი. ერთხელ ებრაელებს ბრძოლა ჰქონდათ მეზობელ ხალხთან. მტრის ბანაკიდან გამოვიდა ერთი უსარმაზარი გმირი, გოლიათი, და გამოითხოვა შებმოდა ვინმე ებრა-

ელთაგან. ვერც ერთმა ებრაელმა ვერ ვიბრძოდა ვაჟისკაცი. მაშინ დაბით მეფე გავიდა და შურდულით მოკლა მტრის გოლიათი.

პატარა ხანუმა (გვ. 48)

დაბეჭდილია 1893 წ. ჟურნალ „ჯეჯილში", № 5, გვ. 14.
ქვესათაური: (სოფლის ცხოვრებიდან).

რქიანი (გვ. 58)

ხელნაწერი: ასლი, ლიტმუზეუმი, № 12390, ფ. 42-52;
გამოქვეყნებულია 1894 წ., ჟურნალ „ჯეჯილში", № 2, გვ. 44.
მოთხრობა დაწერილია ნამდვილ შემთხვევაზე: ერთხელ თედოს ბიძას მწარიას კარზე მიდგომია დაღლილი და შეშინებული შველი. მწარიას ის არ დაუნდვია და ყელი გამოუჭრია. ამ შემთხვევაზე დაუწერია თედოს მოთხრობა „რქიანი", რომელიც წაუკითხავს თავისი ბავშვებისათვის. ბავშვებს ძალიან შებრალებიათ რქიანი და მამისადმი უთქვამთ: „განა კაცი მგელზე საშიში უნდა იყოსო?" თედოს პასუხია: „ეს ნამდვილი ამბავია და, იქნებ, სხვა დროსაც მოხდეს ასეთი რამ და მეტი აღარ გაიმეორონო. (ე. რაზიკაშვილი, ცოტა რამ მამაჩემ ბიძაჩემებზე. „მნათობი". 1961 წ., № 10, გვ. 171).
მოთხრობამ გამოქვეყნებისთანავე მიიპყრო მკითხველთა ყურადღება. „რქიანმა" დიდი ფურორი გამოიწვია, სწერს თედოს „ჯეჯილის" რედაქტორი ან. წერეთლისა.

მელიას ხრიკები (გვ. 60)

ხელნაწერი: ასლი, ლიტმუზეუმი, № 12390, ფ. 90; პირველად დაიბეჭდა 1894 წ. ჟურნ. „ჯეჯილში", № 4, გვ. 5; № 5 გვ. 5.
„ჯეჯილი" — იგულისხმება საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი".

ვანეს ბოგოლა (გვ. 80)

ხელნაწერი: ასლი, ლიტმუზეუმი, № 12390, პირველად დაიბეჭდა 1894 წ. ჟურნალ „ჯეჯილში", № 3.

ფალავნები (გვ. 98)

ხელნაწერი: ასლი, ლიტმუზეუმი, № 12390, ფ. 35; დაბეჭდილია 1894 წ. ჟურნ. „ჯეჯილში", № 6, გვ. 29.

მშრომელი (გვ. 98)

ხელნაწერი: ასლი, ლიტმუზეუმი, № 12390, ფ. 27;

პირველად დაიბეჭდა 1895 წ. ჟურნალ „ჯეჯილში", № 2, გვ. 18;

ამ მოთხრობას საფუძვლად დაედო ნამდვილი ამბავი, რაზედაც თედოს ქალიშვილი ე. რაზიკაშვილი გადმოგვცემს: „ეროხელ დედაჩემი წინდებს ქსოვდა და დაუმთავრებელი დადო ფანჯარაზე. ღამით კატას თამაში დაუწყია. ჩხირები დაუძვრია და თითქმის გათავებული წინდა სულ დაურღვევია. ეს რომ თედომ დაინახა, ბევრი იცინა, დედას უთხრა, კატა დაგეხმარა ქსოვაშიო. მერე წაგვიკითხა მოთხრობა „მშრომელი". ჩვენ ეიცინოდით, დედაჩემი კი წყევლა-კრულვას უგზავნიდა კატას". (ე. რაზიკაშვილი, ცოტა რამ მამაჩემ ბიძაჩემებზე, „მნათობი", 1961, № 10, გვ. 171).

„მარიამა" კამეჩი (გვ. 103)

ხელნაწერი: ასლი, ლიტმუზეუმი, № 12390, ფ. 63.

გამოქვეყნებულია 1895 წ. ჟურნალ „ჯეჯილში", № 4, გვ. 5.

არიქა ჟურდები! (გვ. 118)

ხელნაწერი: ასლი, ლიტმუზეუმი, № 12390, ფ. 6; აკლია დასაწყისი და ბოლო ნაწილები. დაბეჭდილია 1896 წ. ჟურნალ „ჯეჯილში", № 1, გვ. 6.

ქვესათაური: (საახალწლო სურათი).

მოთხრობა დაწერილია არა უგვიანეს 1895 წლისა, რადგანაც საცენზურო ვიზა ჟურნალს მიუღია 1895 წლის 28 დეკემბერს.

ფითრი (გვ. 124)

ხელნაწერი: ასლი, ლიტმუზეუმი, № 12390, ფ. 2; აკლია დასაწყისი და ბოლო ნაწილები, დაზიანებულია შიგადაშიგაც. პირველად დაიბეჭდა 1896 წ., ჟურნ. „ჯეჯილში", № 4, გვ. 5.

მოთხრობაში აღწერილია სინამდვილე: ხელთუბანში თედოს ეზოში ხეჭეჭური მსხლის ხე ედგა. გემრიელ ნაყოფს ისხამდა. ერთ წელიწადს ხეზე ყურები ჩამოყარა. ნაყოფიც მცირე მოისხა. თედომ ნახა, რომ ხეს ფითრი ჩაკონებოდა. მაშინვე მოაშორა ფითრი ხეს და ამრიგად გადაარჩინა გახმობას. ამაზე შექმნა შემდეგ მოთხრობა „ფითრი" (ე. რაზიკაშვილი, ცოტა რამ მამაჩემ ბიძაჩემებზე, „მნა-

ობი", 1961 წ. № 10, გვ. 171). ეინ იცის ამ მოთხრობის წყალობით, რამდენი ხე ვიდარჩენილა ფითრისაგან დაღუპული.

მოთხრობამ ვამოქვეყნებისთანავე მიიპყრო მკითხველთა ყურადღება. აკაკი წერეთელი მის შესახებ წერდა: „ეს პატარა ბოტანიკური მოთხრობა „ფითრი" თ. რასიკაშვილისა, როგორც ხელოვნების მხრივ, ისე თავის კილოთიც ვამტაცია ანალოგიურად გრძნობა-გონების და იმავე დროს დიდათ საკულისსმიერო დიდებისთვისაც. აქ არ გვინდა ამოვწეროთ შინაარსი, რომ არ დავამახინჯოთ, ეურჩევთ ყველას, თავის თავად წაიკითხონ. აქ არის ვამოხატული ჩვენი ქვეყანა და ძველთაგანვე მის ეულში შემოხიზნული ერი. ეს არის ისტორია ჩვენის ცხოვრების და იმავე დროს ებრაული წინასწარმეტყველება მომავალზე. და ეინც გულდასმით წაიკითხავს, ჩვენთან ერთად იტყვის, მადლობა ღმერთს, ახალი ხანა დგება ჩვენს მწერლობაში და მისი განთიადიც მოახლოებულიაო" (ეურნ. „კვალი", 1896 წ. № 21, გვ. 354).

ხვაში (გვ. 186)

ხელნაწერი: ასლი, ლიტმუზეუმი, № 12390; ფ. 167; პირველად დაბეჭდილია 1897 წ. ეურნალ „ჯეჯილში", № 8, გვ. 7.

ქვესათაური: (ამბავი).

ობობა (გვ. 144)

პირველად დაიბეჭდა 1898 წ. ეურნალ „ჯეჯილში", № 1, გვ. 27.

მოთხრობა დაწერილია არაუგვიანეს 1897 წლისა, რადგანაც ცენზურის ეიზა ეურნალის ამ ნომრისათვის გაცემულია 1897 წლის 30 დეკემბერს.

მოთხრობამ გამოქვეყნებისთანავე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. „ობობათი", — წერს ლ. ბოცვაძე, — ბავშვები გაიცნობენ საზოგადოდ ობობას ცხოვრებას, იმის მოსისხლეობას. დედააზრი ამ მოთხრობისა ის არის, რომ ფეიქარა, მოსისხლე ობობა მისივე შეზობლის შაეი ობობასაგან იღუპება, ბოროტება ისჯება. ამგვარს მოთხრობებს, იმისდა მიუხედავად, რომ შიგ მკვლელობაა აღწერილი, ეშვიათად არ შეხვდებით საბავშვო მწერლობაში" (ივერია, 1898, № 54, გვ. 3).

გაზაფხული (გვ. 149)

დაბეჭდილია 1898 წ. ეურნ. „ჯეჯილში", № 3, გვ. 4.

ამ მოთხრობას ლ. ბოცვაძემ შემდეგი შეფასება მისცა: „მოთხრობათა შორის „ჯეჯილის" ამ ნომერში [III] პირველი ადგილი

ტენირაეს „ეგზაგზულს“, რომელიც შეიცავს ზამთრის აღწერილობას და გაზაფხულის დადგომას. ამ აღწერილობას, ამბავ მოთხრობილს, ბევრი ღირსება აქვს, რომელთა შორის უნდა აღვნიშნოთ ხელოვნურად და ცოცხლად აღწერა ხამთრის ბუნების სხვადასხვა სურათისა, ზამთრის მიწურულობა და გაზაფხულის დადგომა. ყველა სურათი, რომელიც აწერილი აქვს წერილის ავტორს, პატარა მკითხველების ნანახი და გაგონილი აქვთ წარსულს ზამთარში, რომლის მოგონება, როცა ჯერ გაზაფხული სრულიად არ გამეფებულა, ბავშვის ფანტაზიაში ცოცხალია, მხოლოდ ლექსიკონის სიღარიბის გამო, პატარა მკითხველს არ შეუძლიან გამოსთქვას, გამოხატოს ის სურათი ისე ხელოვნურად, როგორც უფროსებს შეუძლიან სოლმე. აი, ამ სურათების ხელოვნურად და ცოცხლად აღწერას სიამოვნებით წაიკითხავენ ბავშვები და ადვილადაც შეიგნებენ, რადგანაც ამისთვის საჭირო სიდიადე ყველა მკითხველის ფანტაზიაში მოიპოვება“. (იმერია, 1898, № 91, გვ. 1).

გუგული (გვ. 161)

გამოქვეყნებულია 1898 წ. ჟურნალ „ჯეჯილში“, № 9, გვ. 4. ამ მოთხრობის შესახებ ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ლ. ბოცვაძე წერდა: „ჯეჯილში“ [№ 9, 1898 წ.] დასტამბულია მშვენიერი მოთხრობა „გუგული“, რომელშიაც მკითხველები გუგულის საზოგადო ხასიათისა და ცხოვრების გარდა, გაიცნობენ, თუ რა შედეგი მოჰყვება ოჯახისთანებს საზოგადოდ, ვინც თავისთავად არა პშრომობს და მხოლოდ გუგულისაგით სხვისი ნაშრომ-ნაღვაწით სარგებლობს. ეს სწავლა, რომელიც ვატარებულია მოთხრობაში, კარგად არის დასრულებული. მოთხრობა ეკუთვნის ბ-ნს თ. რაზიკაშვილს, რომლის ნაწერებს სიამოვნებით კითხულობენ „ჯეჯილის“ პატარა მკითხველები და წაკითხვასთან ერთად კიდეც ესმით, გაეგებათ, რასაც კითხულობენ. წაკითხეთ ბავშვს ერთხელ მოთხრობა „გუგული“ და თუ ის ცოტა ფანტაზია ესმინილია, მაშინვე, ერთხელ წაკითხვის შემდეგ, მშვენიერად, დალაგებით მოგიყვებათ მთელს შინაარსს მოთხრობისას. ეს შეადგენს დიდ ღირსებას მწერლისას. ამისთანა მწერალს კარგად ესმის პატარა მკითხველის ფსიხოლოგია და მისი კანონები, ამიტომ თითოეული სიტყვა, თითოეული ამბავი მოთხრობისა ისე ხელოვნურად და მოკლედ არის აღწერილი, რომ შესაფერ კეალსა სტოვებს ბავშვის ფანტაზიაში...

საზოგადოდ მთელი მეცხრე ნომერი „ჯეჯილისა“ რიგიანია, — ასკვნის რეცენზენტი, — სსვა რომ ჯარა იყოს რა, მარტო ერთი „გუგული“ ეხდის ჟურნალს ყურადღებისა და წაკითხვის ღირსად“ (იმერია, 1898, № 235, გვ. 2).

ფგლები (გვ. 166)

ხელნაწერი: ასლი, ლიტმუზეუმი, № 1239, ფ. 139—151; დაიბეჭდა 1899 წ. ჟურნალ „ჯეჯილში", № 1, გვ. 27.

ქვესათაურად აქვს: (ნამდვილი ამბავი).

მოთხრობა დაწერილია არა უგვიანეს 1898 წლისა, რადგანაც ჟურნალის ამ ნომრისათვის ცენზურას ვიზა მიუცია 1899 წლის 19 იანვარს.

თ უ ქ უ რ ე ი ში დღევანდელი ქ. წაყალეიწყალი (წაყალეიწყაროს რ.).

ციცელი (გვ. 167)

ხელნაწერი: ასლი, ლიტმუზეუმი, № 1239, ფ. 151 (დაზიანებულია 155 ფ.).

პირველად დაიბეჭდა 1899 წ. ჟურნალ „ჯეჯილში", № 3, გვ. 8.

ავტორს ნამდვილი ამბავი აქვს აღწერილი. „მამაჩ, — წერს ე. რაზიკაშვილი, — დარკო ერთი ხე, ფშავიდან ვადმოტანილი, უნდა გაეახარო სახსოვრადო, ამბობდა. ის ხე გახმა. საშობლოდან მოშორება ვერ ბიტანა", ჩვენ, ადამიანები კი, სად არ ვიეძლებთო, უთქვამს თედოს (ე. რაზიკაშვილი, ცოტა რამ მამაჩემ ბიძაჩემებზე, „მნათობი", 1961 წ., № 10, გვ. 17).

171 გვ. მოყვანილი ლექსის ნაწყვეტი ამოღებულია რ. ერისთავის ლექსიდან „საშობლო ხევსურისა".

გულჟანის დედოფლები (გვ. 170)

დაბეჭდილია 1900 წ. ჟურნალ „ჯეჯილში", № 5, გვ. 5.

კოდალა (გვ. 181)

პირველად ვამოქვეყნდა 1900 წ. ჟურნალ „ჯეჯილში", № 12, გვ. 34.

ქვესათაური: (ამბავი).

ღათვი (გვ. 189)

დაიბეჭდა 1901 წ. ჟურნალ „ჯეჯილში", № 2, გვ. 3.

ქვესათაური: (ნამდვილი ამბავი).

მოთხრობა დაწერილი უნდა იყოს არაუგვიანეს 1900 წლისა, რადგანაც „ჯეჯილის" დასახელებული ნომრისთვის ცენზურას ვიზა გაუცია 1901 წ. 27 იანვარს.

სამაგიერო (გვ. 193)

დაიბეჭდა 1901 წ. ჟურნალ „ჯეჯილში", № 12, გვ. 8. ქვესათაური: (ნაბდეიღი ამბავი).

ჟურდი (გვ. 196)

ღ..ბეჭდილია 1902 წ. ჟურნალ „ჯეჯილში", № 1, გვ; 56. დაწერილია ბრა ეკვიანეს 1901 წლისა, რადგანაც საცენზურო ვიზა ჟურნალის ამ ნომრისათვის გაცემულია 1901 წლის 20 დეკემბერს.

ეოთამაშე მაიმუნი (გვ. 199)

პირველად დაიბეჭდა 1902 წ. ჟურნალ „ჯეჯილში", № 4, გვ. 6. მოთხრობა რეალურ ამბებზეა აგებული. მაიმუნისა და დათვის ეზოეზო ტარება და შემოსავლის მიზნით მათი ოჯახში ძველად ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

ერთხელ გაძღა (გვ. 210)

დაბეჭდილია 1902 წ. ჟურნალ „ჯეჯილში", № 5, გვ. 38.

აშული მიმინო (გვ. 210)

ლიტმუზეუმში დაცულია ამ მოთხრობის შავი ავტოგრაფის ბოლო ნაწყვეტი, № 12270, გვ. 123. თარიღი 1902 წ., დაროული აქვს ავტორის შენიშვნა: „ვადაწერაში შეეასწორე". პირველად დაიბეჭდა 1903 წ. ჟურნ. „ჯეჯილში", № 1, გვ. 44. ცენზურის ვიზა: 1902 წ. 21 დეკემბერი.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ნიბლია ——————————— 13
იის ამბავი ——————————— 18
მურია ——————————— 22
გარიელა ——————————— 27
კუდგრძელა წრუწუნას ნაამბობი ——— 32
სათაგვეთის ამბები ——————— 39
პატარა ხანუმა ——————————— 48
რქიანი ——————————— 53
მელიას ხრიკები ——————————— 59
ყანეს პობოლა ——————————— 86
ფალავნები ——————————— 93
მშრომელი ——————————— 98
„მარიამა“ კამეჩი ——————————— 103
არიქა, ქურდები! ——————————— 118
ფიორი ——————————— 124
სვავი ——————————— 135
ობობა ——————————— 144
გაზაფხული ——————————— 149
გუგული ——————————— 154
მელები ——————————— 159

ᲒᲑᲝ

ცირცელი ——————————— 167
გულქანის ღელოფლები ——————— 176
კოდალა ——————————— 181
დათვი ——————————— 189
სამაგიერო ——————————— 193
ქურდი ——————————— 196
მოთამაშე მაიმუსი ——————————— 199
ერთხელ გაძლა ——————————— 205
აშული მიმინო ——————————— 210
შენიშვნები ——————————— 222

БИБЛИОТЕКА ГРУЗИНСКОЙ
ДЕТСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ

Тедо Разикашвили

СОБРАНИЕ СОЧИНЕНИЙ
ТОМ I
Рассказы

(На грузинском языке)
Детгиздат Грузинской ССР
«Накадули», Тбилиси, 1972 г.

რედაქტორი ლ. ვოგოხია, მხატვარი
ი. დივნოგორცევა-ვრიგოლია, მხატვრული
რედაქტორი შ. დოლიძე, ტექნიკური რე-
დაქტორი ბ. ასათიანი, კონტროლიორ-კო-
რექტორი მ. კალანდარიშვილი, კორექტო-
რი ს. ლაღაძე, გამომშვები ც. ზაზაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/I-71 წ.
ქაღალდის ზომა 60×84 1/16, საბეჭდი თა-
ბახი 14,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 10,6, ტირაჟი 20.000 შეკვ. 6366
ფასი შაგარ გარეკანში 92 კაპ.
რბილში — 64 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული", თბილისი,
მარჯანიშვილის ქ. № 5
Издательство «Накадули», Тбилиси,
ул. Марджанишвили № 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კო-
მიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის
სტამბა № 2, „ნაკადული", თბილისი,
ფურცელაძის ქ. № 5
Типография № 2, «Накадули», Главполиграфпрома Государственного Комитета Совета Министров Грузинской ССР по печати, Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5